სისხლის სამართლის პროცესი

(ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები)

გამომცემლობა „სამართალი“
თბილისი – 2008

წიგნში გადმოცემულია სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც მათ განიცადეს. არის გარკვეული თეორიული საკითხების ინდივიდუალური გადაწყვეტის მცდელობაც, რაც ნაშრომს საინტერესოს ხდის.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და საზოგადოების იმ წევრთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სისხლის სამართლის პროცესის საკითხებით. ნაშრომი დახმარებას გაუწევს პრაქტიკაში მოღვაწე იურისტებს, ასევე მაგისტრანტებს, დოქტორანტებს.

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი
და რედაქტორი პროფ. **რევაზ გოგშელიძე**

წინამდებარე ნაშრომის ავტორები არიან:

სამართლის დოქტორი, თსუ ასოც პროფ.ი. **აქუბარდია** –
თავი IV, V თავის §2; §3; §5; §6; §7; §8; §9; §12.

სამართლის დოქტორი, თსუ პროფ. **რ. გოგშელიძე** –
თავი I; თავი II; თავი III; V თავის §11; თავი VII;
VIII თავის §1; §2; §4; §5; §6.

სამართლის დოქტორი, თსუ ასოც პროფ. **ლ. ფაფიაშვილი** –
V თავის §1; §4; §10. VIII თავის §3; §7.

სამართლის დოქტორი, თსუ ას პროფ. **ნ. გოგნიაშვილი** – თავი VI

© გამომცემლობა „სამართალი“, 2008

ISBN 99940-807-8-4

შინაარსი

თავი I

სისხლის სამართლის პროცესის არსი, ამოცანები, მიზანი, საპროცესო ფორმა, საპროცესო გარანტიები, საპროცესო ფუნქციები და სისხლის სამართლის პროცესის სტადიები 7

§1. სისხლის სამართლის პროცესის არსი 7
§2. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანები და მიზანი 17
§3. საპროცესო ფორმა და მისი მნიშვნელობა 29
§4. საპროცესო გარანტიების არსი 33
§5. საპროცესო ფუნქციის არსი და სახეები 38
§6. სისხლის სამართლის პროცესის სტადიები 64

თავი II

სისხლის საპროცესო სამართალი და მისი წყაროები 72

§1. სისხლის საპროცესო სამართლის ცნება 72
§2. სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობანი 79
§3. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები 84
§4. სისხლის საპროცესო სამართლის ფორმები 90
§5. სისხლის საპროცესო სამართალი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში 98
§6. სისხლის საპროცესო სამართალი, როგორც მეცნიერება 102

თავი III

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედების ფარგლები 105

§1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში 105
§2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში 108

§3. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება უცხო სახელმწიფოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ 111

თავი IV

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები 116

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების ცნება და სისტემა 116

თავი V

პროცესის მონაწილენი 178

§1. სასამართლო 178
§2. პროკურორი 199
§3. გამომძიებლის სამართლებრივი სტატუსი 204
§4 დაზარალებული და მისი წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში 213
1. დაზარალებული 213
§5. ეჭვმიტანილის სამართლებრივი სტატუსი 235
§6. ბრალდებულის სამართლებრივი სტატუსი და უფლება-მოვალეობები 241
§7. დამცველის სამართლებრივი სტატუსი და უფლება-მოვალეობები 254
§8. სამოქალაქო მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი 267
§9. სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი 278
§10. პირები, რომლებიც მოიწვევიან საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში დახმარების გასაწევად (მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე) როგორც პროცესის სუბიექტები 283
მოწმე 283
თარჯიმანი 299
ექსპერტი 302
სპეციალისტი 310
დამსწრე 312

პროცესის მონაწილისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება 314
§11. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი. აცილება 316
აცილებისა და თვითაცილების განცხადებისა და გადაწყვეტის წესი 325
§12. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებანი 329

თავი VI

მტკიცებულებანი და მტკიცება სისხლის სამართლის პროცესში 342
§1. მტკიცებითი სამართლისა და მტკიცებითი თეორიის ცნება 342
§2. მტკიცებულების ცნება სისხლის სამართლის პროცესში 346
§3. მტკიცების საგანი და მტკიცების ფარგლები 350
§4. მტკიცებულებათა ცალკეული სახეები 361
§5. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია 397
§6. მტკიცების პროცესი 402

თავი VII

პასუხისმგებლობა წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის 408

თავი VIII

სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის სხვა დებულებები 417
§1. საპროცესო ვადები 417
§2. სასამართლო ხარჯები 422
§3. რეაბილიტაცია 426
§4. შუამდგომლობა 438
§5. საჩივარი 441

§6. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება და გამოყოფა 446
§7 სამართლებრივი დახმარება და ურთიერთობა საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან 448
I. სამართლებრივი დახმარება საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების, მოწმეთა ჩვენებების, მტკიცებულებათა, მასალების ან დოკუმენტების, ინფორმაციის მიღების მიზნით 450
§2. სამართლებრივი დახმარება მტკიცებულებათა და ინფორმაციის, დოკუმენტების და მასალების გადაცემის საკითხებში 455
§3. სამართლებრივი დახმარება მოწმედ, ექსპერტად, დაზარალებულად, სამოქალაქო მოპასუხედ პირთა მოწვევის საკითხებში 457
ლიტერატურა: 487

თავი I

სისხლის სამართლის პროცესის არსი, ამოცანები, მიზანი, საპროცესო ფორმა, საპროცესო გარანტიები, საპროცესო ფუნქციები და სისხლის სამართლის პროცესის სტადიები

§1. სისხლის სამართლის პროცესის არსი

საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შეინიშნება დანაშაულთა მატება. რა უწყობს ხელს, რა ფაქტორები განაპირობებენ დანაშაულის არნახულ ზრდას? – პასუხი მარტივია: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა, ზოგიერთი ადამიანის ლტოლვა კანონის დარღვევით ქონების დაგროვებისა, საზოგადოების ნაწილის ზნეობრივი დეგრადაცია, სახელმწიფო იდეოლოგიის, როგორც ადამიანის მრწამსის არარსებობა, მოსახლეობის დიდ ნაწილში სიღარიბე, მხოლოდ მცირე ნაწილში – სიმდიდრე და მრავალი სხვა.

სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახერხებენ ძირფესვიანად ამოძირკვონ დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები, ფაქტორები, მაგრამ ცდილობენ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით მხოლოდ შეაჩერონ დანაშაული. ძნელია საზოგადოების მართვა მხოლოდ და მხოლოდ ქმედების ამკრძალავი ნორმებით.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილია იმ სახელმწიფოებში, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტების ბალანსით შექმნილია ჰარმონიული თანაცხოვრება საზოგადოების წევრებს შორის.

მაგრამ რამდენადაც, ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც ადგილი აქვს კანონდარღვევებს (დანაშაულს), ჩნდება კითხვა, როგორ მოვახერხოთ დანაშაულის გახსნა? პასუხს დასმულ კითხვაზე ვიპოვით ისეთ იურიდიულ დისციპლინაში, როგორიცაა სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც განუსაზ-

ღვრავს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს, თუ როგორი წესებისა და პირობების დაცვით, რა მოქმედებების ჩატარებით იქნეს გამოძიებული და გახსნილი დანაშაული.

უფრო ნათელი, რომ გავხადოთ სისხლის სამართლის პროცესის ბუნება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გავხსნათ სიტყვის – „პროცესი“ არსი (რამდენადაც ვიცით რას ნიშნავს „სისხლის სამართალი“). სიტყვა „პროცესი“ – ლათინური წარმოშობისაა („processu“) და ქართულად ნიშნავს – წინსვლას. თუ „პროცესის“ ნაცვლად წინსვლას გამოვიყენებთ – მივიღებთ „სისხლის სამართლის წინსვლას“, მაგრამ მხედველობაშია არა „სისხლის სამართლის“ მეცნიერების წინსვლის, ; მოძრაობის შესწავლა, არამედ სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის, წინსვლის შესწავლა. სად ვეძებოთ სისხლის სამართლის საქმის საწყისი? საიდან იწყებს იგი მოძრაობას? და საით მიემართება? შეიძლება მარტივად ვთქვათ: სისხლის სამართლის საქმე მოძრაობას, წინსვლას იწყებს იმ მომენტიდან, როდესაც მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყება გამოძიება და მიემართება სასამართლოსაკენ, რათა დადგინდეს განხორციელებულია თუ არა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, ვინ არის ბრალეული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, ვის დაედოს მსჯავრი და ვინ იქნეს ცნობილი მსჯავრდებულად?

სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის, წინსვლის მამოძრავებელი ძალების, სუბიექტთა წრე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობითაა განსაზღვრული. სუბიექტთა ამ წრეს მიეკუთვნება: გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო, რომლებიც თავიანთი საქმიანობის დროს სარგებლობენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონით მინიჭებული საპროცესო უფლებებით და აკისრიათ მოვალეობები.

აღნიშნული თანამდებობის პირების საქმიანობა ქაოსურად კი არ მიმდინარეობს, არამედ ერთიან სისტემას წარმოადგენს, მოქცეულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ჩარჩოებში

და ქმნის იმის გარანტს, რომ სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის დროს დაცული იქნება კანონის უზენაესობა და პროცესის მონაწილეთა უფლებები.

ასე მაგალითად, გამომძიებელი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით აღჭურვილია გარკვეული უფლებამოსილებით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით იწყებს გამოძიებას, ატარებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით განსაზღვრულ საპროცესო მოქმედებებს: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩხრეკა, ამოღება, დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა და ა.შ., რათა შეკრიბოს საკმარისი მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. პროკურორი კი, წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. რაც გულისხმობს იმას, რომ იგი გამომძიებელს აძლევს სხვადასხვა სახის მითითებებს, ეხმარება მას გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად, ობიექტურად, გამოავლინოს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ასევე გამამართლებელი გარემოებები, აგრეთვე ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოებები.

მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიჩნევს, რომ წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე შეკრებილი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის ერთობლიობა საკმარისია გონივრული ეჭვისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ან აძლევს თანხმობას გამომძიებელს ასეთი დადგენილების გამოტანის თაობაზე. წინასწარი გამოძიება სრულდება პროკურორის მიერ ბრალდებო დასკვნის შედგენით.

საბრალდებო დასკვნა არის ბრალდებულისადმი წარდგენილი ბრალდების მოკლე წერილობითი აღწერა, იგი საფუძველი ხდება სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში გადაგზავნისა. სასამართლოში კი სისხლის სამართლის საქმის განხ-

ილვა და გადაწყვეტა. მოხდება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ ან კოლეგიურად მოსამართლეთა შემადგენლობით, რომელიც სრულდება განაჩენის გამოტანით.

ზემოთ ნაჩვენები მსჯელობიდან იკვეთება, რომ სისხლის სამართლის პროცესის **ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა იყოს – სისხლის სამართლის საპროცესო კანონით განსაზღვრული გამომძიებლისა და პროკურორის (გამოძიებისა და პროკურატურის ორგანოების) საქმიანობა,** მიმართული დანაშაულის ფაქტის გამოძიებისაკენ, და ასევე, **მოსამართლის (სასამართლოს) საქმიანობა,** მიმართული სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტისაკენ.

ფაქტთან დაკავშირებით იწყება ის გამოძიება, სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა – პროცესის მწარმოებელი პირები (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულნი არიან გამოკვეთონ პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სისხლის სამართლის საქმის შედეგით, ე.ი. იცავენ საკუთარ ინტერესებს ან არიან მათი წარმომადგენლები. ესენი გახლავთ: დაზარალებული და მისი წარმომადგენელი; ბრალდებული და მისი დამცველი. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს, პროცესის მწარმოებელი პირები საქმეში მოიწვევენ იმ პირებს, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას მომხდარი ფაქტის შესახებ (მოწმე, ექსპერტი), ასევე საქმეში ჩართავენ დამხმარე ფუნქციის შესასრულებლად: სპეციალისტს, თარჯიმანს, სასამართლო სხდომის მდივანს. სისხლის სამართლის პროცესში ჩაბმული ზემოთ ხსენებული პირებიც ახორციელებენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული საპროცესო უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების საფუძველზე განსაზღვრულ საქმიანობას (განაცხადებენ შუამდგომლობას, აცილებას, მონაწილეობენ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში, გამოდიან სასამართლოში და ა.შ.), რითაც ხელს უწყობენ კონკრე-

ტულ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პირების სავალდებულო მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში, სისხლის სამართლის პროცესის **ასევე მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია**, ემსახურება სისხლის სამართლის პროცესის ბუნების გახსნას.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს საქმეში ჩაბმული პირები, ესენი იქნებიან: პროცესის მწარმოებელი პირები (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო) თუ პროცესის სხვა მონაწილენი (დაზარალებული, მისი წარმომადგენელი, ბრალდებული, მისი დამცველი, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი) ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს პროცესის მონაწილეთა საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციის დროს მათ შორის უამრავი საპროცესო ურთიერთობები აღმოცენდება. ამდაგვარი საპროცესო ურთიერთობების საფუძველზე სისხლის სამართლის პროცესის წინაშე მდგარი ამოცანებისა და მიზნის შესრულება მიღწევადი ხდება. სისხლის სამართლის პროცესი საპროცესო ურთიერთობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია, რეგულირების საგნის გარეშე დარჩებოდა.

ამიტომ უნდა ითქვას, რომ **პროცესის მონაწილეებს შორის აღმოცენებული საპროცესო ურთიერთობაც** (აქ იგულისხმება ურთიერთობა, როგორც უშუალოდ პროცესის მწარმოებელ პირებს შორის, ასევე ურთიერთობა პროცესის მწარმოებელ პირებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის, თვით პროცესის სხვა მონაწილეებს შორის), რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით წესრიგდება – **სისხლის სამართლის პროცესის ელემენტია**. ამ ელემენტს სინათლე შეაქვს სისხლის სამართლის პროცესის არსში, მისი არტერიაა.

სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელ იურიდიულ დისციპლინად არსებობას გამართლება ვერ მოეძებნებოდა, თუ

მის წინაშე გარკვეული ამოცანების გადაწყვეტა არ დაისმებოდა და არ დისახებოდა გარკვეული მიზნის მიღწევა. უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა (წინსვლა) საბოლოო ჯამში სისხლის სამართლის პროცესის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას და მიზნის მიღწევას ემსახურება. სისხლის სამართლის პროცესის მიზანი ის მწვერვალია, სადაც სისხლის სამართლის პროცესი თავისი არსებობის გამართლებას პოულობს. ამიტომ უნდა ითქვას **სისხლის სამართლის პროცესის მიზანი, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის ბუნებას ავსებს და ამყარებს უნდა ჩაითვალოს მის ერთ-ერთ ელემენტად** (სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებზე და მიზანზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება შევჯერდეთ და დავასკვნათ: **სისხლის სამართლის პროცესი არის გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოსა და სისხლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობა, მიმართული კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.**

სისხლის სამართლის პროცესის აღნიშნულ განმარტებაში შევეცადეთ გადმოგვეცა მისთვის დამახასიათებელი ელემენტები. თუმცაღა საპროცესო ლიტერატურის გაცნობა დაგვარწმუნებს, რომ არსებობს სისხლის სამართლის პროცესის არსის გაგების უამრავი ვარიანტი. კერძოდ, გერმანელი მეცნიერი იურისტები მიიჩნევენ, რომ სისხლის სამართლის პროცესი – ეს არის კანონით მოწესრიგებული სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა იმ მიზნით, რომ დადგინდეს განაჩენი. ამ განმარტებაში არის ჭეშმარიტების მარცვალი.

ფრანგ მეცნიერ იურისტებს სისხლის სამართლის პროცესის არსი სხვადასხვაგვარად აქვთ გაგებული, ყველა შეხედულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მოვიყვანთ მხოლოდ ჟან პრადელისეულ ხედვას, რომელიც სისხლის სამართლის პროცესს ორ

საქმიანობისა და ამ საქმიანობის საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება. არის მოსაზრება, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში ოთხ ელემენტს გამოყოფს.

საპროცესო ლიტერატურაში ხშირად დაისმის ხოლმე საკითხი **სისხლის სამართლის პროცესისა და მართლმსაჯულების მიმართების შესახებ**. როდესაც სისხლის სამართლის პროცესის ცნებას ვაყალიბებდით, შევნიშნავდით, რომ: „სისხლის სამართლის პროცესი არის გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოსა და სისხლისსამართალწარმოების სხვა მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობა". სისხლის სამართლის პროცესის ბუნების გასახსნელად ვასახელებთ ისეთ ელემენტებს, როგორიცაა სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის დროს სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობა, ამ ორგანოებში და თანამდებობის პირებში ვგულისხმობთ სასამართლოსაც და მოსამართლესაც. ყოველივე ეს კი, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესი და მართლმსაჯულება იდენტური ცნებებია ან სისხლის სამართლის პროცესი შთანთქავს მართლმსაჯულებას. თუ მართლმსაჯულებას ვიწრო კუთხით შევხედავთ, მასში მოვიაზრებთ მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვას, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საპროცესო ფორმით მიმდინარეობს, მაშინ სისხლის სამართლის პროცესი უფრო ფართო ცნებად მოგვევლინება და მართლმსაჯულება მის მიერ შთანთქმულად.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ მართლმსაჯულება გვევლინება რა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმად არ დაიყვანება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვამდე. აქ, იგულისხმება აგრეთვე ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეთა განხილვაც (ზოგიერთი მეცნიერი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვასაც მიიჩნევს

მართლმსაჯულებად), რომლებიც მიმდინარეობს შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით.

ე.ი. გამოდის, რომ მართლმსაჯულება უფრო ფართო შინაარსის მტკვირთველია, ვიდრე სისხლის სამართლის პროცესი. მაგრამ ეს განაცხადი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესსა და მართლმსაჯულებას შორის მჭიდრო კავშირი არ არსებობს. ამ კავშირთან დაკავშირებით ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულება საზრდოობს სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის საპროცესო და ყველა იმ სამართლის ნორმებით, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას. მისი იურიდიული საფუძველი უფრო ფართოა. სისხლის სამართლის პროცესი კი საპროცესო მოქმედებათა ჩატარების წესს ადგენს და განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, თუ მართლმსაჯულება ერთის მხრივ გაგებული იქნება, როგორც სისხლის სამართლის საქმის განხილვა (ვიწრო ფორმით), მაშინ სისხლის სამართლის პროცესი უფრო ფართო შინაარსის გამოდის. ასეთ შემთხვევაში, იგი საპროცესო კანონის ჩარჩოებში აქცევს არა მხოლოდ სასამართლოს საქმიანობას სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, არამედ სასამართლომდელ წარმოებასაც (წინასწარ გამოძიებას), რომელიც მიმდინარეობს სასამართლოსათვის.

მეორეს მხრივ, თუ მართლმსაჯულებაში მოვიაზრებთ არა მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვას, არამედ სამოქალაქო და სხვა საქმეთა განხილვის წესს, მაშინ მართლმსაჯულება თავისი შინაარსობრივი დატვირთვით უფრო ფართო ცნება იქნება, რამეთუ უკვე იგი მოიცავს, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის, ისე სამოქალაქო საპროცესო სამართალის, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის და სხვა სამართლის ნორმებს (საერთოდ, განასხვავებენ მართლმსაჯულების

განხორციელების ისეთ ფორმებს, როგორიცაა: სისხლის, სამოქალაქო, კონსტიტუციური, ადმინისტრაციული და ზოგიერთ ქვეყნებში საარბიტრაჟო წარმოება.

საპროცესო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება გამოთქმა სისხლისსამართალწარმოება, იგი თავისი შინაარსობრივი დატვირთვით იგივეა, რაც სისხლის სამართლის პროცესი.

§2. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანები და მიზანი

სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინები სისხლის სამართლის პროცესი; სისხლის საპროცესო სამართალი; სისხლის სამართლის პროცესი, როგორც მეცნიერება; სისხლის საპროცესო სამართალი, როგორც სამართლის დარგი; არის შემოკლებული ვარიანტიც სისხლის პროცესი, რომლის შინაარსობრივ დატვირთვაშიდაც მოიაზრებენ ყველა ზემოთ ხსენებული ტერმინების შინაარსაც, რაც ჩვენი შეხედულებით არასწორია. რა თქმა უნდა ყველა ზემოთ ხსენებული ტერმინების შინაარსობრივ დატვირთვაში მჭიდრო კავშირი არსებობს, ურთიერთს ასაზრდოებენ, მაგრამ არის მათ შორის განსხვავებაც (კვლევის ეს სფერო მეტად რთული და საინტერესოა, ის არ ჯდება სახელმძღვანელოს ფარგლებში, ვფიქრობთ, სამომავლოდ ეს პრობლემა ასახვას ჰპოვებს მონოგრაფიულ გამოკვლევაში). სისხლის სამართლის პროცესის არსზე ვისაუბრეთ, მოგვიანებით შევეხებით, სისხლის სამართლის პროცესს, როგორც მეცნიერებას და როგორც სამართლის დარგს. მაგრამ ჩნდება კითხვა: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველ მუხლში მოქცეული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ამოცანები, რომელ სფეროს მივაკუთვნოთ — სისხლის სამართლის პროცესს, როგორც მეცნიერებას, თუ, როგორც

სამართლის დარგს, თუ გავხადოთ ისეთი ზოგადი ტერმინის კუთვნილება, როგორიცაა სისხლის სამართლის პროცესი?

ტერმინი სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოითქმის მტკვირთველია ყველა ზემოთ ხსენებული ტერმინების შინაარსისა. თუკი გვხვდება გამოთქმა სისხლის სამართლის პროცესის ამოცანები, სწორი იქნება თუკი ამ გამონათქვამში ვიგულისხმებთ სისხლის სამართლის პროცესის, როგორც დარგის ამოცანებს. რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესის, როგორც მეცნიერების ამოცანებს და მეორეც, სისხლის სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დარგი არის რა საპროცესო ნორმების ერთობლიობა, ეს ნორმები კი ქმნიან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ერთიან, მწყობრ სისტემას, ლოგიკური იქნება თუ დავასკვნით, რომ სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებში იგულისხმება სისხლის სამართლის პროცესის, როგორც სამართლის დარგის ამოცანები (სისხლის სამართლის პროცესის, როგორც მეცნიერების ამოცანები სხვაა, ამის შესახებ მოგვიანებით გვექნება საუბარი).

მაინც, რა ამოცანები დგას სისხლის სამართლის პროცესის, როგორც სამართლის დარგის წინაშე შესასრულებლად? თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველ მუხლს დავესესხებით (ეს დასესხება სულაც არ გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დარგი დაიყვანება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე. არა, ეს ასე არაა, სისხლის სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დარგი უფრო ფართო შინაარსის მტკვირთველია და სხვა საპროცესო ინსტიტუტებთან ერთად სისხლის საპროცესო კანონმდებლობასაც მოიცავს). ეს ამოცანებია: **დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი; უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება, არ დაუშვას უდანა-**

შაულო პირის მსჯავრდება; დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები; საზოგადოებაში დაამკვიდროს კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა.

სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა (სისხლის სამართლის პროცესი) იწყება მომზდარ იურიდიულ ფაქტთან დაკავშირებით, როდესაც არის მონაცემები დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების განხორციელების შესახებ. სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს იმიტომ, რომ: **დადგინდეს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი.** (ე.ი. გადაიჭრას სისხლის სამართლის პროცესის წინაშე მდგარი ერთ-ერთი ამოცანა). აღნიშნული ამოცანის შესრულება მიღწეულად რომ ჩაითვალოს, უნდა დადგინდეს: ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი და ბ) მისი ჩამდენი პირი.

მოდით ახლა გავარკვიოთ რას ნიშნავს – დადგინდეს დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებანი, აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება აღდგენილ იქნეს მაქსიმალური სრულყოფილებით, ყოველმხრივ და ობიექტურად ყველა ის გარემოება, რა ვითარებაშიდაც სინამდვილეში იქნა ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. გამოვლენილ იქნეს დანაშაულის ყველა ეპიზოდი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი ყველა პირი, დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პირობები.

დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების **სრულყოფილად** შესწავლა, უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მტკიცებულებათა აუცილებელი ერთობლიობის მიღებას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენა. ნათელი მოეფინება დანაშაულის ჩადენის ხერხსა და საშუალებას, დანაშაულის მოტივს, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ადგილსამყოფელს, გამოკვეთს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირს (პირებს) და სხვ. ცალკეული

სახის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის დროს მტკიცებულებათა სრულყოფილება შეიძლება სხვადასხვარიგადაც იქნეს დანახული. მთავარი ისაა, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში იმდენი რაოდენობის მტკიცებულება იყოს, რომ საფუძველი შექმნას სწორი გადაწყვეტილების მისაღებად (მაგ. დადგენილების გამოსატანად პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად და ბრალდების წარსადგენად, სასამართლო სხდომის დასანიშნავად, განაჩენის დასადგენად და ა.შ.).

რაც შეეხება მოთხოვნას – ყოველმხრივ იქნეს შესწავლილი დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები, გულისხმობს იმას, რომ ამომწურავად იქნეს შეცნობილი ყველა ის გარემოება, რომელიც შედის მტკიცების საგანში და დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის. ფაქტობრივ გარემოებათა **ყოველმხრივი** შესწავლა საფუძველს ქმნის წამოწეულ და შემოწმებულ იქნეს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ყველა შესაძლო ვერსია. სწორი მიმართულება მისცეს გამოძიებას და მაშასადამე, გამორიცხოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ცალმხრივობა და არასრულყოფილება, აქედან გამომდინარე კი უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გამოტანა.

ობიექტურობა – გულისხმობს პროცესის მწარმოებელ პირთა (ასევე პროცესის სხვა მონაწილეთა) მიდგომას სისხლის სამართლის საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების შესასწავლად. ამ სიტყვის შინაარსობრივი დატვირთვიდან ის გამომდინარეობს, რომ საქმის გამოძიებისა თუ სასამართლო განხილვის დროს სისხლის სამართლის პროცესში ჩაბმული პირები უნდა იყვნენ მიუკერძოებელნი. დაინტერესებულნი იმით, რომ ერთნაირი გულმოდგინებით გაირკვეს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებმა ობიექტურო-

ბის გრძნობა, რომ დაიცვან, კანონმდებელს ამის გარანტად მათი მისამართით დამკვიდრებული აქვს აცილებისა და თვითაცილების ინსტიტუტი, ასევე რიგ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.

ობიექტურობის ინსტიტუტის არსებობა, იმის გარანტიცაა, რომ თავიდან ავიცილოთ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა თუ სასამართლო განხილვის ცალმხრივობა და სისხლის სამართლის საქმის გარემოებები შევისწავლოთ ყოველი მხრიდან.

თუ დაირღვა დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის ზემოთ ხსენებული მოთხოვნებიდან რომელიმე მაინც (მნიშვნელობა არა აქვს ეს იქნება-**სრულყოფილება, ყოველმხრივობა თუ ობიექტურობა**) ეს იქნება: ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ან ზემდგომი ინსტანციის მხრიდან განაჩენის შეცვლის საფუძველი.

რა არსია ჩადებული სისხლის სამართლის პროცესის ისეთ ამოცანაში, როგორიცაა: **დადგინდეს სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი?** უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ „სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება“ ამ შემთხვევაში, როგორც წესი არ მოიაზრებს-სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას (ასეთ ქმედებათა არსებობის შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებები დადგინდება შესაბამისი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით), აქ, ისევ და ისევ იგულისხმება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, მაგრამ მხედველობაშია მიღებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როდესაც არ არსებობს დანაშაულის ყველა ნიშანი (ბრალი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ქმედება ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში (მაგ. შეურაცხაობა ასაკის

გამო, შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო და ა.შ.). რაც შემდგომში საფუძველი ხდება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა, მისი დაუსჯელობისა. ქმედება კი რჩება მართლსაწინააღმდეგოდ.

გარდა ამისა, „სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში“, ასევე უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევაც, როცა თავიდან ზუსტად არაა გამოკვეთილი ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სამართალდარღვევის რომელ სფეროს მიეკუთვნება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავიდან, არსებული ფაქტობრივი გარემოება იძლევა საფუძველს საქმეზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებისათვის, მაგრამ გამოძიების პროცესში გამოიკვეთება, რომ სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ამის შემდეგ, საქმეზე გამოყენებული იქნება ადმინიატრაციული საპროცესო კანონმდებლობა.

როგორც უკვე ზემოთ შევნიშნეთ, სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა: **დაადგინოს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი**. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელი ხდება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ყველა სავარაუდო ვერსიის შემოწმებით, სრული მოცულობით საპროცესო მოქმედებების ჩატარებით და მტკიცებულებათა შეკრებით. დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის დადგენა სავალდებულოა იმდენად, რამდენადაც უნდა მოვახდინოთ იმ რეალობის აღდგენა, რა ვითარებაშიდაც ჩაიდინა პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომ მისი ბრალეულობა გამოვკვეთოთ და აქედან გამომდინარე, შევძლოთ სამართლიანობის აღდგენა, მხედველობაში გვაქვს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის გამოსწორება, ზიანისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ტოლფასოვანი სასჯელის შეფარდება. დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლიანი მსჯავრდება საფუძველი უნდა გახდეს მისი გამოსწორებისა, აღზრ-

დისა, იმ აზროვნების ჩამოყალიბებისა, რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება.

ბრალეული პირის მსჯავრდება ყოველთვის დაფუძნებული იქნება კანონზე და აქედან გამომდინარე, შესრულებული სისხლის სამართლის პროცესის ისეთი ამოცანა, როგორიცაა – **არ დაუშვას უდანაშაულო** (სწორი იურიდიული აზროვნებიდან გამომდინარე „უდანაშაულო“-ს ნაცვლად უნდა იყოს „არაბრალეული“, სასამართლო განსჯის განსასჯელი პირის „ბრალეულობა“, „არაბრალეულობის“ საკითხს და ამის შემდეგ დასდებს მას მსჯავრს. განა ლოგიკურია, სასამართლომ განსაჯოს განსასჯელი პირის „უდანაშაულობის“ ან „დამნაშავეობის“ საკითხი, და ამის შემდეგ მიიჩნიოს იგი „დამნაშავედ“ და დასდოს მსჯავრი?) პირის მსჯავრდება. უდანაშაულო (არაბრალეული) პირის მსჯავრდება აცილებული იქნება, თუ აღდგება ის რეალობა, რომელშიდაც მიმდინარეობდა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სწორედ აღდგენილი რეალური სურათი ხდება იმის საფუძველი, რომ, თუ ბრალდება წარედგინა არაბრალეულ პიროვნებას, შეწყდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ან/და სასამართლომ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

სისხლის სამართლის პროცესის ისეთი ამოცანა, როგორიცაა – **უზრუნველყოს კანონის სწორად გამოყენება**, უწინარეს ყოვლისა გულისხმობს ყველა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა, აგრეთვე საპროცესო დოკუმენტების შესაბამისობას სისხლის სამართლის საპროცესო კანონების მოთხოვნებისადმი. მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კანონის სწორად გამოყენებაც. გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ კარგად უნდა იცოდეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა და ის საერთაშორისო ნორმატიული აქტები, რომელთაც გამოყენება აქვთ სახელმწიფოში. ისინი საქმიანობის დროს სწორად უნდა ფლობდნენ ცოდნას ცალკეული კანონების შინაარსის შესახებ, ასევე სწორად უნდა განუმარტავდნენ კანონის შინაარსს სისხლის სამართლის

პროცესის მონაწილეებს. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, როდესაც კარგად ფლობენ ცოდნას კანონების შინაარსის შესახებ, პროცესის სხვა მონაწილეებსაც ამომწურავად, სრულყოფილად განუმარტავენ და უხსნიან მათ უფლებებსა და მოვალეობებს, აძლევენ შესაძლებლობას რეალიზება გაუკეთონ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს და დაკისრებულ საპროცესო მოვალეობებს. გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ასეთი საქმიანი დამოკიდებულებით თავიდან იქნება აცილებული საგამოძიებო და სასამართლო შეცდომები, ხოლო კანონის სწორად გამოყენება კი უზრუნველყოფილი.

სისხლის სამართლის პროცესის ასევე მნიშვნელოვანი ამოცანაა – **დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები**. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი მთლიანად ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ეთმობა, იგი იმ სულისკვეთებითაა გამსჭვალული, რომ ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები სამყაროს ყველაზე უმაღლესი ფასეულობაა. მათი აღიარება და დაცვა სახელმწიფოს საპატიო მოვალეობა. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი კანონი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვას ემსახურება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც მოწოდებულია თავისი კუთხით დაიცვას ყველა იმ ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და კანონიერი ინტერესები, ვინც ჩაბმულია სისხლის სამართლის პროცესში, მნიშვნელობა არა აქვს ეს იქნება ის პიროვნება, რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ პროცესის სხვა მონაწილე, რომელიც სხვადასხვა საფუძვლის გამოა სისხლის სამართლის პროცესში.

საქართველოს კონსტიტუციაზე დაყრდნობით სისხლის სამართლის პროცესი აღიარებს და იცავს პიროვნების ღირსების ხელშეუვალობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ა.შ.

პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ფარგლებში, ისიც, ყოველთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.

სისხლის სამართლის პროცესი არა მხოლოდ აცხადებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, არამედ აწესებს გარანტიებსაც მათ სარეალიზაციოდ. ასე მაგალითად, თუ პროცესის მონაწილეს უკანონო საპროცესო მოქმედებით ზიანი მიადგა, კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს სრულად აინაზღაუროს მიყენებული ზიანი; თვით საპროცესო მოვალეობის დაკისრებაც პროცესის ამა თუ იმ მონაწილისადმი, ხომ ერთერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა პროცესის სხვა მონაწილის უფლების რეალიზაციისა და ა.შ.

საინტერესოდ გამოიყურება სისხლის სამართლის პროცესის ისეთი ამოცანა, როგორიცაა **საზოგადოებაში დაამკვიდროს კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა.** აღნიშნული ამოცანის შესრულება მნიშვნელოვანია, რამეთუ იგი წარმოაჩენს თვით სახელმწიფოს სახეს. საზოგადოებაში კანონისადმი პატივისცემა მაშინ ჩნდება, როდესაც კანონის შინაარსი რეალურად მიესადაგება ადამიანის სულიერ ბუნებას, გამოხატავს ზრუნვას მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, აწესებს გარანტიებს კანონით მინიჭებული უფლებების, თავისუფლებების რეალიზაციისათვის. თვით სახელმწიფო მოხელე, მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი მოქმედებენ კანონის ფარგლებში, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე და იცავენ პრინციპს კანონის წინაშე ყველას თანასწორობისა.

სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა **დაამკვიდროს საზოგადოებაში ჰუმანიზმის იდეების პატივისცემა** შესრულდება, თუ თითოეული საპროცესო ნორმის შინაარსის გამოხატულება იქნება გაფრთხილება და ზრუნვა ადამიანზე, მის უფლებებზე, თავისუფლებებზე, კანონიერ ინტერესებზე. ამისათვის სისხლის

სამართლის პროცესმა ფართოდ უნდა გაუღოს კარები იმ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც ამკვიდრებენ ადამიანის უფლებათა, თავისუფლებათა, კანონიერი ინტერესების დაცვის სავალდებულოობას. კარგია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ აღნიშნული ამოცანა ლოზუნგად კი არ დატოვა, არამედ პრაქტიკულად გადადგა ნაბიჯი და ჰუმანიზმის იდეების პატივისცემას გზა გაუხსნა უამრავი საპროცესო ნორმების შემოღებით (მაგ. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება, კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა, საპროცესო კანონის უკუძალა, როდესაც ამით უმჯობესდება ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მდგომარეობა და სხვა მრავალი).

სისხლის სამართლის პროცესის ამოცანის-კანონის, ჰუმანიზმის იდეების პატივისცემის დამკვიდრებას საზოგადოებაში მივყავართ **სამართლიანობის იდეების პატივისცემამდე**. უნდა ითქვას, რომ კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეები ერთიან მთლიანობას ქმნიან, ურთიერთს ავსებენ, ერთი რომელიმეს გამოკლება დანარჩენის არასრულყოფილებას გამოიწვევს. თუკი საზოგადოება გამოხატავს პატივისცემას კანონის, მასში გატარებული ჰუმანური იდეების მიმართ (ამის საფუძველს იძლევა საპროცესო ნორმების შინაარსი და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა, ე.ი. შეფასება ობიექტურია), განა ამას არ მივყავართ სამართლიანობის იდეების პატივისცემამდე? თავის მხრივ, სამართლიანობის იდეების პატივისცემას ისიც ამყარებს, როცა საპროცესო გადაწყვეტილების მიღების დროს ობიექტურად იქნება გათვალისწინებული პროცესის მონაწილის პიროვნება და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

რაც შეეხება **სისხლის სამართლის პროცესის მიზანს**, ამ საკითხთან დაკავშირებით საპროცესო ლიტერატურაში სხვადასხ-

ვა ხედვაა. მაგრამ, გაბატონებულია მოსაზრება, რომ: სისხლის სამართლის პროცესის მიზანია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობის დადგენა და სამართლიანი დასჯა, არაბრალეული ადამიანის დაცვა უსაფუძვლო ბრალდებისაგან და მოქალაქეებზე, აღმზრდელობითი ზემოქმედების მოხდენა.

როგორ გავიგოთ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა? სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა გულისხმობს იმას, რომ თუ, სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედება სინამდვილეში მოხდა, აღდგენილ იქნეს იგი ისეთივე სახით და ფაქტობრივი გარემოებებით, რა ვითარებაშიდაც მიმდინარეობდა, და რა თქმა უნდა დადგენილ იქნეს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პიროვნება.

ხოლო, თუ დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება სინამდვილეში არ ჩაუდენიათ და გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო შეუმოწმებელი მონაცემები, ჭეშმარიტების დადგენა იმაში მდგომარეობს, შეწყდეს წინასასამართლო გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო.

თუ დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილ იქნა, და ბრალდება წარედგინა არა იმ პიროვნებას ვინც იგი ჩაიდინა, არამედ სხვას, რომელზედაც უსაფუძვლო ეჭვი გაჩნდა – ჭეშმარიტების დადგენა იქნება არაბრალეული პიროვნების რეაბილიტაცია, მისგან გაუმართლებელი ბრალდების მოხსნა. ხოლო კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჭეშმარიტების საკითხი ღია, გადაუწყვეტელი რჩება, მანამ, სანამ კონკრეტულ პიროვნებას არ დაადგენენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ფედერალური ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საქ-

მეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, იგი, ასევე მოწონებულია სხვადასხვა შტატების უმაღლესი სასამართლოების მხრიდანაც. მაგრამ დღესდღეობით სისხლის სამართლის პროცესის მხარეები უფრო მიისწრაფვიან მიაღწიონ სამშვიდობო შეთანხმებას, როგორც ჩანს საზოგადოების წევრებისათვის უფრო ღირებულია საზოგადოებრივი კეთილდღეობა, დავების, წინააღმდეგობების დაძლევა მშვიდობიანი გზით, ვიდრე საქმეზე დადგენილ იქნეს ობიექტური ჭეშმარიტება.

ბოლო პერიოდში რუსულ ენაზე გამოცემულ სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოებში სისხლის სამართლის პროცესის მიზანი და ამოცანები გაბგივებულია[1].

სისხლის სამართლის პროცესის ამოცანებზე, მიზანზე, ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან დიდი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს საკითხს, სისხლის სამართლის პროცესის მიზანი და ამოცანები გაიგივებული იქნება თუ ცალ-ცალკე იქნება ისინი დანახული (გააზრებული). მით უმეტეს მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ამოცანების შინაარსობრივი დატვირთვა თითქმის ემთხვევა სისხლის სამართლის პროცესის მიზანს (სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას).

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ამოცანები ის საშუალებაა, რომელთა მეშვეობით მივდივართ სისხლის სამართლის პროცესის მიზნამდე, მიზანი კი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაა (არ დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებების და მისი ჩამდენი პირის დადგენამდე, უფრო დიდი შინაარსის მტვირთველია).

---

1 Уголовный процесс, под ред., К.Ф. Гуценко, М., 1998. с. 14. Уголовно-процессуальное право Российской Федерации, отв., ред., И. Л. Петрухин, 2-е издание, М., 2006. с. 6-7.

§3. საპროცესო ფორმა და მისი მნიშვნელობა

საპროცესო ფორმა – სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტური კატეგორიაა. საპროცესო ფორმის არსებობა ავალდებულებს სასამართლოს, მოსამართლეს, პროკურორს, გამომძიებელს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საპროცესო მოქმედება ჩაატარონ სისხლის სამართლის საპროცესო კანონით წინასწარ დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით. აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა შეფასდება, როგორც კანონის დარღვევა, კანონის დარღვევით ჩატარებული საპროცესო მოქმედებების შედეგები კი ვერ იქნებიან იურიდიული ძალის მატარებელნი, ე.ი. არ გამოდგებიან მტკიცებალებად. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო ფორმა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა თუ სასამართლოში განხილვის დროს გვევლინება კანონიერების დაცვის გარანტადაც. იმ მიმართულების მიმცემად, რომ შესრულდეს სისხლის სამართლის პროცესის წინაშე მდგარი ამოცანები და დადგინდეს ჭეშმარიტება სისხლის სამართლის საქმეზე. ასევე, საპროცესო ფორმა თავისი ბუნებით ქმნის საფუძველს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

საპროცესო ფორმის მახასიათებელი თვისებებია: **საყოველთაობა, ერთიანობა, სავალდებულოობა.**

საყოველთაობა უნდა გავიგოთ ისე, რომ ერთი და იგივე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა თუ სასამართლოში განხილვის დროს გამოიყენება ის ერთიანი წესები, რომელიც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიერ. რაგინდა მარტივადაც ჩანდეს სისხლის სამართლის საქმე, თუ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესები საფუძველას არ იძლევა, სა-

სამართლო, მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი უფლებამოსილნი არ არიან თავისი მიხედულობის მიხედვით მოახდინონ მოცემული საქმის გამოძიების ან სასამართლოში განხილვის შეკვეცა, გაფართოება.

საპროცესო ფორმის **ერთიანობა** გამყარებულია იმით, რომ საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო-პარლამენტი აზორციელებს რა საკანონმდებლო ხელისუფლებას მთელ ტერიტორიაზე, იღებს მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედ ერთიან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

საპროცესო ფორმის **სავალდებულოობა** კი მდგომარეობს იმაში, რომ ზუსტად და მკაცრად უნდა იქნეს შესრულებული ის მოთხოვნები, რომელიც დადგენილია საპროცესო ფორმით. თუკი მოხდება საპროცესო ფორმის დარღვევით საპროცესო აქტის შედგენა ან გნებავთ მტკიცებულების მიღება, ამას შედეგად მოჰყვება უფლებამოსილი პირის მიერ აღნიშნული საპროცესო აქტის გაუქმება, ხოლო მტკიცებულება მიჩნეული იქნება დაუშვებელ მტკიცებულებად.

ძნელია წარმოსადგენად, მიღწეული იქნეს სისხლის სამართლის პროცესის მიზანი (სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება) თუ დაცული არ იქნა საპროცესო მოქმედებათა ჩატარებისას საპროცესო ფორმა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პირობების დაცვით საპროცესო მოქმედებათა ჩატარება უპირველეს ყოვლისა ხომ, სწორედ პროცესის მონაწილეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურება. სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის შედეგად მიღებული საპროცესო შედეგები სარწმუნო უნდა იყოს არა მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლისათვის, სასამართლოსათვის, პროკურორისათვის, გამომძიებლისათვის, არამედ ყველა იმათთვისაც ვინც ჩაბმულია სისხლის სამართლის პროცესში (მნიშვნელობა არა აქვს პროცესის მონაწილე დაინტერესებულია თუ არა საქმის შედეგებით). ამიტომ,

შესაძლებელი რომ გახდეს, შემოწმდეს რამდენად იყო დაცული საპროცესო ფორმა წინასასამართლო გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს, და აქედან გამომდინარე შემოწმდეს მიღებული საპროცესო შედეგების სარწმუნოობა, აუცილებელია დაფიქსირდეს წერილობითი ფორმით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გამოძიების და სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობა სრულად.

ე.ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ საპროცესო ფორმის შინაარსით აქცენტი კეთდება სასამართლოს, პროკურატურის და გამოძიების ორგანოების, საპროცესო კანონმდებლობით მოწესრიგებულ საქმიანობაზე, რომელიც განსაზღვრულ ჩარჩოებშია მოქცეული და რაც სავალდებულოა დაცულ იქნეს. ასე მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 23-ე თავი ეძღვნება წინასასამართლო გამოძიებას. სადაც ნათქვამია, რომ გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან დაიწყონ წინასასამართლო გამოძიება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში. თუ გამომძიებელი დაიწყებს წინასასამართლო გამოძიებას, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურორს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე თავი ეთმობა საგამოძიებო მოქმედებებს და მათი ჩატარების წესებს, სადაც მითითებულია, რა მოთხოვნების დაცვით იქნეს ჩატარებული ესა თუ ის საგამოძიებო მოქმედება (დაკითხვა იქნება ეს თუ ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ.). საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს პირისათვის ბრალდების წარდგენის წესსა და ფორმას, რომ ბრალდების წარდგენას წინ უძღვის პროკურორის დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ (კანონმდებლობით, სწორადაა შენიშნული, რომ ბრალდების წარდგენისათვის უნდა იყოს შეკრებილი მტკიცებულებათა და ინფორმაციათა ის ერთობლიობა, რომელიც საკმარისია გონივრული ეჭვისათვის-კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული) და ა.შ.

საპროცესო ფორმის შინაარსი მოიცავს ერთობლიობას იმ სამართლებრივი მოთხოვნებისა, რომელიც დაცული უნდა იყოს ამა თუ იმ საპროცესო აქტის შედგენისას. მხედველობაში გვაქვს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი ოქმების შედგენის წესი და ფორმა, განაჩენის შედგენის წესი და ფორმა, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შედგენის წესი და ფორმა და ა.შ.

საპროცესო ფორმის შინაარსში ჩადებული სამართლებრივი მოთხოვნებისადმი ფორმალური მიდგომა შეუთავსებელია საპროცესო ფორმის ბუნებისადმი. იმ წესებისა და პირობების შესრულება, რომელიც მოაზრებულია საპროცესო ფორმაში, ნიადაგს ქმნის დროის მცირე მონაკვეთში მიღწეულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და მოქალაქეთა უფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვა. ხოლო საპროცესო ფორმით გათვალისწინებული წესებისა და პირობების დაუცველობა, არათუ ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, არამედ პირიქით, დაგვაშორებს მას და გამოიწვევს მოქალაქეთა უფლებების, კანონიერი ინტრესების იგნორირებას.

ისტორიამ, შავ ლაქად შემოუნახა ჩვენს საზოგადოებას მე-20 საუკუნის 30-იანი წლების მოვლენები. როდესაც საპროცესო ფორმის შინაარსში უარყოფითად აისახა ქვეყნის იმდროინდელი პოლიტიკური რეჟიმი. შეკვეცილი საპროცესო ფორმა პოლიტიკურ დანაშაულობებზე, ჩადენილი ე.წ. „ხალხის მტრების“ მიერ, განიხილებოდა დახურულ სასამართლო სხდომებზე, ბრალდებულს უფლება არ ჰქონდა ყოლოდა დამცველი, განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ დაუყოვნებლივ, იკრძალებოდა შუამდგომლობა შეწყალების შესახებ, „მტკიცებულებათა დედოფლად“ ითვლებოდა ბრალდებულის მხრიდან ბრალის აღიარება, სხვა მტკიცებულება არც კი იყო საჭირო. ე.ი. დაკარგული იყო, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მიზანი, ისე ადამიანიც. ამიტომ სასურველია სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებამ კვლევა იმ

მიმართულებით წარმართოს, რომ, როგორც საპროცესო ფორმის შინაარსობრივი დატვირთვა, ისე, ნებისმიერი საპროცესო ინსტიტუტი გამოხატავდეს ზრუნვას ადამიანზე (ამ მხრივ, რა თქმა უნდა, დიდი როლი უნდა ითამაშოს ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა რეჟიმმა).

ზემოთ არსებულ მსჯელობას თუ დავემყარებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ **საპროცესო ფორმა არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული იმ წესებისა და პირობების ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის მოძრაობასთან დაკავშირებით ჩასატარებელ საპროცესო მოქმედებებს გარკვეულ ჩარჩოში აქცევს.**

აღნიშნული განმარტებით შევეცადეთ მოკლედ, მაგრამ ყოვლისმომცველად ჩამოგვეყალიბებინა საპროცესო ფორმის ცნება. საპროცესო ლიტერატურაში გვხვდება მისი სხვადასხვა განმარტებებიც, მაგრამ შინაარსობრივად ძირითადად მაინც თანხვდებიან[1].

§4. საპროცესო გარანტიების არსი

ზოგადად გარანტია რაიმეს უზრუნველყოფას ნიშნავს. სისხლის სამართლის პროცესში მიღწეული რომ იქნეს მიზანი-თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, აუცილებელია საპროცესო გარანტიების არსებობა. ე.ი. შეიძლება ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის პროცესში საპროცესო გარანტიები ის საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს: ა) სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებასა და ბ) მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

---

1 . М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, М., т.1., 1968. с., 51; Курс советского уголовного процесса, общая часть, под ред., А. Д. Бойкова и И. И. Карпеца, М., 1989. с. 121; Уголовный процесс, под ред., К. Ф. Гуценко, М., 1998. с. 21. სისხლის სამართლის პროცესი, ა. ფალიაშვილის რედაქტორობით, თბ., 2002 წ. გვ. 6; Уголовно-процессуальное право Российской федерации, отв., ред., И. Л. Петрухин. М., 2006. с. 7.

აღნიშნული მიმართებით საპროცესო გარანტიების ბუნების გახსნას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ინსტიტუტში თუ პრინციპში უნდა დავინახოთ (მოვიაზროთ) საპროცესო გარანტია, რამდენადაც ყველა ისინი ემსახურებიან სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და მოქალაქეთა უფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მოქალაქეებისათვის საპროცესო გარანტიები არის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალება და იმავდროულად საშუალება, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად იქნეს სისხლის სამართლის საქმე გამოძიებული და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი.

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მოქალაქეებისათვის დაწესებული საპროცესო გარანტიების დაუცველობა მიგვიყვანს სამართლიანი პროცესის ხელყოფამდე, სისხლის სამართლის საქმის არასწორ, არასრულყოფილ, ცალმხრივ გამოძიებამდე და სასამართლო გადაწყვეტილებამდე. რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად წარმოაჩენს მთელი სახელმწიფო აპარატის საქმიანობას, შებღალავს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა დემოკრატია და ჰუმანურობა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს, როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს ანიჭებს უფლებებს კანონიერი ინტერესების დასაცავად, მაგრამ მხოლოდ უფლების მინიჭება არ არის საკმარისი საკუთარი ინტერესების დასაცავად. რეალურად, რომ ისარგებლოს პროცესის მონაწილემ თავისი უფლებებით, წარმართოს ისინი საკუთარი თავის დასაცავად, საპროცესო კანონი ადგენს მთელ რიგ საპროცესო გარანტიებს. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პროცოსის მონაწილეთა საპროცესო უფლებებსა და გარანტიებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია, ურთიერთს განაპირობებენ

(პროცესის მონაწილეს თუ არ მიეცა საპროცესო უფლებები, არც დადგება საკითხი ამ უფლებების რეალიზებისა, თუ დაცვის საშუალებების შესახებ), მაგრამ მათი ასეთი სიახლოვე სულაც არ იძლევა საფუძველს, რომ პროცესის მონაწილეთა საპროცესო უფლებები და გარანტიები გავაიგივოთ. საპროცესო უფლებები დანახული უნდა იქნეს, როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის უფლებამოსილება მოსთხოვოს შესაბამის ორგანოებს ან სხვა პირებს გარკვეული მოქმედების შესრულება ან მისი შესრულებისაგან თავის შეკავება, ხოლო საპროცესო გარანტიები კი ის საშუალებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის საპროცესო უფლებების რეალური განხორციელება, მათი დაცვა. მსჯელობა ნათელი რომ იყოს მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლში გადმოცემულია ბრალდებულის უფლებები. რომელთა მეშვეობითაც მას შეუძლია დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისაგან. ეს უფლებებია: იცოდეს რომელი დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული, იყოლიოს დამცველი, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული და სხვა. რა საპროცესო გარანტიებს იძლევა კანონმდებელი ბრალდებულის აღნიშნული უფლებების რეალურად განხორციელებისათვის. მათი დაცვისათვის? ასეთი საპროცესო გარანტიების რიგში შეიძლება დავასახელოთ უფლებამოსილი პირის (გამომძიებელი, დამკავებელი მოხლე) მოვალეობა-დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება-ბრალდებულად ცნობისთანავე დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს აცნობონ მისთვის გასაგებ ენაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ ეჭვი. ბრალდებულს გადასცენ დაკავების ოქმის ან, თუ დაკა-

ვებული არ არის ბრალდებულად ცნობის დადგენილების ასლი. ასევე, ბრალდებულს განემარტოს, თუკი იგი აირჩევს დუმილის უფლებას მის რეალიზებას ამყარებს კანონმდებლის ნება, რომ დუმილის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. ბრალდებულმა უნდა იცოდეს, რომ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლებით სარგებლობა გარანტირებულია იმით, რომ პასუხის გაცემაზე უარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის საწინააღმდეგოდ. ბრალდებულის მხრიდან დაცვის უფლების რეალურად განხორციელების გარანტიაა, მისი შესაძლებლობა თავი დაიცვას დამოუკიდებლად ან არჩეული დამცველის მეშვეობით, რომლის შეცვლის უფლებაც აქვს ნებისმიერ დროს, ხოლო თუ ის უქონელია, საკუთარი ინტერესები დაიცვას სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული დამცველის მიერ. ბრალდებულის დაცვის უფლების რეალიზებას განამტკიცებს კანონმდებლის ნება, რიგ შემთხვევებში სავალდებულო წესით მოხდეს ბრალდებულის ინტერესების დაცვა. ბრალდებულის დაცვის უფლებას რეალურს, გარანტირებულს ხდის კანონმდებლის მოთხოვნაც-გონივრული დრო და საშუალება მიეცეს ბრალდებულსა და მის დამცველს დაცვის მომზადებისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, დაზარალებულს როგორც პროცესის მონაწილეს, საკუთარი ინტრესების დასაცავად ასევე ანიჭებს რიგ უფლებებს: გამომძიებელთან ან პროკურორთან წარადგინოს მტკიცებულებები, შუამდგომლობით მიმართოს პროკურორს მტკიცებულებათა გამოთხოვის, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, გარემოებათა შემოწმებისა და საქმესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლის თაობაზე და ა.შ. დაზარალებულმა, რომ შეძლოს საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებების რეალურად განხორციელება,

გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო მოვალენი არიან, პირის დაზარალებულად ცნობისთანავე მას განუმარტონ უფლებები და ასევე, დაზარალებულს წინასწარ შეატყობინონ საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო. დაზარალებულმა საკუთარ უფლებებში გარკვევა და მათი დაცვა, რომ განახორციელოს ხარისხიანად, კანონმდებელი მას წარმომადგენლის ყოლის უფლებასაც აძლევს.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების (მხედველობაში გვყავს, როგორც ბრალდებული, დაზარალებული, ასევე მოწმეც და პროცესის სხვა მონაწილეებიც) უფლებების რეალურად განხორციელებას ემსახურება ისეთი საპროცესო ინსტიტუტები, როგორიცაა: საჩივარი, შუამდგომლობა, საპროცესო ფორმა, თვით სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მოვალეობა, აღნიშნული ინსტიტუტები თავისი შინაარსობრივი დატვირთვით, ხომ პროცესის მონაწილეების უფლებების ცხოვრებაში გატარების საშუალებებია და საბოლოო ჯამში საპროცესო გარანტიებთან ერთად სისხლის სამართლის პროცესის მიზნის-სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიღწევას ემსახურებიან.

ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ: **საპროცესო გარანტიები არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი საშუალებები, რომლებითაც უზრუნველყოფილია სამართლიანი მართლმსაჯულებისა და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის განხორციელება.**

§5. საპროცესო ფუნქციის არსი და სახეები

სისხლის სამართლის პროცესის მიზანი – სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ იქნეს ჭეშმარიტება, დადგენილ იქნეს დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობა და იგი სამართლიანად დაისაჯოს, დაცულ იქნეს არაბრალეული ადამიანი უსაფუძვლო ბრალდებისაგან და განხორციელდეს მოქალაქეებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების მოხდენა, მიღწეულ რომ იქნეს, საჭიროა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულმა თანამდებობის პირებმა, დაიწყონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება. კერძოდ, ჩაატარონ მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რათა მოიპოვონ მტკიცებულებები, რომ დარწმუნდნენ სახეზე არსებული იურიდიული ფაქტი ნამდვილად შედეგია სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა, და თუკი ირწმუნეს ყოველივე აღნიშნული, დაადგინონ პირი, ვისაც ბრალდება უნდა წარუდგინონ.

როდესაც დადგინდება პირი, რომელსაც ბრალდება უნდა წარედგინოს, ე.ი. განხორციელდეს მისი მისამართით სისხლის-სამართლებრივი დევნა, თავს იჩენს საპროცესო კანონით მინიჭებული უფლება – პირმა თავი დაიცვას წარდგენილი ბრალდებისაგან, მტკიცებულებათა და სხვადასხვა მონაცემების მოყვანით უარყოს წარდგენილი ბრალდება ან შეიმსუბუქოს პასუხისმგებლობა. როგორც წინასასამართლო გამოძიების, ისე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს დადგენილ უნდა იქნეს არა მხოლოდ და მხოლოდ ის გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ პირის ბრალდებას ან ამძიმებენ მის პასუხისმგებლობას, არამედ ის გარემოებებიც, რომლებიც საუბრობენ ბრალდებულის სასარგებლოდ, ემსახურებიან მის გამართლებას ან პასუხისმგებლობის შემსუბუქებას.

საბოლოო ჯამში ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის

პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობის თუ არაბრალეულობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის საფუძველზე სასამართლომ.

ჩვენს მიერ ზემოთ გადმოცემულ მსჯელობაში, ზოგადად დახასიათებულია სისხლის საპროცესო სამართლის საქმიანობის ძირითადი მიმართულების არსი, რომლითაც ფაქტობრივად გახსნილია სისხლის სამართლის საპროცესო ფუნქციის ბუნება. რაც გვაძლევს შესაძლებლობას ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის პროცესში იკვეთება ოთხი ძირითადი ფუნქცია: 1) გამოძიების; 2) ბრალდების; 3) დაცვის და 4) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქცია[1].

ამჯერად თითოეული მათგანი მოკლედ დავახასიათოთ, უფრო ვრცლად და დეტალურად ისინი გადმოცემული იქნება წიგნის შესაბამის თავებში.

1) **გამოძიების ფუნქცია.** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მიხედვით გამოძიების ფუნქციას ახორციელებენ: საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის

---

1 სისხლის საპროცესო სამართლის ლიტერატურაში საპროცესო ფუნქციის საკითხი არაერთგვაროვნადაა გადაწყვეტილი, ასე მაგალითად, მ.ს. სტროგოვიჩი აღნიშნავდა, რომ „სისხლის სამართლის პროცესში არსებობს სამი ძირითადი ფუნქცია: ა) ბრალდების (სისხლისსამართლებრივი დევნის), ბ) დაცვის და გ) საქმის გადაწყვეტის (Строгович М.С., курс советского уголовного процесса, т.1. 1968. с. 189); ხოლო რ. დ. რახუნოვი კი ანვითარებდა მოსაზრებას ექვსი საპროცესო ფუნქციის არსებობის შესახებ: ა) საქმის გამოძიება, ბ) ბრალდება, გ) დაცვა, დ) სამოქალაქო სარჩელის წარდგენა, ე) სამოქალაქო სარჩელისაგან თავის დაცვა და ვ) საქმის გადაწყვეტა (Рахунов Р.Д., Участники уголовно-процессуальной деятельности по советскому праву, 1961, с. 47-48); ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებდა პ.ს. ელკინდი, იმ განსხვავებით, რომ სამოქალაქო სარჩელის წარდგენას და მისგან თავის დაცვას მიიჩნევდა არაძირითად ფუნქციებად (Элькинд П.С. Сущность советского уголовно-процессуального право, изд-во ЛГУ, 1963. с. 59-66); „სისხლის სამართლის პროცესის“ ქართულ სახელმძღვანელოში, რომელიც გამოცემულია 2002 წელს, საპროცესო ფუნქციის ოთხ სახეზეა (ა)გამოძიების (ბრალდების), ბ) დაცვის, გ) საქმის განხილვისა და გადაწყვეტის, დ) ზედამხედველობის) საუბარი, გვ. 10.

სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები. ისინი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან სისხლის სამართლის საქმეზე ჩაატარონ ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება. გამოავლინონ დანაშაულის ჩადენის ყველა გარემოება; მიიღონ ზომები დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად. საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით მოიპოვონ მტკიცებულებები, რითაც შეძლებენ დანაშაულის ჩამდენი ყველა პირის დადგენას. გამომძიებელი ერთნაირად დაინტერესებული უნდა იყოს პირის მიმართ შეკრიბოს, როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები, დაადგინოს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. გამომძიებელმა თავისი ობიექტური, მიუკერძოებელი, საქმისადმი პროფესიული მიდგომით, მაქსიმალურად თანაბარი პირობები უნდა შეუქმნას ბრალდებისა და დაცვის მხარეს სასამართლოში პაექრობისათვის. გამომძიებელს უნდა ახსოვდეს, მისი საქმიანობა წინ უძღვის რა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვას, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. თუ წინასასამართლო გამოძიება ჩატარებულია სწორად და სრულყოფილად, მტკიცებულებებიც აკმაყოფილებს საპროცესო კანონის მოთხოვნებს, მაშინ სასამართლოც შეძლებს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის გამოტანას. ხოლო თუ სისხლის სამართლის საქმე გამოძიებულია ცუდად, ცალმხრივად, არასრულყოფილად, მაშინ სასამართლოს გაუძნელდება არათუ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, არამედ საერთოდ სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

ვეხებით რა გამოძიების ფუნქციას, უნდა გვახსოვდეს, რომ წინასასამართლო გამოძიების სტადიაზე არ წყდება და არც შეიძლება წყდებოდეს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობის საკითხი. ბრალეულად ბრალდებული (განსასჯელი) შეიძლება ცნოს მხოლოდ სასამართლომ და არავითარ შემთხვევაში არც გამომძიებელმა და არც პროკურორმა.

ე.ი. გამოძიების ფუნქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამომძიებელმა სისხლის სამართლის საქმეზე, ობიექტური, მიუკერძოებელი მიდგომით ჩაატაროს სრული მოცულობით საგამოძიებო მოქმედებები, რათა ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებებით დაადგინოს, როგორც დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტობრივი გარემოებანი, ისე ამ ქმედებათა ჩამდენი პირიც. რომ შექმნას პირობები ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის სასამართლოში საპაექროდ.

2) **ბრალდების ფუნქცია.** მას შემდეგ, რაც კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით გამომძიებელი ქვემდებარეობის მიხედვით ჩაატარებს სრული მოცულობით საგამოძიებო მოქმედებებს და მოიპოვებს მტკიცებულებებს, რომლებიც მისი ვარაუდით საკმარისია პირისათვის ბრალდების წარსადგენად, სისხლის სამართლის საქმეს გადასცემს საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელ პროკურორს, პროკურორი შეისწავლის, ამოწმებს, აფასებს: ა) სისხლის სამართლის საქმეში არსებულ თითოეულ მტკიცებულებას, საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვითაა თუ არა ისინი მოპოვებული? მტკიცებულებებით მართლაც დგინდება ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი? საქმეში არსებული მტკიცებულებებით მართლაც დგინდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი? საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და შეიძლება მას ბრალდება წარედგინოს? არის ყველა ის გარემოება დადგენილი, რომლებიც გავლენას ახდენს პირის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახა-

სიათებს მის პიროვნებას? დადგენილია თუ არა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა? ამ და სხვა რიგ საკითხებს, რომ გადაწყვეტს პროკურორი, მას გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე ან გამომძიებელს აძლევს თანხმობას ასეთი დადგენილების გამოტანის თაობაზე (საქართველოს სსსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილი). ბრალდების წარდგენასაც ანხორციელებს პროკურორი ან გამომძიებელი. გამომძიებელი პირისათვის ბრალდების წარდგენის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს. კანონმდებლის ეს პოზიცია არასწორად მიგვაჩნია[1], რამდენადაც თუ გამომძიებელს, პროკურორის თანხმობით მიეცა შესაძლებლობა გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ასევე ბრალდებულს წარუდგინოს ბრალდება, მას ეს უფლება ტენდენციურს, არაობიექტურს გახდის. მისი ინტერესი მიმართული იქნება იქითკენ, რომ მოიპოვოს და შეკრიბოს მხოლოდ ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მისთვის მიუღებელი გახდება გაწიოს გარკვეული შრომა გამამართლებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების დასადგენად, რაც გამოძიებას ცალმხრივს და არასრულყოფილს გახდის. დაამკვიდრებს მახინჯ საგამოძიებო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც პროკურორი ყოველთვის შეეცდება არა მხოლოდ დაეთანხმოს გამომძიებელს პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემაზე და ბრალდების წარდგენაზე, არამედ დაავალოს კიდევ საბრალდებო დასკვნის შედგენაც, მოტივად ის გამოიყენოს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებს გამომძიებელი უფრო იცნობს, თვითონ კი, როგორც პროკურორი მხოლოდ ხელს მოაწერს საბრალდებო დასკვნას.

1 რ. გოგშელიძე, როგორი უნდა იყოს გამოძიების ხვალინდელი დღე? საიუბილეო კრებული, მიძღვ., თსუ იურ. ფაკ. 80 წლის., „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", 2003 წ. გვ. 442-449: რ. გოგშელიძე, პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჟ., „სამართალი", 2002 წ. №9-10; გვ. 71-75.

ამით კი დაიკარგება პროკურორი, როგორც პროფესიონალი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას და მისი, როგორც ბრალდების მხარის პასუხისმგებლობა. ეს პასუხისმგებლობა გადანაწილებულ იქნება პროკურორსა და გამომძიებელს შორის (მაშინ, როდესაც გამომძიებელი არ არის მხარე). ხოლო გამომძიებელი, როგორც გამოძიების ფანქციის განმახორციელებელი შესუსტდება, ხარვეზიანი გახდება და დაკარგავს ფაქტის გამოძიებასთან მიმართებაში მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის თვისებას (გარდა ამისა, შეიკვეცება გამომძიებლის პროფესიონალად გაზრდის სურვილი. ის პროკურორის მითითებებს დაელოდება).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამომძიებლის ფუნქციად დარჩეს ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება, ხოლო პროკურორის ფუნქციად კი ბრალდების ფუნქცია, სადაც მოაზრებული იქნება დადგენილების გამოტანა პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის, ბრალდების წარდგენისა და საბრალდებო დასკვნის შედგენის შესახებ. ასევე, კანონმდებელმა პროკურორის მოვალეობად უნდა აქციოს ბრალდებულის დაკითხვა და არა შესაძლებლობად (უფლებად), როგორც ეს გადაწყვეტილია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილით. ბრალდებულის დაკითხვა პროკურორს დაეხმარება არა მხოლოდ შეამოწმოს, შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, არამედ ჩასწვდეს თვითონ ბრალდებულის პიროვნებას და ამით შეიქმნას შინაგანი რწმენა, გაიმყაროს საკუთარი პოზიცია, როგორც მხარემ. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ჩამოყალიბდება კონტროლის დიდი მექანიზმი ადამიანის უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის სფეროში.

მაშასადამე, უნდა ითქვას, რომ ბრალდებითი ფუნქცია, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა კომპეტენტური თანამდებობის პირის, ორგანოს ბრალდებითი საქმიანობაა, მიმართული იმისკენ, რომ მხილებულ იქნეს დანაშაულის ჩამდენი პირი. მეორეს მხრივ, ბრალდებითი ფუნქცია

გულისხმობს სახელმწიფო ბრალმდებლის საქმიანობას სასამართლოში როგორც მხარისა, რომელიც ბრალდების გამამყარებელი მტკიცებულებების მოყვანითა და მათი გამოკვლევით ცდილობს დაამტკიცოს განსასჯელის ბრალეულობა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. მესამეს მხრივ, უნდა ითქვას, რომ რაკი ბრალდებითი საქმიანობა, მიმართულია კონკრეტული პირის დანაშაულის ჩადენაში მხილებისაკენ და მისი მსჯავრდებისაკენ, იგი უთანაბრდება (თუმცაღა სისხლისსამართლებრივი დევნა უფრო ფართო შინაარსის მატარებელია, ვიდრე ბრალდების) სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტსაც. აქედან გამომდინარე კი, რაკი სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს სსსკ-ის 55-ე მუხლის მიხედვით პროკურატურა ახორციელებს, **ბრალდებითი ფუნქციის გამტარებელიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ორგანოს თანამდებობის პირი-პროკურორი უნდა იყოს.**

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც საპროცესო საქმიანობა მიმართულია კონკრეტული პირის – ბრალდებულის მიმართ[1], რომელსაც ბრალდება დანაშაულის ჩადენა. საპროცესო ლიტერატურაში იყო სხვა მოსაზრებაც. ზოგიერთი სწავლული იურისტი მიიჩნევდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება არა კონკრეტული პირის მიმართ, არამედ თვითონ ფაქტის მიმართო[2], რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ. თვითონ სისხლისსამართლებრივი დევნის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა გვეუბნება, რომ დევნა ხორციელდება პირის მიმართ და არა ფაქტისა. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება იწყება.

---

1 შ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 1999 წ. გვ. 24. М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, т. 1. М., 1968. с. 192-196.

2 М. А. Чельцов. Советский уголовный процесс, Госюриздат, 1951. с. 88-89. Уголовно-процессуальное право Российской федерации. отв. ред. И. Л. Петрухин, М., 2006. с. 94.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ბრალდებითი ფუნქცია, სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება რა კონკრეტული პირის მიმართ, იწყება წინასასამართლო გამოძიების სტადიაზე – დადგენილების გამოტანით პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე (მაგრამ, რამდენადაც დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს ეჭვმიტანილის ინსტიტუტს, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება ითქვას იწყება მაშინაც, როდესაც პირის დაკავება ხდება ეჭვმიტანილის სახით ან დადგენილება გამოიტანება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ და გრძელდება მანამდე ვიდრე არ ამოიწურება პირის ეჭვმიტანილად დაკავების ვადა და პირი არ გათავისუფლდება ან ვიდრე დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის თაობაზე არ გაუქმდება ბრალდების წარუდგენლობის გამო) და გრძელდება მანამდე, ვიდრე სასამართლო არ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს და ეს განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში. ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ მთავრდება თუ სასამართლო გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს ან კიდევ შეწყდება სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება.

ვეხებით რა სისხლისსამართლებრივ დევნას, გვერდს ვერ ავუქცევთ კანონმდებლის ხედვას ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით და ვერც მის სახეებს. რომელსაც ასევე გვაწოდებს კანონმდებელი საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (სსსკ-ის 23-ე მუხლი) და უყურადღებოდაც არ ტოვებენ საპროცესო ლიტერატურაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 43[1]-ე პუნქტის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნა – ეს არის უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონის-

ძიების გამოყენების უზრუნველყოფა. აღნიშნული კოდექსის 23-ე მუხლი იძლევა სისხლისსამართლებრივი დევნის სახეების ჩამონათვალსაც, ესენია: საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო[1]. დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

ა) **საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა.** საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ყველა კატეგორიის დანაშაულზე, მნიშვნელობა არა აქვს ეს იქნება განსაკუთრებით მძიმე, მძიმე თუ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას დაიცვას დანაშაულით დაზარალებული ადამიანები ან ორგანიზაციები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სუბიექტები არიან: პროკურორი და გამომძიებელი. ისინი მიიღებენ თუ არა ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის შესახებ, ყველა შემთხვევაში ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება. მნიშვნელობა არა აქვს იქნება თუ არა შეტყობინება დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის თუ სხვა პირის მხრიდან. თუ გამომძიებელი დამოუკიდებლად დაიწყებს გამოძიებას, დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს და უნდა მიიღოს მისგან თანხმობა. მას შემდეგ, რაც გამომძიებელი მოიპოვებს საკმარის მტკიცებულებებს და მიიჩნევს, რომ საფუძველი აქვს გამოიტანოს დადგენილება კონკრეტული პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად, ვალდებულია ასეთი დადგენილების გამოსატანად თანხმობა მიიღოს პროკურორისაგან.

რაც შეეხება პროკურორს, პროკურორი წინასწარი გამოძიების სტადიაზე მეტად აქტიური და ფართო უფლებამოსილების მატარე-

1 ზოგიერთ ლიტერატურაში ასახელებენ საჯარო-კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის სახესაც, რომელიც იწყება, როგორც საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ მთავრდება მხარეთა შერიგებით, იხ. Уголовно-процессуальное право Российской Федерации. учебник 2-е изд., отв ред., И. Л. Петрухин, 2006. с. 94-108.

ბელი სუბიექტია (საქართველოს სსსკ-ის 56-ე მუხლი). როგორც კანონმდებლობიდან ჩანს, იგი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას და თავისი სამართლებრივი მდგომარეობით უტოლდება კომუნისტური პერიოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით უფლებამოსილ პროკურორს, რომელიც წინასწარი გამოძიების სტადიაზე საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებდა. ვფიქრობთ, ასეთი ძველი სტანდარტით პროკურორის უფლებამოსილების შენარჩუნება იწვევს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ურთიერთში აღრევას და წინააღმდეგობაში მოსვლას შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესთან (ეს პრობლემა საინტერესოა და სხვა კუთხით კვლევის საგანი). პროკურორი დამოუკიდებლად იწყებს გამოძიებას, ასევე დამოუკიდებლად გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ; უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი სახის საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში, თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით და ა.შ. წინასწარი გამოძიება დაასრულოს საბრალდებო დასკვნის შედგენით და ასლი გადასცეს ბრალდებულს.

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს წინასწარი გამოძიება წარიმართება ობიექტურად, ყოველმხრივ და სრული მოცულობით. საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების შეკრების მიზნით ტარდება ყველა საჭირო და აუცილებელი მტკიცებულებები.

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას მისი მიმდინარეობა, რომ უსაფუძვლოდ არ გაჭიანურდეს და ამით არ შეილახოს მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათი დაცვის მიზნით კანონმდებელმა შექმნა მექანიზმები. ერთ-ერთ ასეთ მექანიზმს წარმოადგენს დაზარალებულის, მისი

წარმომადგენლის, სამოქალაქო მოსარჩელეს, აგრეთვე იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც ხდება მტკიცებულებათა შეკრება საჩივრის შეტანა ზემდგომ პროკურორთან ან გამომძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, იმ მოტივით, რომ საქმეში არის საკმარისი მტკიცებულებები სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, მაგრამ, რატომღაც გამომძიებელს პროკურორის თანხმობით ან პროკურორს არ გამოუქვთ დადგენილება პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და ითხოვენ დევნის დაწყებას.

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი ვალდებულია შეცვალოს ბრალდება ან უარი თქვას ბრალდებაზე ნაწილობრივ ან მთლიანად თუ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებენ ბრალდებას. პროკურორის ასეთი გადაწყვეტილება სავალდებულოა გამომძიებლისათვის. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორს ბრალდების მოცულობის, ქმედების კვალიფიკაციის სფეროში. ასეთ დროს გამომძიებელს უფლება აქვს თავისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით და სისხლის სამართლის საქმე წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, რომელიც აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს ან გამოძიებას ავალებს სხვა გამომძიებელს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა. თუ პროკურორი სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას უარს იტყვის ბრალდებაზე ან შეცვლის ბრალდებას განსასჯელის სასარგებლოდ, აუცილებელია ზემდგომი პროკურორის თანხმობა. მაგრამ, ამასთან დაკავშირებით კანონმდებელი არ აზუსტებს, ზემდგომი პროკურორის ეს თანხმობა წერილობითი ფორმის იყოს თუ ზეპირი. კანონმდებლის ნებიდან გამომდინარე ორივე ფორმა მისაღები უნდა იყოს, მაგრამ ყოველგვარი მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ზემდგომი პროკურორის თანხმობა უნდა იყოს წერილობითი სახით. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სასამართლოში ბრალ-

დების შეცვლისას პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს ბრალდების ახალი წერილობითი ფორმულირება. ოუმცაღა ისიც საკამათოა, კანონმდებელი რატომ ავალდებულებს პროკურორს ბრალდების შეცვლის შემთხვევაში წარუდგინოს სასამართლოს ახალი წერილობითი ფორმულირება? სასამართლო ხომ საქმეს წყვეტს კანონის უზენაესობისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, თუკი, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, როგორც კანონმდებელი შენიშნავს სსსკ-ის 446-ე მუხლის მესამე ნაწილში, პროკურორს ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ ბრალდება, რომელსაც იგი მხარს უჭერდა არ დასტურდება ვალდებულია თქვას უარი ბრალდებაზე (ეს იმპერატიული მოთხოვნაა), მაშინ რატომღა უნდა იყოს პროკურორი ვალდებული სასამართლოს წარუდგინოს ბრალდების ახალი წერილობითი ფორმულირება. განა ასეთი მნიშვნელოვანი უნდა იყოს სასამართლოსათვის ბრალდების მხარის პოზიცია? მაშინ რა ვუყოთ დაცვის მხარის პოზიციას?

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მერვე ნაწილის მიხედვით თუ პროკურორი სასამართლო'ში უარს იტყვის ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებულია შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი (აღნიშნული მუხლის ნაწილის სრულყოფილებისათვის კარგი იქნებოდა კანონმდებელს ყურადღება მიექცია სსსკ-ის 446-ე მუხლისათვის).

ბ) **სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა.** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთ სახედ აცხადებს სუბსიდიურ სისხლისსამართლებრივ დევნას. სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოში (აქ იგულისხმება, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები) სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. რატომ

სასამართლოში და არა წინასწარი გამოძიების სტადიაზე? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება თვითონ სიტყვა „სუბსიდიურის“ მნიშვნელობა და კანონმდებლის ნება. სიტყვა „სუბსიდიური“ (subsidiarius) ლათინური წარმოშობისაა და ქართულად – დამხმარეს, დამატებითს ნიშნავს. სიტყვის ეს მნიშვნელობა კანონმდებელმა კარგად მიუსადაგა დაზარალებულის, მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებას და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლში განაცხადა, რომ დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს უფლება აქვთ მხარი დაუჭირონ პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდებას. ასეთი მხარდაჭერა კი შეიძლება გამოვლინდეს, როგორც საჯარო ისე კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს. დაზარალებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი პროკურორთან, სახელმწიფო ბრალმდებელთან ერთად ამტკიცებს რა განსასჯელის ბრალეულობას, ითხოვს მის დასჯას, მოქმედებს როგორც საჯარო ინტერესების დამცველი. მეორეს მხრივ, მისი მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეში ემსახურება საკუთარი ინტერესების, უფლებების დაცვას, რომელიც დაირღვა დანაშაულის ჩადენის შედეგად. სწორედ ამ დროს, როდესაც დაზარალებული (მისი წარმომადგენელი) პროკურორთან ერთად განახორციელებს კანონით მინიჭებულ უფლებას – იცავს საკუთარ ინტერესებს, ამტკიცებს კონკრეტული პირის ბრალდებას, აბათილებს განსასჯელისა და მისი დამცველის პოზიციებს, სისხლის სამართლის პროცესში იგი უკვე მოქმედებს, როგორც სუბსიდიური ბრალმდებელი.

რამდენადაც სახელმწიფო ბრალდება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოში, სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა ვერ გამოვლინდება წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა არა მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ დაზარალებულმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა სასამართლოში მხარი დაუჭიროს პროკურო-

რის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდებას, არამედ ამ სახეობის დევნის ბუნებისათვის ისაა კიდევ დამახასიათებელი, რომ თუ პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე ან შეცვლის ბრალდებას, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლოში მხარი დაუჭიროს წინანდელ ბრალდებას. მაგრამ არა აქვთ უფლება, გასცდნენ პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდების ფარგლებს. (ე.ი. დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, განსასჯელის მიმართ წამოწიოს ახალი ბრალდება, მას რჩება უფლება შეცვალოს ბრალდება განსასჯელის სასარგებლოდ). ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდება, სასამართლო განაგრძობს სისხლის სამართლის საქმის განხილვას, სადაც უკვე ბრალმდებლის რანგში გვევლინება დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი. პროკურორს კი უფლება აქვს აღარ მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში, რამდენადაც მან უკვე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია.[1]

სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა გამოყენებადი რომ იყოს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, მოსამართლემ (სასამართლომ) სასამართლო სხდომის მოსამზადებელ სტადიაზე დაზარალებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს უფლებებისა და მოვალეობების განმარტების მიცემის დროს, სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

---

1 მას შემდეგ, რაც პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე ან შეცვლის ბრალდებას, დაზარალებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება მიეცეს დაუჭიროს მხარი წინანდელ ბრალდებას – ჰყავს მოწინააღმდეგეები. არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ რამდენადაც დაზარალებულს არა აქვს იურიდიული განათლება, მტკიცების ტვირთი განსასჯელის ბრალეულობის შესახებ გადავა სასამართლოზე; რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის გაგრძელების დროს, დაზარალებული იხელმძღვანელებს არა იურიდიული ნორმებით, არამედ შურისძიების გრძნობით, განაწყენების გრძნობით.

გ) **კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა.** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი სახეა კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის არსიც კანონმდებელს გახსნილი აქვს სსსკ-ის 26-ე მუხლში. აღნიშნული დევნის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ შეზავებულია ერთმანეთში საჯარო და კერძო ინტერესები. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის კერძო ინტერესი იკვეთება იმაში, რომ იგი იწყება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და არ წყდება ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგებით. თუმცაღა გამონაკლისი სახით, გარკვეულ შემთხვევაში კანონმდებელი უშვებს კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგებასაც (რაც, ვფიქრობთ კარგად წარმოაჩენს აღნიშნული დევნის კერძო ბუნებას). ეს ის შემთხვევაა, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს. მაგალითად, შვილად აყვანის საიდუმლოება გაამჟღავნა ოჯახის წევრმა (ვთქვათ ბებიამ), დაზარალებულმა ემოციებზე დაყრდნობით, შესაბამის ორგანოში შეიტანა საჩივარი, დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ მისმა გაგრძელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს. კერძოდ კი, შეიქმნას კონფლიქტური ვითარება, დაპირისპირება ოჯახის წევრებს შორის და საქმე მივიდეს ცოლ-ქმრის განქორწინებამდეც, უფრო მეტად დაზიანდეს შვილად აყვანილის ინტერესები. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება ზიანის მიმყენებელი იქნება, როგორც დაზარალებულისათვის, ისე ბრალდებულისათვის, ამიტომ იგი უნდა შეწყდეს. ან ავიღოთ ასეთი მარტივი მაგალითი: გაუპატიურების ფაქტზე (მხედველობაშია, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით) დაზარა-

ლებულის საჩივრით დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ცნობილი გახდა, რომ დაზარალებულმა და ბრალდებულმა შექმნეს ოჯახი, დაზარალებული ფეხმძიმედაა, ე.ი. შერიგდნენ. ასეთ შემთხვევაში, განა ლოგიკური იქნება და სამართლიანი გაგრძელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, რომელიც ზიანის მიმყენებელი იქნება როგორც დაზარალებულისათვის, ისე ბრალდებულისათვის? რა თქმა უნდა, არა, და იგი უნდა შეწყდეს.

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ხასიათი ვლინდება იმაში, რომ პროკურორს უფლება აქვს გარკვეულ შემთხვევაში დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულობებიდან, რომელიმეს სახეზე არსებობისას, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი. კერძოდ კი მაშინ, როცა საქმეს აქვს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა და იმავდროულად დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ოღონდ იმ პირობით, რომ ქმედუნარიან დაზარალებულს პროკურორისათვის აქვს მიცემული წერილობითი თანხმობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე. ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ თუ დაზარალებული ქმედუუნარო იქნება, ასეთ შემთხვევაში პროკურორმა საკუთარი ინიციატივით უნდა განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ყურადღება მისაქცევია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამი სიტყვები: „საქმის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა“. ვინ უნდა შეაფასოს „საქმე არის თუ არა განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის? გამოთქმულია მოსაზრება, რომ „კონკრეტულ“ შემთხვევაში ეს შეფასება მიენდოს პროცე-

სის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს".[1] მიგვაჩნია, ასეთ ზოგად, ლოზუნგის მაგვარ განაცხადს: „საქმის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა", ბუნდოვანების, ორჭოფობის, მარჩიელობის მეტი არაფერი შეაქვს ნორმაში, ამიტომ ის, საერთოდ ამოღებული უნდა იყოს ნორმიდან. კანონმდებელმა თავი უნდა აარიდოს ასეთი ზოგადი ფრაზების ნორმაში გამოყენებას.

კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას მიკუთვნებული დანაშაულები გვხვდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, როგორც ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში, ასევე ეკონომიკური დანაშაულის კარში.

ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში, კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას დაქვემდებარებულ დანაშაულთა რიცხვში მოიაზრება: ა) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულები. ესენია: გაუპატიურება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილი); სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილი); სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი). ჩამოთვლილ დანაშაულთა სფეროში დაზარალებულის საჩივრის აუცილებლობა განპირობებულია ხელყოფის ობიექტის თავისებურებით. საქმე იმაშია, რომ პიროვნების სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა მეტად ინტიმური სფეროა და მასში სახელმწიფო, რომ ჩაერიოს დაზარალებულის ნება უნდა იყოს გამოვლენილი. დაზარალებულის ასეთი ნების გამოვლენად ითვლება მომხდარი ფაქტის შესახებ, მისი საჩივრით მიმართვა კომპეტენტური თანამდებობის პირისადმი, სახელმწიფო ორგანოსადმი. საჩივრით მიმართვა თანხმობასაც ნიშნავს

1 ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ., 2007 წ., გვ. 90.

და იმასაც, რომ დაზარალებულმა აიტანოს ყველა ის უარყოფითი განცდა (მხედველობაში გვაქვს ჩვენების მიცემა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, შეხვედრა მისთვის არასასურველ პიროვნებასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და ა.შ.), რაც მოჰყვება საზელმწიფოს მხრიდან მის ინტიმურ სფეროში ჩარევას.

ბ) ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულები. ესენია: სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლი); პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი); ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლი).[1] რამდენადაც ჩამოთვლილი დანაშაულები ხელყოფენ კონკრეტული ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უშუალოდ იმ პიროვნებამ, ვისაც ასეთი ზიანი მიადგა. თუ პიროვნებამ საჩივრით არ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, მათ გაუჭირდებათ იმის გადაწყვეტა თუ ვისი უფლებები, რომელი უფლებები თუ თავისუფლებები დაირღვა, ვის მიერ დაირღვა.

გ) ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული. მაგალითად: შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდ-

---

1 კანონმდებელს შეეძლო გაეფართოებინა ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა წრე, რომლებზედაც გავრცელდებოდა კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა (მაგალითად, ისეთი დანაშაულებით, როგორიცაა: ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა (სსკ-ის 152-ე მუხლი); პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა (სსკ-ის 159-ე მუხლი); ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა (სსკ-ის 160-ე მუხლი) და ა.შ.

ექსის 175-ე მუხლი). აღნიშნული დანაშაული, რამდენადაც ხელყოფს მშობლისა და ბავშვის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სავალდებულოა იყოს დაზარალებულის საჩივარი, რათა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გაუადვილდეთ დაზარალებულის ინტერესების დაცვა.

რაც შეეხება ეკონომიკური დანაშაულის კარში მოქცეულ დანაშაულებს, კანონმდებელმა იქიდან კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას მიაკუთვნა: საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა (გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით) და სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა (სისხლის სამართლის კოდექსის 189[1]-ე მუხლი). თუ ვიხელმძღვანელებთ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ორივე დანაშაულის არსებობის შემთხვევაში ხელყოფილია კონკრეტული პიროვნების საავტორო-შემოქმედებითი უფლება. დაცული, რომ იქნეს პირის საავტორო უფლებები და კანონიერი ინტერესები, თვითონ პიროვნებას უნდა მიაჩნდეს, რომ დაირღვა მისი საავტორო – შემოქმედებითი უფლებები, და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში საჩივრის შეტანით უნდა ითხოვდეს უფლებებში აღდგენას, კანონიერი ინტერესების დაცვას. ამიტომ კანონმდებლის ნების გამოხატვა, ჩამოთვლილი დანაშაულები იყოს კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სფერო ლოგიკურია.

დ) **კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა.** კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მისი დაწყებაც და შეწყვეტაც დამოკიდებულია მხოლოდ დაზარალებულის ნების გამოვლენაზე, ე.ი. წინა პლანზეა წამოწეული კერძო ინტერესები. სწორედ დაზარალებული გვევლინება სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ სუბიექტად, კერძო ბრალმდებლად.

კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას მთელი რიგი სპეციფი-

კური ნიშნები ახასიათებს: ა) იგი იწყება მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე; ბ) დასაშვებია დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგება; გ) შერიგება უნდა მოხდეს მოსამართლის (სასამართლოს, აქ იგულისხმება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაც) სათათბირო ოთახში გასვლამდე; დ) მხარეები შერიგების შემთხვევაში უნდა მორიგდნენ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაზეც, თუ ისინი ამის თაობაზე ვერ მორიგდებიან, მაშინ მათ სასამართლო გადაუნაწილებს ხარჯებს; ე) დაზარალებულის ბრალდებულთან (განსასჯელთან) შერიგება არ დაიშვება თუ კერძო ბრალდების საქმეში ჩაება პროკურორი; ვ) პროკურორი უფლებამოსილია ჩაებას კერძო ბრალდების საქმეში თუ: 1) ამას წერილობით ითხოვენ მხარეები; 2) ამას წერილობით ითხოვს მხოლოდ დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი; 3) საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს; 4) ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები; 5) ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები; 6) ამას მოითხოვს მოქალაქეების უფლებების დაცვა; ზ) კერძო ბრალდების საქმეზე მხარეებს უფლება აქვთ ერთმანეთს წარუდგინონ ბრალდებები და თუკი საფუძველი იქნება მოსამართლე თავისი დადგენილებით დაზარალებულს ცნობს ბრალდებულადაც, ხოლო ბრალდებულს – დაზარალებულადაც.

კანონმდებელმა კერძო სისხლისსამართლებრივ დევნას დაუქვემდებარა ორი სახის დანაშაული: ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლი) და ცემა (სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი).

კერძო ბრალდების სისხლის სამართალწარმოება ბევრ რამეში ემსგავსება სამოქალაქო სამართალწარმოებას. თუ საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს დავის ერთ-ერთი მხარე ყოველთვის სახელმწიფოა, და იცავს საჯარო ინტერესებს, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს ორივე მხარე

თანასწორობის საწყისზე იცავს მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესებს. კერძო ბრალმდებელი არ ფლობს სახელმწიფო ადმინისტრირებას, არა აქვს უფლება ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები, მიმართოს სისხლის საპროცესო სამართლებრივ იძულებას. მართალია, პროკურორის კერძო ბრალდების საქმეში ჩაბმით ირღვევა კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის არსი (ამასთან დაკავშირებით სრულყოფას საჭიროებენ და შინაარსობრივ შესაბამისობასაც (მხედველობაში გვაქვს კერძო ბრალდების საქმეში პროკურორის ჩაბმის საფუძვლები) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე და 634-ე მუხლები), მაგრამ პრიორიტეტად მაინც კერძო ინტერესი უნდა დარჩეს.

კერძო ბრალდების საქმეებზე მიიღოს გადაწყვეტილება, ასეთ უფლებამოსილ სუბიექტად გვევლინება მხოლოდ სასამართლო. დაზარალებულმა საჩივარი წერილობითი ფორმით და ხელმოწერით უნდა შეიტანოს დანაშაულის ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. საჩივარში დაზარალებული უნდა აღწერდეს დანაშაულის ფაქტს, მოჰყავდეს ცნობები დანაშაულის ჩამდენი პირისა და დანაშაულის შესახებ, გადმოსცემდეს მტკიცებულებათა ჩამონათვალსა და თხოვნას, რომ მოსამართლემ განიხილოს საქმე. თუ მოსამართლე საქმეს მიიღებს წარმოებაში, ბრალდების მტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულს ანუ კერძო ბრალმდებელს. დაზარალებულს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი, რომელიც სასამართლო პროცესში მონაწილეობას მიიღებს, როგორც მისი კანონიერი წარმომადგენელი. დაზარალებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს (კერძო ბრალდების მხარე), ისევე, როგორც განსასჯელს უფლება აქვთ საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე დასვან შუამდგომლობები მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით. სასამართლომ მხარეებს უნდა შეუქმნას თანასწორი პირობები პაექრობისათვის, მან ობიექტურად და მიუკერძოებლად

უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს, როგორც კერძო ბრალმდებლის, ისე განსასჯელის მიერ აღძრული შუამდგომლობები. სასურველი იქნება, თუ კერძო ბრალდების საქმეთა გადაწყვეტის დროს მოსამართლე (სასამართლო) მოდავე მხარეებს შორის არსებულ დავას მორიგებით დაასრულებს და ამით, შეუნარჩუნებს მათ კეთილ-ადამიანურ განწყობას ურთიერთის მისამართით.

შევეხეთ რა, მოკლედ, სისხლისსამართლებრივი დევნის თითოეულ სახეს, მათი არსიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ გამართლება ექნება თუკი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დამკვიდრდება სისხლისსამართლებრივი დევნის ორი სახე: საჯარო და კერძო. ეს ორი სახე სრულყოფილად ხსნის სისხლისსამართლებრივი დევნის ბუნებას.

3) **დაცვის ფუნქცია.** საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიხედვით ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. არავის არა აქვს იმის უფლება ადამიანს აღუკვეთოს თავისუფლება ან სხვაგვარად შეუზღუდოს პირადი თავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილების ან კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარეშე. მაგრამ, თუ მოხდა აღნიშნული წესების დაცვით პირის დაკავება ან დაპატიმრება, მას უნდა განემარტოს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და მისი უფლებები, მათ შორის უფლება მოითხოვოს დამცველის დახმარება, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს. ე.ი. შეიძლება ითქვას, როგორც კი მოხდება პირის დაკავება ეჭვმიტანილის სახით (ან დადგენილებით იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად) ან პირს წარედგინება ბრალდება, მას უფლება აქვს დაიცვას თავი არსებული ეჭვისაგან ან წარდგენილი ბრალდებისაგან ყველა კანონიერი საშუალებითა და მეთოდით, ან უშუალოდ თვითონ ან მოწვეული დამცველის მეშვეობით. ზემოთ მოცემული განმარტებიდან იმის თქმა გვინდა, რომ კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ავტომატურად წარმოშობს დაცვის მექანიზმს. თუ არ არის კონკრეტული პირის მიმართ

ეჭვი ან ბრალდება, არ არსებობს საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნაც, ხოლო, თუ გაჩნდა საფუძველი ეჭვისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული ან წარედგინა პირს ბრალდება, დაუყოვნებლივ აღმოცენდება დაცვის აუცილებლობაც. დაცვა თანმდევია კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა. დაცვა არის სწორედ ის საპროცესო ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული უფლებამოსილნი არიან რეალიზაცია გაუკეთონ კანონით მინიჭებულ დაცვის უფლებას.

დაცვა, როგორც საპროცესო ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს თვითონ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის (განსასჯელის) აქტიურ მოქმედებას საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ აქტიურობაში უნდა ვიგულისხმოთ კანონმდებლის მიერ მინიჭებული საპროცესო უფლებების ეფექტურად გამოყენება. ასე მაგალითად, დუმილის უფლების შენარჩუნება, რითაც ფაქტობრივად პირი უარყოფს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობას; ან ჩვენებათ ჩვენების მიცემა, რითაც პირი უარყოფს შემხებლობას მომხდარ ფაქტთან მიმართებაში ან მოჰყავს გარემოებები, რომლითაც ცდილობს გააბათილოს მის მიმართ არსებული ეჭვი ან წარდგენილი ბრალდება; მტკიცებულებების წარმოდგენა ეჭვის, ბრალდების გასაქარწყლებლად, ჩვენებათ სამართლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; შუამდგომლობის განცხადება ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად და ა.შ. ეს ყველაფერი ხომ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის (განსასჯელის) უფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურება.

მაღალი სამართლებრივი დონით გამოირჩევა ეჭვმიტანილის, ბრალდებულის (განსასჯელის, მსჯავრდებულის) უფლებების, კანონიერი ინტერესების დასაცავად დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში. დამცველი სისხლის სამართლის

საქმეში შეიძლება ჩაებას შეთანხმებით, დანიშვნით ან სავალდებულო წესით.[1] სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დამცველს აღჭურავს ფართო უფლებამოსილებით. იგი უფლებამოსილია შეკრიბოს დაცვისათვის საჭირო მონაცემები და ისინი მტკიცებულებათა სახით წარუდგინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს; მონაწილეობა მიიღოს ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის მონაწილეობით ან დაცვის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, დაუსვას შეკითხვები დასაკითხს, მოითხოვოს ოქმში იმ მონაცემების შეტანა, რომლებიც უარყოფს ბრალდებას ან ამსუბუქებს ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის (განსასჯელის) პასუხისმგებლობას და სხვა. ე.ი. ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს იმ გარემოებების გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს (განსასჯელს, მსჯავრდებულს), ანდა ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას, და უნდა გაუწიოს მას საჭირო იურიდიული დახმარება.

ამგვარად, დაცვა გულისხმობს თვითონ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის (განსასჯელის, მსჯავრდებულის) და მისი დამცველის ერთობლივ საქმიანობას.

მაშასადამე, **დაცვა სისხლის სამართლის პროცესში — ესაა იმ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ კანონიერი საშუალებისა და ხერხის გამოყენებით გამოვლენილ იქნეს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის (განსასჯელის, მსჯავრდებულის), როგორც გამამართლებელი, ისე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი.**

4) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქცია. საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების მონაპოვარია ის, რომ დღეს, სისხლის სამართლის პროცესი შეჯიბრებითია. გამიჯნულია ურთიერთისა-

---

1 საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლით გათვალისწინებულია დაცვის ერთ-ერთ სახედ „იძულებითი დაცვა“, უფრო სწორი და შინაარსობრივად გამართული იქნება მას ეწოდოს „სავალდებულო დაცვა“.

გან **ბრალდების, დაცვისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქცია**. ბრალდებისა და დაცვის ფუნქციათა ბუნების ყველაზე უფრო სრულყოფილი გამოვლენა გვხვდება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს. სადაც ბრალდებისა და დაცვის მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.

შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული მხარეთა პაექრობა საჯაროა, უშუალო, ზეპირი, ბრალდების მხარე შეკრებილი მტკიცებულებებით საჯაროდ ცდილობს განსასჯელის ბრალეულობის დამტკიცებას, ხოლო დაცვის მხარე (განსასჯელი), ასევე საჯაროდ ცდილობს დაიცვას თავი ბრალდებისაგან.

მოსამართლე (სასამართლო) მხარეებს თანასწორ პირობებს უქმნის მტკიცებულებათა წარმოსადგენად, ქმნის საფუძველს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოკვლევისათვის. ერთნაირი გულმოდგინებით არკვევს განსასჯელის როგორც მამხილებელ, ისე გამამართლებელ, აგრეთვე პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლე (სასამართლო) სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ ემყარება, არამედ უშუალოდ ახდენს პირველწყაროდან მტკიცებულებათა მიღებას, გამოკვლევას და შეფასებას. მტკიცებულებათა ასეთი საფუძვლიანი შესწავლითა და შეფასებით მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა შეინარჩუნოს ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა და გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

ამდენად, **გამოძიების, ბრალდების, დაცვისა და სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფუნქციათა შეხამებამ**

უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, დანაშაულის ჩამდენი პირის მსჯავრდება, არაბრალეული პირის დაცვა დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან.

სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო ფუნქცია ეკუთვნის მხოლოდ სასამართლოს. იგი არის უფლებამოსილი არსებითად განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე და გამოიტანოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს პირველი ინსტანციის წესით. ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატები კი განიხილავენ სააპელაციო საჩივარს, შეტანილს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს საკასაციო საჩივარს, შეტანილს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე. აგრეთვე განიხილავს საჩივრებსა და წარდგინებებს სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

სასამართლო ინსტანციებში სისხლის სამართლის საქმის განხილვა და გადაწყვეტა წარმოებს ერთპიროვნულად ან კოლეგიურად. მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლე დამოუკიდებელია, იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით და შინაგანი რწმენით. არავის არა აქვს უფლება ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე და მიუთითოს, როგორ გადაწყვიტოს განსახილველი საქმე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ: **სასამართლოში**

სისხლის სამართლის საქმის განხილვა და გადაწყვეტა, როგორც საპროცესო ფუნქცია გულისხმობს ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევასა და შეფასებას, და ამის საფუძველზე განსასჯელის ბრალეულობისა და პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

§6. სისხლის სამართლის პროცესის სტადიები

სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა მეტად რთულია და გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. იგი მოქცეულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ჩარჩოებში და მის ფარგლებში მოძრაობს. საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს თუ დავეფუძნებით, სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა, წინსვლა, პირობითად რამდენიმე საფეხურად ანუ სტადიად შეიძლება დავყოთ. ეს საფეხურებია, სტადიებია: წინასწარი გამოძიება; პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა; სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა; საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა; განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო; სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა. თითოეული საფეხურისათვის, სტადიისათვის დამახასიათებელია პროცესის მონაწილეთა გარკვეული წრე, შესაბამისი საპროცესო უფლებებითა და მოვალეობებით; განსაზღვრული საპროცესო მოქმედებები; გადასაწყვეტი ამოცანები; საფეხურის, სტადიის დასრულება შემაჯამებელი საპროცესო დოკუმენტით.

თითოეული სისხლის სამართლის საქმის მოძრაობას აღნიშ-

ნული საფეხურების, სტადიების მიხედვით, გამართლება მოეძებნება. რამდენადაც საბოლოო ჯამში ემსახურება იმას, რომ დაცულ იქნეს თითოეული მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები და არ მოხდეს არაბრალეული პირის მსჯავრდება. სტადიათა ასეთი არსებობა სისხლის სამართლის პროცესში, ქმნის თავისებურ გარანტიას იმისა, რომ არ დაირღვეს პროცესის მონაწილეთა კანონით მინიჭებული უფლებები, თავისუფლებები, კანონიერი ინტერესები და თუკი ასეთი რამ მოხდა რომელიმე სტადიაზე, იგი აუცილებლად გამოვლინდება მის მომდევნო, შემდეგ სტადიაზე და დაექვემდებარება გამოსწორებას. ასე, რომ აღნიშნული სტადიები, ერთმანეთს მხოლოდ მაშინ ჩაენაცვლებიან, როდესაც გადაჭრიან კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მათ წინაშე მდგარ ამოცანებს, ხოლო მომდევნო სტადია მის წინაშე მდგარი ამოცანებით თავის მხრივ მაკონტროლებელი ეტაპიცაა წინამდებარე სტადიისა და საფუძველიც სისხლის სამართლის საქმის წარმოებამ გადაინაცვლოს მომდევნო სტადიაზე. სტადიათა ასეთი თანმიმდევრობა და მათი ურთიერთკავშირი გვაძლევს სისხლის სამართლის პროცესის სისტემას.

დავახასიათოთ მოკლედ (ვრცლად საუბარი იქნება წიგნის შესაბამის თავებში) თითოეული საფეხური, სტადია.

სისხლის სამართლის პროცესის პირველი სტადიაა — წინასწარი გამოძიება. გამომძიებელი, პროკურორი, როგორც კი მიიღებენ ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის შესახებ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება. გამომძიებელი დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს წინასწარი გამოძიების დაწყების თაობაზე. წინასწარი გამოძიების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოებანი იქნეს ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულყოფილად გამოძიებული, შესწავლილი. ჩატარებული იქნეს ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება, რათა საქმეში მოიპოვონ სრული მოცულობით საჭირო

მტკიცებულებები. გამოვლენილ იქნეს ბრალდებულის, როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებანი. მას შემდეგ რაც გამომძიებელი მიიჩნევს, რომ მომზდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე დაადგინა ყველა გარემოება (გათვალისწინებული სსსკ-ის 112-ე მუხლით), სისხლის სამართლის საქმეს საბრალდებო დასკვნის შესადგენად დაუყოვნებლივ უგზავნის პროკურორს. საბრალდებო დასკვნა არის წინასწარი გამოძიების ერთ-ერთი სახის შემაჯამებელი საპროცესო დოკუმენტი და საფუძველი იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვისათვის გადაეგზავნოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

შემდეგი სტადია არის — პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა. პირველი ინსტანციის წესით საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. ამ სტადიისათვის დამახასიათებელია ის, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა და გადაწყვეტა ხდება არსებითად, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო (მოსამართლე) მხარეებს უქმნის თანაბარ შესაძლებლობებს დაუბრკოლებლივ წარმოადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები. განახორციელონ საკუთარი ფუნქციები, დაიცვან საკუთარი პოზიციები. ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პირობებში, ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციების გამიჯვნის საფუძველზე. მოცემული სტადიისათვის დამახასიათებელია ის, რომ ბრალდების და დაცვის მხარეები თავად უზრუნველყოფენ სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა წარმოდგენას და იღებენ აქტიურ მონაწილეობას თითოეულის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში. ხოლო სასამართლო მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევისა და მხარეთა პაექრობის საფუძველზე იქმნის შინაგან რწმენას და კანონის უზენაესობისა და შინაგანი რწმენის საფუძ-

ველზე გადაწყვეტს საქმეს. გამოიტანს კანონიერ, დასაბუთებულ და სამართლიან განაჩენს, რომელიც შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. ე.ი. ეს სტადია მთავრდება ისეთი საპროცესო დოკუმენტის შედგენით, როგორიცაა განაჩენი.

რაც შეეხება, **სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიას,** იგი გულისხმობს სააპელაციო წესით გასაჩივრებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენისა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ან/და კანონიერების შემოწმებას. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებულია განიხილოს სისხლის სამართლის საქმე და ჩაატაროს ახალი სასამართლო გამოძიება. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სააპელაციო წესით განიხილავს რა სისხლის სამართლის საქმეს ხელახლა გამოაქვს განაჩენი. ახალი განაჩენით იგი უფლებამოსილია გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და მის ნაცვლად დაადგინოს გამამართლებელი განაჩენი, ასევე უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი, ე.ი. დაამძიმოს მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა. შეუძლია უცვლელად დატოვოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი ან ცვლილებები შეიტანოს მასში. ე.ი. სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო წესით განხილვა სრულდება განაჩენის დადგენით.

საკასაციო წესით სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. საკასაციო წესით გასაჩივრდება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, განჩინება და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კასატორის აზრით უკანონოა. მაგრამ აქვე, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივარი დაიშვება და სისხლის სამართლის საქმე დაექვემდებარება განხ-

ილვას, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ჩამოთვლილ პირობათაგან რომელიმეს თუ არ აკმაყოფილებს საჩივარი, იგი დაშვებული არ იქნება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საკასაციო საჩივარს არ განიხილავს. მაგრამ, თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლომ დაუშვა საკასაციო საჩივარი და მოხდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ უნდა დამძიმდეს მსჯავრდებულის საპროცესო მდგომარეობა. მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით საკასაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება და სისხლის სამართლის საქმე დააბრუნოს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც პროკურორმა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის სხვა წარმომადგენელმა — საკასაციო საჩივარი შეიტანა სწორედ მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესების მოტივით, ასეთივე პოზიცია ეკავათ მათ პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში; თავიანთ საჩივარს მხარი დაუჭირეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სასამართლო სხდომაზეც.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განხილვას ასრულებს განჩინების საპროცესო დოკუმენტის შედგენით. იგი განჩინებით იღებს რომელიმე შემდეგ გადაწყვეტილებას: უცვლელად ტოვებს განაჩენს ან განჩინებას, ხოლო საჩივარს კი დაუკმაყოფილებლად; აუქმებს განაჩენს და წყვეტს საქმეს; ცვლის განაჩენს მსჯავრდებულის სასიკეთოდ; აუქმებს განაჩენს

და საქმეს გზავნის ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სისხლის სამართლის პროცესის **ერთ-ერთ სტადიას მიეკუთვნება – განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.** აღნიშნული წესით საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე გადასინჯვას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, თუ იარსებებს ახლად აღმოჩენილი ფაქტობრივი გარემოებანი და ახლად გამოვლენილი სამართლებრივი გარემოებანი. განჩინების საპროცესო დოკუმენტის შედგენით სრულდება საჩივრის განხილვა.

საპროცესო სტადია – სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა, გულისხმობს იმას, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესრულდეს (აღსრულდეს). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა მიღებისთანავე. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის კანონიერ ძალაში შესვლასა და აღსრულებას. განაჩენის, განჩინების ან დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება იმ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სასამართლო (მოსამართლე) განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღმსრულებელ ორგანოს სასამართლო გადაწყვეტილების ასლებთან ერთად, უგზავნის განკარგულებას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

თუ მსჯავრდებულს სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, იგი აღსასრულებლად უნდა მიექცეს სასჯელ-აღსრულებით ორგანოში, ხოლო სასამართლომ თუ გამოიტანა განსასჯელის მისამართით გამამართლებელი განაჩენი ან ისეთი განაჩენი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან,

იგი უნდა აღსრულდეს განაჩენის გამოცხადებისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზში.

სისხლის სამართლის პროცესის სტადიების მისამართით ზემოთ ხსენებული მიდგომა არ არის ერთადერთი. ანგლოსაქსონური სამართლის სისტემის უმრავლეს ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებს გამოყოფენ: წინასასამართლო წარმოება; სასამართლოში საქმის წინასწარი განხილვა; სასამართლო განხილვა; სააპელაციო წარმოება და განაჩენის აღსრულება.

ზოგიერთ სახელმძღვანელოში, რომელიც განკუთვნილია ამერიკის იურიდიული სასწავლებლებისათვის გადმოცემულია სისხლის სამართლის პროცესის 17 დასახელების სტადია: 1) დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი რეგისტრაცია; 2) გამოძიება დაპატიმრებამდე; 3) დაპატიმრება; 4) დაპატიმრების გაფორმება; 5) დაპატიმრების შემდეგ მონაცემების შეკრება; 6) ბრალდების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; 7) საქმის სასამართლოში წარდგენა; 8) სასამართლოში ბრალდებულის პირველი გამოცხადება; 9) სასამართლოში საქმის წინასწარი მოსმენა; 10) ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის მიერ საქმის შემოწმება; 11) სასამართლოში საბრალდებო აქტის ან დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაცია; 12) ბრალდებულის აზრის გამოვლენა (გაგება) საბრალდებო აქტის ან დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის თაობაზე; 13) შუამდგომლობების წარდგენა სასამართლო განხილვის დაწყებამდე; 14) საქმის არსებითი განხილვა წარდგენილი ბრალდების ფარგლებში; 15) სასჯელის ზომის განსაზღვრა; 16) გასაჩივრება (აპელაცია); 17) სასამართლოს მიერ საკითხთა განხილვა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ჩამოთვლილი სტადიების გავლა არ არის სავალდებულო ყველა კატეგორიის დანაშაულისათვის. ასე მაგალითად, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული განიხილება შეკვეცილი წესით, არ არის სავალდებულო ზემოთ ხსენებული ყველა სტადიის გავლა. გარდა ამისა, გასა-

კუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საქმის წარმოების დროს ზოგიერთი სტადია ფაკულტატური ხასიათის მატარებელია (მათ სისხლის სამართლის საქმე მაშინ გაივლის თუ შუამდგომლობა იქნა განცხადებული რომელიმე მხარის მიერ).

სტადიების გადმოცემით მოვახდინეთ რა, სისხლის სამართლის პროცესის ერთიანი სისტემის წარმოჩენა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აქვე შევეხოთ სახელმძღვანელოებში გადმოცემულ სისხლის სამართლის პროცესის კურსის სისტემის ორ, ზოგად და კერძო ნაწილად დაყოფასაც.

ზოგად ნაწილს მიაკუთვნებენ იმ საკითხებს, რომელიც საერთოა სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიისათვის. ამ საკითხთა რიგს მიაკუთვნებენ: სისხლის სამართლის პროცესის არსი, ამოცანები; სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობა; სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილენი; მტკიცებულებანი და მტკიცება; სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება; ზოგადი ნაწილის სხვა დებულებანი.

კერძო ნაწილს კი მიაკუთვნებენ შემდეგ საკითხებს: წინასწარი გამოძიების წარმოების ზოგადი დებულებანი; საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების საპროცესო წესი; წინასწარი გამოძიების დამთავრება და შეწყვეტა, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება და შეწყვეტა; სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში; საქმის განხილვა სააპელაციო წესით; საქმის განხილვა საკასაციო წესით; განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო; განაჩენის აღსრულება; ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებანი.

საკითხთა ასეთი თანმიმდევრობით გადმოცემა და ათვისება, აადვილებს სიღრმისეულ წვდომას სისხლის სამართლის პროცესის ცალკეულ ინსტიტუტებში.

თავი II

სისხლის საპროცესო სამართალი და მისი წყაროები

§1. სისხლის საპროცესო სამართლის ცნება

სისხლის სამართლის პროცესის არსის შესახებ ნაშრომის წინა თავში იყო საუბარი. ამჟამად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სისხლის საპროცესო სამართლის ბუნებაზე. ეს ორი ცნება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ურთიერთს განაპირობებენ. ასეთი მჭიდრო კავშირის გამო, ხშირად მათ აიგივებენ, იდენტურ ცნებებადაც კი მიიჩნევენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მათ შორის დიდი კავშირისა, მაინც არსებობს განსხვავება. ეს განსხვავება ნათელი, რომ გახდეს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა არის სისხლის სამართლის პროცესი. შენიშნული იყო, რომ სისხლის სამართლის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ სისხლის სამართლის საქმის მოძრაობაა, ამ მოძრაობაში იგულისხმება გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოსა და სისხლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონით განსაზღვრული საქმიანობა.

რაც შეეხება **სისხლის საპროცესო სამართალს — იგი არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი, საპროცესო ნორმების ერთობლიობა, რომელიც ადგენს და განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, და ამავე დროს აწესრიგებს სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის შედეგად ალმოცენებულ ურთიერთობებს — უშუალოდ პროცესის მწარმოებელ პირებს შორის და პროცესის მწარმოებელ პირებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის, ასევე თვით პროცესის სხვა მონაწილეებს შორის. ე. ი. სისხლის საპროცესო სამარ-**

თალი პროცესის მონაწილეთა საქმიანობას (სისხლის სამართლის საქმის მოძრაობას) საპროცესო კანონის ჩარჩოებში აქცევს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სისხლის სამართლის პროცესსა და სისხლის საპროცესო სამართალს შორის განსხვავება შეიძლება მოკლედ ამდაგვარად გამოვხატოთ: სისხლის სამართლის პროცესი არის პროცესის მწარმოებელ პირთა და პროცესის სხვა მონაწილეთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონით განსაზღვრული საქმიანობა, ხოლო სისხლის საპროცესო სამართალი არის საპროცესო ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს პროცესის მწარმოებელ პირთა და პროცესის სხვა მონაწილეთა საქმიანობას, და ამ საქმიანობის პროცესში აღმოცენებულ ურთიერთობებს.

მაშასადამე, უნდა ითქვას, რომ სისხლის საპროცესო სამართალი პროცედურული სამართალია. თავისი საპროცესო ნორმებით ადგენს და განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის წესს. იძლევა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცედურულ წესს (რა წესების დაცვით მოხდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა, მტკიცებულებათა წყაროების აღმოჩენა და მათგან ინფორმაციის მიღება და სხვა).

საპროცესო ნორმებით – პროცესის მწარმოებელი ორგანოები, თანამდებობის პირები, პროცესის სხვა მონაწილენი აღჭურვილი არიან გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით, რაც ქმნის იმის პირობებს, რომ დანაშაული იქნეს გამოძიებული და გახსნილი. დანაშაულის გამოძიება, გახსნა ოპერატიულად რომ მოხდეს, საპროცესო ნორმები განსაზღვრავენ პროცესის მწარმოებელ პირთა მხრიდან ჩასატარებელი მოქმედებების თანმიმდევრობასაც (მაგალითად, რა შემთხვევაში იქნეს პირი ეჭვმიტანილად ცნობილი; რა შემთხვევაში მოხდება პირის დაკავება ეჭვმიტანილის სახით; როდის წარედგინოს პირს ბრალდება;

როდის გადაეცეს პროკურორს სისხლის სამართლის საქმე საბრალდებო დასკვნის შესადგენად და ა.შ. ან/და სასამართლო გამოძიების დროს მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის თანმიმდევრობა).

სისხლის საპროცესო სამართალი მართალია ფართო უფლებამოსილებით აღჭურავს პროცესის მწარმოებელ პირებს, აძლევს შესაძლებლობას თუკი საფუძველი იქნება გამოიყენონ საპროცესო სამართლებრივი იძულებითი ღონისძიებები, მაგრამ მათ პარალელურად შემოღებული აქვს ბრალდებულის, დაზარალებულის, პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების გარანტიათა სისტემაც.

სისხლის საპროცესო სამართლის შეჯიბრებითი ფორმა, რომელიც განსაზღვრავს საპროცესო ფუნქციებს და ამ ფუნქციების მატარებელ სუბიექტებს, აღიარებს ბრალდებულის უფლებას დაცვაზე, შეჯიბრებითობას და არაბრალეულობის პრეზუმფციას, საზოგადოებისათვის მისაღებია. ე.ი. **სოციალური კუთხით** მოწონებას იმსახურებს.

სისხლის საპროცესო სამართალი, როგორც სამართლის დარგი ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს. მის სისტემურ მთლიანობას ამყარებს ის, რომ მისი ყველა ინსტიტუტი შინაარსობრივად ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ურთიერთს განაპირობებენ. ამ მთლიანობაში თუ გამოჩნდა **ხარვეზი,** საქართველოს სსსკ-ის მეშვიდე მუხლის მეოთხე ნაწილი უშვებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენების შესაძლებლობას ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები.

ანგლოსაქსონური სამართლის სისტემაში შემავალი ქვეყნების კანონმდებლობა საპროცესო საქმიანობას დეტალურად არ აწესრიგებს. მოსამართლეები სისხლის სამართლის საქმეს გადაწყვეტენ საერთო კონსტიტუციურ პრინციპებზე და სასამართლო პრეცედენტზე დაყრდნობით. კონტინენტური სამართლის სისტემაში შემავალი ქვეყნების კანონმდებლობით გამომძიებელთა და

მოსამართლეთა საქმიანობა დეტალურადაა კანონით მოწესრიგებული.

სისხლის საპროცესო სამართლის თითოეული ნორმის შინაარსი ზუსტად მიუთითებს სამართლებრივი მოწესრიგების ობიექტზე, სუბიექტზე ან სუბიექტებზე, ვისაც იგი ეხება, ნორმის გამოყენების პირობებზე, იმ უფლებებზე და მოვალეობებზე, რომლებიც აღმოუცენდებათ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს.

საპროცესო ნორმა არის რა სამართლის ნორმის სახე, ყველა ის ნიშანი გააჩნია, რაც დამახასიათებელია საერთოდ სამართლის ნორმისათვის. მაგრამ, საპროცესო ნორმას თავისებურებანიც გააჩნია, რაც იმაში ვლინდება, რომ იგი აწესრიგებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვის დროს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს საქმიანობას და იმ ურთიერთობებს, რომელიც აღმოცენდება საპროცესო საქმიანობის დროს ზემოთ აღნიშნულ პირებსა და პროცესის მწარმოებელ პირებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმაში, ისევე, როგორც საერთოდ სამართლის ნორმაში, ბოლო პერიოდამდე გამოყოფდნენ შემდეგ სამ ნაწილს: **ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია.**

ჰიპოთეზა მიუთითებს, თუ რა პირობების, რა გარემოებათა დადგომისას უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ნორმა. ასე მაგალითად, საქართველოს სსსკ-ის 473-ე მუხლის პირველი ნაწილი შენიშნავს „თუ განსასჯელმა სასამართლოს (მოსამართლის) წინაშე თავი დამნაშავედ ცნო და ეს აღიარება ნებაყოფლობითია, არ იწვევს მხარეთა დავასა და სასამართლოს ეჭვს, სასამართლო გამოძიება სასამართლო განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება არ ჩატარდეს ან შეიკვეცოს“. ამ შემთხვევაში **ჰიპოთეზას შეადგენს ნორმის ის ნაწილი,** რომელშიც საუბარია: „განსასჯელმა სასამართლოს (მოსამართლის) წინაშე თავი დამნაშავედ ცნო და ეს აღიარება ნებაყოფლობითია, არ იწვევს

მხარეთა დავასა და სასამართლოს ეჭვს", აი, ამ აღნიშნული პირობების შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული დასახელებული ნორმა, რომელიც ეხება სასამართლო გამოძიების არჩატარებას ან შეკვეცას.

დისპოზიცია არის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც აღწერილია მისი შინაარსის განმსაზღვრელი ქცევის წესი, ე.ი. მითითებულია იმაზე, თუ რა უფლებები და მოვალეობები გაუჩნდებათ ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის მონაწილეებს ჰიპოთეზაში აღნიშნული პირობებისა და გარემოებების დადგომის შემთხვევაში. მოვიყვანოთ მაგალითისათვის საქართველოს სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი „დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით, გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები". აღნიშნულ მაგალითში დისპოზიციას წარმოადგენს დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლის ვალდებულება – გამოცხადდეს და გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; ამასთანავე არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები (**ნორმის შინაარსი**).

რაც შეეხება **სანქციას**, იგი არის ნორმის ის ნაწილი, რომელშიც მითითებულია, თუ რა შედეგი მოყვება ნორმის შეუსრულებლობას, დისპოზიციაში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას, ე.ი. სანქციაში გამოხატულია ის იძულებითი ხასიათის ღონისძიებანი, რომლითაც უზრუნველყოფილია საპროცესო ნორმის მოთხოვნათა შესრულება. მაგალითისათვის დავეფუძნოთ ისევ საქართველოს სსსკ-ის 70-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებს: „დაზარალებულის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ"; „დაზარალებულს ცრუ ჩვენების მიცემისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართ-

ველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად". (გამოხატულია **იძულებითი ხასიათის ღონისძიება**).

სისხლის საპროცესო სამართალში საუბრობენ რა სანქციის იძულებით ხასიათზე. ცალკე გამოყოფენ მის უფლება-აღდგენით მნიშვნელობასაც. მხედველობაშია ის გარემოება, როდესაც დაირღვა ან შეიზღუდა პროცესის რომელიმე მონაწილის უფლებები და კანონის დარღვევის ეს ფაქტი გამოსწორებული იქნება. ასე მაგალითად, პირის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება რა პროკურორს, იგი უფლებამოსილია გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, დაკითხოს დაკავებული, მოუსმინოს გამომძიებელს და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება და გაათავისუფლოს დაკავებული, თუკი გამოვლინდება დაკავების არაკანონიერება და დაუსაბუთებლობა. ასევე, გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, რაც ტოლფასოვანია ბრალდების უარყოფისა და სხვა.

ყურადღება მისაქცევია სანქციის ისეთი თვისებაც, როგორიცაა აღმკვეთი ხასიათის მატარებლობა. მხედველობაშია ის გარემოება, როდესაც პირს აღეკვეთება გარკვეული ქცევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საპროცესო მოქმედების ჩატარება. მაგალითად, მოსამართლის განკარგულებით წესრიგის დარღვევისათვის განსასჯელი გაძევებულ იქნა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, მოიყვანეს რა იგი სასამართლო სხდომის დარბაზში განაჩენის, განჩინების ან დადგენილების გამოცხადების დროს, მან კვლავ განაგრძო წესრიგის დარღვევა. ასეთ შემთხვევაში განსასჯელი ისევ იქნება გაძევებული და საპროცესო გადაწყვეტილება გამოცხადდება მის გარეშე. ხოლო სასამართლო განაჩენის, განჩინების თუ დადგენილების ასლი, ამის შემდეგ მას ჩაბარდება ხელწერილით.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება სამართლის ნორმის სტრუქტურისა და მისი ელემენტების შესახებ. ამჟამად გავრცელებულია მოსაზრება, რომ სამართლის

ნორმა შედგება **ორი ნაწილისაგან**: 1) **დესკრიფციული ნაწილი** ანუ ის ფაქტობრივი ურთიერთობა, რომელიც ნებადართულია, აკრძალულია ან მოთხოვნილია და 2) **ნორმატიული ნაწილი,** რომელიც ამბობს, ეს ფაქტობრივი ურთიერთობა აკრძალულია, ნებადართულია თუ მოთხოვნილია. ცალკე გამოყოფენ სამართლის ნორმის სტრუქტურის **ორ ძირითად ელემენტს**: 1) **ფაქტობრივი შემადგენლობა,** რომელიც განსაზღვრავს იურიდიული შედეგის წინაპირობებს და 2) **იურიდიული შედეგი,** რომელიც დგება მაშინ, როდესაც სახეზეა ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა.[1]

სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში საუბრობენ იმის შესახებაც, რომ საპროცესო ნორმები თავიანთი მოქმედების მიხედვითაც არაერთგვაროვანია. ასე მაგალითად, ზოგიერთი ნორმის შინაარსი გავრცელებას ჰპოვებს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე. მათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები. ზოგი ნორმა კი მოქმედებს წინასწარი გამოძიების სტადიაზე ან მხოლოდ სასამართლოში. ზოგიც კი ვრცელდება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებზე.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები მათში გამოხატული მოთხოვნების სავალდებულო ძალის ხასიათის მიხედვით იყოფიან: **იმპერატიულ და დისპოზიციურ ნორმებად.** სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უმრავლესობა, სწორედ რომ იმპერატიული ხასიათისაა, რამდენადაც აწესებს პროცესის მონაწილეებისათვის ვალდებულებას ან სავალდებულო ქცევის წესს. ხოლო როდესაც პროცესის მონაწილეებს, მაგალითად, ბრალდებულს, დაზარალებულს საპროცესო ნორმა აძლევს შესაძლებლობას ისარგებლოს ამა თუ იმ უფლებით (განაცხადოს შუამდგომლობა, შეიტანოს საჩივარი და ა.შ.), საპროცესო ნორმა დისპოზიციური ხასიათისაა.

---

1 გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004 წ., გვ. 52-57.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის სტრუქტურის ცოდნა საფუძველს ქმნის თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები ნორმის შეფარდების პროცესში.

§2. სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობანი

სისხლის საპროცესო სამართლის, როგორც სამართლის დარგის შესწავლა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების გაზეპირებამდე. სწავლების ასეთი ფორმა მიიღებდა ფორმალურ და დოგმატურ ხასიათს.

სისხლის საპროცესო სამართლის ნორმების შესწავლასთან ერთად, შესწავლილი უნდა იყოს მათი მოქმედებაც, ე.ი. საპროცესო ნორმების რეალიზაცია საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებში.

მაგრამ, რა არის თვით სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენების საფუძველი? სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ასეთ საფუძვლად გვევლინება **იურიდიული ფაქტი,** რომელიც რიგ შემთხვევებში ფაქტობრივ შემადგენლობასთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად, თუ წინასწარი გამოძიების დასაწყებად მომხდარი ფაქტი – დანაშაულის ნიშნების მატარებელი, საკმარისი საფუძველია საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა აღმოცენდეს გამოძიების მწარმოებელ პირსა (გამომძიებელი, პროკურორი) და მოწმეს შორის; მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, რომელიც სპეციალურ ცოდნას საჭიროებს, რომ აღმოცენდეს სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა ექსპერტსა და გამომძიებელს (პროკურორს) შორის ფაქტობრივ გარემოებებთან (იურიდიული ფაქტი) ერთად უნდა იყოს სამართლებრივი საფუძველიც – დადგენილება (იურიდიული ფაქტი) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

იურიდიულ ფაქტად და, მაშასადამე, სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლად შეიძლება მოგვევლინოს, **პროცესის მონაწილის მოქმედება**. ასე მაგალითად, დამცველის შუამდგომლობა (მოქმედება) გამომძიებლის წინაშე, ესა თუ ის საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს მისი მონაწილეობით, წარმოშობს სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობას გამომძიებელთან, რომელიც ვალდებულია განიხილოს შუამდგომლობა და უარის შემთხვევაში, უარი დაასაბუთოს. ასევე, მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი (მოქმედება) ავალდებულებს სააპელაციო სასამართლოს განიხილოს იგი და ა.შ.

სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს, ისეთი იურიდიული ფაქტი, როგორიცაა **ვითარება**. მაგალითად, თუ ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში.

ნებისმიერი მოვლენა, შემთხვევა შეიძლება გახდეს სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი. მაგალითად, ამნისტია, წარმოშობს საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტისათვის – ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) უფლებას მოითხოვოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა, თუ მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოხვდა ამნისტიის აქტში, ხოლო პროკურორი, მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ ბრალდებულის (განსასჯელის) მოთხოვნა.

შეიძლება ითქვას, გამომძიებლის (პროკურორის, მოსამართლის) ნებისმიერ დადგენილებასა და სასამართლოს ნებისმიერ განჩინებას, რომელიც ავალდებულებს პროცესის მონაწილეს შეასრულოს გარკვეული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს და მაშასადამე, წარმოშობს სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებს (მაგალითად, წინასწარი გამოძიების სტადიაზე მოწმის ან დაზარა-

ლებულის იძულებით მოყვანა მოსამართლის ბრძანებით, მოსამართლის ბრძანება ბრალდებულის ბინაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ და ა.შ.).

სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა მრავალმხრივია, იგი შეიძლება აღმოცენდეს, როგორც უშუალოდ პროცესის მწარმოებელ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შორის, ისე პროცესის მწარმოებელ პირებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის, რომლებიც ჩაბმულნი არიან სისხლის სამართლის პროცესში, ასევე თვით პროცესის სხვა მონაწილეებს შორის.

ისევე, როგორც ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა, სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობაც შედგება: სუბიექტებისაგან, ობიექტისაგან, უფლებისაგან და მოვალეობისაგან.

სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის **სუბიექტებად** გვევლინებიან ერთის მხრივ, სახელმწიფო ორგანოები და მისი წარმომადგენლები, პროცესის მწარმოებელი პირები (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე) და მეორეს მხრივ, მოქალაქე (რომელიც შეიძლება იყოს: ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მსჯავრდებული, დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი და ა.შ.), პროცესის მონაწილე.

სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია ყოველივე ის, რისთვისაც და რის გამოც წარმოიშობა მოცემული ურთიერთობა, მაგალითად, მოწმის დაკითხვისას სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტის დასადგენად მიღებული ჩვენება, დაზარალებულის დაკითხვა საქმეზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტის დასადგენად მიღებული ჩვენება და ა.შ.

რაც შეეხება **უფლებებსა და მოვალეობებს** სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებში, ეს არის გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, სასამართლოს და ყველა იმ პირის

(დაზარალებული, ბრალდებული, მოწმე და ა.შ.) უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მონაწილეობენ კონკრეტულ საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაში.

სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერ მონაწილეს აქვს უფლებები და აკისრია მოვალეობები. ასე მაგალითად, დაზარალებულს აქვს უფლება განაცხადოს აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში — ზემდგომ პროკურორთან გამომძიებლის და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, გარკვეულ შემთხვევაში — სასამართლოში, ამავე დროს ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით და გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის.

სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოები და მათი წარმომადგენლები (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო) ასრულებენ კანონით დაკისრებულ სახელმწიფო მოვალეობას. ეს მოვალეობები, რომ შეასრულონ გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ — კანონმდებელი მათ აღჭურავს უფლებებით, რომელსაც განახორციელებენ კონკრეტულ სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაში. ასე მაგალითად, სახელმწიფო აძლევს შესაძლებლობას გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს (სასამართლოს), თუ არსებობს ამის საფუძვლები, კანონით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის (ეჭვმიტანილი, ბრალდებული) მიმართ გამოიყენოს სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება. მაგრამ სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაში ბრალდებულის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება, არის გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის (სასამართლოს) უფლება, და ბრალდებულს შეუძლია გაასაჩივროს პროცესის მწარმოებელ პირთა მოქმედება, ამტკიცოს, რომ მოცემულ შემთხვევაში მათ არ ჰქონდათ საფუძვე-

ლი გამოეყენებინათ საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების კონკრეტული სახე (მაგ. დაპატიმრება). ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაში მოქალაქეებთან ერთად მონაწილე სახელმწიფო ორგანოები და მათი წარმომადგენლები არიან სამართლის სუბიექტები და ამ სტატუსით განახორციელებენ საპროცესო კანონით მინიჭებულ უფლებებს. ასეთი აქცენტი უნდა გაკეთდეს მათ საპროცესო მოვალეობებზეც. პროცესის მწარმოებელ პირებს ვალდებულება ეკისრებათ არა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე, არამედ, როგორც კონკრეტული საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს — ბრალდებულის, მოწმის და პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ.

ასე მაგალითად, თუ მოხდა პირის დაკავება ეჭვმიტანილის სახით, უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ მისი მოთხოვნა დამცველის მოწვევის თაობაზე. აქ, სახელმწიფოს ნებაა გამოხატული და მისი შესრულება სავალდებულოა გამომძიებლისათვის (პროკურორისათვის) და მეორეს მხრივ, როგორც სამართლის სუბიექტისათვის მოვალეობა ეჭვმიტანილის მიმართაც, მისცეს ეჭვმიტანილს შესაძლებლობა განახორციელოს კანონით მინიჭებული უფლება.

გარკვეული სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები აღმოცენდება მხარეებს შორის, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, როდესაც მხარეები მონაწილეობას იღებენ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში და ეძლევათ შესაძლებლობა კითხვები დაუსვან დასაკითხად გამოძახებულ პირებს. ამ შემთხვევაში პროცესის მონაწილეებს შორის აღმოცენებულ ურთიერთობებს აკონტროლებს თვითონ სასამართლო (მოსამართლე).

შეიძლება ითქვას, რომ სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობანი, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა რეალური მოქმედების (შინაარსის) გამოხატვის მხოლოდ

გარეგნული იურიდიული მხარეა. მისი ელემენტების ურთიერთკავშირი ნიადაგს ქმნის მიღწეულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესის მიზანი.

ამდენად, სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა, ესაა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს ორგანოებსა, მის წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს შორის სისხლის სამართლის საქმის გამო.

§3. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროები

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა გამოხატულებას ჰპოვებს კანონში. შეიძლება ითქვას, რომ ყველა კანონები, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვას, ე.ი. შეიცავს საპროცესო ნორმებს, წარმოადგენს სისხლის საპროცესო. სამართლის წყაროებს.

სისხლის საპროცესო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს **საქართველოს კონსტიტუცია,** რომელიც მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. იგი შეიცავს ნორმებს, რომლებიც გვეელინება სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპებად ან ძირითად დებულებად. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომელიც საუბრობს: ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია; დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება; და კონსტიტუციის მე-18 მუხლი, რომელიც ეხება ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობას; დასაშვებობას ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთისა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვისა სასამართლოს გადაწყვეტილებით, საფუძვლად დაედო სისხლის საპროცესო

სამართლის ისეთ პრინციპს, როგორიცაა „პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეხუთე ნაწილის შინაარსი: „დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს, დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს“, და კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე ნაწილი: „დაცვის უფლება გარანტირებულია“, საფუძველი გახდა ჩამოყალიბებულიყო სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპი: ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფა;

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი ეხება: ადამიანის პირადი ცხოვრების, პირადი საქმიანობის ადგილის, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობას; ასევე, შესვლის აკრძალვას საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ; თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, საფუძვლად დაედო სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპს: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“;

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი, რომელიც თავისი შინაარსით „უდანაშაულობის პრეზუმფციას“ ასახავს, სრული შინაარსით იქნა გადმოტანილი სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპად;

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი: „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“, სისხლის საპროცესო სამართლის ერთ-ერთი სახელმძღვანელო დებულებაა და მან ასახვა ჰპოვა სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპში: „კანონიერება და ადამიანის ბუნებითი უფლებები“; ამავე მუხლის, მერვე ნაწილი: არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღ-

მდეგოდ ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით", სისხლის საპროცესო სამართლის მნიშვნელოვანი დებულებაა".

საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავი მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას ეხება. სადაც მოცემულია მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელოვანი დებულებები: რომ მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები; მოსამართლე' თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს; სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით და ა.შ. ამავე თავში საუბარია სისხლის სამართლის პროცესის ისეთ საწყისებზე, როგორიცაა: სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა ღია სხდომაზე; სამართალწარმოების ენა; სამართალწარმოების განხორციელება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

როგორც ვხედავთ საქართველოს კონსტიტუცია სისხლის საპროცესო სამართლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, მისი ძირითადი დებულებები, საწყისები კონსტიტუციიდან მოდის.

საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობის ნაწილებია. ამის დასტურია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიც, სადაც ნათქვამია: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ". ე.ი. შეიძლება ითქვას, საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიაში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების მერე უფრო დიდი იურიდიული ძალა გააჩნია, ვიდრე საქართველოს სხვა ნორ-

მატიულ აქტებს (მხედველობაშია საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი). აქედან გამომდინარე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია", ითვლება რა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად, აღიარებული უნდა იქნეს სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ აღიარებულ უნდა იქნეს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია". აღნიშნული საერთაშორისო აქტები მრავლად შეიცავენ სისხლის საპროცესო სამართლის საწყისებს (პრინციპებს), მაგალითად: სისხლისსამართალწარმოების ღიაობა; ბრალდებულის დაცვის უფლების უზრუნველყოფა; უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფცია; პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა; მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვა. სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ყველა ის საერთაშორისო აქტი, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს შესაძლებლობას დაიცვან თავიანთი უფლებები და კანონიერი ინტერესები, როგორც სისხლის სამართლის გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის საფეხურზე.

სისხლის საპროცესო სამართლის უმთავრესი წყარო-სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსია, მასშია თავმოყრილი ყველა ის ნორმები, რომლებითაც ფაქტობრივად წესრიგდება სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის შედეგად აღმოცენებული საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობები, როგორც უშუალოდ პროცესის მწარმოებელ პირებს შორის (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო), ისე პროცესის მწარმოებელ პირებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს (დაზარალებული, ბრალდებული, მოწმე და სხვა) შორის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, როგორც სისხ-

ლის საპროცესო სამართლის წყარო საქართველოს სახელმწიფოს სინამდვილეში მოგვევლინა 1923 წლიდან. როდესაც 1923 წლის 17 აგვისტოს მიღებული იქნა საქართველოს პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. აღნიშნული კოდექსი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ იგი ადგილს უთმობდა დემოკრატიულ ინსტიტუტებს, დასაშვებად მიიჩნევდა სისხლის სამართლის პროცესში დამცველის მონაწილეობას, ითვალისწინებდა საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრებას. დეტალურად გადმოსცემდა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვის წესს და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უფრო სრულყოფილ სახეს წარმოადგენდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1960 წლის 30 დეკემბერს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტიდან. ხსენებული კოდექსი მიღებულ იქნა სისხლის სამართლის პოლიტიკის ჰუმანიზაციის პერიოდში. რამაც გარკვეული ასახვა ჰპოვა კიდეც სისხლის სამართლის პროცესში. ასე მაგალითად, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიკვეთა საზოგადოების აქტიური როლი. შესაძლებელი იყო ბრალდებულის გადაცემა თავდებობის ქვეშ ან სისხლის სამართლის საქმის მასალების გადაცემა ამხანაგური სასამართლოებისათვის და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისათვის, რითაც სისხლის სამართლის საქმის წარმოება ფაქტობრივად წყდებოდა; დამცველი დაიშვებოდა წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან: გაფართოვდა დაზარალებულის საპროცესო უფლებები; დეტალურად გაიწერა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესი; სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და საქმის საკასაციო წარმოების დროს, შემოღებულ იქნა შეჯიბრებითი პროცესის საწყისები და ა.შ.

საქართველოში, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა, ითამაშა რა გარკვეული როლი სახ-

ელმწიფოს აღმშენებლობით საქმიანობაში, გამოიწვია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის რეფორმირებაც. რეფორმა შეეხო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსაც, და საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 25 ნოემბერს მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მაგრამ მასში უამრავი ცვლილებება შევიდა და დადგა აუცილებლობა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მისაღებად, მართლაც, დროის უმოკლეს მონაკვეთში საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 20 თებერვალს, მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისს და დღესაც მოქმედებს. აჩქარებული ტემპით მიღებულ საპროცესო კოდექსში ბევრი ხარვეზი გაიპარა, რამაც გამოიწვია ის, რომ ნორმალურად არც კი იყო ამოქმედებული კოდექსი, მასში უკვე ცვლილებების შეტანა დაიწყო და ამ ცვლილებების შეტანა დღემდე გრძელდება. მოქმედი საპროცესო კოდექსის ამ მდგომარეობაში ყოფნამ შეამზადა ნიადაგი, ისევ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მისაღებად, მომზადებულია პროექტიც. საინტერესოა პროექტში არსებული ახალი ინსტიტუტები გაუძლებენ თუ არა გამოცდას, რომელსაც მათ უმზადებს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა, მისაღები იქნება თუ არა საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის, ამას დრო გვიჩვენებს.

სისხლის საპროცესო სამართლის წყაროებია, ასევე: ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“: ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ; ორგანული კანონი „საქართველოს პროკურატურის შესახებ“; კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“; კანონი „ადვოკატთა შესახებ“ და საერთოდ, ყველა ის კანონი, რომელიც შეიცავს საპროცესო ნორმებს და ეხება სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლოში საქმის განხილვას.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ აღიარებულია კანონი, ხოლო საერთო სამართლის სისტემაში შემავალი ქვეყნები სამართლის წყაროდ აღიარებენ „სასამართლო პრეცედენტს“. „სასამართლო პრეცედენტი“ წარმოადგენს სამომავლოდ გამოსაყენებელ სამართლებრივ ნორმას. რაც იმას ნიშნავს, რომ: სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, შემდგომში სავალდებულო ხდება არა მარტო ამავე სასამართლოსათვის, არამედ იმავე ინსტანციის ან ქვემდგომი სხვა სასამართლოსთვისაც ანალოგიური საქმეების განხილვისას (ინგლისი, აშშ, კანადა).

ცალკე გამოყოფენ რელიგიური სამართლის სისტემის ქვეყნებსაც, სადაც სამართლის წყაროებია ძირითადად ყურანი, კეთილშობილური ქცევის წესები, ჩვეულებები (აფრიკა, მადაგასკარი, ინდოეთი და ბევრი სხვა მუსლიმანური ქვეყანა).

§4. სისხლის საპროცესო სამართლის ფორმები

მეცნიერთა კვლევის საგანია არა მხოლოდ ცალკეული საპროცესო ინსტიტუტის წარმომავლობა და მისი ისტორიული განვითარება, არამედ თვითონ სისხლის საპროცესო სამართალიც.

მეცნიერთა ინტერესების სფეროა არა მხოლოდ ის, წარმოაჩინონ ცალკეული საპროცესო ინსტიტუტის საწყისი და მისი განვითარების ისტორია, არამედ, ასევე მიაკვლიონ თვითონ სისხლის საპროცესო სამართლის საფუძვლებსაც. ყოველი ერი დაუცხრომელი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ქმნიდა, და დღესაც ქმნის თავისი ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, იდეოლოგიურ, რელიგიურ საფუძვლებზე დაფუძნებულ შესაბამის სამართლის სისტემას, ხოლო სამართლის სისტემაში

არსებული სამართლებრივი ინსტიტუტების დახვეწილობა შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ თვით ხალხის მართლშეგნების დონეზე. ამიტომაც, სისხლის საპროცესო სამართლის ისტორიული განვითარების კუთხით დაინტერესებამ, სრულიად ლოგიკურად წამოწია საკითხი გადმოვცეთ სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების ცალკეული ეტაპები.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ საუბრობენ სისხლის საპროცესო სამართლის ისეთ ისტორიულ ტიპებზე, როგორიცაა: მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური[1]; ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს ისეთ ისტორიულ ტიპებს, როგორიცაა: 1). პირველყოფილი-თემური; 2) უძველესი ცივილიზაციის (ეგვიპტე, ბაბილონი და სხვა); 3) კლასიკური (უძველესი საბერძნეთი, უძველესი რომი); 4) ადრინდელი ბრალდებითი (საბრალდებო); 5) შუასაუკუნეების ინკვიზიციური (სამძებრო); 6) თანამედროვე ჰუმანური, შეჯიბრებითი[2]; გადმოსცემენ სისხლის საპროცესო სამართლის ფორმებსაც: ბრალდებითი (საბრალდებო) პროცესი, სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი, შეჯიბრებითი პროცესი, შერეული პროცესი[3].

მართებულად მიგვაჩნია სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების ეტაპები გადმოვცეთ სისხლის საპროცესო სამართლის ფორმების მიხედვით. რამდენადაც საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე მოქმედებდა ან ბრალდებითი ან სამძებრო, შეჯიბრებითი თუ შერეული პროცესი.

სისხლის საპროცესო სამართლის ბრალდებითი ფორმისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ ბრალმდებელს განსაკუთრებული მდგომარეობა ეჭირა. მასზე იყო დამოკიდებული სისხლისსამარ-

---

1 М. А. Чельцов-Бебутов – Курс уголовно-процессуального права, С. Петербург, 1995 с. 5-6.

2 Уголовно-процессуальное право Российской Федерации, 2-ое издание, отв. ред. И.Л. Петрухин, М., 2006, с. 36-37.

3 Уголовный процесс, учебник под. ред. Гуценко, К. Ф., М., 1998. с. 19-20.

თლებრივი დევნის დაწყებაც და შეწყვეტაც. ბრალმდებლად, ჩვეულებრივ გამოდიოდა ის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შედეგად ზიანი მიადგა. ბრალდებული კი უპირისპირდებოდა ბრალმდებელს სასამართლოში და ეკამათებოდა მას ბრალდების თაობაზე, ცდილობდა გაებათილებინა ბრალდება. სასამართლო კი მხარეთა შორის დავას გადაწყვეტდა იმ მონაცემების საფუძველზე, რასაც მხარეები წარუდგენდნენ მას. სასამართლო გამოდიოდა არბიტრის როლში, არ იღებდა მონაწილეობას მტკიცებულებათა მოპოვებაში, ის მხოლოდ თვალყურს ადევნებდა, რომ მხარეთა შორის კამათი წარმართულიყო დადგენილი წესების დაცვით და გამოჰქონდა გადაწყვეტილება.

პროცესის ეს ფორმა ბრალდებითად იწოდებოდა იმიტომ, რომ გამოკვეთილი იყო დაზარალებულის, როგორც ბრალმდებლის მატარებლის პოზიცია. მისი ნების გამოვლენაზე იყო დამოკიდებული სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა (სხვათაშორის სამოქალაქო საქმის განხილვაც), დაზარალებულის სიჩივარი ედებოდა საფუძვლად საქმის სასამართლოში წარმოებას. წინასასამართლო გამოძიება საერთოდ არ არსებობდა, მტკიცებულებათა შეკრებისა და მათი სასამართლოში წარდგენის ტვირთი მთლიანად მხარეებზე იყო გადასული.

ბრალდებითი პროცესი იყო სავარო და ზეპირი. სასამართლოს წინაშე არ იდგა ამოცანა სისხლის სამართლის საქმეზე დაედგინა მატერიალური ჭეშმარიტება. ითვლებოდა, რომ ჭეშმარიტება მომდინარეობს ღმერთისგან და ამიტომ მის დასადგენად მიმართავდნენ ისეთ მეთოდებს, როგორიც იყო ორთაბრძოლა, ორდალები, ფიცი.

პროცესის ბრალდებითი ფორმა არსებობდა ე.წ. მონათმფლობელურ საზოგადოებაში და ფეოდალური საზოგადოების გარკვეულ პერიოდამდე (დასავლეთ ევროპაში სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესის ნიშნები გაჩნდა XIII საუკუნეში, თუმცა მის პარალელურად იყო ბრალდებითი პროცესიც).

ბრალდებითი პროცესი შეცვალა **სამძებრო (ინკვიზიციურმა) პროცესმა.** არის მოსაზრება, რომ სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი ნასესხებია საეკლესიო პრაქტიკიდან. მაგრამ იმასაც დასძენენ, რომ თვით კათოლიკურმა ეკლესიამ შეითვისა ინკვიზიციური პროცესის ძირითადი პრინციპები საერო სამართლიდან, ეს პრინციპები შემდგომში ისე დაამუშავა, განავითარა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოთა საპროცესო სამართალმა მასაბაძ ნიმუშად აქცია.

სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ ბრალდების ფუნქცია, დაცვის ფუნქცია და სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტის ფუნქცია თავმოყრილი იყო ერთი პიროვნების მოსამართლის ხელში. ის განახორციელებდა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების, ბრალდების და გარკვეული დოზით დაცვის ფუნქციებსაც. ბრალდებულს არავითარი უფლებები არ გააჩნდა, მას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო სასამართლო პროცესში, დაეცვა საკუთარი თავი ბრალდებისაგან. ის უფრო აღიქმებოდა გამოკვლევის ობიექტად და არა პროცესის სუბიექტად. დაზარალებული კი ითვლებოდა მხოლოდ და მხოლოდ მომჩივნად. შეიძლება ითქვას, რომ სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესისათვის მხარეთა პაექრობა სასამართლოში უცხო იყო. ითვლებოდა, რომ ინკვიზიტორ-მოსამართლე იყო ვალდებული ეფიქრა შეეკრიბა საქმეზე ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები. მოსამართლე ამოდიოდა ბრალდებულის ბრალეულობის პრეზუმფციიდან. ბრალდებულს უნდა დაემტკიცებინა თავისი არაბრალეულობა.

სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი — ეს იყო დახურული პროცესი, სასამართლო სხდომაზე ხალხი არ დაიშვებოდა, მოსამართლე საქმის გადაწყვეტის დროს ეფუძნებოდა მხოლოდ წერილობით მასალას, დაკითხვის ოქმებს და აქტებს, არ ახდენდა ბრალდებულის, მოწმეების დაკითხვას.

სამძებრო (ინკვიზიციურ) პროცესთანაა უშუალოდ დაკავშირე-

ბული წამების მეთოდის გამოყენება ბრალდებულის მიმართ, რათა მისგან მიეღოთ აღიარება დანაშაულის ჩადენის შესახებ. ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენის აღიარება ითვლებოდა „მტკიცებულებათა დედოფლად“ და საკმარისად მსჯავრდებისათვის. საერთოდ წამება განიხილებოდა, როგორც საშუალება დასაკითხი პირისაგან ჩვენების მისაღებად ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით. იყო ასეთი ხედვაც გაბატონებული, რომ ქალს უფრო ნაკლებად უნდა ენდო, მისი ჩვენება ნაკლებად სარწმუნოა, ვიდრე მამაკაცისა; ასევე ღარიბი ადამიანის მიერ მიცემული ჩვენება უფრო ნაკლებად სარწმუნოა ვიდრე მდიდარი ადამიანისა.

სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი კრძალავდა სასამართლო სხდომაზე ხალხის დასწრებას, მაგრამ სამაგიეროდ მოიწვევდნენ მათ განაჩენის აღსრულების დროს. განაჩენის გასაჩივრება არ იყო გათვალისწინებული. განაჩენის გადასინჯვა (“რევიზია“) შესაძლებელი იყო სახელმწიფო თანამდებობის პირის ინიციატივით.

განასხვავებდნენ გამამტყუნებელ, გამამართლებელ განაჩენსა და განაჩენს, რომელიც განსასჯელს ტოვებდა ეჭვის ქვეშ. ეს ეჭვი, დანაშაულის ჩადენის შესახებ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე შავ ლაქად თან დაყვებოდა.

სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესის თანმდევი იყო „დასმენის“ ინსტიტუტის გააქტიურება, დაბეჭდა (დასმენა დიდი ხნის წინათაც არსებობდა). დასმენა ნიშნავდა კონკრეტული პირის გაწბილებას სხვის თვალში და მოსამართლისათვის წარმოების დაწყების საბაბს შეადგენდა, შედეგი კი სასჯელის შეფარდება იყო. სამძებრო (ინკვიზიციურმა) პროცესმა ყველაზე უფრო დახვეწილი სახე მიიღო ე.წ. ფეოდალურ საზოგადოებაში, აბსოლუტური მონარქიის დროს (ეს ეხება ყველა სახელმწიფოს).

რაც შეეხება **სისხლის საპროცესო სამართლის შერეულ ფორმას,** როგორც მას სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში ეძახიან, მან შეცვალა სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი. შეიძლება ითქვას, რომ სამძებრო (ინკვიზიციურ) პროცესის

შესუსტებას ხელი შეუწყო საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ. მოგვიანებით, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც მომხდარმა რევოლუციებმა უარყვეს სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი და გზა დაულოცეს სისხლის სამართლის პროცესის ე.წ. ბურჟუაზიულ ფორმას, შერეულ ფორმას.

რატომ ეწოდა სისხლის სამართლის პროცესის ამ ფორმას შერეული. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მასში შეზავებული აღმოჩნდა სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესისა და შეჯიბრებითი პროცესის ელემენტები. ამას მოჰყვა ის, რომ თვითონ სისხლის სამართლის პროცესში გამოიკვეთა ორი ძირითადი სტადია, აგებული **ორ სხვადასხვა პრინციპზე: წინასწარი გამოძიება აგებული სამძებრო პრინციპებზე,** გამოძიებას ერთპიროვნულად ანხორციელებს გამომძიებელი. წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებული არ წარმოადგენს მხარეს, ის მხოლოდ გამოკვლევის ობიექტია და **საქმის სასამართლო განხილვა,** რომელიც მიმდინარეობს საჯაროდ, ზეპირად, **შეჯიბრებითობის პრინციპის** საფუძველზე. ბრალმდებელი, როგორც მხარე სასამართლოს წარუდგენს პირის ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, ხოლო ბრალდებული, როგორც მხარე უფლებამოსილია იმართლოს თავი წაყენებული ბრალდებისაგან ან თვითონ ან დამცველის დახმარებით.

შერეული პროცესი უშვებდა შეჯიბრებითი ელემენტების გამოვლენას წინასწარი გამოძიების სტადიაზე, (მაგალითად, დამცველის დაშვება წინასწარი გამოძიების სტადიაზე). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა წმინდა შეჯიბრებით ხასიათს არ ატარებდა, მოსამართლე არ იყო მხარეთა პაექრობის პასიური მაყურებელი, იგი აქტიურად ხელმძღვანელობდა სასამართლო გამოძიების მიმდინარეობას, და მტკიცებულებებს აფასებდა შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, **სამძებრო (ინკვიზიციური) და ბრალდებითი პროცესების** ელემენტების გაერთიანება „შერევა“ იძლევა საფუძველს,

პროცესის ასეთ სისტემას ეწოდოს შერეული. მაგრამ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოსდა მექანიკურად მოხდა ორი სხვადასხვა ფორმის პროცესების ელემენტების გაერთიანება, რა თქმა უნდა არა. ელემენტები შემოქმედებითად იქნა დამუშავებული და ფაქტობრივად მიღებულ იქნა ახალი, ერთიანი პროცესის სისტემა, რომლის ძირითად პრინციპად გამოცხადდა **შეჯიბრებითობა**, თუმცაღა ინარჩუნებდა საშებრო (ინკვიზიციური) პროცესის ელემენტებს.

შერეული პროცესი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სამძებრო (ინკვიზიციურ) პროცესთან შედარებით, პროგრესული იყო იმდენად, რამდენადაც მასში აისახა ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორიცაა: სასამართლოში საქმის განხილვის შეჯიბრებითობა, ბრალდებულის უფლება დაცვაზე, საჯაროობა, ზეპირობა, ამ დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვით დიდი კულტურული წინსვლა მოხდა მართლმსაჯულების განხორციელებისა და ორგანიზაციის სფეროში.

შერეულმა პროცესმა უპირველესი ასახვა ჰპოვა საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (1808 წ) და შემდგომში გავრცელდა სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც (უპირატესად კონტინენტურ ევროპაში, გერმანიაში, იტალიაში, ავტრიაში, ბელგიაში).

შეჯიბრებითი პროცესი. სისხლის საპროცესო სამართლის ეს ფორმა უფრო თანამედროვეა და ძირითადად ადგილს იკავებს ანგლოსაქსონური სამართლის სისტემის ქვეყნებში (ინგლისი, კანადა, ავსტრალია, აშშ). ისტორიულად პროცესის ეს ფორმა ჩამოყალიბდა ინგლისში, შემდეგ გავრცელება ჰპოვა მის ყოფილ კოლონიებში, თუმცაღა უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებითი პროცესის ნიშნები ფართოდ გამოჩნდა რომანულ-გერმანული (კონტინენტური) სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობაშიც. შეჯიბრებითი პროცესისათვის დამახასიათებელია, შემდეგი სპეციფიკური ნიშნები: საპროცესო ფუნქციები გამიჯნულია ურთიერთისაგან, სასამართლო განახორციელებს მხოლოდ მართლმ-

საჯულების ფუნქციას და ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უქმნის საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის. სასამართლოში მხარეთა დავა მონათლულია, როგორც დავა სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული. მოსამართლე მხარეთა ამ დავაში მიუკერძოებელი არბიტრია, ის მხოლოდ თვალყურს ადევნებს, რომ არ დაირღვეს კამათის წესები და გამოავლინოს გამარჯვებული. სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენის საფუძველზე, თუმცაღა შენარჩუნებულია ფორმალურ მტკიცებულებათა თეორიის გარკვეული ელემენტებიც, მაგალითად, თუ ბრალდებული აღიარებს ბრალს საფუძველია გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. შეჯიბრებითობა ფიგურირებს წინასწარი გამოძიების სტადიაზეც. ასე მაგალითად, ინგლისში ბრალმდებელი დამოუკიდებლად მოიპოვებს მტკიცებულებებს და წარუდგენს მას მომრიგებელ მოსამართლეს, ეს უკანასკნელი გამოიძახებს ბრალდებულს, წარუდგენს ბრალდების დამადასტურებელ მონაცემებს და აძლევს განსაზღვრულ დროს, თავის დაცვის მიზნით შეკრიბოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები. ყველა აუცილებელ საპროცესო მოქმედებას მომრიგებელი მოსამართლე ატარებს მხარეთა (ბრალმდებლის, ბრალდებულის) მოთხოვნით. სასამართლო გამოძიება იყოფა ორ ნაწილად, პირველი ნაწილი ეთმობა ბრალმდებელს, სადაც იგი წარმოადგენს თავის მტკიცებულებებს და აქედან გამომდინარე არგუმენტაციას პირის ბრალეულობის შესახებ; მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა ბრალდებულსა და მის დამცველს, რომლებიც ბრალდების საწინააღმდეგოდ წარმოადგენენ თავის მტკიცებულებებს და მოსაზრებებს. მოსამართლე, როგორც წესი არ ერევა მათ კამათში.

სისხლის საპროცესო სამართლის ზემოთ დასახელებულმა ფორმებმა, ეს იქნება: **ბრალდებითი, სამძებრო (ინკვიზიციური), შერეული თუ შეჯიბრებითი,** თავის დროზე დიდი როლი ითამა-

შა ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის კულტურაში. ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ქმნიდნენ უფრო დახვეწილ, პროგრესულ საპროცესო ინსტიტუტებს და საფუძველს იმისა, რომ უფრო მეტი ყურადღების ქვეშ მოქცეულიყო ადამიანი, თავისი უფლებებით, თავისუფლებებით და კანონიერი ინტერესებით. მაგრამ თუ, რამდენად ხორციელდება ადამიანის უფლებების, თავისუფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვა ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობით, ეს დამოკიდებულია თვით ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, იდეოლოგიურ და მთელ რიგ გარემოებებზე. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, თუკი სისხლის საპროცესო სამართლის ხსენებული ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში გარკვეული თავისებურებებით გვხვდება, თუმცაღა ინარჩუნებენ იმ საერთო ნიშნებს, რომელიც დამახასიათებელია პროცესის ცალკეული ფორმისათვის.

§5. სისხლის საპროცესო სამართალი იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში

სისხლის საპროცესო სამართალს, როგორც სამართლის ერთერთ დარგს აქვს ნორმათა ერთობლიობა, თავისი რეგულირების საგანი, რითაც იგი განსხვავდება სამართლის სხვა დარგებისაგან. მაგრამ მიუხედავად დიდი განსხვავებისა, სისხლის საპროცესო სამართალს, როგორც სამართლის ერთიანი სისტემის შემადგენელ ნაწილს კავშირი აქვს სამართლის სხვა დარგებთან.

განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი არსებობს **სისხლის საპროცესო სამართალსა და მატერიალურ სისხლის სამართალს შორის.** მათ შორის მჭიდრო კავშირს ხაზი, რომ გაუსვან მეცნიერები შენიშნავენ ხოლმე – სისხლის საპროცესო სამართალი სისხლის სამართლის გარშე უსაგნო იქნებოდაო. ეს ნათქვამი მისაღებია, რამდენადაც მხოლოდ სისხლის სამართალი განსაზ-

ღვრავს თუ რა არის დანაშაული, რომელი ქმდება (მოქმედება ან უმოქმედება) ჩაითვალოს დანაშაულად და როგორი იურიდიული შედეგი მოჰყვეს მის ჩადენას. ხოლო სისხლის საპროცესო სამართლის ნორმებით განსაზღვრულია, როგორ, როგორი თანმიმდევრობით დადგინდეს დანაშაულის შემადგენლობის არსებობა ამა თუ იმ ქმედებაში, როგორ დადგინდეს დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირი. ზემოთ გადმოცემული, პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ნორმების გამოყენება გაძნელდებოდა სისხლის საპროცესო სამართლის გარეშე, ხოლო ამ უკანასკნელის ნორმები დაკარგავდნენ აზრს, უსარგებლო იქნებოდნენ სისხლის სამართლის ნორმების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ორივეს არსებობა ერთმანეთს ავსებს და ეფექტურს ხდის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

სისხლის საპროცესო სამართალს კავშირი აქვს სამოქალაქო საპროცესო სამართალთან. სამართლის ეს ორი დარგი აწესრიგებს მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში აღმოცენებულ ურთიერთობებს. ამიტომ მათ აქვთ მთელი რიგი მსგავსი ინსტიტუტები და პრინციპები, მტკიცების ერთნაირი საშუალებები. მათ შორის არსებულმა კავშირმა, ზოგიერთ მეცნიერს გაუღვიძა იდეა, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განსახილველად შექმნილიყო ერთიანი საპროცესო კოდექსი. არის მოსაზრება იმის შესახებაც, რომ სისხლის საპროცესო სამართალი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამოსამართლო სამართლის შემადგენელი ნაწილებია.მოსაზრებები საინტერესოა, პრობლემატური და და-. მოუკიდებელ კვლევას მოითხოვს.

სისხლის საპროცესო სამართალს უდავოდ მჭიდრო კავშირი აქვს, ისეთ იურიდიულ მეცნიერებასთან, როგორიცაა **კრიმინალისტიკა**. კრიმინალისტიკა თავდაპირველად ხომ სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა. მას მიიჩნევდნენ სისხლის სამართლის პროცესის გაგრძელებად. სიახლოვე სისხლის საპროცესო სამართალსა და კრიმინალისტიკას შორის,

შეიძლება ასეთი სიტყვებითაც გამოვხატოთ: კრიმინალისტიკა ემსახურება სისხლის საპროცესო სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის ტაქტიკურ-ტექნიკური მეთოდების შემუშავებას. თუ სისხლის საპროცესო სამართალი შეისწავლის და განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის საპროცესო წესს, ადგენს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების პროცედურულ წესს; კრიმინალისტიკა შეიმუშავებს იმ ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს, რომელთა გამოყენებითაც ცალკეული საპროცესო მოქმედება შედეგიანი ხდება. მხოლოდ და მხოლოდ სისხლისა და სისხლის საპროცესო ნორმების გამოყენებით შეუძლებელია შედეგიანი აღმოჩნდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. საპროცესო მოქმედების ჩატარებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც იგი გარკვეულ ცნობებს იძლევა ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით. ასეთი ცნობების მიღება კი შესაძლებელი ხდება, კრიმინალისტიკის მიერ მოწოდებული ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხების, მეთოდებისა და რეკომენდაციების გზით, რომლებიც რა თქმა უნდა თუ არ ეწინააღმდეგებიან საპროცესო კანონის მოთხოვნებს.

სისხლის საპროცესო სამართლისა და კრიმინალისტიკის მეცნიერების ახლო კავშირზე ისიც მეტყველებს, რომ კრიმინალისტიკის მეცნიერების მიერ შემუშავებული ტაქტიკური ხერხი ხშირად გამხდარა სისხლის საპროცესო სამართლის კუთვნილი ინსტიტუტი. ასე მაგალითად, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება, ამოსაცნობად წარდგენა პირველად კრიმინალისტიკის მეცნიერებაში აღმოცენდნენ, როგორც ტაქტიკური ხერხები, და შემდგომში მათ ასახვა ჰპოვეს სისხლის საპროცესო სამართალში დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებების სახით.

კავშირი იკვეთება **სისხლის საპროცესო სამართალსა და კრიმინილოგიას შორის.** თუ კრიმინოლოგიის ამოცანაა: დაადგინოს დანაშაულის ჩადენის მიზეზები და პირობები, შეიმუშაოს

მათი აღმოფხვრის გზები და საშუალებები, სისხლის საპროცესო სამართალი განსაზღვრავს გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების რეაგირების საპროცესო ფორმებს დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრისათვის, ამავე დროს ადგენს შესაბამისი წარდგინების ან სასამართლოს კერძო განჩინების შეტანის წესებსა და პირობებს.

სისხლის საპროცესო სამართალს კავშირი აქვს ისეთ დამხმარე იურიდიულ დისციპლინებთან, როგორიცაა: **სასამართლო მედიცინა, სასამართლო ფსიქიატრია.**

სასამართლო მედიცინა — მედიცინის მეცნიერების დარგია, მისი მიღწევები ხშირად გამოყენებადია სისხლის სამართლის საქმეთა სწორად და ობიექტურად გამოძიებისათვის და სასამართლოში საქმის განხილვისათვის. ასე მაგალითად, სიკვდილის გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად, ადამიანის ასაკის დასადგენად, სისხლის ჯგუფის განსაზღვრისათვის და ა.შ. ინიშნება ხოლმე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დროსაც გამოკვლევა უნდა ჩატარდეს საპროცესო წესებისა და საპროცესო ნორმების დაცვით. ხოლო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა კი, ისევე, როგორც ყველა სხვა სახის ექსპერტის დასკვნა ითვლება მტკიცებულების ერთ-ერთ სახედ.

იგივე შეიძლება ითქვას **სასამართლო ფსიქიატრიაზეც**. გამომძიებელი, მოსამართლე (სასამართლო) ხშირად მიმართავენ ხოლმე დასახმარებლად სასამართლო ფსიქიატრებს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წამოიჭრება საკითხი ბრალდებულის (განსასჯელის) შერაცხაობის შესახებ. აქაც პიროვნების გამოკვლევის დროს ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების დროს დაცული უნდა იყოს სისხლის საპროცესო სამართლის ნორმების მოთხოვნები და წესები. ხოლო სასამართლო ფსიქიატრის მიერ მომზადებული დასკვნა ითვლება მტკიცებულების სახედ, რომლის შემოწმებისა და შეფასების საკითხები, ასევე მოწესრიგებულია სისხლის საპროცესო სამართლით.

§6. სისხლის საპროცესო სამართალი, როგორც მეცნიერება.

სისხლის საპროცესო სამართალი, როგორც მეცნიერება იურიდიული მეცნიერების ნაწილია. იგი არის ერთიან სისტემაში მოყვანილი ცოდნა საერთოდ სისხლის სამართლის პროცესზე და სისხლის საპროცესო სამართალზე, როგორც სამართლის დარგზე. ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის საპროცესო სამართლის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანია: სისხლის საპროცესო სამართლის თეორია, რომელიც შეიმუშავებს: ა) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დემოკრატიულ პრინციპებს, ფორმებს და საშუალებას; ბ) აყალიბებს ახალ საპროცესო ინსტიტუტებს და იძლევა მათ განმარტებას; გ) შეისწავლის სისხლის საპროცესო სამართლის განვითარების კანონზომიერებას; დ) თეორიულად გაიაზრებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრაქტიკულად (რეალურად) გამოყენების შესაძლებლობას.

მაგრამ, სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერების შესწავლა ვერ მოხერხდება სრულყოფილად, თუ სწავლება დაეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ არსებული საპროცესო ნორმებისა და ინსტიტუტების აღწერას. მოქმედი საპროცესო ნორმებისა და ინსტიტუტების ყოველმხრივ შესწავლასთან, ანალიზთან ერთად უნდა მოხდეს მათი ისტორიული კუთხითაც გამოკვლევა, დანახვა, მათი სრულყოფის მიზნით. ე.ი. ახსნილი უნდა იყოს ყველა ის ობიექტური კანონზომიერება, რომელიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ საპროცესო ნორმის თუ ინსტიტუტის აღმოცენებას. მაშასადამე, სისხლის საპროცესო მეცნიერებამ უნდა ახსნას, დაადგინოს და მიუთითოს თუ რა ობიექტური გარემოებები განაპირობებენ ამა თუ იმ საპროცესო ნორმებისა თუ ინსტიტუტების მოცემული სახით ჩამოყალიბებას.

სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებამ, რომ ახსნას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის განვითარების

კანონზომიერება, სრულყოს საპროცესო ნორმებისა და ინსტიტუტების შინაარსი, უნდა მოახდინოს სხვადასხვა ქვეყნების სისხლის საპროცესო კანონმდებლობის შესწავლა, ანალიზი, მათი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადება. დაინტერესდეს ყოველივე ახალი ინსტიტუტით, დახვეწილი, სრულყოფილი საპროცესო ნორმით, რამდენად ეფექტურად მუშაობენ ისინი და უზრუნველყოფენ სისხლის სამართლის პროცესის მიზნის მიღწევას. ახალი საპროცესო ინსტიტუტის თუ დახვეწილი სამართლის ნორმის აღმოჩენა რომელიმე სხვა ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობაში იმას არ ნიშნავს, რომ იგი ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაში მექანიკურად აისახოს, მეცნიერების დანიშნულებაა ახალი საპროცესო ინსტიტუტები თუ საპროცესო ნორმები შეისწავლოს, ახსნას მათი წარმოშობის ობიექტური გარემოებანი და ისე მიუსადაგოს საზოგადოებრივ ყოფიერებას, საზოგადოების მოთხოვნებს.

სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერება ძიებაში უნდა იყოს, იკვლევდეს, ნერგავდეს და განმარტებას აძლევდეს ახალ საპროცესო ინსტიტუტებსა თუ საპროცესო ნორმებს, რეალობიდან გამომდინარე უნდა ჭვრეტდეს მოსალოდნელ საპროცესო ურთიერთობებს და საკანონმდებლო ხარვეზის თავიდან აცილების მიზნით სრულყოფდეს საპროცესო კანონმდებლობას.

დანაშაულმა, რომელმაც არ იცის სახელმწიფოს საზღვრები და ერთნაირად მიუღებელია ნებისმიერი სახელმწიფოს საზოგადოებისათვის, სასურველი იქნება თუ მის წინააღმდეგ საბრძოლველად, სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერება იზრუნებს დაახლოვოს სხვადასხვა ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთთან.

სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერებამ სრულყოფილებას, რომ მიაღწიოს ფართოდ უნდა გამოიყენოს კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებითი-სამართლებრივი, ფორმალურ-ლოგიკური, სოციოლოგიური,

სტატისტიკური და ყველა ის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მის განვითარებას და საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერების საფუძვლები მრავალი საუკუნის წინათ აღმოცენდა. ეს საფუძვლები გვხვდება როგორც ევროპის, ისე აზიის, ამერიკის ქვეყნებში. ქართული სამართლის ისტორიამაც შემოგვინახა უძველესი სამართლის ძეგლები, დაწყებული ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნით და დამთავრებული ვახტანგ VI სამართლის წიგნით, რომლებიც მეტყველებენ აღნიშნული მეცნიერების წანამძღვრების შესახებ.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასთან ერთად სრულყოფილებას მოითხოვს ყოველივე გარემომცველი, რომელიც საზოგადოებას გარს აკრავს. მათ შორის დახვეწას ითხოვს საპროცესო ნორმებიც და ინსტიტუტებიც. განსაკუთრებული ყურადღება მაინც გადატანილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფასა და დახვეწაზე. ეს ყურადღება გამოწვეულია ქვეყანაში შეცვლილი პოლიტიკური ვითარებით, რომელსაც შედეგად მოჰყვა ახალი სამართლებრივი ურთიერთობების, ახალი საპროცესო ნორმებისა და ინსტიტუტების გაჩენა, მათ კი, შესაბამისად მოითხოვეს ახლებური განმარტება და საბოლოო ჯამში ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შექმნა.

ქართველი და უცხოელი მეცნიერების პუბლიკაციებში, დისკუსიები მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუწყონ საპროცესო ნორმების, როგორც ხარისხიან კომენტარს, ისე ახალი საპროცესო ინსტიტუტების ამოქმედებას.

ამდენად, **სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერება, ესაა მოძღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის** განვითარებისა და სრულყოფის კანონზომიერებათა შესახებ.

თავი III

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედების ფარგლები

§1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება დროში

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა თუ სასამართლოში საქმის განხილვისას, დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნას იმის შესახებ რომელი საპროცესო კანონით ისარგებლოს, როგორც პროცესის მწარმოებელმა პირმა (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო) ისე პროცესის სხვა მონაწილემ (დაზარალებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა და ა.შ.). ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილი, სადაც ნათქვამია: „სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს". უპირატესობა მოქმედ, ახალ საპროცესო კანონს იმიტომ ეძლევა, რომ იგულისხმება იგი უფრო დახვეწილი შინაარსითაა წარმოდგენილი ვიდრე ძველი. ის უფრო სრულყოფილად აწესრიგებს საპროცესო მოქმედებების ჩატარების წესს და ამავე დროს, უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეთა კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზებას. ე.ი. ქმნის სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების გარანტიას.

როდესაც საუბარია მოქმედი საპროცესო კანონის გამოყენებაზე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, როდის იძენს საპროცესო კანონი იურიდიულ ძალას, როდის ამოქმედდება იგი, და სავალდებულო ხდება მისი გამოყენება. ამასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ კანონი (მათ შორის საპროცესო კანონიც

იგულისხმება), როგორც ამას ამბობს საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის მეექვსე ნაწილი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი. თუ საპროცესო კანონში მითითებულია მისი ძალაში შესვლის ვადა, ვთქვათ 2008 წლის 1 დეკემბერი, იგი მოქმედებას იწყებს ამ ვადის დადგომის დღიდან.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დროში მოქმედებასთან მიმართებაში, ყოველთვის წამოიწევს ხოლმე საკითხი – საპროცესო კანონს აქვს თუ არა უკუქცევითი ძალა, ე.ი. ვრცელდება თუ არა იგი იმ ურთიერთობებზე და ფაქტებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მის ძალაში შესვლამდე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის მეორე ნაწილი, შემდეგ განმარტებას იძლევა: „სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უმჯობესდება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მდგომარეობა“. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა მხოლოდ და მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევაში აქვს, როდესაც საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას და ამით უმჯობესდება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის მდგომარეობა. ასე მაგალითად, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საწყის ეტაპზე ითვალისწინებდა საქმის გამოძიებისას ბრალდებულის 3 თვით პატიმრობას. შემდეგში, როდესაც სსსკ-ის 162-ე მუხლში ცვლილება განხორციელდა ბრალდებულის პატიმრობის ვადა 2 თვით განისაზღვრა. თუ პირი ბრალდებულის სახით დაპატიმრებული იყო აღნიშნულ მუხლში ცვლილებების შეტანამდე და შეფარდებული ჰქონდა 3 თვით პატიმრობა, მასზე უნდა გავრცელდეს ცვლილების შემდეგ მიღებული პატიმრობის 2 თვიანი

ვადა. ან/და მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა ეჭვმიტანილის უფლებას შეხვედროდა დამცველს მარტო, დღეში არა უმეტეს ერთი საათისა. მაგრამ მას შემდეგ, როდესაც სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის დ) პუნქტში ცვლილება შევიდა, ეჭვმიტანილს უფლება მიეცა პირისპირ მარტო შეხვედრისა დამცველთან, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად. თუ პირი ეჭვმიტანილის სახით დაკავებული იყო აღნიშნულ მუხლში ცვლილებების შეტანამდე, და მას მოუსწრო ცვლილებამ 73-ე მუხლის პირველი ნაწილის დ) პუნქტში, მასზე უნდა გავრცელდეს ცვლილების შემდეგ მიღებული უფლება შეხვდეს დამცველს მარტო პირისპირ, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად. თუ აღნიშნული ცვლილებით უმჯობესდება დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის მდგომარეობა გამოდის საპროცესო კანონს მაშინ არ მიეცემა უკუქცევითი ძალა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დროში მოქმედებას უნდა დაუკავშიროთ საპროცესო კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის საკითხიც. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარება, როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხი არ იყოს გათვალისწინებული და მოწესრიგებული საპროცესო სამართლის არცერთ ნორმაში. საკითხი კი ითხოვს მოწესრიგებას, როგორი მოვიქცეთ მივმართოთ საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენებას? დასაშვებია იგი სისხლის სამართლის პროცესში? ამასთან დაკავშირებით პასუხს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეშვიდე მუხლის მეოთხე ნაწილი, სადაც ნათქვამია: „კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები“. მაშასადამე, სისხლის სამართლის პროცესი უშვებს გაუთვალისწინებელი საპროცესო ურთიერთობის

სამართლებრივი მოწესრიგებისათვის გამოყენებული იქნეს ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, თუ ამასთან ერთად არ ილახება ადამიანის უფლებები.

გარდა ამისა არის მეორე შეზღუდვაც, რომლის შესახებაც კანონმდებელი საუბრობს საქართველოს სსსკ-ის 133-ე მუხლის მეორე ნაწილში: „სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების გამოყენებისას ანალოგიის ან კანონის განვრცობითი განმარტება დაუშვებელია". კანონმდებლის ასეთი იმპერატიული აკრძალვა გასაგებია, რამეთუ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება ნიშნავს რა ადამიანის ამა თუ იმ ძირითადი უფლების შეზღუდვას, ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუ დანაშაულის სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე კანონი არ ითვალისწინებს პირის მიმართ ისეთი აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებას, როგორიცაა პატიმრობა, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული. მაგალითად, ცემისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების დროს.

§2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში

როდესაც ვეხებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედებას სივრცეში, წინა პლანზე წამოიწევს ტერიტორიულობის პრინციპი. ეს პრინციპი ჩადებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეოთხე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ნათქვამია: „დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად, სისხლის სამართლის პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად". აღნიშნული ნორმის შინაარსი საუბრობს საქართ-

ველოს კონსტიტუციასთან ერთად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურიდიულ ძალაზე კონკრეტულად განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში. კერძოდ მიუხედავად იმისა, საქართველოს ტერიტორიის რომელ ნაწილში იქნება დანაშაული ჩადენილი სამართალწარმოება განხორციელდება საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

მაგრამ, ნათელი რომ იყოს საპროცესო კანონის სივრცეში მოქმედების საკითხი, მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ რა მოიაზრება ცნებაში „ტერიტორია". მას მიეკუთვნება: ქვეყნის მთელი მიწის ტერიტორია (ხმელეთი) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში; ტერიტორიული სანაპირო წყლები (ე.ი. გარკვეული სიგანის ზღვის ზოლი), შინაგანი ნაციონალური წყლები (მდინარეები, ტბები, ხელოვნური წყალსაცავები და ა. შ.); მიწის წიაღი სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში; საჰაერო სივრცე საქართველოს სახელმწიფოს მიწისა და წყლის ტერიტორიის ზევით.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი საჰაერო თუ საზღვაო ხომალდი. აღნიშნულ ხომალდებზე თუ ჩადენილი იქნა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სამართალწარმოების დროს გამოყენებული იქნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. რა ვიგულისხმოთ კანონმდებლის ამ ბოლო გამონათქვამში. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ქართული გემი იმყოფება თურქეთის ნავსადგურში და გემზე მოხდა დანაშაული. თუ საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის დადებული იქნება საერთაშორისო ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ ასეთ შემთხვევაში საქართველოს გემზე დანაშაულის ჩადენისას გავრცელდეს

მხოლოდ თურქეთის იურისდიქცია, გამოყენებული იქნება თურქეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და არა საქართველოსი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონი აღიარებს „საყოველთაობის“ ანუ „სუყველგანობის“ პრინციპს. რომლის მიხედვითაც ქართულ გემზე, რომელიც იმყოფება თურქეთის ნავსადგურში და მასზე მოხდა დანაშაული, ამ ქმედების მიმართ გავრცელდება როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის იურისდიქცია. ე.ი. დამნაშავეს, თავისი სისხლის სამართლის კანონისა და საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებით გაასამართლებს ის სახელმწიფო, რომელსაც ხელში ჩაუვარდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი[1].

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც, თუ ეს გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიად ითვლება, ასევე მისი საელჩოს ტერიტორია უცხო სახელმწიფოში, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. თუ, საქართველოს მოქალაქე, რომელიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს, აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი მისი ოჯახის წევრები ჩაიდენენ დანაშაულს და ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაზე, მათზე გავრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოსა და რომელიმე უცხო სახელმწიფოს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სასამართლოსა თუ საგა-

1 მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2002 წ. გვ. 16.

მოძიებო ორგანოების შუამდგომლობით გარკვეული სასამართლო თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ სასამართლო მოქმდება ჩატარდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის დავალებით, ხოლო საგამოძიებო მოქმედება შესრულდება საქართველოს გენერალური პროკურორის ან მის მიერ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი პროკურორის დავალებით.

§3. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმდება უცხო სახელმწიფოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზეც.

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებიდან უნდა გამოვყოთ ის პირები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტით. ასეთი ჩამონათვალი მოცემულია საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში. მათ შორის ვენის 1961 წლის საერთაშორისო კონვენციაში დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ, ასევე ვენის 1962 წლის კონვენციაში საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, ვენის 1975 წლის კონვენციაში უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფოთა წარმომადგენლობის შესახებ. ასეთი უფლების მატარებელ პირებად შეიძლება დავასახელოთ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელები, ელჩები, დესპანები, საელჩოთა მრჩევლები, მათი ოჯახის წევრები, უცხო სახელმწიფოთა მეთაურები სხვა სახელმწიფოში ოფიციალური ვიზიტით ყოფნისას, საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციების წევრები და

ზოგიერთი სხვა. დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედება ტარდება მხოლოდ მათი თხოვნით ან თანხმობით. დაუშვებელია აღნიშნულ პირთა დაკავება, მოყვანა, დაპატიმრება. საპროცესო მოქმედებათა ჩატარების შესახებ თხოვნა ან თანხმობა, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირებისაგან გამოთხოვილ უნდა იქნეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. ასევე, დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ დაკავებულ შენობაში და ტერიტორიაზე დათვალიერება, ჩხრეკა, აძოღება და სხვა საპროცესო მოქმედებაჰ ტარდება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის თხოვნით ან თანხმობით, ეს თხოვნა ან თანხმობა გამოთხოვილ უნდა იქნეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ დაკავებულ შენობაში დათვალიერების, ჩხრეკის, ამოღების თუ სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარებისას მონაწილეობას უნდა იღებდეს პროკურორი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

შევეხეთ რა უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა დიპლომატიურ იმუნიტეტს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გავრცელების კუთხით, მიზანშეწონილია აქვე გამოვყოთ საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული წრე, რომლებიც მაღალი თანამდებობის გამო გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობენ. ამ მაღალი თანამდებობის პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი და საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლე, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო დამცველი. აღნიშნული თანამდებობის პირების პრივილეგიებით აღჭურვა განპირობებულია იმით, რომ უზრუნვე-

ლყოფილი იქნეს სახელისუფლებო შტოს დამოუკიდებლობა, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, და აქედან გამომდინარე შეიქმნას ნორმალური პირობები შესაბამისი სახელმწიფო ფუნქციის ეფექტურად განხორციელებისათვის. მაღალი თანამდებობის პირების პრივილეგიებით აღჭურვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თუ ისინი დანაშაულს ჩაიდენენ დაუსჯელნი დარჩებიან. აქ საუბარია აღნიშნული პირების მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების იმ განსაკუთრებულ წესზე, რომელიც გამოკვეთა კანონმდებელმა საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სხვა კანონებში.

ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლი შენიშნავს, რომ: საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. საქართველოს სსსკ-ის 144-ე მუხლიც დასძენს, რომ: საქართველოს პრეზიდენტის დაკავება მაშინაც კი არ დაიშვება, თუნდაც მას წაასწრონ დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე. საქართველოს პრეზიდენტის ხელშეუვალობის გარანტია არ ნიშნავს იმას, რომ თუ იგი ჩაიდენს დანაშაულს მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. რა თქმა უნდა მას პასუხისმგებლობა დაეკისრება, მაგრამ საუბარია პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესზე, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლით, კერძოდ, თუ საქართველოს პრეზიდენტი დაარღვევს კონსტიტუციას, ჩაიდენს სახელმწიფოს ღალატს და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულს, მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის

ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ-კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის წევრს, ისიც თავისი უფლებამოსილების პერიოდში სარგებლობს გარკვეული პრივილეგიებით. კერძოდ, თუ არ იქნა საქართველოს პარლამენტის თანხმობა, არ დაიშვება პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა. გამონაკლისია დანაშაულის ფაქტზე წასწრება, ასეთ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის წევრი შეიძლება დაკავებულ იქნეს და წარდგენილი პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში. მაგრამ მისი დაკავების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას პარლამენტის წევრის დაკავების თაობაზე, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობს მოსამართლე. ეს იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თუ საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლე მნიშვნელობა არა აქვს. არ დაიშვება დასახელებული სასამართლო რგოლების მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა, თუ არ იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრზე და საერთო სასამართლოს მოსამართლეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა, ხოლო სა-

კონსტიტუციო სასამართლოს წევრზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობა. გამონაკლისია მოსამართლეთა დანაშაულის ფაქტზე წასწრება, ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ ისინი არ მისცემენ თანხმობას დაკავებული ან გნებავთ დაპატიმრებული საქართველოს უზანაესი სასამართლოს წევრი ან საერთო სასამართლოს მოსამართლე ან/და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

პრივილეგიებით სარგებლობენ ასევე საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და საქართველოს სახალხო დამცველი. მათზეც ისეთივე წესები ვრცელდება, როგორიც ზემოთ დასახელებულ მაღალი თანამდებობის პირებზე. მათი დაკავების ან დაპატიმრების თუ სხვა სახის სისხლის სამართლის საპროცესო იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე თანხმობა მიღებული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტისაგან.

თავი IV

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების ცნება და სისტემა

ცნობილია, რომ კანონები ლეგიტიმურია ანუ მათ აქვთ სამართლებრივი შინაარსი იმდენად, რამდენადაც ისინი პასუხობენ სამართლის პრინციპების მოთხოვნებს. ისინი უბრალო იურიდიული იდეები კი არ არის, არამედ სამართლისა და სამართლიანობის ზოგადსავალდებულო, ობიექტურად აუცილებელი კრიტერიუმები.

„პრინციპი" ლათინური სიტყვაა და ძირითად დებულებას, საწყისს ნიშნავს. პრინციპები გარკვეული პერიოდის მანძილზე არსებობდნენ თეორიულად გაუცნობიერებლად. დროთა განმავლობაში ისინი გამოეყვნენ სამართალს როგორც განსაზღვრული იურიდიული იდეები და მათი განმტკიცება მოხდა კანონში სამართლებრივი წანამძღვრების სახით. სათანადო აღიარების მოპოვების შემდეგ აღნიშნულმა იდეებმა შეიძინეს შედარებითი დამოუკიდებლობა და ამჟამად წარმოადგენენ მოქმედი კანონმდებლობის თავისებურ ბარომეტრს.

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები არის უმნიშვნელოვანესი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესის მთელ სისტემას, მისი სტადიების შინაარსა და ფორმას, მის ბუნებასა და დანიშნულებას. ისინი უზრუნველყოფენ სამართალწარმოების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები შეიძლება განისაზღვროს როგორც კონსტიტუციითა და კანონებით განმტკიცებული ფუძემდებლური სამართლებრივი იდეები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც მთელი პროცესის, ასევე მისი ცალკეული ინსტიტუტების არსსა და მნიშვნელობას.

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს ახასიათებს გარკვეული ნიშნები: ა) სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს აქვთ ობიექტური ხასიათი. მათში ასახულია სამართლებრივი და ზნეობრივი იდეები, რაც დომინირებს საზოგადოებაში; ბ) სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები წარმოადგენენ სახელმძღვანელო დებულებებს. ყველა მათგანი სავალდებულოა პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის და სამართალწარმოებაში მონაწილე სხვა პირებისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპები წარმოადგენენ სახელმძღვანელოს კანონმდებლისათვისაც, რადგან ახალი კანონის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ისინი და უზრუნველყოს ახალი კანონის დებულებების შესაბამისობა ამ პრიპციპებთან; გ) სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები განმტკიცებული კანონში, მათ აქვთ ზუსტი ფორმულირება და იმპერატიული ხასიათი.

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების უმრავლესობა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში (ამიტომ მათ ხშირად კონსტიტუციურ პრინციპებს უწოდებენ), საქართველოს ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ (რის გამოც მათ ხშირად მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებს უწოდებენ), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (ამიტომ მათ სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს უწოდებენ) და მთელ რიგ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში.

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები ქმნიან ერთიან სისტემას. მართალია, ყველა პრინციპს აქვს თავისი შინაარსი, მაგრამ ისინი მოქმედებენ ერთმანეთთან კავშირში. თითოეული პრინციპი წარმოადგენს სხვა პრინციპის განხორციელების გარანტიას. ისინი ხშირად ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ. ამ სისტემაში შედის: კანონიერება და ადამიანის ბუნებითი უფლებები; სასამართლო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა; თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე;

უდანაშაულობის პრეზუმფცია; ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფა; პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; საჯაროობა და დისპოზიციურობა; სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა; საპროცესო შეთანხმება; სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობა; სისხლის სამართლის პროცესის ენა; საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა; მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენით; სისხლის სამართლის პროცესის უშუალობა და ზეპირობა; საპროცესო მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისუფლება.

აღსანიშნავია, რომ პრინციპების როლი ყველაზე უფრო რელიეფურად არის გამოხატული შეჯიბრებით სამართალწარმოებაში. აღნიშნულ სისტემაში შემავალი პრინციპები ყველა არ არის თანაბარმნიშვნელოვანი. არსებობს ზოგადსამართლებრივი, უნივერსალური ტიპოლოგიური და ინსტიტუციური პრინციპები.

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მე-6 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესს საფუძვლად უდევს კანონიერების, პიროვნების ხელშეუხებლობის, მისი ღირსების პატივისცემის, ჰუმანიზმის, დემოკრატიულობის, სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის ზოგადსამართლებრივი პრინციპები. დასახელებული ზოგადსამართლებრივი პრინციპებიდან, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ადგილი უკავია კანონიერების პრინციპს, რადგან იგი წარმოადგენს სხვა პრინციპების შინაარსის განმსაზღვრელს. კანონიერების ცნება ემთხვევა სასამართლო პროცედურის სამართლიანობის მოთხოვნებს, წარმოადგენს ერთგვარ ვექტორს.

რაც შეეხება უნივერსალურ ტიპოლოგიურ საწყისებს ისინი უშუალოდ შეადგენენ შეჯიბრებითობის არსს. ისინი აკონტროლებენ სამართალწარმოების ყველა ინსტიტუტებს და ამიტომ მათი გვერდის ახვევა ყოველთვის ხდის პროცესს არაშეჯიბრებითს.

ასეთ საწყისებს წარმოადგენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაცვის უფლებით უზრუნველყოფა. მათ გარეშე სამართლიანი შეჯიბრებითობა უბრალოდ შეუძლებელია. მაგრამ არიან პრინციპები, რომლებიც წარმოიშობიან ტიპოლოგიური საწყისებისაგან და მათი მოქმედების სფერო შედარებით შეზღუდულია. ისინი მართავენ სამართალწარმოების არა ყველა ინსტიტუტს, არამედ მხოლოდ ცალკეულ მათგანს. ისინი შეიძლება დავახასიათოთ როგორც სამართალწარმოების ინსტიტუციური პრინციპები. მათ მიეკუთვნება: სასამართლო განხილვის უშუალობა და ზეპირობა; მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენით. რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპს, იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ყველა პრინციპის ზოგად, საერთო საფუძველს. შეჯიბრებითობა პრინციპი არ არის მხოლოდ, არამედ ეს არის სამართალწარმოების ტიპი. ამიტომ პროცესის ყველა პრინციპს აქვს შეჯიბრებითი შინაარსი ან განიცდის მის გავლენას.

განვიხილოთ სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები ცალ-ცალკე.

1. კანონიერება და ადამიანის ბუნებითი უფლებები.

კანონიერება არის უნივერსალური ზოგადსამართლებრივი პრინციპი. იგი გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი, კერძო, კომერციული, კოოპერატიული ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ საქართველოს კონსტიტუციის, სხვა კანონების და კანონქვემდებარე აქტების განუხრელ შესრულებას.

კანონიერების პრინციპის შინაარსი მოიცავს კანონის უზენაესობას და სავალდებულობას. თავის მხრივ, კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კანონ-

იერების პრინციპის თანმიმდევრული გატარების პირობებში.

ზოგადსამართლებრივი მნიშვნელობის გარდა მოცემული პრინციპი სისხლის სამართალწარმოებაში სპეციფიკური საპროცესო შინაარსის მატარებელია. დანაშაულის გახსნა, ბრალეული პირის მხილება, მის მიმართ სამართლიანი სასჯელის დანიშვნა, უდანაშაულო პირის მსჯავრდების დაუშვებლობა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სისხლის სამართალწარმოებაში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კანონიერების პრინციპის უმკაცრესი დაცვის პირობებში.

აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სსსკ მე-7 მუხლში და მისი არსი გამოიხატება მოთხოვნაში ზუსტად და განუხრელად იყოს შესრულებული საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა კანონები გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, ფიზიკური და იურიდიული პირების და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ.

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი დადგენილია საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონმდებლობით. აღნიშნული წესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი და სავალდებულოა პროცესის ყველა მონაწილისათვის. კანონი არა მხოლოდ ავალდებულებს სისხლის სამართალწარმოების მონაწილეებს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს დაიცვან კანონის მოთხოვნები, არამედ მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობაზეც და უკანონო საპროცესო აქტის გაუქმებაზე საქართველოს კონსტიტუციისა და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.

სისხლის სამართლის პროცესში კანონიერების პრინციპი უფრო კონკრეტულად გულისხმობს პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთა მოვალეობას საქმის წარმოებისას განუხრელად დაიცვან კანონის მოთხოვნები პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, საპროცესო მოქმედებები განახორციელონ კანონის

საფუძველზე და კანონით გათვალისწინებული საპროცესო ფორმით, თავიანთ გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაუდონ მატერიალური და საპროცესო კანონის ნორმები, არ გადაუხვიონ კანონის მოთხოვნას საპროცესო იძულებითი ღონისძიების შეფარდებისას, მტკიცედ დაიცვან მტკიცებულებათა შეკრებისა და დამაგრების საპროცესო წესი, მართლმსაჯულების განხორციელებისას არ დაუშვან კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება.

წინასწარ გამოძიებაში კანონიერების პრინციპის დაცვა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს დანაშაულის სწრაფ და სრულ გახსნას, ბრალეული პირის მხილებას, მის მიცემას პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, ყველა საჭირო საპროცესო მოქმედების ჩატარებას მტკიცებულებათა შეკრებისა და გამოკვლევის მიზნით, კონკრეტულ პირთა ცნობას დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ, სამოქალაქო მოპასუხედ, მათთვის უფლება-მოვალეობების განმარტებას და ამ უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონიერების პრინციპის დაცვა გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვას კანონის საფუძველზე და კანონის შესაბამისად. ცხადია, ამ მოთხოვნის შესრულების გარეშე საერთოდ მართლმსაჯულების განხორციელებაზე საუბარი ზედმეტია. ამ პრინციპის დაცვით ხორციელდება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და კანონიერი, დასაბუთებული, სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა.

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, თუ საქმის განმხილველი მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ მის მიერ გამოსაყენებელი საპროცესო კანონი არაკონსტიტუციურია, იგი უფლებამოსილია შეაჩეროს საქმის განხილვა და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არაკონსტიტუციურად

ცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა. სისხლის სამართლებრივი დევნა სასამართლოში ჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწვეტილების მიღებამდე.

მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებს, მაგრამ არ არის გამორიცხული პრაქტიკაში აღმოჩნდეს ისეთი ურთიერთობა,. რომელიც არ არის მოწესრიგებული საპროცესო ნორმებით. ამ შემთხვევაში კანონი უშვებს ანალოგიის გამოყენებას, თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები. ამასთან საქართველოს სსსკ — 133-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ანალოგიის გამოყენება არ დაიშვება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებისას. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა კანონმდებლის მიერ სავსებით მართებულია, რადგან საპროცესო კანონმდებლობით ზოგჯერ იზღუდება ადამიანის ბუნებითი უფლებები. აღნიშნული შეზღუდვები ზუსტად არის დადგენილი კანონით და კანონითვეა განსაზღვრული მათი გამოყენების წესი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა განხორციელდეს საპროცესო კანონის უმკაცრესი დაცვის პირობებში.

დანაშაულის გახსნა და ბრალეულ პირთა მხილება სისხლის სამართლის პროცესში ხორციელდება მტკიცებულებების მეშვეობით, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არის მოპოვებული. კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებებს კი იურიდიული ძალა არა აქვს. კანონის დარღვევით მიღებულად ითვლება მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულია იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს უფლებამოსილება შეკრიბოს ისინი, ასევე თუ მტკიცებულებები მიღებულია კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან, ან მიღებულია ძალადობით, მუქარით, მოტყუებით, შანტაჟის და სხვა უკანონო მეთოდების გამოყენებით. ასეთი გზით მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად მიიჩნევა.

კანონიერების პრინციპი სისხლის სამართლის პროცესის სხვა

პრინციპებთან იმყოფება ზოგადისა და კერძოს თანაფარდობაში. ყველა პრინციპი და თითოეული ცალ-ცალკე ემსახურება კანონიერების პირდაპირ და უშუალოდ უზრუნველყოფას და თითოეული პრინციპის დარღვევა წარმოადგენს (გულისხმობს) კანონიერების პრინციპის დარღვევას. შეიძლება ითქვას, რომ კანონიერება ყოვლისმომცველი პრინციპია და მას განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართალწარმოებაში მოქმედ ზოგადსამართლებრივ პრინციპებს შორის.

2. სასამართლო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა.

სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი სახეა. იგი ხორციელდება კონსტიტუციური კონტროლის, მართლმსაჯულების განხორციელების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

სასამართლო ხელისუფლება გამოხატავს სახელმწიფოს ნებას. რადგანაც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი (საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი), სასამართლო ხელისუფლება არის ხალხის სუვერენული ნების გამოხატულება. სასამართლო ასრულებს სახელისუფლებო უფლებამოსილებას. მას გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური როლი ვლინდება იურიდიული ხელისუფლების განხორციელებაში, განსხვავებით პოლიტიკური ხელისუფლებისაგან, რომელსაც განასახიერებენ ხელისუფლების დანარჩენი განშტოებები. სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

სასამართლოს ხელისუფლების უფლებამოსილებაში შედის სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილე-

ბებისა და მოქმედებების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე კონტროლი სასამართლოში მათი გასაჩივრების შემთხვევაში. ცხადია, სასამართლო კონტროლი ხორციელდება წინასწარ გამოძიებაშიც სხვადასხვა ფორმით. კერძოდ, მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი წინასწარ გამოძიებაში პირის მიმართ ისეთი სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც ზღუდავენ პირის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. სასამართლო კონტროლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ასევე გამოძიების ან პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება მათი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში.

სასამართლო ხელისუფლების უმთავრესი ფუნქცია მართლმსაჯულების განხორციელებაა. მას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. სწორედ ისინი არიან უფლებამოსილნი დამნაშავედ სცნონ პირი და დაუნიშნონ მას სასჯელი, ხოლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენონ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია მართლმსაჯულების განხორციელების კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით, რაც ნიშნავს იმას, რომ მართლმსაჯულების განხორციელების თვით პროცედურამ უნდა უზრუნველყოს მოსამართლის თავისუფლება ნებისმიერი ზემოქმედების და ზეგავლენის მიუხედავად. სასამართლო განხილვის საპროცესო წესების დაცვა უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილებათა კანონიერებას, დასაბუთებულობას და სამართლიანობას, პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. არც ერთ სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირს უფლება არა აქვს ზედამხედველობა გაუწიოს სასამართლოს და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო წესით.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბერს მიღებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ N 12 რეკომენდაციის თანახმად, ამნისტიის, შეწყალების ან მსგავსი შემთხვევების გარდა ხელისუფლებას ან ადმინისტრაციას არ უნდა შეეძლოს რაიმე ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გაუქმებს სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალით.

საქართველოს სსსკ მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა შესაძლებელია მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პირობებში. საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხს მოსამართლე წყვეტს მხოლოდ კანონის საფუძველზე, შინაგანი რწმენის თანახმად, რომელიც მას უყალიბდება საქმის გარემოებების სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევისა და მტკიცებულებათა შეფასების შედეგად. მოსამართლე არ არის დამოკიდებული წინასწარ გამოძიებაში გამომძიებლისა და პროკურორის მიერ გაკეთებულ დასკვნებზე, ისევე როგორც არ არის დამოკიდებული საქმის განხილვისას მხარეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა განსაზღვრავს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში მოსამართლეთა ურთიერთდამოკიდებულებას. I ინსტანციის სასამართლო არ არის დამოკიდებული საკასაციო ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე, როცა უზენაესი სასამართლო აბრუნებს საქმეს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის. იგი დამოუკიდებელია არა მხოლოდ მტკიცებულებათა შეფასების, არამედ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისა და სასჯელის დანიშვნის საკითხშიც. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა გამოიწვევდა ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის ნორმატიული აქტის ძალის მინიჭებას.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნვე-

ლყოფილი არა მხოლოდ ინსტიტუციურად, გარედან ჩარევის აკრძალვით, არამედ შიგნიდან პერსონალური თავისუფლების გარანტიებით. სასამართლო კოლეგიის ყოველი მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილია თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრება ყველა განსახილველ საკითხზე. მიღებულ გადაწყვეტილებასთან უთანხმოების შემთხვევაში შეუძლია გამოხატოს თავისი განსაკუთრებული აზრი წერილობით და დაურთოს საქმეს. მოსამართლე თუ ღებულობდა მონაწილეობას ერთ ინსტანციაში იგივე საქმის განხილვისას მას უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სხვა ინსტანციაში, რადგან ის არ უნდა იყოს შებოჭილი საკუთარი შთაბეჭდილებებით, მის მიერ ადრე გამოხატული მოსაზრებებით ამ საქმის გამო.

სასამართლო ხელისუფლების უზენაესობა და დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების სამართლიანობის უზრუნველყოფის წინაპირობაა. მისი შინაარსი ღრმად დემოკრატიული, ზნეობრივი და ჰუმანურია. მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, მიუკერძოებლად საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.

ამ პრინციპის შესრულება შეუძლიათ მოსამართლეებს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით და განსაკუთრებული ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვისებებით — სიმამაცით, ხასიათის სიმტკიცით, სამართლიანობის მაღალი გრძნობით, საკუთარი დამოუკიდებლობის გაცნობიერებით, რათა წინ აღუდგნენ ნებისმიერ ზემოქმედებას და თავიანთი მოვალეობა შეასრულონ ისე, როგორც ამის მოითხოვს კანონი და შინაგანი სინდისის ხმა.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონით საერთო სასამართლოების შესახებ, ორგანული კანონით „უზენაესი სასამართლოს შესახებ“.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარანტირებულია

მოსამართლეთა კორპუსის ფორმირებისა და მათი განთავისუფლების განსაკუთრებული წესით; მოსამართლეთა ხელშეუხებლობით; მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის აკრძალვით; მართლმსაჯულების განხორციელების კანონით დადგენილი პროცედურით; სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საიდუმლოების და მისი გახმაურების დაუშვებლობის დაცვით; მოსამართლეთა უპატივცემულობის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებით; მოსამართლეთა მაღალი სტატუსის შესაბამისი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფით; მოსამართლეთა უსაფრთხოების სახელმწიფო დაცვით; მოსამართლეთა საქმიანობისათვის აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური და საინფორმაციო პირობების შექმნით; მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოების სისტემით.

აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია სასამართლო რეფორმის კონცეფცია, სადაც მითითებულია, რომ კონსტიტუციაში უნდა აისახოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების ფორმირების, მართვის, უფლებამოსილების შეწყვეტისა და სხვა საკითხების მსგავსად მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი, სასამართლო ხელისუფლების მართვის ორგანოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შექმნის წესი და ფუნქციები, სასამართლო წყობილების შეცვლის საფუძვლები, მოსამართლეთა ფინანსური უზრუნველყოფისა და სასამართლოთა ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები.

3) თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე

ეს პრინციპი ზოგადსამართლებრივი პრინციპია. იგი განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-14 მუხლში, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმო-

შობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

აღნიშნული პრინციპი მოქმედებს სრულად სისხლის სამართალწარმოებაში. მართალია, სისხლის სამართლის პროცესში არ არსებობს პიროვნების ერთიანი სტატუსი. საქმეში მონაწილე თითოეულ პირს აქვს განსაზღვრული საპროცესო სტატუსი და იგი განისაზღვრება არა ქონებრივი, სოციალური და სხვა ფაქტორებით, არამედ იმის მიხედვით თუ რომელი სუბიექტის უფლებებით არის ის აღჭურვილი, ანუ რა უფლება-მოვალეობების მატარებელია, კერძოდ, ბრალდებულის, დაზარალებულის, დამცველის, მოწმის და ა.შ.

კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპის საერთაშორისო ბაზას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მე-7 და მე-8 მუხლები, რომლებიც ფაქტობრივად ასახულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის შინაარსში. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე. რასის, ეროვნების, ენის, სქესის, სოციალური წარმოშობის, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, რწმენის, აგრეთვე სხვა გარემოებების მიუხედავად.

სხვა გარემოებებში შეიძლება ვიგულისხმოთ პოლიტიკური და სხვა შეხედულებები, ეთნიკური კუთვნილება, წოდებრივი მდგომარეობა და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის პროცესში კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპის არსი გამოიხატება იმაში, რომ არც ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობა, არც განათლება, არც რეგილიისადმი დამოკიდებულება არ ქმნიან არავითარ პრივილეგიას ან საფუძველს საქმეში მონაწილე არც ერთი პირის დისკრიმინაციისათვის და გავლენას არ ახდენენ საქმის მსვლელობაზე.

პროცესის ყველა სუბიექტი თანასწორია კანონის წინაშე. თითოეულ მათგანს თავისი საპროცესო მდგომარეობის ფარგლებში აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული საპროცესო უფლებებით და შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები. იმ პირებს, რომლებსაც ამა თუ იმ გარემოების გამო არა აქვთ სხვების თანაბარი შესაძლებლობა განახორციელონ თავიანთი უფლებები, კანონი მათთვის ადგენს დამატებით გარანტიებს, მაგალითად, დამცველის სავალდებულო მონაწილეობის, თარჯიმნის მონაწილეობის გარანტიებს და ა.შ.

კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი დაკავშირებულია სასამართლოსა და სამართლის ერთიანობის შესახებ დებულებასთან. სახელმწიფოში არ არსებობს სასამართლო, რომელიც პრივილეგიას მიანიჭებდა ცალკეული კატეგორიის პირებს ან კიდევ მათ დისკრიმინაციაზე იქნებოდა დაფუძნებული. კანონის თანახმად სასამართლო სისტემა ერთიანია. ყველა მოქალაქისათვის ერთი და იგივე სასამართლო და ასევე ერთიანი კანონმდებლობა არსებობს, რომელიც ყველას მიმართ თანაბრად გამოიყენება.

აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოების პროცესის ყველა სუბიექტი ჩაყენებულია თანაბარ პირობებში და აქვთ ერთნაირი შესაძლებლობა დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები გამოძიებასა და სასამართლოში. ამ პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია კანონიერების უზრუნველყოფა, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობა გულისხმობს იმასაც, რომ ყველა პროცესის მონაწილე ვალდებულია დაიცვას სისხლის სამართლის კანონი და მისი დარღვევისათვის იკისროს პასუხისმგებლობა. პასუხისგებაში მიცემა კი ხდება ყველასათვის საერთო-საპროცესო წესების დაცვით. მაგრამ ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი. სისხლის

სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრების და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებული წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საპროცესო კანონით და სხვა კანონებით.

აღნიშნული განსაკუთრებული წესი ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, უზენაესი სასამართლოს წევრისა და სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, სახალხო დამცველის, გენერალური პროკურორის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის მიმართ, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად სარგებლობს იმუნიტეტით.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის განსაკუთრებული წესი მდგომარეობს იმაში, რომ დასახელებული თანამდებობის პირები ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობენ და მათი პასუხისგებაში მიცემისათვის საჭიროა სათანადო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა. ეს გარემოება არ ნიშნავს აღნიშნულ პირთა მიმართ პრივილეგიის დაწესებას, არამედ წარმოადგენს გარანტიას მათი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის.

კანონის თანახმად, დაუშვებელია აღნიშნულ პირთა მიერ პრივილეგიებისა და იმუნიტეტის გამოყენება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის ასარიდებლად.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ მათზე ვრცელდება ერთიანი მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა.

4) **უდანაშაულობის პრეზუმფცია**. ეს პრინციპი ასახულია

საქართველოს კონსტიტუციაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში.

უდანაშაულობის პრეზუმფციის საკანონმდებლო ფორმულირება ასეთია: ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით (სსსკ მე-10 მუხლი, I ნაწ).

ამ ნორმაში ხაზგასმულია ტრივიალური დებულება, რომ სასამართლოა ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია ცნოს პირის დამნაშავედ და რომ პირის დამნაშავედ ცნობა შესაძლებელია ერთადერთი საპროცესო აქტით — სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არც ერთი სახელმწიფო ორგანო და არც ერთი თანამდებობის პირი არ არის უფლებამოსილი განსაზღვროს და დაადგინოს პირის ბრალეულობა. ეს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

უდანაშაულობის პრეზუმფცია არ არის პროცესის მწარმოებელი ამა თუ იმ ორგანოს თანამდებობის პირის პირადი შეხედულება, სუბიექტური მოსაზრება, არამედ წარმოადგენს ობიექტურ სამართლებრივ დებულებას. გამომძიებელი, პროკურორი, რომლებმაც ბრალდება წარუდგინეს ბრალდებულს, ცხადია, თვლიან მას ბრალეულად. მხოლოდ კანონი თვლის მას არაბრალეულად, უდანაშაულოდ.

ტერმინი „პრეზუმფცია“ პირობითი ხასიათისაა. იგი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდს, უგულვებას. იგი გულისხმობს წინასწარ დადგენილ დებულებას, რომელიც მოქმედებს მანამ, სანამ არ იქნება დამტკიცებული საწინააღმდეგო.

თანამედროვე პერიოდში „პრეზუმფციას“, „ვარაუდი“, ნაკ-

ლებად შეესაბამება, რადგან „კანონი თვლის“ და არა ვარაუდობს“.[1]

„უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი თანამედროვე გაგებით არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი პრეზუმფცია არაა. სხვა პრეზუმფციებისაგან განსხვავებით მისი უარყოფა დაუშვებელია, ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე და ყოველგვარი გამონაკლისები კანონითვეა გამორიცხული“[2].

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე სამართლებრივად და ზნეობრივად დაუშვებელია პუბლიკაციები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით : გამოსვლები, სადაც ბრალდებული წოდებულია დამნაშავედ, ხოლო წინასწარი გამოძიების მონაცემები მიჩნეულია როგორც საბოლოო.

უდანაშაულობის პრეზუმფციის მიხედვით არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე (სსსკ მე-10 მუხლის მე-2 ნაწ). აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე ბრალდებული არ არის ვალდებული მოიძიოს და წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფენ მის მიერ დანაშაულის ჩადენას ან მის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. ასეთი მტკიცებულებების მოპოვება მხოლოდ უფლებაა მისი და არა მოვალეობა. თუ ბრალდებული ვერ წარმოადგენს მისი ბრალის გამომრიცხავ ფაქტობრივ მონაცემებს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი დამნაშავეა. გამომძიებელი, პროკურორი, რომლებმაც მოახდინეს ბრალდების ფორმულირება და წარუდგინეს იგი ბრალდებულს, სწორედ ისინი არიან ვალდებულნი ამტკიცონ კიდეც ბრალდებულის მიერ

---

1 Касумов Ч.С. Презумпция невиновности в советском праве, Баку, 1984, с. 21-22.

2 ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998, გვ. 64.

დანაშაულის ჩადენა. ამასთან, პროკურორი სასამართლოში თუ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ბრალდების დასამტკიცებლად, კანონი მას აძლევს უფლებას უარი თქვას ბრალდებაზე და ასეთ შემთხვევაში სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას ან გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი.

აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარეს აკისრია არა მარტო ბრალდების მტკიცების ტვირთი, არამედ დაცვის მხარის დასაბუთების უარყოფის ტვირთიც. ცხადია, აქ საუბარია დაცვის მხარის საფუძვლიანი არგუმენტებისა და დასაბუთების უარყოფაზე.

ამასთან ერთად, საპროცესო კანონი ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის ე.წ. სპეციალურ სახეს. მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების უარყოფის ტვირთი აწევს პროკურორს, რაც შეესაბამება საერთო წესს. მაგრამ სხვა შემთხვევაში მტკიცების ტვირთი აწევს იმ მხარეს, რომელმაც შუამდგომლობა განაცხადა. მაგალითად, დაცვის მხარე თუ დააყენებს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, მანვე უნდა ამტკიცოს გაუქმების საფუძვლების არსებობა ანუ მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში აკისრია დაცვის მხარეს.

უდანაშაულობის პრეზუმფციის შინაარსი შეიცავს ასევე მეტად მნიშვნელოვან დებალებას. კერძოდ, მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

ცნობილია, რომ მტკიცებულებათა შეფასება ხდება მათი დასაშვებობის, შესახებობის, საკმარისობის და სარწმუნოობის გათვალისწინებით. თუ ბრალდებულის ბრალეულობა უტყუარი მტკიცებულებებით არ დასტურდება და მისი უდანაშაულობის

შესახებ მტკიცების პროცესში გაჩნდება ეჭვი, იგი უნდა იყოს გამოყენებული არა ბრალდებულის საზიანოდ, არამედ მის სასარგებლოდ, რადგან გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ეფუძნებოდეს ვარაუდს, ალბათობას, ეჭვებს. იგი უნდა იყოს დამყარებული მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე.

უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები თითქმის ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებლობაშია ასახული. იგი სისხლის სამართლის პროცესის ქვაკუთხედია და ამავე დროს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მყარი გარანტი[1].

5) ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლების უზრუნველყოფა.

ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაცვის უფლება — ეს არის უფლებათა ერთგვარი კომპლექსი, რაც კი მათ გააჩნიათ პროცესში, რადგან უფლება მისცეს ჩვენება, წარმოადგინოს მტკიცებულებები, აღძრას შუამდგომლობა და ა.შ. ემსახურება ბრალდებულის დაცვას სისხლის სამართლებრივი დევნისაგან.

დაცვის უფლების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტური პრინციპია. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაცვის უფლება გარანტირებულია. სწორედ ამ უფლებაში ნათლად არის გამოხატული მართლმსაჯულებისა და პიროვნების ინტერესების ურთიერთკავშირი. თუ ბრალდებულს არ ჩაუდენია დანაშაული, მაშინ

---

1 ქართველ სამართალმცოდნეებს შორის დღემდე არ არის ერთსულოვნება უდანაშაულობის პრეზუმფციის დასახელებაზე. მეცნიერთა ნაწილი მას არაბრალეულობის პრეზუმფციას უწოდებს. აღნიშნულ საკითხზე იხილეთ: გ. ნაჭყებია, დანაშაულის შემადგენლობა, როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის საფუძველი, ჟ. „სამართალი", 1992, N 8-9. ა. შუშანაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია, საიუბილეო კრებული, გივი ინწკირველი — 70, თბ., 1996; ა. კახნიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები სასამართლომდელ სტადიებზე, თბ., 1998.

დაცვის უფლება ხელს უწყობს მისთვის წაყენებული ბრალდების უარყოფას. ხოლო თუ ის ბრალეულია, მაშინ დაცვის უფლება ხელს უწყობს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამოვლენას. ამით ხორციელდება მართლმსაჯულების ამოცანების უზრუნველყოფა-ბრალეულთა მხილება და სამართლიანი დასჯა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არაბრალეულთა მიცემისა და დასჯის დაუშვებლობა.

დაცვის უფლება მოქმედებას იწყებს კონკრეტული პირის ეჭვმიტანილის სახით დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების მომენტიდან და იგი მთავრდება საპროცესო საქმიანობის და შესაბამისი საპროცესო ურთიერთობის დამთავრებასთან ერთად.

დაცვის უფლებით უზრუნველყოფის პრინციპი რეალიზდება შემდეგ ფორმებში: ა) დაცვის განხორციელება უშუალოდ ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მიერ. აღნიშნული პირები უფლებამოსილნი არიან თვითონ, უშუალოდ დაიცვან თავი წარდგენილი ბრალდებისაგან და ამისათვის გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლებები, კერძოდ, მისცენ ჩვენება ან უარი თქვან მასზე, წარადგინონ მტკიცებულებები, განაცხადონ აცილება, აღძრან შეუმდგომლობა, მონაწილეობა მიიღოს განსასჯელმა სასამართლო კამათში და გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება;

ბ) დაცვის განხორციელება დამცველის მიერ. დაკავების ან დაპატიმრებისთანავე დასაცავ პირს განემარტება სხვა უფლებებთან ერთად დამცველის აყვანის უფლება. დამცველი მოიწვევა ბრალდებულის ან მისი ახლობლებისა და ნათესავების მიერ მისი თხოვნით. ბრალდებულს უფლება აქვს ჰქონდეს შეხვედრა დამცველთან პირისპირ პირველ დაკითხვამდე, პირველი დაკითხვის შემდეგ შეხვედრების რაოდენობისა და დროის მიუხედავად გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა, რაც ეჭვმიტანილს ეხება (სსსკ 73-ე მუხლის ქვეპუნქტი); გ) გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო მოვალენი არიან

მიიღონ ზომები დამცველის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ადვოკატთა გაერთიანების მეშვეობით დანიშვნით ან იძულებითი დაცვის არსებობისას. პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია დასაცავ პირს განუმარტოს უფლებები, მისცეს შესაძლებლობა დაიცვას თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

გარდა ამისა, დაცვის უფლების უზრუნველყოფის პრინციპი მოიცავს ე.წ. დაცვის საპროცესო გარანტიებს, რაც კანონშია მოცემული. ასეთ გარანტიებს წარმოადგენს: უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს და ყოველგვარი ეჭვი განიმარტება ბრალდებულის სასარგებლოდ; კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად მიჩნევა; საუარესოდ შემობრუნების დაუშვებლობა, სააპელაციო და საკასაციო წესით სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების თავისუფლება და ა.შ.

საქართველოს სსსკ მე-11 მუხლის, II ნაწ. თანახმად, დაცვის უფლებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის გარდა პირი, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, აგრეთვე მსჯავრდებული გამამართლებელი განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაცვის უფლებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი არა მხოლოდ დასახელებული პირები, არამედ ყველა ის პირი, რომლებიც ჯერ არ იმყოფებიან ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სტატუსში, მაგ. პირი გამოძახებულია მოწმის სახით დასაკითხად, საცხოვრებელ ბინაში ტარდება ჩხრეკა და ა.შ.[1] ვერ დავეთანხმებით ავტორს, რადგან დაცვა სჭირდება მხოლოდ და მხოლოდ ეჭვმიტანილს

1 Смирнва А.В., Калиновский – Уголовный процесс, М., 2005, стр. 83.

და ბრალდებულს, ანუ პირს, რომლის მიმართაც უკვე არსებობს ეჭვი ან ბრალდება დანაშაულის ჩადენაში და მათ უპირისპირდება დაცვა, ანუ დაცვა არის სისხლის სამართლებრივი დევნის საწინააღმდეგო ფუნქცია, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პირებს სჭირდებათ იურიდიული დახმარების გაწევა, რომლებსაც მათ აღმოუჩენთ ადვოკატი.

დამცველი მოვალეა გამოავლინოს ბრალდებულის ბრალის გამამართლებელი ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და ამისათვის გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება და ხერხი. დამცველის მონაწილეობა პროცესში არ უზღუდავს დასაცავ პირს მის კუთვნილ უფლებებს. მას აქვს უფლება დამცველის მონაწილეობის პარალელურად უშუალოდ თვითონ დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისაგან და ამისათვის გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საპროცესო უფლება.

დაცვის უფლებით უზრუნველყოფის პრინციპი მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე. იგი წარმოადგენს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანის წინაპირობას. აღნიშნული პრინციპის იგნორირება წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით დარღვევას, რაც იწვევს განაჩენის გაუქმებას.

ბ) პიროვნების ხელშეუხებლობა, მისი პატივისა და ღირსების დაცვა. ეს პრინციპი განმტკიცებულია მთელ რიგ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში. კერძოდ: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლი ადგენს: „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“;

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, არავის არ შეიძლება შეეზღუდოს თავისუფლება სხვაგვარად, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში აღნიშნულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს რა ადამიანის, მოქალაქის პრიმატს, აცხადებს — „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აკონკრეტებს კონსტიტუციურ ნორმას და განვრცობილად წარმოადგენს პიროვნების ხელშეუხებლობის შინაარსს. კერძოდ, საქართველოს სსსკ მე-12 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების დაცვის უფლება.

საგულისხმოა, რომ თავისუფლება აბსოლუტური ცნება არ არის. იგი შეზღუდულია კანონით. შ. მონტესკიე წერდა: თავისუფლება არის უფლება აკეთო ყველაფერი, რაც კანონით არის ნებადართული.

კანონის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. სასამართლოს გადაწყვეტილება არ სჭირდება მხოლოდ მოკლევადიან დაკავებას, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა უმეტეს 48 საათისა. პირის დაპატიმრება ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით).

ბრალდებულის თავისუფლების ხელშეუვალობა შეიძლება შეიზღუდოს და მის მიმართ იყოს გამოყენებული წინასწარი პატიმრობა მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას, კერძოდ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი და ფაქტობრივი მონაცემები რომ ბრალდებული მიიმალება, განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას ან შემდგომში შესაძლოა კვლავ ჩაიდინოს ახალი

დანაშაული, ხელს შეუშლის გამოძიებას, გაანადგურებს მტკიცებულებებს.

კანონიერი საფუძვლის არსებობისას არის ასევე შესაძლებელი პირის თავისუფლების შეზღუდვა და მისი მოთავსება ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში. კერძოდ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი და საკმარისი ფაქტობრივი მონაცემები, რომ პირმა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში ან ასეთი ქმედების ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხადი და საჯარო უსარფთხოების ინტერესები მოითხოვს მის იზოლირებას, მოსამართლის ბრძანებით ასეთი პირი უნდა იყოს მოთავსებული სამედიცინო დაწესებულებაში.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.

დაკავებულსა და დაპატიმრებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დაკავებისა თუ დაპატიმრების მიზეზი, საფუძველი და დანაშაული, რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია ან რომლის ჩადენაც მას ბრალად ედება. ასევე უნდა განემარტოს დაკავებულსა და დაპატიმრებულს უფლება დაიცვას საკუთარი თავი პირადად ან ისარგებლოს დამცველის დახმარებით. დამცველი დაიშვება ეჭვმიტანილის დაკავების ან ბრალდებულის სახით პირის დაპატიმრების მომენტიდან. ეჭვმიტანილის დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების შესახებ გამომძიებელმა უნდა შეატყობინოს ოჯახის წევრებს.

კანონის თანახმად, მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი.

უკანონოდ და დაუსაბუთებლად თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს მისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.

რეაბილიტაციის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სსსკ 28-ე მუხლის I ნაწილის „ა-“ „დ“, „ი“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებში და იმავე მუხლის II ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით. ასეთ შემთხვევაში პირს უნდა აუნაზღაურდეს ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანი.

კანონი კრძალავს პროცესის მონაწილეთა თუ სხვა პირთა მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, აგრეთვე მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენებას.

პიროვნების ღირსებისა და პატივის ხელშეუვალობა, უპირველეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპია.

„ყოველი ადამიანს აქვს ღირსება, რის გამოც დაუშვებელია იგი იყოს რაიმე საქმიანობის ობიექტი ან ინსტრუმენტი. ღირსება გამომდინარეობს ადამიანად ყოფნისაგან. ღირსება ადამიანს არ მიენიჭება სახელმწიფოსაგან (პრეზიდენტის, პარალამენტის ან სასამართლოს მიერ). იგი იმანენტურია ადამიანად ყოფნისათვის“[1].

სსსკ მე-12 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედებების ჩატარებისას აკრძალულია პიროვნების მიმართ მეძიებლობის, მუქარის, შანტაჟის, წამების, ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის სხვა ხერხების გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულისა და დაპატიმრებულის მიმართ სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება, ძილის, წყლის, საკვების აკრძალვა ან ზღვრულ ნორმაზე მეტად შეზღუდვა, ისეთ პირობებში ჩაყენება, რომლებიც მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ლახავს მის ღირსებას.

---

1 კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ., 2003, გვ. 89, 92.

როგორც ვხედავთ, კანონი კრძალავს დაკავებული და დაპატიმრებული პირის მიმართ წამების, ძალადობის გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს გამოხატული ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების ზომების გამოყენებით, კერძოდ, იკრძალება როგორც ცემა, ფიზიკური ტკივილის მიყენება, ასევე პირის დაშინება, მისი ჩაყენება უიმედო მდგომარეობაში, სისტემატური დამცირება და შეურაცხყოფა, რაც ფსიქიკურ ტრამვას იწვევს. ცხადია, იკრძალება სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მეხსიერების დაქვეითება, აზროვნების დამახინჯება, საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

კანონის თანახმად, იკრძალება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, მათი პატივისა და ღირსების შემლახავი მეთოდების გამოყენება არა მხოლოდ დაკავებული და დაპატიმრებული პირის მიმართ, არამედ დაზარალებულის, მოწმის და პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ.

საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები, რომლებიც ეხება პიროვნების ხელშეუხებლობას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს იძულებით. საერთო წესიდან გამონაკლისი უშუალოდ კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, დაზარალებული და მოწმე იძულებით შეიძლება შეამოწმონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს შემოწმებას, დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ჩვენების გაბათილების მიზნით. მოწმისა და დაზარალებულის იძულებით შემოწმება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით (სსსკ 353-ემ). ასევე დაუშვებელია დაზარალებულისა და მოწმის იძულებითი ექსპერტიზა და ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის, გარდა ვენერიული თუ სხვა ინფექციური დაავადების დადგენისა და აგრეთვე იმ შემთხვევებისა, როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში. დაზარალებულისა და მოწმის იძულებითი ექსპერტიზაც

დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე (სსსკ 368, 379-მმ).

კანონი ცალსახად მიუთითებს რომ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებულნი არიან სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა პატივი და ღირსება, საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარებისას არ გამოიყენონ ისეთი საშუალებები და მეთოდები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან პროცესის მონაწილეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, შელახავენ მათ პატივსა და ღირსებას.

7) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

„პირადი ცხოვრების" ცნება მოიცავს ადამიანის ცხოვრების იმ სფეროს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და არ ექვემდებარება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს, თუ მას მართლზომიერი ხასიათი აქვს.

პირადი ცხოვრების სფერო – ეს არის ურთიერთდამოკიდებულება ოჯახში, – ურთიერთობა და კავშირები სხვა ადამიანებთან; პირადი დღიურების, წერილების და ჩანაწერების შინაარსი; ცხოვრების წესი და ადამიანის არსებობის ყველა სხვა გარემოება, რომელსაც თვითონ არ თვლის საჭიროდ ან შესაძლებლად გაახმაუროს; გარემოებები, რომლებიც კონფიდენციალური ხასიათისაა – შესაძლებელია იგი ეხებოდეს ადამიანის ჯანმრთელობას, სექსუალურ ორიენტაციას და ა.შ.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კონსტიტუციითა (მე-20 მუხლი) და საპროცესო კოდექსით (სსსკ მე-13 მუხ) გარანტირებული პრინციპია.

კანონის თანახმად, მიმოწერა, საფოსტო გზავნილი, პირადი ჩანაწერი, სატელეგრაფო შეტყობინება, სატელეფონო საუბარი, სხვა ტექნიკური საშუალებით გადმოცემული ან მიღებული პირადი ხასიათის ინფორმაცია ხელშეუხებელია. პირადი ხასიათის

ინფორმაციის ხელშეუხებლობა გულისხმობს კავშირის საიდუმლოებას, რაც იმას ნიშნავს რომ ინფორმაცია შეტყობინებების, საუბრების თაობაზე შეიძლება იყოს გაცემული მხოლოდ მისი გამგზავნის, ადრესატის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ. სხვა ტექნიკურ საშუალებებში შეიძლება ვიგულისხმოთ ტელეტაიპი, კომპიუტერული კავშირი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მოიცავს საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობასაც. საცხოვრებელ ბინას მიეკუთვნება: სახლი, აგარაკი, კოტეჯი და ა.შ. სხვა მფლობელობაში იგულისხმება დროებითი საცხოვრებელი ბინა, საერთო საცხოვრებელი, სასტუმრო, ფარეხი, საწყობი, დამხმარე ნაგებობა და ა.შ.

საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება, მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩხრეკა, ამოღება საფოსტო-სატელეფონო კორესპოდენციაზე, საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება და ქონების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით). თუ არსებობს კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა, აღნიშნული საპროცესო მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, მაგრამ მათი კანონიერება და დასაბუთებულობა უნდა შეამოწმოს მოსამართლემ მათ შესახებ მასალების წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მოიცავს ასევე შემოწმების, ექსპერტიზის, სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარებისას პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების გამჟღავნების დაუშვებლობას. არ უნდა გამჟღავნდეს პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ვალდებულია ხელწერილი ჩამოართვას საპროცესო მოქმედების მონაწილეს და გააფრთხილოს იგი

რათა მან არ გაამჟღავნოს აღნიშნული ცნობები. სასამართლო განხილვის დროს პირადი ინტიმური ხასიათის ცნობების გახმაურების თავიდან ასაცილებლად სხდომა შეიძლება ჩატარდეს დახურულად; ღია სასამართლო სხდომაზე კი ასეთი ცნობები შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელსაც იგი ეხება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიას წარმოადგენს: ა) პირად ცხოვრებაში თვითნებური ჩარევის დაუშვებლობა; ბ) პირის თანხმობის გარეშე კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დაუშვებლობა; გ) პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება; დ) დარღვეული უფლების სასამართლო დაცვის შესაძლებლობა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით. კერძოდ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესებული პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფისათვის (სსკ 157-ე მ.); კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევისათვის (სსკ 158-ე მ.) პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევისათვის (სსკ 159-ე მ.), ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევისათვის (სსკ 160-ე მ.).

8) საჯაროობა და დისპოზიციურობა

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პროცესი საჯარო ბუნებისაა. იგი მიეკუთვნება საჯარო სამართლის დარგს. იგი აწესრიგებს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას მოქალაქეებთან. პროკურატურის მიერ განხორციელებული სისხლის სამართლებრივი დევნისა და ბრალდების ფუნქცია სახელმწიფოს საჯარო ამოცანაა. სსსკ-ის მე-14 მუხლის თანახმად, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო, რომლებიც მოქმედე-

ბენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ვალდებულნი არიან დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი.

საჯაროობის პრინციპი გასდევს მთელი საქმის წარმოებას და უზრუნველყოფს როგორც პროცესის საერთო ამოცანების შესრულებას, ისე მისი ცალკეული სტადიების უშუალო ამოცანების განხორციელებას. სისხლის სამართლის პროცესის სტადიების ხასიათის, ფორმისა და ამოცანების გათვალისწინებით ეს პრინციპი ვლინდება სხვადასხვაგვარად.

წინასწარ გამოძიებაში საჯაროობის პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ გამომძიებელი, პროკურორი მოვალენი არიან დანაშაულის ნიშნების არსებობისას აღძრან სისხლის სამართლებრივი დევნა. კანონი ამ მოთხოვნით ავალდებულებს პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირებს იმოქმედონ მოქალაქეთა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დანაშაულთან ეფექტური ბრძოლის წარმოებით. გამომძიებელი, რომელიც ატარებს წინასწარ გამოძიებას, უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე ყველა აუცილებელი და საჭირო კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება, გამოიყენოს სათანადო საპროცესო იძულების ღონისძიებები. საჯაროობა ვლინდება იმაშიც, რომ პროკურორი, გამომძიებელი მოვალენი არიან საკუთარი ინიციატივით შეკრიბონ და გამოავლინონ მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფენ დაკავებული პირის მიმართ არსებულ ეჭვს ან ბრალდებულის მიმართ წარდგენილ ბრალდებას. ასევე მკაცრად უნდა იყოს დაცული კანონით დადგენილი წესი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც მათ მიადგათ თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედების შედეგად.

საჯაროობის პრინციპის სოციალურ – სამართლებრივი არსი ვლინდება სახელმწიფოს ინტერესების ორგანული შერწყმაში მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან. პიროვნების კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის

პროცესში გამომდინარეობს სახელმწიფოს, საზოგადოების ინტერესებიდან. მეტიც, კანონის თანახმად, პირად კანონიერ ინტერესებს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესებთან შედარებით. პროცესის მონაწილეებს განემარტებათ თავიანთი უფლებები და გამომძიებელი, პროკურორი უქმნიან მათ სათანადო პირობებს, რათა ეს უფლებები რეალურად იყოს უზრუნველყოფილი. საქმეში მონაწილე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების საჯარო-სამართლებრივ მოვალეობას და შეადგენს საჯაროობის საწყისის ელემენტს.

სასამართლოს საჯარო როლი მდგომარეობს მხარეებისათვის სათანადო პირობების შექმნაში, რათა მათ შეძლონ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების პრაქტიკული რეალიზაცია. ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ თავიანთი მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო უფლებები, გავლენა მოახდინონ როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე, ასევე სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ მე-14 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ერთგვარ უზუსტობას, რადგან მიუთითებს სასამართლოს ვალდებულებაზე დაადგინოს დანაშაული და მისი ჩამდენი პირი. მოსამართლე და სასამართლო არ არიან უფლებამოსილნი ჩაატარონ კანონით გათვალისწილებული ყველა საპროცესო მოქმედება, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული პირის შუამდგომლობით. სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო ეს უფლებამოსილება რომ განახორციელოს.

საჯაროობასთან ერთად სამართალწარმოებაში არსებობს დისპოზიციური საწყისი. დისპოზიციური (კერძო) საწყისი ვლინდება კერძო და კერძო – საჯარო ბრალდების საქმეებზე,

სადაც დაზარალებულია უფლებამოსილი დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. ამასთან თუ მხარეები შერიგდებიან კერძო ბრალდების საქმეზე გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა, როგორც წესი, წყდება. გამონაკლისს წარმოადგენს ამ კატეგორიის საქმეთა წარმოებაში პროკურორის მონაწილეობა, რაც გამორიცხავს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სისხლის სამართალწარმოებაში დისპოზიციური საწყისის მოქმედების გაფართოება გულისხმობს კანონმდებლის მიერ ყურადღების გაძლიერებას მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების მიმართ, უზრუნველყოფს საპროცესო საქმიანობაში პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების ურთიერთშერწყმას.

პროცესის დისპოზიციური საწყისი ვლინდება იმაშიც, რომ პროკურორის უარი ბრალდებაზე იწვევს სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტას ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანას თუ დაზარალებული არ ეწინააღმდეგება მას. ცხადია, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს საჯაროობის პრინციპის შეზღუდვას, მაგრამ არა უარყოფას.

კერძო ბრალდების საქმეზე სასამართლოს საჯარო როლი ვლინდება იმაში, რომ ის სახელმწიფოს სახელით ღებულობს ზომებს, რათა შერიგდნენ მხარეები და აღდგეს საზოგადოებრივი მშვიდობა. საზოგადოებრივი მშვიდობის დამკვიდრებისაკენ არის მიმართული ინგლისის, აშშ-ს, ავტრიის, იაპონიის და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება დავების ე.წ. ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროში. არაკონფლიქტური და შემრიგებლური პროცედურებიდან ყველაზე უფრო გამოკვეთილ ალტერნატივას წარმოადგენს მედიაცია. ბრალდებული და დაზარალებული სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოს ან სასამართლოს ნებართვით ცდილობენ გადაწყვიტონ კონფლიქტი მედიაციური შეთანხმების ფარგლებში და ამისათვის მიმართავენ მესამე პირს

შუამავლად. მედიაციის გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებების არსებობა, ბრალდების მიერ ბრალის აღიარება და ორივე მხარის მზადყოფნა შემრიგებლურ პროცედურებში მონაწილეობაზე. შემრიგებლური შეთანხმების საფუძველზე გარკვეული პირობების არსებობისას შესაძლებელია გამოტანილი იყოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

9) სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა

შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პრრცესის ქვაკუთხედია, რადგან პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების გამოყოფა მართლმსაჯულების ფუნქციისაგან და მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან, მხარეების აღჭურვა თანაბარი საპროცესო უფლებებით თავიანთი ფუნქციის განხორციელებისას და სასამართლოს დომინირებული როლი გადაწყვეტილების მიღებაში.

მართლმსაჯულება შეჯიბრებითია მაშინ, როცა სასამართლო განხილვის მხარეებს შეუძლიათ აქტიურად და თანაბარ საწყისებზე ამტკიცონ თავიანთი პოზიციის უტყუარობა, მოიყვანონ ამისათვის არგუმენტები, განმარტონ ფაქტები და მოვლენები, წარადგინონ მტკიცებულებები. ამასთან სასამართლო მიზანმიმართულად კონტროლს უწევს მხარეთა მოქმედებას, უზრუნველყოფს კანონით დადგენილი სასამართლო განხილვის წესების განუხრელ დაცვას.

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარეები შეიძლება დაიყოს მათ მიერ შესრულებული საპროცესო ფუნქციის მიხედვით. ბრალდების ფუნქციას ახორციელებს პროკურორი,

დაზარალებული, მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი. დაცვის ფუნქციას ახორციელებს ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, დამცველი, სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი[1]. სწორედ ჩამოთვლილი პირები არიან დაპირისპირებული მხარეები პროცესში, ხოლო საქმის გადაწყვეტის ფუნქციას სასამართლო ახორციელებს.

გასათვალისწინებელია, რომ მხარეთა თანასწორობა გულისხმობს მხოლოდ სუფთა საპროცესო ასპექტს ანუ მხარეები მხოლოდ პროცესუალურად არიან თანაბარნი, რაც გულისხმობს მხარეთა აღჭურვას თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით. კერძოდ, მათ თანაბრად აქვთ უფლება გაეცნონ საქმის მასალებს, განაცხადონ აცილება, აღძრან შუამდგომლობა, წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გაასაჩივრონ უკანონო გადაწყვეტილება. მხარეებს აქვთ ერთნაირი შესაძლებლობა გამოიყენონ სამართლებრივად დაშვებული საპროცესო საშუალებები თავიანთი პოზიციის, შეხედულებების და მოთხოვნათა დასაბუთებისათვის და მეორე მხარის მოთხოვნებისა და მტკიცებულებების გასაქარწყლებლად.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ მხარეები იმყოფებოდნენ თანაბარ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეჯიბრებითობა გადაიზრდება სისხლის სამართლებრივ ანგარიშსწორებაში. თუმცა უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მხარეები იმყოფებიან

---

1 ზ. მეიშვილისა და ო. ჯორბენაძის მიერ 2007 წელს გამოცემულ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებში (გვ. 66) აღნიშნულია, რომ თითქოს დაცვის ფუნქცია ეკისრებათ მშობელს და სხვა კანონიერ წარმომადგენლებსაც, რაც არ არის სწორი. კანონის თანახმად, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტარდება პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა შეიძლება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მშობელი ან სხვა წარმომადგენელი დაცვის ფუნქციას ახორციელებენ. მოქმედი სსსკ-ის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს მშობლების, ნათესავების, მეგობრების, საზოგად. ორგანიზაციების განთავისუფლება დაცვის მოვალეობისაგან, რაც მათ ეკისრებოდათ საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე.

მიახლოებით თანაბარ მდგომარეობაში, რადგან პროკურორის, როგორც სისხლის სამართლებრივი მდევნელის საპროცესო სტატუსი არ ემთხვევა ბრალდებულისა და მისი დამცველის საპროცესო სტატუსს. თვით სასამართლო სხდომაზეც კი, სადაც მხარეებს აქვთ გარეგნულად თითქმის იდენტური უფლებები — წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები, აღძრან შუამდგომლობა, გამოვიდნენ სასამართლო კამათში და ა.შ. — მთლიანობაში მათი საპროცესო მდგომარეობა არ ემთხვევა, რადგან მტკიცების ტვირთი აწევს ბრალმდებელს, ხოლო ყოველგვარი ეჭვი განიმარტება ბრალდებულის სასარგებლოდ.

— მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, მართალია, ერთგვარად შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც ხორციელდება წინასწარი გამოძიების სტადიაზე. შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ წინასწარ გამოძიებაში პროკურორი ახორციელებს სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქციას და თვითონვე ღებულობს საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე გადაწყვეტილებას. ბრალდებული და დამცველი განახორციელებენ დაცვის ფუნქციას ისეთ პირობებში, როცა მათ არა აქვთ მტკიცებულებათა შეგროვებისა და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა. იქ, სადაც ბრალდება და საქმის გადაწყვეტა გაერთიანებულია ერთი პირის ხელში, ცხადია, შეჯიბრებითობას ნაკლები ადგილი რჩება (თუ საერთოდ რჩება ადგილი), თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად, დაწესებულია სასამართლო კონტროლი გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს და პროცესის სხვა მონაწილეს კანონით დადგენილი წესით უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ გამომძიებლის ან პროკურორის უარი შუამდგომლობის, საჩივრისა და განცხადების დაკმაყოფილებაზე. მაგალითად, სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს სისხლის

სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება, ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სრული სახით ვლინდება სასამართლოში. სასამართლო არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. იგი მოვალეა მხარეებს შეუქმნას სათანადო პირობები მათი საპროცესო უფლებების რეალიზაციისათვის, პირველ რიგში კი მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის, თვალყური ადევნოს მხარეთა მოქმედებების კანონიერებას და უზრუნველყოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანდ არის აღნიშნული, რომ შეჯიბრებითობა ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას მაშინაც, როდესაც პროკურორი და დამცველი ერთსულოვანნი არიან განსასჯელის არაბრალეულობის შესახებ თავიანთ დასკვნებში. მათ შორის პოლემიკის არარსებობა არ აერთიანებს ბრალდებისა და დაცვის ფუნქციებს და თითოეული მათგანი საქმის გარემოებებს აშუქებს თავისი საპროცესო ფუნქციის ფარგლებში.

შეჯიბრებითობა ბრალდებისა და დაცვის მხარეთა უფლებაა — თანაბარ საწყისებზე დაიცვან თავიანთი მოსაზრებები სასამართლოს წინაშე და არა მოვალეობა ერთმანეთთან ჩაებან სამართლებრივ დავაში. ბრალდებისა და დაცვის ფუნქციების დაპირისპირება არ გულისხმობს სახელმწიფო ბრალმდებლისა და განსასჯელის კანონიერი ინტერესების დაპირისპირებას. სახელმწიფო ბრალმდებელი საქმეში იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი აღიარებს საბრალდებო დასკვნის შედგენისას დაშვებულ შეცდომებს ან სასამართლოში ბრალდების დაუმტკიცებლობას, მაგრამ არ ითავსებს დაცვის ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაშიც არ ერთიანდება ბრალდებისა და დაცვის ფუნქციები.

კანონმდებელი შეეცადა სასამართლოს მიერ განხორციელებული საქმის გადაწყვეტის ფუნქცია გაეწმინდა ბრალდებისა და დაცვის ელემენტებისაგან და ამით გადადგა ნაბიჯი წინ შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარებაში. კერძოდ, აიკრძალა სასამართლოს მიერ ახალი ბრალდების წაყენება განსასჯელის და ახალ პირთა მიმართ; დამატებით გამოძიებაში სისხლის სამართლის საქმის დაბრუნება დასაშვები გახდა მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე და არა სასამართლოს ინიციატივით; ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში, ე.ი. როცა აღარ არის დავა ბრალდებულთან, სასამართლოს შეუძლია არ გააგრძელოს მტკიცებულებათა გამოკვლევა და არ ჩაატაროს სასამართლო გამოძიება სრულად; პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ მას დაეთანხმება დაზარალებული სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი დებულება მეორეს მხრივ, არღვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რადგან უპირატესობას ბრალდების მხარეს ანიჭებს და მისი მოთხოვნა საქმის შეწყვეტის შესახებ სავალდებულო ხდება სასამართლოსათვის, მაშინ როდესაც დაცვის მხარის მიერ იგივე მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში სასამართლოს ასეთი ვალდებულება არ აკისრია. გარდა ამისა, კანონის აღნიშნული მოთხოვნა არღვევს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უნივერსალურ პრინციპსაც, რადგან, კანონის თანახმად მოსამართლე დამოუკიდებელია და შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა წარმოადგენს მხარეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის გარანტს. სწორედ ეს პრინციპი ანიჭებს განაჩენს განსაკუთრებულ დამაჯერებლობას და ამაღლებას მის სამართლებრივ მნიშვნელობას.

შეჯიბრებითობა არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცე-

სის პრინციპია, არამედ იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ტიპს. მხარეთა თანასწორობა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ერთბლიობაში ქმნიან შეჯიბრებითი პროცესის „მყარ კონსტრუქციას". შეჯიბრებითი სამართალწარმოების ყველა სხვა ინსტიტუციური პრინციპი ლოგიკურად გამომდინარეობს ამ ორი ფუნდამენტური საწყისიდან.

10) საპროცესო შეთანხმება

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საპროცესო კანონმდებლობაში XIV[1] თავის სახით იქნა შემოღებული 2004 წლის 13 თებერვალს. ამავე დროს სსსკ-ის მე-15[1] მუხლით განისაზღვრა საპროცესო შეთანხმება როგორც სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი და მისი შინაარსი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: საპროცესო შეთანხმება ხორციელდება სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით. საპროცესო შეთანხმების მიზანია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში აქტიურად ყალიბდება დაჩქარებული, სწრაფი სამართალწარმოების ტენდენცია.

სწრაფი მართლმსაჯულება გულისხმობს საპროცესო ეკონომიის უზრუნველყოფას, ე.ი. დროის, ძალების, საშუალებების დაზოგვას. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს სწრაფად და ეფექტიანად საქმეთა გადაწყვეტა და მხარეებს შეუქმნას სათანადო პირობები, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოზიციის დაცვა ზედმეტი დროისა და ფინანსური დანახარჯების გარეშე, ხელოვნური დაბრკოლების გარეშე. სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება გულისხმობს საქმის განხილვას და გადაწყვეტას უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე და უმოკლეს დროში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების არსს იგი მდგომარეობს შემდეგში: სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე

გამოაქვს განაჩენი. საპროცესო შეთანხმების საფუძველი შეიძლება იყოს შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს გენერალურ პროკურორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების მოთხოვნით, რასაც საფუძვლად უდევს ბრალდებულის თანამშრომლობა საგამოძიებო ორგანოებთან და თანამდებობის პირის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის გამოჭვლენა.

მართალია, საპროცესო შეთანხმება შედარებით ახალი ინსტიტუტია, მაგრამ მან საკმაოდ ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში და კრიტიკის მიუხედავად დიდი წარმატებით გამოიყენება. მიგვაჩნია, რომ ეს ინსტიტუტი გარკვეულ დახვეწას მოითხოვს და სათანადო ცვლილებების გათვალისწინებით შესაძლებელია შენარჩუნებული იყოს კანონმდებლობაში, მაგრამ არა როგორც სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი, რადგან იგი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის მთელ რიგ ფუნდამენტურ საწყისებს.

უპირველეს ყოვლისა, საპროცესო შეთანხმება წინააღმდეგობაშია სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობასთან. საპროცესო შეთანხმების დადებისას სრულიად იგნორირებულია დაზარალებულის ინტერესები. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლებაც არა აქვს.

საპროცესო შეთანხმება წინააღმდეგობაშია საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრულყოფილი, ობიექტური გამოკვლევის პრინციპთან. როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლოში საქმის გარემოებები უნდა იყოს გამოკვლეული ყოველმხრივ

სრულად და ობიექტურად. საპროცესო შეთანხმების დადებისათვის საკმარისია ბრალის აღიარება და აღიარების ნებაყოფლობითობაში სასამართლოს დარწმუნება. საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევა არის ჭეშმარიტების დადგენის საფუძველი. ჭეშმარიტების დადგენა წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის უშუალო მიზანს. საპროცესო შეთანხმების დადებისას კი ჭეშმარიტების დადგენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

საპროცესო შეთანხმება ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების პრინციპს, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით საკმარისი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საპროცესო შეთანხმება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის უშუალობისა და ზეპირობის პრინციპს, რომლის თანახმადაც სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განაჩენის გამოტანის შემთხვევაში კი არ წარმოებს მტკიცებულებების გამოკვლევა.

საპროცესო შეთანხმება ეწინააღმდეგება საჯაროობასა და დისპოზიციურობას. საჯაროობა მოითხოვს გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ დაადგინონ დანაშაული და მისი ჩამდენი პირი, ჩაატარონ ყველა საპროცესო მოქმედება, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული პირის შუამდგომლობით, რაც საპროცესო შეთანხმების დადებისას არ ხორციელდება. ასევე იგნორირებულია დისპოზიციურობის საწყისი, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას არ არის გათვალისწინებული დაზარალებულის ინტერესები.

საპროცესო შეთანხმება გარკვეულაწილად ეწინააღმდეგება კანონის და სასამართლოს წინაშე თანასწორობის, საპროცესო მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისუფლების და სხვა პრინციპებს.

11) სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობა

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განასხვავებს საქვეყნოობისა და საჯაროობის ცნებებს ერთმანეთისაგან და ორივე ცალ-ცალკე პრინციპის სახით არის ჩამოყალიბებული. იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა ნაწილი (მაგალითად, ა. თ. კონი, ა.პ. ჩებიშევი-დმიტრიევი, ნ.ა. ნეკლიუდოვი, მ.ს. სტროგოვიჩი) თითქმის აიგივებდა ამ ორ ცნებას პროცესში. ავტორთა ნაწილი კი (მაგალითად კ.კ. არსენიევი, ვ.ნ. პალაუზოვი, ვ.კ. სლუჩევსკი, ი.ა. ფოინიცკი) თვლიდა, რომ საჯაროობა იგივე ოფიციალურობა პროცესის დამოუკიდებელი პრინციპია, რომელსაც უნარი აქვს იარსებოს საქვეყნოობის პრინციპთან ერთად.

„ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ევროპული კონვენცია ითვალისწინებს ყოველი ადამიანის უფლებას სამართლიანად და საჯაროდ იყოს მისი საქმე განხილული. საჯაროობის ცნება ფაქტობრივად განმარტებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, სადაც ძირითადად გატარებულია აზრი, რომ საჯაროობა ეს არის ის, რაც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის, ანუ საჯაროობა გათანაბრებულია პროცესის საქვეყნოობასთან.

სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საქმის განხილვას სასამართლოში ღია სხდომაზე, საჯაროდ, საქვეყნოდ. მოქალაქეს 16 წლის ასაკიდან უფლება აქვს დაესწროს საქმის განხილვას. საქვეყნოობის პრინციპის საფუძველზე საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა შეაფასოს პროცესის მიმდინარეობა და შედეგები და ამით მოახდი-

ნოს სასამართლოს საქმიანობის თაობაზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. საქვეყნოობა უზრუნველყოფს პროცესის მწარმოებელი ორგანოს საქმიანობაზე სოციალურ კონტროლს, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლებას. როდესაც სასამართლო სხდომათა დარბაზში მხოლოდ მხარეები მონაწილეობენ და არა ფართო საზოგადოებრიობა, ეს გარემოება შეკვიბრებითობას უზღუდავს დინამიზმს და სიმძაფრეს, თითქოს მოსამართლის, პროკურორის, დამცველის პასუხისმგებლობის გრძნობა ნაკლებია. ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლო შენობის გარეგან და შინაგან იერს, გარემოს. იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ სამართალწარმოება არა მხოლოდ გულისხმობს მართლმსაჯულების განხორციელებას, არამედ უნდა გამოიყურებოდეს როგორც მართლმსაჯულება.

საქვეყნობა გულისხმობს იმასაც, რომ სასამართლო პროცესი იყოს გაშუქებული მასმედიის საშუალებებით, რაც უნდა განხორციელდეს საპროცესო კანონის ფარგლებში. სასამართლო პატივისცემითა და გაგებით უნდა მოეკიდოს მასმედიის მისწრაფებას გააშუქონ სასამართლო საქმიანობა, მაგრამ არ უნდა უშლიდეს ხელს სასამართლო პროცესის ჩატარებას და არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც სასამართლოს მიმართ ზემოქმედება.

საპროცესო კოდექსი ცვლილებების შეტანამდე (2007 წ. 11 ივლისი) უშვებდა სასამართლოში საქმის განხილვისას ფოტო, კინო, ვიდეოგადაღებას, აუდიოჩანაწერს, რადიოთი და ტელევიზიით პროცესის ტრანსლაციას სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილებების გამოყენების აკრძალვაც დაშვებული იყო სასამართლოს გადაწყვეტილებებით. ამასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეეძლოთ თავისუფლად გაეშუქებინათ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა ეხელმძღვანელათ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით.

კანონში შესული ცვლილებების შედეგად არა მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზში, არამედ სასამართლოს შენობაშიც კი საერთოდ აკრძალულია და დაუშვებელია საქმის განხილვის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ხორციელდება სასამართლოს მიერ. სასამართლო უფლებამოსილია გაავრცელოს მის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად დაშვებულია სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა სასამართლოს მიერ დადგენილი წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროცესის მონაწილეებს, სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირებს სასამართლოს წინასწარი ნებართვის საფუძველზე ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ სასამართლო სხდომის აუდიოჩაწერა, რაც შეიძლება შეიზღუდოს ასევე მოსამართლის, სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით. მართალია, ნებართვის გაცემისას არ არის კანონში მითითებული საპროცესო აქტის გამოტანის აუცილებლობაზე, მაგრამ რადგანაც შეზღუდვა მოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნებართვის გაცემა (ანუ კანონში მითითებული სასამართლოს მიერ დადგენილი წესის გამოყენება) პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს სათანადო საპროცესო გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველზე.

არის თუ არა კანონის აღნიშნული მოთხოვნა საქვეყნოობის პრინციპის შეზღუდვა?

ერთის მხრივ, ბოლო პერიოდში საქართველოს საერთო სასამართლოებში ჩატარებულმა გახმაურებულმა პროცესებმა ცხადყვეს, რომ მასმედიის მიერ ვიდეომასალის საფუძველზე განხორციელებულმა სასამართლო პროცესის გაშუქებამ ფართო საზოგადოებას მისცა შესაძლებლობა თვალყური ედევნებინა სა-

სამართლოში საქმის განხილვის დროს მიმდინარე პროცესებისადმი, ექსცესებისადმი და შეეფასებინა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობა და კანონიერება.

მეორეს მხრივ, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ვიდეომასალა, რეპორტაჟი, სიუჟეტი მასმედიის მიერ შეიძლება გამოყენებული იყოს ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის, კლანის ინტერესების საზიანოდ თუ სასარგებლოდ. უნდა ვაღიაროთ, რომ მასმედია პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მაგრამ აშკარად ზემოქმედებას ახდენს სასამართლოზე. ვიდეოკამერები, როგორც ტექნიკური გამოყენების თვალსაზრისით, ასევე ფსიქოლოგიური კუთხითაც ხელს უშლის სასამართლოს – მისი ყურადღება კონცენტრირებული იყოს მხოლოდ და მხოლოდ განსახილველი საქმის გარემოებების მიმართ. ამასთან ერთად, ტელეკამერები სხდომათა დარბაზში უნებურად იწვევენ პროცესის მონაწილეთა პირად ცხოვრებაში ფართო აუდიტორიის ჩარევას. ამიტომ დაუშვებელია პირდაპირი ტრანსლაცია სასამართლო სხდომის დარბაზიდან. დემოკრატიულობის მაღალი ხარისხი და საზოგადოების სოციალური კონტროლის აუცილებლობა არ შეიძლება დავუპირისპიროთ მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს.

სასამართლო სხდომის ფიქსაცია სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით უნდა განხორციელდეს უშუალოდ სასამართლოს მიერ და დაინტერესებულ მხარეს, თუ პროცესის სხვა მონაწილეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი მასალა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, პრესა და საზოგადოება შესაძლებელია არ იყოს დაშვებული სასამართლო განხილვის მსვლელობის მთელ მანძილზე ან მის ნაწილზე დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდი-

ნარე, ასევე თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები, ანდა მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, როდესაც საქვეყნოობით დარღვეული იქნებოდა მართლმსაჯულების ინტერესები.

საქვეყნოობის პრინციპის შეზღუდვის დასახელებული საფუძვლები მოცემულია, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოს უფლებამოსილებას ჩაატაროს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით, აგრეთვე პირადი მიმოწერის და სატელეგრაფო შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი. გარდა ამისა, მხარის მოთხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება არასრულწლოვანის დანაშაულის საქმე, სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის და სხვა კატეგორიის საქმეები, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირთა ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ, როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილისა და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა.

გარდა ამისა, დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება საგამომძიებო ორგანოების წარდგინება (შუამდგომლობა) პირის კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი საპროცესო იძულებითი ღონისძიებების და საპროცესო მოქმედებების გამოყენების მიზნით სასამართლო ბრძანებისა და დადგენილების გამოთხოვის თაობაზე, გარდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევისა. თუმცა სსსკ 160-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც შესაძლებელია სხდომის დახურვა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

მიუხედავად იმისა, საქმე ღია სხდომაზე იყო განხილული თუ დახურულ სხდომაზე, მიღებული გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობა მოიცავს არა მხოლოდ საქმის განხილვას სასამართლოში ღია სხდომაზე, არამედ შეუზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც იგი მოიცავს წინასწარი გამოძიების სტადიასაც.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქვეყნოობა გულისხმობს გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილებით წინასწარი გამოძიების მასალების გაშუქებას მასმედიის საშუალებებით, — პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით.

წინასწარი გამოძიების მონაცემების ნაადრევმა გახმაურებამ შეიძლება ხელი შეუშალოს დანაშაულის გახსნას. ამიტომ გამოძიების მონაცემები საჯარო შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ მოცულობით, როგორც ამას მიიჩნევენ გამომძიებელი და პროკურორი.

ცხადია, აღნიშნული მასალის გახმაურებისას დასახელებულმა თანამდებობის პირებმა უნდა დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.

სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება 16 წელს მიუღწეველი პირი, თუ იგი არ არის მხარე ან მოწმე. ასევე არ დაიშვება შეიარაღებული პირი, თუ ის არ არის იუსტიციის სამინისტროს საბადრაგო სამსახურის თანამშრომელი, რომლის დაშვება სხდომის დარბაზში მოხდება სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.

12) სისხლის სამართლის პროცესის ენა

საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი ადგენს, რომ სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში — აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

კანონი განსაზღვრავს რა სამართალწარმოების ენას, იმავდროულად სისხლის სამართლის პროცესის თითოეულ მონაწილეს აძლევს თავისი მშობლიური ენის გამოყენების უფლების გარანტიას.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, თუ საქმის განხილვაში მონაწილე პირმა არ იცის სამართალწარმოების ენა, მას უფლება აქვს მისცეს ჩვენება, გააკეთოს განცხადება, აღძრას შუამდგომლობა, შეიტანოს საჩივარი, გამოვიდეს სასამართლოში მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც უკეთ იცის. ამასთან პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის, ან არასათანადოდ იცის პროცესის ენა დაენიშნება თარჯიმანი. თარჯიმნის ხარჯებს სახელმწიფო აანაზღაურებს.

სამართალწარმოების ენის არ მცოდნედ ითვლება პირი, რომელსაც არ ესმის ან ცუდად ესმის სამართალწარმოების ენა და არ შესწევს უნარი თავისუფლად განმარტოს მოცემულ ენაზე ესა თუ ის ტერმინები ან გარემოებები, რაც დაკავშირებულია საქმის წარმოებასთან.

სამართალწარმოების ენის არ მცოდნე პირის თარჯიმნით უზრუნველყოფაზე უარის თქმა განიხილება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა. თარჯიმანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს სამართალწარმოების ენას და იმ ენას, რომელიც პროცესის მონაწილისათვის მშობლიურია ან რომელიც მან უკეთ იცის. თარჯიმანის შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს ხარჯზე. დაუშვებელია პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირის მიერ თარჯიმნის მოვალეობის შესრულება.

მართალია, საპროცესო დოკუმენტები უნდა იყოს შედგენილი სახელმწიფო ენაზე, მაგრამ მათი ასლები ბრალდებულს, განსასჯელს და პროცესის სხვა მონაწილეს უნდა გადაეცეს თავის მშობლიურ ენაზე, ან იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მან უკეთ იცის. როცა განაჩენი ცხადდება იმავდროულად უნდა იყოს ის თარჯიმნის მიერ გადათარგმნილი განსასჯელის მშობლიურ

ენაზე, ან იმ ენაზე, რომელიც მან უკეთ იცის.

საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებში თარჯიმნის მონაწილეობა უზრუნველყოფს სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, იმავდროულად კი ხელს უწყობს პროცესის მწარმოებელ ორგანოს მიიღოს სრული და ზუსტი ინფორმაცია დასაკითხი პირისაგან, განმარტების, ჩვენების მიმცემი პირისაგან.

კანონმდებელი მხედველობაში იღებს იმას, რომ თარჯიმნის დახმარებითაც კი ძალზე ძნელია საკუთარი თავის დაცვის უფლების განხორციელება იმ პირისათვის, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა, ამიტომ სავალდებულო წესით უშვებს დამცველის მონაწილეობას როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო განხილვის დროს.

სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელების პრინციპი გულისხმობს იმასაც, რომ გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე მოვალენი არიან კარგად ფლობდნენ სახელმწიფო ენას. ენის არ ცოდნა ან არასათანადოდ ცოდნა მათ ხელს უშლის ჯეროვნად შეასრულონ თავიანთი საპროცესო მოვალეობები თარჯიმნის დახმარებითაც კი და ართმევს შესაძლებლობას მოსამართლეს მონაწილეობა მიიღოს სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღებაში, სადაც თარჯიმნის შესვლა დაუშვებელია.

სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელების პრინციპი შესაძლებელს ხდის ყველა მოქალაქისათვის იყოს ხელმისაწვდომი და გასაგები სისხლის სამართალწარმოება. იგი ამავე დროს წარმოადგენს საქმეში მონაწილე ყველა პირის კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის გარანტიას მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა, იგი ასევე წარმოადგენს პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიასაც. სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელების პრინციპი წარმოად-

გენს ეროვნული თანასწორობის სახელმწიფოებრივი გარანტიის გამოვლენას. ამავე დროს, იგი ქმნის საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის პირობებს, უზრუნველყოფს საქვეყნოობის, ზეპირობის, მხარეთა თანასწორობის, შეჯიბრებითობის და სხვა საწყისების რეალიზაციას.

13) საქმის გარემოებების ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებულნი არიან უტყუარად დაადგინონ მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. საქმის გარემოებების გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული.

აღნიშნული პრინციპის მოქმედება ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე — როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლოში.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევა გულისხმობს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების, გარემოებათა ცალკეული მხარეების და საქმესთან კავშირში მყოფი, შესახები მტკიცებულებების გამოკვლევას. ყოველმხრივი გამოკვლევა მოიცავს ასევე საქმეზე ყველა შესაძლებელი ვერსიის წამოყენებას და შემოწმებას, რაც ხელს უწყობს საქმის გამოძიების მიმართულების განსაზღვრას და იძლევა შესაძლებლობას თავიდან იყოს აცილებული ცალმხრივობა საქმის წარმოებაში.

საქმის გარემოებების სრული გამოკვლევა გულისხმობს მტკიცების საგანში შემავალი ყველა გარემოების დადგენას. საქმის გარემოებების სრული გამოკვლევა მოიცავს ყველა იმ პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ბრალდებულთან ერთად, თანამონაწილეობით,

ასევე ბრალდებულის მიერ ჩადენილი ყველა ქმედების, ქმედების ცალკეული ეპიზოდების დადგენას. საქმის გარემოებების სრული გამოკვლევა ასევე გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ხერხის, საშუალების, მოტივის განსაზღვრასაც. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არასრული გამოკვლევა იწვევს განაჩენის გაუქმებას.

საქმის გარემოებების ობიექტური გამოკვლევა გულისხმობს იმას, რომ თანაბრად იყოს გამოკვლეული ბრალდებულის როგორც მამხილებელი და მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, ასევე ბრალდებულის გამამართლებელი და მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. ობიექტურობა სამართლებრივი და ზნეობრივი მოთხოვნაა. იგი გულისხმობს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიუკერძოებლობას, მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებას საქმის ფაქტობრივი მასალის მიხედვით და გამორიცხავს მათი მხრიდან სუბიექტივიზმს, ტენდენციურობას, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ საბრალდებო გადახრამდე.

აღნიშნული პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დამცველის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობის, დანაშაულის გამოძიების ან სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების სხვა დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს.

საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა გამორიცხავს მტკიცების პროცესში უკანონო და არაზნეობრივი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, ბრალდებულისაგან ან პროცესის სხვა სუბიექტებისაგან ჩვენების ჩამორთმევას ძალადობის, მუქარის, შანტაჟის და სხვა უკანონო მეთოდების გამოყენებით.

გამომძიებელი, პროკურორი მოვალენი არიან მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები საქმის გარემოებების ყოველმხრივი,

სრული, ობიექტური გამოკვლევის უზრუნველსაყოფად, რათა საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგინდეს იმ სახით, როგორც მათ ჰქონდათ სინამდვილეში ადგილი. სასამართლო ინარჩუნებს რა ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს ბრალდებისა და დაცვის მხარეებს საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის სათანადო პირობებით, მათ შორის მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობით.

გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიუკერძოებლობა გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული თანამდებობის პირები არ უნდა იყვნენ დაინტერესებული საქმის შედეგით, რაც გამორიცხავს მათ მონაწილეობას სამართალწარმოებაში.

აღსანიშნავია, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის რეალიზაცია პრაქტიკულად პრობლემატური იქნებოდა კანონი პროცესის მწარმოებელი ორგანოსაგან რომ არ მოითხოვდეს საქმის გარემობების ყოველმხრივ, ობიექტურ და სრულ გამოკვლევას. თავის მხრივ, აღნიშნული პრინციპის დაცვის გარანტიას წარმოადგენს ბრალდების მტკიცების მოვალეობის ბრალდებულისათვის დაკისრების აკრძალვა.

საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევის პრინციპი უდევს საფუძვლად სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანებასა და გამოყოფას, პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას, საბრალდებო დასკვნის შედგენას, განაჩენის გამოტანას.

საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევა უზრუნველყოფს საქმეზე კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, საქმეში მონაწილე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია საქმის გარემოებების, ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოკვლევა არის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შეუცვლელი წინაპირობა.

14) მტკიცებულების შეფასება შინაგანი რწმენით

მტკიცებულებათა შეფასება მტკიცების პროცესის ერთ-ერთი ეტაპია. მტკიცების პროცესი არის შემეცნების პროცესი, სადაც დგინდება ჭეშმარიტება. მტკიცების პროცესის ელემენტები — მტკიცებულებათა შეკრება, დამაგრება, შემოწმება და შეფასება, ურთიერთკავშირშია, ერთი მთლიანი პროცესია. პრაქტიულად წარმოუდგენელია მტკიცებულებათა შეკრება, დამაგრება და შემოწმება მათი შეფასების გარეშე.

უნდა ითქვას, რომ მტკიცებულებათა შეფასება არ არის მხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა მონოპოლია. მტკიცებულებებს აფასებენ როგორც პროცესის მწარმოებელი სახელმწიფო ორგანოს თანამდებობის პირები, ასევე პროცესის ის მონაწილენიც, რომელთაც დამოუკიდებული საპროცესო ინტერესი გააჩნიათ საქმეში (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მათი დამცველი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენელი). ამასთან გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეზე მიიღება გადაწყვეტილება, ხოლო პროცესის დანარჩენი მონაწილეების მიერ მტკიცებულებათა შეფასება ქმნის ბაზას საჩივრის, განცხადების, შუამდგომლობის შედგენისათვის.

მტკიცებულებათა შეფასება ეს არის სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტების აზრობრივი საქმიანობის შედეგი, რომელიც მოიცავს მტკიცებულებათა შესახებობის, დასაშვებობის, უტყუარობის და საკმარისობის დადგენას.

მტკიცებელებათა შესახებობა გულისხმობს მის დამოკიდებულებას სისხლის სამართლის საქმესთან. მოცემული საქმის შესახებია მტკიცებულება, რომელიც ნათელს ჰფენს საქმის თუნდაც ერთ რომელიმე გარემოებას, ერთ დეტალს და აქედან გამომდინარე კავშირშია ამ საქმესთან.

მტკიცებულებათა დასაშვებობა გულისხმობს მის ვარგი-

სიანობას. უვარგისია, დაუშვებელია მტკიცებულება, თუ მისი მოპოვებისას დარღვეულია საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირის დადგენილებით და იგი საქმიდან უნდა იყოს ამოღებული.

მტკიცებულებათა უტყუარობა გულისხმობს მის საიმედოობას, სარწმუნოობას. უტყუარია მტკიცებულება, რომლის სარწმუნოობის ხარისხი მაღალია.

მტკიცებულებათა საკმარისობა განსაზღვრავს მტკიცების ფარგლებს. საკმარისობა მხოლოდ მტკიცებულებათა რაოდენობას არ გულისხმობს. იგი მტკიცებულებათა თვისობრივ მახასიათებელსაც წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, საკმარისობა წმინდა შეფასებითი კატეგორიაა. არის თუ არა საკმარისი საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად – პროცესის მწარმოებელმა ორგანომ და თანამდებობის პირმა უნდა შეაფასონ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით. რწმენა არ არის არც ინტუიცია, არც ვარაუდი. რწმენა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განიხილება როგორც გარე სამყაროს შემეცნების შედეგი. პროცესუალისტები განიხილავენ რწმენას „შინაგანთან“ ერთად, როგორც მტკიცებულებათა შეფასების მეთოდს, საშუალებას, კრიტერიუმს, როგორც მტკიცებულებათა შეფასების შედეგს.

მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენით არ ნიშნავს მტკიცებულებათა შეფასებას სუბიექტური მოსაზრებებისა და პირადი შეხედულებების საფუძველზე. შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ გამოკვლევასა და შესწავლას. ამასთან სისხლის

სამართლის პროცესში განსაზღვრულია მტკიცებულებების თავისუფალი შეფასება. რაც იმას ნიშნავს, რომ პროცესის მწარმოებელი ორგანოს ერთი თანამდებობის პირის მიერ მტკიცებულებების შეფასების შედეგი სავალდებულო არ არის მეორე პირისათვის. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ცალცალკე, დამოუკიდებლად აფასებენ ყველა მტკიცებულებებს.

სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები მტკიცებულებათა შეფასებისას ხელმძღვანელობენ კანონით და მართლშეგნებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას უნდა იყოს გამოყენებული საპროცესო კანონის ნორმები. აუცილებელია მტკიცებულებათა შეფასების სუბიექტს ჰქონდეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის სათანადო ცოდნა და მისი ანალიზისა და განზოგადების უნარი.

კანონის თანახმად, არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს პრიორიტეტული მტკიცებულება. იყო პერიოდი, როცა ექსპერტის დასკვნას, ბრალის აღიარებას უპირატესობა ენიჭებოდა. ცხადია, ეს შეცდომა იყო. ბრალის აღიარება ცალსახად არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაული ბრალდებულის მიერ არის ჩადენილი, რადგან ბრალის აღიარებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა მოტივით, კერძოდ, უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის დაფარვის გამო, ახლობელი ადამიანის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით, კრიმინალური ავტორიტეტის სახელის დამკვიდრების მოტივით, ანგარების, მუქარის, შანტაჟის გამო და ა.შ. ამიტომ ბრალის აღიარების შემთხვევაში საქმის გარემოებები უნდა იყოს გამოკვლეული სრულად და ყოველმხრივ ისევე, როგორც ბრალის უარყოფის შემთხვევაში. კანონის თანახმად, ბრალის აღიარება, თუ ის არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით, საკმარისი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა

ერთობლიობას. ყველა მტკიცებულება უნდა იყოს შეფასებული როგორც ცალ-ცალკე, იზოლირებულად, ისე მთლიანობაში საქმეზე შეკრებილ ყველა მასალათა ერთობლიობაში.

მტკიცებულებათა შეფასება ერთობლიობაში არ ნიშნავს იმას, რომ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ზოგად შთაბეჭდილებას, არამედ იმას, რომ არ არის გამორჩეული არც ერთი მათგანი. განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ უნდა დაასაბუთოს რატომ არ ეთანხმება ამა თუ იმ მტკიცებულებას, ან რატომ ულევს განაჩენს საფუძვლად სხვა მტკიცებულებას.

მტკიცებულებათა შეფასება უნდა იყოს დამყარებული საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულ, ობიექტურ; გამოკვლევაზე. მტკიცებულებათა შეფასებაზეა დამოკიდებული ძირითადი საპროცესო გადაწყვეტილებების (ბრალდების წაყენება, აღკვეთის ღონისძიებების შერჩევა, შეცვლა, გაუქმება, წინასწარი გამოძიების შეჩერება, შეწყვეტა, საბრალდებო დასკვნის შედგენა, განაჩენის შედგენა) მიღება.

მტკიცებულებათა შეფასება შინაგანი რწმენით წარმოადგენს გამომძიებლის და პროკურორის მიერ კანონით დადგენილ ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებლობის ერთ-ერთ წინაპირობას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მათი მხოლოდ კანონისადმი დაქვემდებარების პრინციპის რეალიზაციის წინაპირობას.

15) სისხლის სამართლის პროცესის უშუალობა და ზეპირობა

სისხლის სამართლის პროცესის უშუალობა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ვალდებულებას საქმის წარმოებისას უშუალოდ, თვითონ დაკითხონ ბრალდებული, განსასჯელი, დაზარალებული, მოწმე; შეისწავლონ და მოისმინონ ექსპერტის დასკვნა, შეამოწმონ ნივთიერი მტკიცებულება. სასამართლომ განაჩენს საფუძვლად უნდა

დაუდოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც უშუალოდ გამოიკვლია და განიხილა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. მტკიცებულებათა გამოკვლევა სასამართლოში უნდა განხორციელდეს სასამართლოს სრული შემადგენლობით. დაუშვებელია ერთ-ერთ მოსამართლეს დაევალოს რომელიმე სასამართლო მოქმედების ჩატარება.

უშუალობის პრინციპის ძალით პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირმა უშუალოდ უნდა აღიქვას ყველა მტკიცებლება და უშუალოდ უნდა შეაფასოს ისინი.

უშუალობის პრინციპი მოიცავს მოთხოვნას, რომ გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ ფაქტობრივი მონაცემები მიიღოს პირველწყაროდან, პირადად გამოიკვლიოს ისინი და ასევე უშუალოდ გამოიყენოს საქმეზე თავისი დასკვნების დასასაბუთებლად. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ და თანამდებობის პირმა უშუალოდ უნდა დაკითხოს თვითმხილველი მოწმე, უშუალოდ უნდა გამოიკვლიოს დოკუმენტის დედანი, ნივთიერი მტკიცებულებები. პირველწყაროდ უნდა იყოს მიჩნეული არა მხოლოდ დოკუმენტის დედანი ან საგნის ორიგინალი, არამედ პირი, რომელმაც შეადგინა დოკუმენტი, წარადგინა მოცემული საგანი. პირველად მტკიცებულებებს უფრო მეტი სიზუსტე და საიმედოობა ახასიათებს, ვიდრე ნაწარმოებ მტკიცებულებებს, რადგან ისინი ყოველთვის გაშუალებულნი არიან და მათი გამოყენება ყოველთვის ზრდის არასრული ინფორმაციის მიღების ალბათობას, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა პირველადი მტკიცებულებები მიუწვდომელია სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს ნაწარმოები მტკიცებულებები.

უშუალობის პრინციპი მოიცავს სასამართლოში საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებისა და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებით. მოცემული ოქმები ასახავენ გამომძიებლის მიერ სხვადასხვა მოქმედებათა აღქმის შედეგებს და წარმოადგენენ პირველად მტკიცებულებებს. გამოკვ-

ლევისა და გამოქვეყნების გარეშე სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს ამ მტკიცებულებებს განაჩენში. უშუალობის პრინციპის ძალით საქმის განხილვა უნდა მიმდინარეობდეს სასამართლოს უცვლელი შემადგენლობით და უწყვეტად[1], რაც უზრუნველყოფს მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა აღქმის მთლიანობას და ხელს შეუწყობს მისი შინაგანი რწმენის სწორად ფორმირებას.

აღნიშნული პრინციპის მეშვეობით მხარეები შედიან უშუალო კონტაქტში ერთმანეთთან და სასამართლოსთან, ეძლევათ რეალური შესაძლებლობა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ყველა მტკიცებულების გამოკვლევაში, რომლებიც, შეიძლება დაედოს საფუძვლად განაჩენს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად უშუალობის პრინციპიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კერძოდ, სსსკ 473-ე მუხლის თანახმად თუ განსასჯელმა თავი დამნაშავედ სცნო და ეს აღიარება ნებაყოფლობითია, არ იწვევს სასამართლოს ეჭვს და მხარეებიც არ არიან წინააღმდეგნი, სასამართლო გამოძიება შეიძლება არ ჩატარდეს და სასამართლო გადავიდეს სასამართლო კამათზე. ასევე, კანონში 2006 წლის 28 აპრილს შესული ცვლილებებით სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაიშვება მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი საქმისათვის ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა ცალკეული გამონაკლისისა. უშუალობის პრინციპის შეზღუდვა სააპელაციო ინსტანციაში, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად აზრს

1 სამწუხაროდ, მოქმედი კანონმდებლობით სასამართლო განხილვის უწყვეტობის პრინციპი გაუქმებულია. არადა უწყვეტობის პრინციპის მიხედვით სასამართლოს უშუალოდ უნდა აღექვა და დაემახსოვრებინა მხოლოდ მოცემული საქმის მასალები და ამ საქმის განხილვის უშუალო შთაბეჭდილებით უნდა შესულიყო სათათბირო ოთახში.

უკარგავს გასაჩივრებას, რადგან აპელაცია არსებითად საქმის ხელახლა განხილვას გულისხმობს.

უშუალოობასთან ერთად სსსკ მე-20 მუხლით რეგლამენტირებული ზეპირობის პრინციპი.

ზეპირობა წარმოადგენს პროცესის მონაწილეთა კონტაქტის ფორმას ერთმანეთთან და პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან.

კანონის თანახმად, წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვის დროს დაკითხული პირი ჩვენებას იძლევა ზეპირად. დაკითხვაც ხორციელდება ზეპირად. ჩვენება ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.

მართალია, ზეპირობა გამოიყენება წინასწარ გამოძიებაშიც, მაგრამ იგი სრულად ვლინდება სასამართლოში. ზეპირობის პირობებში უფრო მეტი შესაძლებლობაა სასამართლომ შეინარჩუნოს ობიექტურობა და დამოუკიდებლობა ამასთანავე, უფრო სრულად რეალიზდება მხარეთა თანასწორობაც, რადგან მხარეები როცა პროცესში პირისპირ იმყოფებიან ზეპირი ფორმა ხდება მათი ურთიერთობის ყველაზე ხელსაყრელი საშუალება.

სასამართლო განხილვის ზეპირობა გამოიხატება იმაშიც, რომ მტკიცებულება მოსამართლემ უნდა აღიქვას ზეპირად და იგი ასევე ზეპირად უნდა იყოს განხილული პროცესის მონაწილეთა მიერ. სასამართლო მოქმედებათა წერილობითი გაფორმება (ოქმის შედგენა) კი ხელს უწყობს მათ სწორად ფიქსაციას და ეხმარება ზემდგომ სასამართლოს შეამოწმოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა.

ზეპირობა განსაზღვრავს პროცესის სუბიექტების ურთიერთობას, წარმოადგენს მათი სასამართლოსადმი მიმართვის ფორმას და მტკიცებულებათა გამოკვლევის მეთოდს. ამ პრინციპის ძალით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა მასალა, ყველა საპროცესო მოქმედება, სასამართლო სხდომაზე წამოჭრილი ყველა საკითხი გადმოიცემა ზეპირი ფორმით. სასამართლომ უნდა მოისმინოს ზეპირად ჩვენებები, მხარეთა განმარტებები, განცხადებები,

შუამდგომლობები, გამოქვეყნებული ოქმები და სხვა დოკუმენტები, ასევე საბრალდებო და დაცვითი სიტყვები, განსასჯელის საბოლო სიტყვა.

რაც შეეხება ოქმების და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნებას, ამ შემთხვევაში ზეპირობის პრინციპი უშუალობის პრინციპს ერწყმის. ამასთან ზეპირობის პრინციპი გულისხმობს იმასაც, რომ ფაქტობრივი მონაცემები შეძლებისდაგვარად უნდა გამომდინარეობდეს მტკიცებულებათა წყაროდან ზეპირად და არა მხოლოდ დოკუმენტიდან, რომელსაც შენარჩუნებული აქვს წერილობითი ფორმა. როცა ნივთიერი მტკიცებულებებია საქმეში, უნდა დაიკითხოს ის პირი, რომელმაც წარადგინა საგანი, ნივთი ან მიიღო მონაწილეობა მათ აღმოჩენაში და ამოღებაში, რადგან ფიზიკური პირის სიტყვიერი განმარტების გარეშე საგანი, ნივთი არასაკმარისად ინფორმაციული იქნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამაროთლოს განაჩენი უნდა იყოს დაფუძნებული მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო პროცესზე. ასეთი გამოკვლევა კი უნდა მოხდეს ზეპირი ფორმით. ამასთან კანონი უშვებს ზეპირობის პრონციპის შეზღუდვასაც. კერძოდ, მოყვანის შესახებ (სსსკ 175-ე მ. მე-4 ნაწ.), ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ (სსსკ 197-ე მ.) სასამართლო ბრძანების გამოტანის თაობაზე შუამდგომლობა სასამართლოს მიერ განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში სასამართლოში წესრიგის დარღვევის შესახებ მოსამართლის განკარგულებაზე საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე (სსსკ 208-ე მ.); სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს საჩივარს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ასევე საჩივარს მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე (სსსკ 529-ე მ.).

სისხლის სამართლის პროცესის უშუალობა და ზეპირობა წარმაოდგენს შეჯიბრებითობისა და საქვეყნოობის პრინციპის რეალიზაციის საშუალებას.

16) საპროცესო მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების თავისუფლება.

გასაჩივრების თავისუფლება საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპია. იგი გათვალისწინებულია მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის მე-5 მეხლში.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია ითვალისწინებს ნებისმიერი პირის უფლებას მიმართოს ევროპულ სასამართლოს (რომელიც მდებარეობს სტრასბურგში) სიჩივრით. აღნიშნული სასამართლო საჩივარს განსახილველად იღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოყენებული იყო დაცვის ყველა საშუალება 6 თვის განმავლობაში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. საქმე განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე საჯაროობის პრინციპის დაცვით.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს გარანტირებული აქვს მისი უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო დაცვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით არაერთხელ მიიჩნია არაკონსტიტუციურად გასაჩივრების თავისუფლების შეზღუდვის გამო სსსკ-ის ნორმები, რის საფუძველზეც ამჟამად დაიშვება სასამართლო წესით გასაჩივრება, კერძოდ, საქმის შეწყვეტის, ქონებაზე ყადაღის დადების, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევისა და მოსამართლის შეურაცხყოფისათვის დაპატიმრების გამოყენებისას მიღებული გადაწყვეტილებების და ა.შ.

სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ამცირებს სასამართლო შეცდომების ალბათობას და კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც არის სასამართლოში მიმართვის და

შესაბამისად გასაჩივრების უფლება გარანტირებულია კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს მოქმედება და გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის მიერ.

პროცესის მწარმოებელი ორგანო არა მხოლოდ მოვალეა განუმარტოს ეს უფლება პროცესის სუბიექტებს, არამედ უზრუნველყოს კიდეც ისინი ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობით.

გასაჩივრების თავისუფლება მოქმედებს როგორც სასამართლოში, ასევე წინასწარ გამოძიებაში. მაგალითად, გამომძიებლის მოქმედება და გადაწყვეტილება საჩივრდება პროკურორთან. პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება გასაჩივრდება ზემდგომ პროკურორთან; გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება ან გადაწყვეტილება ასევე შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სასამართლოში; აღკვეთის ღონისძების სახით დაპატიმრების გასაჩივრება შეიძლება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში; მსჯავრდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვთ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრონ არანაკლებ ორ სასამართლო ინსტანციაში.

ამასთან, საპროცესო კანონმდებლობით გასაჩივრების თავისუფლება ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი. მაგალითად, კანონის თანახმად, ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დადგენილება არ შეიძლება გასაჩივრდეს დაცვის მხარის მიერ სასამართლოში, რაც გასაჩივრების თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს.

საყურადღებოა საპროცესო კანონის მოთხოვნა, კერძოდ, სსსკ 21-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს უფლება არა აქვს, საჩივარი გამოიყენოს საჩივრის

შემტანი პირის ან იმ პირის საზიანოდ, რომლის ინტერესების დასაცავადაც იგი იყო შეტანილი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხვა პირმა ან ორგანომ შეიტანა საწინააღმდეგო ხასიათის საჩივარი, ანდა საჩივრის შემოწმებისას დადგინდა სხვა გარემოებები. მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს უფლება არა აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი ან სხვაგვარად გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ საქმის გადასინჯვა ხდება მხოლოდ განსასჯელის, დამცველის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე (სსსკ 540-ე მ. I ნაწ), მაგრამ თუ პროკურორმა, დაზარალებულმა შეიტანეს სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი ან სხვაგვარად გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

თავი V

პროცესის მონაწილენი

§1. სასამართლო

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

„სასამართლო არის ის ერთადერთი ორგანო რომელსაც ენიჭება სახელმწიფოს სახელით საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების, პროცესში მონაწილე პირთა კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების შემზღუდველ საპროცესო მოქმედებებზე ნებართვის გაცემა და გამომძიებლისა და პროკურორის ქმედებებზე და აქტებზე საჩივრების განხილვის უფლებამოსილება. სწორედ ეს განაპირობებს სასამართლოს განსაკუთრებულ ადგილს პროცესის მწარმოებელ პირთა სისტემაში. მას ერთდროულად ეკისრება საქმეზე, მართლმსაჯულების და პროცესში მონაწილე პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვის მართლზომიერებაზე და აუცილებლობაზე კონტროლი.

მხოლოდ სასამართლოს ენიჭება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების, გადასინჯვის ან შეცვლის უფლებამოსილება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ბრძანების გაცემა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველ შემდეგ საპროცესო მოქმედებათა შესახებ: ბრალდებულის დაპატიმრება და პატიმ-

რობის ვადის გაგრძელება; ბრალდებულის მიმართ სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება; სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის პირის მოთავსება; საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციაზე და საფოსტო გზავნილზე ყადაღის დადება, მათი შემოწმება და ამოღება; ჩხრეკა და ამოღება; საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ; ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადება, თანამდებობიდან (სამუშაოდან) მათი გადაყენება.

სსსკ ითვალისწინებს საქართველოს სასამართლოების მიერ უცხო სახელმწიფოს სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებისათვის სასამართლო შუამდგომლობის გაგზავნის შესაძლებლობას, რაც რეგულირდება შესაბამის სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით, მათ შორის ევროპის საბჭოს კონვენციით სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ, სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლებრივ საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ მინსკის კონვენციით და სხვა. კერძოდ, სსსკ სასამართლოს (მოსამართლეს) უფლებას აძლევს ცალკეული საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად დავალება გაუგზავნოს იმავე ან ქვემდგომ სხვა სასამართლოს (მოსამართლეს), თუ ამ მოქმედების ჩატარება შეუძლებელია სასამართლო განხილვის ადგილას. დაუშვებელია სასამართლო დავალება გაეგზავნოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სს საქმეთა სააპელაციო პალატა არ არის უფლებამოსილი სასამართლო დავალება გაუგზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სსსაქმეთა პალატას).

სსსკ ასევე ითვალისწინებს სათანადო საფუძვლების არსებობისას სასამართლოს მიერ კერძო განჩინების (დადგენილების) გამოტანას:

1. მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა თუ კანონის სხვა დარ-

ღვევათა გამოვლენისას, რომლებიც დაშვებული იყო წინასწარი გამოძიების ან ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას.

2. საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით მოქალაქის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას მაღალი შეგნებულობის, ვაჟკაცობის გამოვლენის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას.
3. სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური გაერთიანების ან თანამდებობის პირის ყურადღებას მიქცევის მიზნით საქმეზე დადგენილ კანონის დარღვევის ფაქტზე, დანაშაულის ჩადენის მიზეზსა და ხელშეწყობ პირობებზე, რომლებიც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას.

კერძო განჩინება (კერძო დადგენილება) გამოტანისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს შესაბამის ადრესატს, რომელმაც 1 თვის ვადაში უნდა აცნობოს სასამართლოს გატარებული ზომების შესახებ.

სსსკ ადგენს სასამართლოს (მოსამართლის) მოვალეობას ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში მხარეს მისცეს შესაძლებლობა, წერილობით წარმოადგინოს მოსაზრებები სასამართლოში მხარის მიერ განსახილველად შეტანილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით-სსსკ სსსაქმის ზეპირი მოსმენის გარეშე პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. სსსკ უშვებს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე ზოგიერთი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის (და არა სისხლის სამართლის საქმის) განხილვის შესაძლებლობას. ამასთან ამ შემთხვევაში იხილება არა შუამდგომლობა, არამედ–სააპელაციო (საკასაციო) საჩივარი.

სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება:რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენეს სასამართლოს. სამხედრო სასამართლოების შექმნა დაიშვება მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს და საერთაშორისო სასამართლოების სისტემაში. საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სპეციალური და საგანგებო სასამართლოების შექმნას.

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენების და სსსკ გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებსა და მასალებს კანონით დადგენილი განსჯადობის შესაბამისად. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით ასევე განიხილავს შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე, მათი ვადის გაგრძელებაზე და სსსკ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. რაიონული (საქალაქო) სასამართლო ასევე ახორციელებს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ამოწმებენ ქვემდგომი სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. სააპელაციო საჩივარს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

საკასაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე, განჩინებასა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

საჩივრებსა და წარდგინებებს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს პროცესუალური სტატუსის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი არ არის შებოჭილი მხარეთა პოზიციით და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ახალი მტკიცებულებანი, დეტალურად განიხილოს მტკიცების საგანში შემავალი ყოველი საკითხი და ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებებსაც რომლებიც მხარეთა ყურადღების მიღმა იყო დატოვებული. მხარეთა პოზიციები და მტკიცებულებები სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს.

სასამართლო არ არის შებოჭილი არც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებით,თუ ისინი ზღუდავენ მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. მოსამართლე დამოუკიდებელია როგორც სახელმწიფო და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების, სახელმწიფო და პოლიტიკური გაერთიანების მხრიდან ზეწოლისაგან, ასევე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს და თანამდებობის პირების ჩარევისაგან მათ საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით. სასამართლო ახორციელებს

ყველა ზომას საქმის სწორი, სამართლიანი და დროული გადაწყვეტისათვის. თავის საქმიანობაში სასამართლო დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. სასამართლო წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის უმთავრეს სუბიექტს, რომელიც ახორციელებს საქმის სასამართლო განხილვის ფუნქციას. მხოლოდ სასამართლოს აქვს საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების უფლება. მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება სცნოს პირი დამნაშავედ მისთვის შერაცხული დანაშაულის ჩადენაში და განუსაზღვროს მას კონკრეტული სახის და ზომის სასჯელი.

სასამართლო არსებითად განიხილავს საქმეს და ახდენს გამოძიების ორგანოების და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დეტალურ და საფუძვლიან გამოკვლევას. არც ერთი მხარის პოზიციას არც ერთ მტკიცებულებას სასამართლოსათვის წინასწარდადგენილი ძალა არა აქვს. სასამართლო ვალდებულია ყოველმხრივ და სრული მოცულობით შეისწავლოს საქმის მასალები, მოისმინოს პროცესის ყველა მონაწილის ჩვენებები, უშუალოდ შეამოწმოს და შეაფასოს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, მათ შორის დაცვის სპეციალური საშუალებების გამოყენების გზით მოპოვებული. პროცესის შეჯიბრებითობის და მოწმეთა თანაბარ პირობებში დაკითხვის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით სსსკ 109^1 მუხლი კრძალავს საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლოში პროცესის მონაწილის დაკითხვას მისი ვინაობის გასაიდუმლოებით ან იდენტიფიცირების შეცვლით. სასამართლოში საქმის განხილვისას პროცესის ყველა მონაწილე უნდა დაიკითხოს უშუალოდ. სასამართლოს განაჩენი გამოაქვს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების შესწავლის, შემოწმების და საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე. უშუალობის პრინციპის დაცვით, რომლის თანახმად სასამართლოს განაჩენი შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ უშუალოდ შესწავლილ მტკიცებულებებს.

სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი და ამ მიზნით უზრუნველყოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრული შესწავლა. სასამართლო არ არის შეზღუდული მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალებით და საჭიროებისას საქმის სწორად გადაწყვეტის მიზნებისათვის შეუძლია გამოითხოვოს ახალი მტკიცებულებანი.

სასამართლოს საქმიანობა ემყარება კანონის და სასამართლოს წინაშე თანასწორობის, შეჯიბრებითობის, საქვეყნოობის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად განხილვის, საქმეთა ერთპიროვნულად და კოლეგიალურად განხილვის, საქმეთა განხილვის უწყვეტობის და სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის, განაჩენის შინაგანი რწმენის საფუძველზე დადგენის და სხვა პრინციპებს.

სასამართლო არ არის სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანო, იგი არ ახორციელებს არც ბრალდების და არც დაცვის ფუნქციას. სასამართლოში საქმეთა განხილვისას დაცვის და ბრალდების ფუნქციები გამიჯნულია და სასამართლო ახორციელებს საქმის განხილვის ფუნქციას. უზრუნველყოფს მონაწილე სუბიექტების მიერ კანონიერების დაცვას და მათი უფლებების და კანონიერი ინტერესების ხელშეუხებლობას. მხარისათვის უპირატესობის მინიჭების გარეშე თანაბარ შესაძლებლობებს უქმნის მხარეებს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის; საჭირო პირობებს უქმნის ბრალდების და დაცვის მხარეებს მტკიცებულებების წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის, სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე საკუთარი აზრის გამოთქმის, აცილების და შუამდგომლობის განცხადებისათვის.

სასამართლო ვალდებულია თავი შეიკავოს მტკიცებულებათა ძიებისაგან ვინაიდან მტკიცებულებათა აღმოჩენა, წარმოდგენა და

გამოკვლევა მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება. მაგრამ თუ მხარეს უძნელდება მტკიცებულებათა აღმოჩენა-წარდგენა, დაეხმაროს მას მტკიცებულებათა გამოთხოვაში.

კოლეგიალურად საქმეთა განხილვა სსს განხილვის სტადიების და გადასაწყვეტი საკითხების მიხედვით სასამართლო საქმეს იხილავს ერთპიროვნულად ან კოლეგიალურად 3 მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო უზენაესი სასამართლოს— დიდი პალატა— 9 მოსამართლის შემადგენლობით. ყველა მოსამართლე თანაბარუფლებიანია და თანაბრად მონაწილეობს საქმის განხილვაში. ყველა მოსამართლეს საქმის განხილვისას მტკიცებულებათა განხილვაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების თანაბარი უფლება აქვს. შესაბამისად, განაჩენიც ხმათა უმრავლესობით გამოიტანება. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

კერძოდ, საქართველოს სსსკ თანახმად საქმეთა ერთპიროვნულად განხილვას, როგორც წესი, ახორციელებენ:

1. მაგისტრატი მოსამართლეები-საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების შესახებ და სსსკ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მაგისტრატ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;

ბ) საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

იმავდროულად რაიონული (საქალაქო) სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სამართლის საქმეებზე.

2. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საჩივრებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებაზე, მათი ვადის გაგრძელებაზე და სსს კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით. მაგრამ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ითვალისწინებს დიდი პალატის მიერ განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეთა განხილვას საკასაციო წესით იმ შემთხვევაში, თუ :

1. თუ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;
2. საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას;
3. საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას

საჩივრებსა და წარდგინებებს ახლად აღმოჩენილ და ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა იხილავს კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით.

განსჯადობა-მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო განსჯადობის მიხედვით ვალდებულია განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, წარდგინება, შუამდგომლობა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შემზღუდველი საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ საჩივარი

გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებებისა და აქტების გამო.

არავის არ შეიძლება აღეკვეთოს უფლება მისი საქმე განიხილოს იმ სასამართლომ ან იმ მოსამართლემ, რომლის განსჯადობასაც იგი კანონით განეკუთვნება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე განსჯადობის კანონით დადგენილი წესის შეცვლა დაუშვებელია. თუმცა აქედან არსებობს გამონაკლისიც.

როგორც წესი, რაიონული (საქალაქო სასამართლოს) განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხთა წრე ყველაზე ფართეა სხვა სასამართლოებთან შედარებით და მოიცავს პრაქტიკულად ყველა სისხლის სამართლის საქმეს მისი სიმძიმის და სირთულისდა მიუხედავად. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სსსაქმეთა პალატისაგან განსხვავებით კანონი არ ითვალიწინებს რაიონული (საქლაქო) სასამართლოს მიერ თავისი იურისდიქციის დათმობის შესაძლებლობას სხვა (მაგალითად სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს) სასამართლოს სასარგებლოდ.

იმ სასამართლოს განსაზღვრისას, რომელმაც უნდა განიხილოს ეს საქმე მხედველობაში მიიღება სასამართლოს კომპეტენცია ე.ი. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის კომპეტენცია ამათუიმ სასამართლო სისტემაში. იმისათვის რომ დადგინდეს რომელი სასამართლოს განსჯადია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე უნდა მოხდეს ამ კონკრეტული საქმის თავისებურებების და სასამართლოს კომპეტენციის შედარება-თანხვედრა. კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში ბრალდებულს უფლება აქვს აირჩიოს სასამართლოს შემადგენლობა, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე.

განსჯადობის საკითხი წყდება პროკურორის მიერ სასამართლოში საქმის წარმართვისას და მოსამართლის მიერ. განსჯადობის მარეგულირებელი სსსკ ნორმების მიზანია საქმის სწრაფი,

სრული და ობიექტური განხილვის უზრუნველყოფა. ამ ნორმების დაცვა შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს საქმე განიხილოს მოწმეთა და საქმის შედეგით დაინტერესებულ პირთა უმრავლესობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გაითვალისწინოს ცალკეულ დანაშაულთა კატეგორიის (მაგალითად სამხედრო) სპეციფიკა. განსჯადობის წესები ემყარება კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპს. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ყოველი საქმე იხილებოდეს იმ სასამართლოს მიერ რომლის განსჯადიცაა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, სსსკ საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო აქტები ადამიანის ერთ-ერთ განუყოფელ უფლებად აღიარებენ პირის უფლებას მისი საქმის კომპეტენტური ორგანოს მიერ განხილვაზე. ბრალდებულს უფლება აქვს იცოდეს რომელი სასამართლოა კანონის მიხედვით უფლებამოსილი განიხილოს მისი საქმე. განსჯადობა ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით და არ უნდა იყოს დამოკიდებული საქმის სირთულის“ ან „განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ სუბიექტურ კრიტერიუმზე, ან პროცესის მწარმოებელი პირის მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ სასამართლოს არჩევაზე.

განსჯადობის სახეები:

საქართველოს სს საპროცესო კანონდებლობა ითვალისწინებს 2 სახის განსჯადობას:

1. ტერიტორიულს და
2. საგნობრივს.

საგნობრივი განსჯადობა/კომპეტენცია დგინდება კანონით დანაშაულთა გარკვეული კატეგორიის კონკრეტული სასამართლოსათვის მიკუთვნების გზით. სწორედ ამ ნიშნით ხდება იმის დადგენა თუ რომელ სასამართლოს შეუძლია განიხილოს აღნიშნული საქმე, გაიმიჯნოს საერთო და სამხედრო სასამართლოთა კომპეტენცია. სწორედ საგნობრივი კომპეტენცია იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს საქმეთა განაწილება საერთო სასამართ-

ლო სისტემის სხვადასხვა დონის სასამართლოებს შორის. იგი ადგენს კანონის მიერ პირდაპირი მითითების გამოყენების გზით რაიონული, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოთა კომპეტენციას. კერძოდ, სსსკ 48-ე მუხლის თანახმად, რაიონული სასამართლოს განსჯადობას მიეკუთვნება საქმეები მის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩადენილ ყველა კატეგორიის დანაშაულზე, კერძო ბრალდების საქმეები, შუამდგომლობები მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების და მათი ვადის გაგრძელების შესახებ, ასევე საჩივრები გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებებზე და უარყოფილ შუამდგომლობებზე.

მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან და საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლო ბრძანების გაცემა, გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებების გამო შეტანილი საჩივრების გადაწყვეტა, გამოძიების ორგანოებისა და პროკურორის მიერ უარყოფილი შუამდგომლობების განხილვა იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება წინასწარი გამოძიება, თუ სსს კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სსსკ 290-ე მუხლი ითვალისწინებს აღნიშნული წესიდან გამონაკლის, რომლის თანახმად იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს გადაუდებელ შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებულ ამოღებას, ჩხრეკას, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერებას, რომლის შესახებ პროკურორმა 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს და სისხლის სამართლის საქმის მასალები გადასცეს იმ მაგისტრატ მოსამართლეს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში-იმ შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამო-

ქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება. ამასთან, შესაძლებელია აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენდეს წინასწარი გამოძიების ტერიტორიას.

სააპელაციო სასამართლოს განსჯადია სააპელაციო საჩივრები მის სამოქმედო ტერიტორიაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილ განაჩენებსა და სხვა შემაჯამებელ სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადია საკასაციო საჩივრები საქართველოს სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატების მიერ გამოტანილ განაჩენებსა და სხვა გადაწყვეტილებებზე, საჩივრები კანონით გათვალისწინებულ, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა ახლად გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, პრეიუდიციასთან დაკავშირებული და სსს კოდექსით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვა (მაგალითად მუხლი 259[1])

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ესოდენ ფართო კომპეტენცია გამოწვეულია იმით, რომ სწორედ ეს სასამართლოები წარმოადგენენ სასამართლო სისტემის ძირითად რგოლს.

2. ტერიტორიული განსჯადობა – საშუალებას იძლევა ერთი დონის სასართლოებს შორის კომპეტენციის გამიჯვნისა. თუ საგნობრივი კომპეტენციის შემთხვევაში პირდაპირ არის დადგენილი დანაშაულთა კონკრეტული შემადგენლობების კონკრეტული სასამართლოს მიერ განხილვის ვალდებულება, ტერიტორიული განსჯადობა კიდევ უფრო აკონკრეტებს მას და განსაზღვრავს საგნობრივი კომპეტენციის ფარგლებში კონკრეტული დანაშაულის განმხილველ სასამართლოს. კერძოდ, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოში

დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით, ხოლო თუ არსებობს დანაშაულთა ან ერთი დანაშაულის ეპიზოდთა ერთობლიობა, – ყველაზე მძიმე დანაშაულის ან დანაშაულის ეპიზოდის ჩადენის ადგილის მიხედვით.

სსსკ ითვალისწინებს ამ ზოგადი ნორმიდან გამონაკლისს და ადგენს:

1. საპროცესო შეთანხმების და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შემთხვევებში სს საქმის განხილვას სასამართლო წინასწარი გამოძიების დამთავრების ადგილის მიხედვით.
2. სასამართლოს შეცვლა ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ იმ შემთხვევაში თუ პროცესის 105-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას აცილებული იქნა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან სააპელაციო სასამართლოს მთელი შემადგენლობა საკითხს იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის შესახებ წყვეტს ზემდგომი სასამართლო ინსტანციის თავმჯდომარე. მაგრამ აქ საერთოდ არ არის მითითებული ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც უნდა იქნეს შერჩეული სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლო აღნიშნული საქმის განსახილველად, რაც პრაქტიკულად სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების და დისკრეციის ფართო შესაძლებლობას ითვალისიწნებს.
3. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების საკითხს განსჯადობის დაცვით, მსჯავრდებულის ადგილსამყოფლის მიხედვით განიხილავს საქართველოს სასამართლო.
4. განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამომტანი სასამართლო წყვეტს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევისას წამოჭრილ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: განაჩენის აღსრულების გადავადება, ჯარიმის,

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, თავისუფლების შეზღუდვის, გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლა. მაგრამ თუ განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება ხდება განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამომტანი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ საკითხებს წყვეტს იმავე დონის სასამართლო, ხოლო თუ განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულების ადგილზე იმავე დონის სასამართლო არ არსებობს – ზემდგომი სასამართლო. ყველა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამომტან სასამართლოს.

5. სასჯელის მოხდის ადგილზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებით წყდება ისეთი საკითხები, როგორიცაა: ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, სასჯელის მოხდის გადავადება, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, პატიმრობის სახით სასჯელის მოსახდელად იმ პირის გაგზავნა, რომელსაც პირობით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა.

6. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებით წყდება ისეთი საკითხები, როგორიცაა: პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირება ან გაზრდა ანდა პირობითი მსჯავრის გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსახდელად, იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, რომლის მიმართაც გადავადებულია განაჩენის აღსრულება, განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსახდელად.

იმავდროულად იგი არ ითვალისწინებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოებს შორის კომპეტენციის გამიჯვნას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც რთული ან პრაქტიკულად შეუძლებელია დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ადგილის განსაზღვრა (მაგალითად ქურდობა ჩადენილი თბილისი-ბათუმის მიმართულებით მოძრავ მატარებელში). როგორც წესი აქ გამოიყენება დანაშაულის წინასწარი გამოძიების დასრულების ტერიტორიის პრინციპი, რომლის თანახმად, ასეთი საქმეები იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განხორციელდა წინასწარი გამოძიება და სხვა.

საკითხი საქმის ქვემდებარეობის შესახებ განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს წინასწარი გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში წარგზავნის სტადიაზე. სწორედ ამ ეტაპზე უნდა იქნეს განცხადებული შუამდგომლობა განსჯადობის შეცვლის თაობაზე. იმავდროულად სსსკ არ ითვალისწინებს პროცესის სუბიექტების მხრიდან განსჯადობის შეცვლის შესახებ შუამდგომლობის აღძვრის და ამ შუამდგომლობის საფუძველზე განსჯადობის შეცვლის შესაძლებლობას, თუმცა მათ ანიჭებს მთლიანად სასამართლოსათვის აცილების განცხადების შესაძლებლობას.

სსსკ თანახმად, ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც უფლება აქვს განსჯადობის შეცვლის შუამდგომლობით მიმართოს ზემდგომ სასამართლოს არის საქმის მწარმოებელი პროკურორი და მასაც სასამართლოს განსჯადობის შეცვლის მოთხოვნა შეუძლია ან:

1. მოწმეთა/ დაზარალებულთა უმრავლესობის ადგილსამყოფელის; ან
2. წინასწარი გამოძიების დამთავრების ადგილის სასამართლოთი.

კერძოდ, ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია პროკურორის შუამდგომლობით სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს წინასწარი

გამოძიების დამთავრების ადგილის ან საქმეში მონაწილე დაზარალებულთა და მოწმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფელის მიხედვით.

იმავდროულად საქართველოს კონსტიტუციის 42.2-ე მუხლის და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის თანახმად ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ამდენად, საქმის განსჯადობის შეცვლა ერთი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინების გარეშე გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ზ/ა დებულებებს, ვინაიდან სსსკ არ ითვალისწინებს განსასჯელის აზრის გათვალისწინებას მაშინ, როდესაც სწორედ მას ენიჭება და ეხება უფლება თავისი საქმის იმ სასამართლოს მიერ განხილვაზე, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

თუ სასამართლო ან მოსამართლე დაადგენს, რომ შემოსული საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მისი განჩინებით (დადგენილებით) საქმე გადაეცემა განსჯადობის მიხედვით. დავას განსჯადობის შესახებ წყვეტს ზემდგომი სასამართლოს მოსამართლე დასაბუთებული დადგენილებით.

აცილება-უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე წარმოადგენს სასამართლოს შემადგენლობის არჩევა (აცილების განცხადების გზით), რომელსაც მისი აზრით, შეუძლია პირადად მისი საქმე განიხილოს სამართლიანად, ობიექტურად და მიუკერძოებლად თითოეულ მოსამართლეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ იმ სასამართლოს შემადგენლობაში, სადაც იგია დანიშნული. მას არა აქვს სხვა სასამართლოს შემადგენლობაში მონაწილეობის უფლება. იმავდროულად დაუშვებელია საქმის სასამართლოში განხილვისას სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდეს საქმეში მონაწილე

პირებთან ნათესაურ ან სხვაგვარ კავშირში მყოფი პირი

კანონი ადგენს მოსამართლეთა მიუკერძოებლობის გარანტიებს. სსს კოდექსი კრძალავს მოსამართლის მონაწილეობას საქმის განხილვაში იმ შემთხვევაში, თუ:

ა) იგი არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით;

ბ) საქმე არ არის ამ სასამართლოს განსჯადი;

გ) იგი მონაწილეობს ან წინათ მონაწილეობდა იმავე საქმეში, როგორც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე, მოწმე, ანდა ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის კანონიერი წარმომადგენელი;

დ) მას ამ საქმის მწარმოებელ თანამდებობის პირთან ან „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ სხვა პირებთან ნათესაური, მეგობრული ან სხვა ახლობლური ურთიერთობა აქვს;

ე) იგი წინათ მონაწილეობდა იმავე საქმის წარმოებაში, როგორც გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო სხდომის მდივანი.

ვ) მონაწილეობდა პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებში ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში. მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენს ადრე ამავე საქმის საკასაციო წესით განხილვაში მისი მონაწილეობა.

ვ) არის სხვა გარემოებები, რომლებიც ეჭვს ბადებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე-რაიონულ (საქალაქო) სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობს ამ სასამართლოს თავმ-

ჯდომარე ან მოსამართლე, ხოლო სხვა სასამართლო სხდომას, – ამ სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან სასამართლოს წევრი. თუ თავმჯდომარე გამოეთიშა სხდომას, მის მოვალეობას ასრულებს ასაკით უფროსი მოსამართლე.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წარმართავს სხდომას, მოსამართლეთა თათბირის მიმდინარეობას; ახორციელებს სსს კოდექსით გათვალისწინებულ ყველა საპროცესო მოქმედებას, რაც აუცილებელია მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და ჭეშმარიტების დასადგენად, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად წარმოადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი; განხილვას განარიდებს ყველაფერს, რასაც კავშირი არა აქვს საქმესთან; უზრუნველყოფს კანონიერებასა და სამართლიანობას საქმის განხილვისას; მხარეებს განუმარტავს მათ უფლებებს; უზრუნველყოფს სასამართლოს დარბაზში წესრიგის დაცვას; სხდომის დარბაზიდან აძევებს წესრიგის დამრღვევს და აკისრებს მას ფულად ჯარიმას სსს კოდექსით დადგენილი წესითა და ოდენობით (იხ. მუხლი 208) მისი განკარგულებები წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით სავალდებულოა მხარეებისა და სასამართლო დარბაზში მყოფი პირებისათვის. რომელიმე მხარის ან სხვა პირის პრეტენზიები თავმჯდომარის მოქმედებათა გამო შეაქვთ სასამართლო სხდომის ოქმში და მათ სასამართლოს შემადგენლობა განიხილავს იმავე სხდომაზე.

სასამართლოს საქმიანობის სრულყოფილად, ეფექტურად და დროულად განხორციელება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასამართლოს აპარატის საქმიანობის ხარისხზე და მათ კვალიფიციურობაზე. სწორედ ამიტომ, საქართველოს ორგანული კანონები „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ დეტალურად ადგენენ იმ მოთხოვნებს, რაც წაეყენება მოსამართლეთა თანაშემწეებს. როგორც წესი, მოსამართლის თანაშემწედ შეიძლება დაინიშნოს

პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და როგორც წესი, გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი სამოსამართლო სწავლების ცენტრში, ან აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, აგრეთვე ადვოკატად მუშაობის ერთი წლის გამოცდილება, ანდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი (უმაღლესი) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, აგრეთვე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. მოსამართლის თანაშემწეს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასამართლოს თავმჯდომარე.

მოსამართლის თანაშემწე მოსამართლის დავალებით ამზადებს სისხლის სამართლის საქმეს სასამართლო სხდომაზე განსახილველად, იღებს მოქალაქეებს, მათ განცხადებებს, პროცესის მონაწილეებს ატყობინებს სასამართლო სხდომის დროსა და ადგილს, ამზადებს სასამართლო გადაწყვეტილების პროექტებს, აგრეთვე საპროცესო დოკუმენტების ასლებს და, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მათ გადასცემს სამართალწარმოების მონაწილეებს, უზრუნველყოფს ნივთიერ მტკიცებულებათა დაცვა-შენახვას, მოსამართლის დავალებით ასრულებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს და მოსამართლეს უწევს სხვა ტექნიკურ დახმარებას.

მოსამართლის თანაშემწის უფლებამოსილება პირობითად შეიძლება დაიყოს:

1. საორგანიზაციო-ტექნიკურ; და
2. სამართლებრივ საკითხებად

აქედან უმნიშვნელოვანესია სამართლებრივი ფუნქცია, რომლის თანახმად მას გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილების პროექტების მომზადების და მოქალაქეთა მიღების უფლე-

ბამოსილება, საქმეთა მომზადება სასამართლო სხდომებზე განსახილველად, სათანადო სასამართლო პრქტიკის მასალების და სამართლებრივი ლიტერატურის მოძიება და ა.შ., რაც ერთის მხრივ ხელს უწყობს მოსამართლის თანაშემწის პროფესიულ დაოსტატებას და მეორე მხრივ შესაბამის დახმარებას უწევს მოსამართლეს.

სასამართლო სხდომის მდივანი— ამოწმებს, გამოცხადდნენ თუ არა სასამართლო პროცესზე გამოძახებული პირები, და ამის თაობაზე მოახსენებს სასამართლოს; თავმჯდომარის წინადადებით საჯაროდ კითხულობს საპროცესო დოკუმენტებს, აწარმოებს სასამართლო სხდომის ოქმს.

სასამართლო სხდომის მდივანი ვალდებულია სრულად და სწორად ჩაწეროს ოქმში სასამართლოს მოქმედება და გადაწყვეტილება, აგრეთვე სასამართლო სხდომის ყველა მონაწილის მოქმედება, განცხადება, შუამდგომლობა, ჩვენება და ახსნა-განმარტება. ოქმის მომზადებისას მდივანს უფლება აქვს გამოიყენოს სტენოგრაფია, დიქტოფონი და სხვა ტექნიკური საშუალებანი. თუ ოქმის გამო არსებობს შენიშვნები, სასამართლო სხდომის მდივანი იძლევა ახსნა-განმარტებას. ოქმის შინაარსის გამო თავმჯდომარესთან უთანხმოების შემთხვევაში მდივანს უფლება აქვს გამოთქვას თავისი შენიშვნა ან შესაგებელი და გაუგზავნოს ისინი განსახილველად ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს.

სსსკ ითვალიწინებს სასამართლოს სხდომის მდივნის აცილების საფუძვლებს და ადგენს, რომ სხდომის მდივანი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:

ა) იგი არ იყო თანამდებობაზე დანიშნული კანონით დადგენილი წესით;

ბ) იგი მონაწილეობს ან წინათ მონაწილეობდა იმავე საქმეში, როგორც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე, მოწმე, ანდა

ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის კანონიერი წარმომადგენელი;

დ) მას ამ საქმის მწარმოებელ თანამდებობის პირთან ან „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ სხვა პირებთან ნათესაური, მეგობრული ან სხვა ახლობლური ურთიერთობა აქვს;

ე) არის სხვა გარემოებები, რომლებიც ეჭვს ბადებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

§2. პროკურორი

პროკურატურა სახელმწიფო ორგანოთა შორის ერთ-ერთი უძველესი ორგანოა. მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი როგორც სახელმწიფო ინსტიტუტი პირველად ჩამოყალიბდა საფრანგეთში 1302 წელს მეფე ფილიპ IV მიერ გამოცემული ორდონანსის საფუძველზე.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობისას პროკურატურა უძლიერესი სახელმწიფო ორგანო იყო. მას სახელმწიფოს თვალს უწოდებდნენ. თანამედროვე პერიოდში სამართლებრივი რეფორმის შედეგად პროკურატურამ ინსტიტუციური ცვლილებები განიცადა. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 91-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება იყო. 2004 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით 91-ე მუხლი ამოღებულ იქნა და დღეს მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული პროკურატურის ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლიდან გამომდინარე პროკურატურა შეიძლება ჩაითვალოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებად, თუმცა ცალსახად პროკურატურის ადგილი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

პროკურატურის ორგანიზაცია, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განსაზღვრულია 1997 წლის 21 ნოემბერს მიღებული ორგანული კანონით საქართველოს პროკურატურის შესახებ.

პროკურატურის ფუნქციები, საპროცესო უფლებამოსილება და პროკურორის სამართლებრივი სტატუსი რეგულირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

პროკურორის სამართლებრივი მდგომარეობა პროცესში, მისი საქმიანობის ფორმები და მეთოდები განისაზღვრება სამართალწარმოების საერთო ამოცანებითა და იმ უშუალო ამოცანებით, რომლებიც უნდა გადაწყდეს ყოველ ცალკეულ სტადიაზე.

ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა პროცესუალურად ხელმძღვანელობს გამოძიებას, კანონით დადგენილი წესით სრული მოცულობით ატარებს დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების წინასწარ გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად პროკურატურა სისხლის სამართლებრივი დევნის ორგანოა.

სისხლის სამართლებრივი დევნა საპროცესო საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება დანაშაულის გახსნის, ბრალეული პირის მხილების და მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით. კანონის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დევნა არის უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უზრუნველყოფა.პროკურორი არის ერთადერთი სუბიექტი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე. თუმცა უფლებამოსილება, ფუნქციები, ამოცანები საქმის წარმოების სხვადასხვა სტადიაზე განსხვავებულია და ერთი და იგივე არ არის. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ

პროკურორი თავის ფუნქციებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორი ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას და ასევე ასრულებს გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციასაც. აქედან გამომდინარე სასამართლომდელ სტადიაზე პროკურორის უფლებამოსილება შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: I ჯგუფში შედის გამოძიებაზე სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორის უფლებამოსილებანი, ხოლო II ჯგუფში საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორი სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას უფლებამოსილია: გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის სახით პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ; ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს; მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით; შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა ანდა წინასწარი გამოძიება ან შეაჩეროს სისხლის სამართლებრივი დევნა; შეცვალოს ბრალდება; ბრალდებელთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე; აღძრას სარჩელი ბრალდებული თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციის განხორციელებისას პროკურორი უფლებამოსილია ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით საქმის გამოძიება დაავალოს გამოძიების

ამა თუ იმ ორგანოს ან გამომძიებელს; სავალდებულო მითითებები მისცეს გამომძიებელს ან ქვემდგომ პროკურორს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, საგამოძიებო ვერსიათა შემოწმებისა და გამოძიების წარმოებისას წამოჭრილ სხვა საკითხებზე, მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის ცალკეული მასალები ან სისხლის სამართლის საქმე მთლიანად; გააუქმოს გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილება; საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ მოთხოვნათა დაცვით საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს. ამასთან ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი. საქართველოს გენერალურ პროკურორს, მის მოადგილეს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უფლება აქვს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს ნებისმიერი საქმე და იგი გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო უწყებას; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს; გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედებისა და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს.

ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო ანდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილებები ან იგი შეცვალოს ახალი გადაწყვეტილებით; წინასწარი გამოძიებისას პროკურორის დადგენილების შესრულება სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოს, თანამდებობის პირების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

მართალია, პროკურორი გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს და არა ზედამხედველობას, მაგრამ ამ ფუნქციის განხორციელებისას აქაც ვლინდება ერთგვარი სახელისუფლებო — განკარგულებითი უფლებამოსილების ელემენტები.

წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ პროკურორი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის შემდგომ მოძრაობას. პროკურორის საპროცესო მდგომარეობა სასამართლო განხილვის სტადიაზე არსებითად განსხვავდება წინასწარ გამოძიებაში მისი სამართლებრივი მდგომარეობისაგან. უპირველეს ყოვლისა, სასამართლოში პროკურორის სახელისუფლებო — განკარგულებითი უფლებამოსილების ელემენტები არ შეინიშნება, რადგან იგი მონაწილეობს როგორც მხარე და აღჭურვილია მხარის თანაბარი საპროცესო უფლებებით.

სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი. მას კანონით ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა. თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორი სასამართლოში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. სასამართლო სხდომაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა. პროკურორი სასამართლოში უფლებამოსილია: განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება; წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, მათი დასაშვებობის საკითხის განხილვაში, გამოთქვას თავისი აზრი სასამართლო განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხზე, მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოს გააცნოს თავისი პოზიცია ბრალდების დამტკიცების, ქმედების სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაციის, ბრალდებულის შერაცხადობის, სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ; მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით წინასწარი გამოძიების პროცესში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით. ამასთან, სააპელაციო ინსტანციაში პროკურორი კვლავ სახელმწიფო ბრალმდებელია, საკასაციო წარმოების სტადიაზე კი იგი მხარს უჭერს თავის საჩივარს, ან გამოთქვამს აზრს იმ საჩივრის

შესახებ, რომელიც სამართალწარმოების სხვა მონაწილემ შეიტანა.

თუ პროკურორი არ ეთანხმება სასამართლოს განაჩენს და მას მიიჩნევს უკანონოდ და დაუსაბუთებლად, უფლება აქვს როგორც მხარეს გაასაჩივროს იგი ზემდგომ ინსტანციებში სააპელაციო და საკასაციო წესით. ამასთან, სააპელაციო ინსტანციაში პროკურორი კვლავ სახელმწიფო ბრალმდებელია, საკასაციო წარმოების სტადიაზე კი იგი მხარს უჭერს თავის საჩივარს, ან გამოთქვამს აზრს იმ საჩივრის შესახებ, რომელიც სამართალწარმოების სხვა მონაწილემ შეიტანა.

§3. გამომძიებლის სამართლებრივი სტატუსი

საგამოძიებო ქვემდებარეობა. ქვემდებარეობა არის სისხლის სამართლის საქმის კანონით დადგენილი ნიშნების ერთობლიობა, რომელთა გათვალისწინებით მოცემული დანაშაულის გამოძიება განეკუთვნება წინასწარი გამოძიების ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენციას. სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში განასხვავებენ საგნობრივ, პერსონალურ, ალტერნატიულ და ტერიტორიულ ქვემდებარეობას.

საგნობრივი ქვემდებარეობა გულისხმობს საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციის განსაზღვრას დანაშაულის შემადგენლობის, მისი კვალიფიკაციის მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების და სხვა დანაშაულთა საქმეები.

პერსონალური ქვემდებარეობა გულისხმობს დანაშაულის სუბიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით გამოძიების მოვალეობის დაკისრებას ამა თუ იმ საგამოძიებო ორგანოსადმი. მაგალითად, არასრულწლოვანთა საქმეები, მიუხედავად იმისა, თუ რა დანაშაულია მათ მიერ ჩადენილი გამოსაძიებლად ექვემდებარება პროკურატურას. ასევე დანაშაულის სუბიექტის პერსონალური ნიშნის გათვალისწინებით პროკურატურას ექვემდებარება პროკურორის, გამომძიე-

ბლის, მოსამართლის და ა.შ. ჩადენილი დანაშაულის საქმეები.

ალტერნატიული ქვემდებარეობა გულისხმობს იმას, რომ ერთი და იმავე კატეგორიის დანშაულთა საქმეებზე გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით გამოძიება ტარდება სხვადასხვა უწყების გამომძიებლის მიერ. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო როცა იძიებს მის ქვემდებარე დანაშაულის საქმეს და გამოძიების პროცესში გამოვლინდება ამ დანაშაულთან დაკავშირებული სამოხელეო დანაშაულის ჩადენა, ვთქვათ, ქრთამის აღება, ცხადია, ეს საქმეც შ/ს საგამოძიებო სამსახურმა უნდა გამოიძიოს. თუმცა, საერთო წესის მიხედვით, იგი პროკურატურას ექვემდებარება.

ტერიტორიული ქვემდებარეობა გულისხმობს გამოძიების წარმოებას დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით. საქართველოს სსსკ 63-ე მუხლის თანახმად, წინასწარ გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც დანაშაული მოხდა. თუ ჩადენილია რამდენიმე დანაშაული, საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული.

უწყებრივი ქვემდებარეობა გულისხმობს გამოძიების წარმოებას უფლებამოსილი გამოძიების ორგანოს მიერ.

საქართველოში უწყებრივი ფორმით გამოძიება წარმოებს 2004 წლიდან. მანამდე იყო შემუშავებული წინასწარი გამოძიების ორგანოების რეფორმირების კონცეფცია და კანონპროექტი ერთიანი საგამოძიებო ორგანოს შექმნის თაობაზე, სადაც ხაზგასმული იყო ერთიანი საგამოძიებო ორგანოს (ბიუროს, კომიტეტის) შექმნის უპირატესობა, რაც ძირითადად ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების ბაზით, მართვის ორგანიზებულობითა და ეფექტური ადმინისტრირებით იყო გამართლებული. კანონმდებელმა საბოლოოდ უპირატესობა მიანიჭა გამოძიების ორგანოების არა ცენტრალიზებული წესით მოწყობას, რომელსაც ანალოგი არა აქვს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, არამედ გარკვეულწილად აპრობირებულ უწყებრივ გამოძიებას, რომელიც

ორიენტირებულია ვიწრო სპეციალიზაციაზე და მიზნად ისახავს სწრაფი, ეფექტური და ქმედითი გამოძიების ჩატარებას ერთი უწყების ფარგლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიების ორგანოებს მიეკუთვნება საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საგამოძიებო დანაყოფები.

უწყებრივი და პერსონალური საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხს არეგულირებს სსსკ 62-ე მუხლი. სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობა განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას. აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის მიერ ჩადენილი სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დანაშაული ექვემდებარება ამავე უწყების საგამოძიებო დანაყოფს.

პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება სამოხელეო დანაშაული (საქ. სსკ 332-342-ე მმ.) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (სსსკ 194-ე მ.) აგრეთვე მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, მთავრობის წევრის, მოსამართლის, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურორის, გამომძიებლის, პროკურატურის მრჩევლის, პოლიციელის, ოფიცრების მიერ ჩადენილი დანაშაულები.

ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ ეკონომიკური დანაშაულის უმეტესობას, (სსსკ 182-ე, 189-ე, 189 1-ე, 190-ე, 192-ე, 193-ე, 195-ე, 201-ე, 205-ე, 213-ე, 214-ე, (მე-4 ნაწილის გარდა), 216-ე, 221-ე მმ.).

თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის უმრავლესობას (სსკ 383-398, 394-ე, 403-ე მმ.) და მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცალკეულ შემადგენლობებს (356-359-ე მ.).

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და სააღსრულებო დეპარტამენტის საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები იძიებენ სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, ასევე სსკ 342 1-ე (სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამსახურის დადგენილი წესის დარღვევა) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულებს.

კანონის თანახმად, პროკურატურასა და გამოძიების სხვა დანარჩენ ორგანოებს შორის კონკურენციის არსებობისას საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებით, გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

რამდენიმე ბრალდების საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანებისას საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება უფრო მძიმე დანაშაული.

საგამოძიებო ქვემდებარეობის დაუცველობა წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობის არსებით დარღვევას, რაც იწვევს მეტად სერიოზულ შედეგებს. მაგალითად, შეკრებილი მტკიცებულებების იურიდიული ძალის არ მქონედ ცნობას, რადგან ისინი შეკრებილ იქნა არასათანადო სუბიექტების მიერ. ასეთი დასკვნა კეთდება ცალკეულ შემთხვევაში საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

კანონის თანახმად, თუ გამომძიებელი დაადგენს, რომ საქმე მისი ქვემდებარე არ არის, ის ვალდებულია ჩაატაროს ყველა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება და საქმე გადასცეს პროკურორს, რომელიც წარმართავს საქმეს საგამოძიებო ქვემდებარეო-

ბის მიხედვით. როცა აუცილებელია საგამოძიებო მოქმედება ჩატარდეს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც გამომძიებლის იურისდიქცია არ ვრცელდება, გამომძიებელს უფლება აქვს ჩაატაროს იგი პირადად ან მისი ჩატარება დაავალოს სხვა გამომძიებელს. ნებისმიერ გამომძიებელს საქართველოს ტერიტორიაზე უფლება აქვს დაუბრკოლებლად ჩაატაროს კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედება მის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე.

პრაქტიკაში დამკვიდრებულია წესი, რომლის თანახმადაც, როცა გამომძიებელი სხვა გამომძიებლის სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებს საგამოძიებო მოქმედებას წინასწარ ამის შესახებ საქმის კურსში აყენებს აღნიშნული ქალაქის, რაიონის პროკურორს. ამ წესს ზნეობრივი გამართლება აქვს.

კანონში არაფერია ნათქვამი ისეთ შემთხვევაზე, როცა დანაშაული მრავალეპიზოდიანია, ჩადენილია თანამონაწილეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის მიერ და მისი გეოგრაფია მოიცავს საქართველოს რამდენიმე რეგიონს. კანონის თანახმად, გამოძიება უნდა ჩატარდეს იქ, სადაც აღმოჩენილ იქნა ყველაზე მძიმე დანაშაული, მოცემულ შემთხვევაში მისი ერთ-ერთი ეპიზოდი.

გამომძიებლის უფლებამოსილება. წინასწარი გამოძიების სუბიექტი არის გამომძიებელი.

კანონის თანახმად, გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

გარდა უწყებრივი კუთვნილებისა, გამომძიებელი თანამდებობის მიხედვით შეიძლება იყოს სტაჟიორ-გამომძიებელი, გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი.

ყველა გამომძიებელი მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხე-

დავად ასრულებს ერთიან ფუნქციას, ყველას აქვს ერთიანი სტატუსი, თანაბარი უფლება-მოვალეობები. მათ მიერ კანონით გათვალისწინებული წესით განხორციელებული ყველა საგამოძიებო მოქმედება თანაბარი იურიდიული ძალისაა, პრაქტიკულ საქმიანობაში ყველა მათგანი ხელმძღვანელობს ერთიანი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

გამომძიებლის საქმიანობის შინაარსი და მიმართულება განისაზღვრება სისხლის სამართალწარმოების ამოცანებით.

გამომძიებელი მოვალეა დაადგინოს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, განსაზღვროს მისი კვალიფიკაცია, დაადგინოს მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ დანაშაულის სუბიექტს, გამოავლინოს დანაშაულის ჩამდენი პირი და უზრუნველყოს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი გარემოებები და ამით შექმნას აუცილებელი წანამძღვრები სასამართლოში საქმის სწორად გადასაწყვეტად. გამოძიებისას შეგროვილი მასალები ხომ სასამართლო განხილვის საგანია.

გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის გარემოებები იყოს ღრმად, საფუძვლიანად შესწავლილი და შეფასებული, დადგენილი იყოს ყოველ საქმეზე ყველა დამნაშავე პირი, გაირკვეს დანაშაულის მოტივი, მიზანი, მისი ჩადენის საშუალება და ა.შ. საქმის გარემოებები იყოს გამოკვლეული მიუკერძოებლად და საქმეზე იყოს შესწავლილი და დადგენილი ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე მისი გამამართლებელი გარემოებები.

გამომძიებელი კანონის თანახმად უფლებამოსილია ჩაატაროს კანონით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით გათვალისწინებულია მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა. გამომძიებელი უფლებამოსილია ცალკეული საგამოძიებო

და საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება. უფლებამოსილია პირს წარუდგინოს დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და კანონით დადგენილი წესით გამოიყენოს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიებები, ასევე გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ყველა ღონისძიება და ამისათვის გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილი წესით.

გამომძიებელს მის წარმოებაში არსებულ საქმეზე უფლება აქვს მოიწვიოს თარჯიმანი, სპეციალისტი, ამოსაცნობი პირი; დადგენილების გამოტანით ცნოს პირი დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ და განუმარტოს მათ უფლება-მოვალეობები.

გამომძიებელი მოვალეა უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა საქმეში სავალდებულო დაცვის შემთხვევაში და შექმნას მისი საქმიანობის ხელშემწყობი პირობები, გაათავისუფლოს არასმქონენი იურიდიული დახმარების გადასახადისაგან, მოვალეა შეასრულოს ბრალდებულისა და დამცველის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა მის ჩატარებაში. გამომძიებელი მოვალეა მიიღოს ზომები დანაშაულის შედეგად მიღებული ზიანის ასანაზღაურებლად, მიიღოს ზომები დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენად.

გამომძიებელს უფლება აქვს წერილობითი დავალება მისცეს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით; საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა.

გამომძიებელი მოვალეა მიიღოს გადაწყვეტილება აცილების შესახებ და თავისი განმარტებები წარუდგინოს პროკურორს.

გამომძიებლის მოქმედების და გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში იგი მოვალეა საჩივარი და საქმის მასალები დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს ან სასამართლოს.

გამომძიებელი პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტია. იგი უფლებამოსილია დამოუკიდებლად წარმართოს გამოძიების მიმართულება, რაც იმას ნიშნავს, რომ გამომძიებელი უფლებამოსილია წამოაყენოს ვერსიები, ვარაუდი დანაშაულის ფაქტის, მის ჩადენაში ბრალეული პირის მიმართ, ბრალის ფორმების, ქმედების მოტივების და საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებზე. გამომძიებელი უფლებამოსილია განსაზღვროს თითოეული ვერსიის, თითოეული ეპიზოდის გამოსარკვევი საკითხები, განსაზღვროს გამორკვევას დაქვემდებარებული ინფორმაციის წყაროები. გამომძიებლის მიერ გამოძიების მიმართულების განსაზღვრა პრაქტიკულად ემთხვევა მის მიერ გამოძიების საგნის განსაზღვრას, რაც, თავის მხრივ, ძირითადია გამოძიების გეგმის შედგენისას.

გამომძიებელს უფლება აქვს განსაზღვროს აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების წრე, დაადგინოს მათი ჩატარების თანმიმდევრობა. გამომძიებელი განსაზღვრავს შეკრებილი მტკიცებულებების საკმარისობას და მათ აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც, ცხადია, დაფუძნებული უნდა იყოს საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე, იგი ხელმძღვანელობს კანონით და მართლშეგნებით.

ამასთან, გამომძიებლის საპროცესო დამოუკიდებლობა აბსოლუტური არ არის. კანონის თანახმად იგი ვალდებულია შეასრულოს პროკურორის მითითება, რომელიც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელია. კანონის თანახმად, თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებას ბრალდების მოცულობის, ქმედების კვალიფიკაციის, საგამოძიებო ვერსიების შემოწმების,

ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდველ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, მას უფლება აქვს საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, რომელიც აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს ან გამოძიებას სხვა გამომძიებელს ავალებს. ცხადია, ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა. პროკურორის მითითებისადმი უთანხმოების შემთხვევაში საქმის გადაცემა სხვა გამომძიებლისადმი გულისხმობს იმას, რომ გამომძიებელი პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტია და ამიტომ არ შეიძლება ის იძულებული იყოს იმოქმედოს თავისი შინაგანი რწმენის წინააღმდეგ, რაც მას ჩამოუყალიბდა საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში კანონში შესული ცვლილებებით გამომძიებლის უფლებამოსილება შეზღუდულია მკვეთრად, რადგან წინასწარ გამოძიებაში რაიმე გადაწყვეტილებას გამომძიებელი არ ღებულობს. მას უფლება არა აქვს შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინასწარი გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა, არ აქვს უფლებამოსილება შეადგინოს საბრალდებო დასკვნა და საერთოდ, ყველა გადაწყვეტილებას საქმეზე ღებულობს პროკურორი, რომელიც გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს.

გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს მოსამართლის ბრძანება. თავის მხრივ, კანონის თანახმად, გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის თანამდებობის პირისა და მოქალაქეებისათვის. გამოძიების დადგენილებების შეუსრულებლობა იწვევს კანონით დაწესებულ პასუხისმგებლობას.

§4 დაზარალებული და მისი წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში

1. დაზარალებული

სისხლის სამართალწარმოებაში პირის უფლება/თავისუფლებები, კანონიერი ინტერესები და უსაფრთხოება, მათი აღიარება და დაცვა – სახელმწიფოს და მისი სამართალდამცავი ორგანოების მოვალეობაა, მაგრამ სწორედ სისხლის სამართლის საპროცესო რეგულირების სფეროში ამ დებულების რეალიზაციისას აქცენტი ხაგრძლივი დროის განმავლობაში კეთდებოდა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირების უფლებების დაცვაზე. სამწუხაროდ, დაზარალებული, რომლის უფლებების დამცველი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო დიდი ხნის განმავლობაში სათანადო ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი. ბრალდებულთან შედარებით მისი უფლებების კომპლექსი ბევრად მცირეა. გარკვეულწილად ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი პროცესში მისი პასიურობისა და ეს მაშინ, როდესაც შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს სასამართლო პროცესის იმგვარად წარმართვას, რომ მასში ბრალდების და დაცვის ფუნქციები, ასევე მათი თანმხლები ფუნქციები (სამოქალაქო სარჩელის მხარდაჭერა) იყოს თანაბარი.

სწორედ ამიტომ, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების და საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმის წარმოებაში ბრალდების მხარის და კერძოდ, დაზარალებულის მონაწილეობის ხარისხს და აქტიურობას. პროცესში პროკურორის მონაწილეობის მიუხედავად. იმავდროულად, ბრალდების მხარეზე სუბიექტთა სიმრავლის მიუხედავად (მაგალითად პროკურორი, გამომძიებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, მათი წარმომადგენლები), დაზარალებული პირის უფლებების სრულყოფილად დაცვა-აღდ-

გენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დაზარალებულის აქტიურ მონაწილეობას (ვინაიდან პროკურორი მოწოდებულია დაიცვას საჯარო ინტერესი)

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68[1]-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულად მიიჩნევა სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი,რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ანდა რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა.

ამდენად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული შეიძლება იყოს:

1. სახელმწიფო;
2. იურიდიული პირი;
3. ფიზიკური პირი.

დაზარალებულად შეიძლება ცნობილი იქნეს როგორც გარდაცვლილი პირი (მიუხედავად იმისდა, რომ მისი უფლებებით ისარგებლებს მისი წარმომადგენელი),ასევე შეურაცხადი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იმისდამიუხედავად დანაშაულის ჩადენის მომენტში იგი იმყოფებოდა შერაცხად თუ შეურაცხად მდგომარეობაში.

თუ დანაშაულის შედეგად დაზარალებული გარდაიცვალა, მისი უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს, რომელიც ხდება დაზარალებულის უფლებამონაცვლე. კერძოდ, სსსკ 44.21 მუხლის თანახმად ახლო ნათესავს მიეკუთვნება-მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა-ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის განქორწინებულიც). ახლო ნათესავთა წრე ამომწურავად არის ჩამოყალიბებული კოდექსში და ამდენად, დაუშვებელია აღნიშნულის გარდა სხვა ნათესავთა მოწვევა პროცესში დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსით.

უფლებამონაცვლის ვინაობის განსაზღვრა, როგორც წესი,

ხდება ახლო ნათესავებს შორის შეთანხმებით, მაგრამ ერთი დონის ახლო ნათესავებს (მაგ. შვილებს შორის) შორის დავის შემთხვევაში, საკითხი წყდება წილისყრით. იმავდროულად, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება შეუძლებელი იყოს ახლო ნათესავის ვინაობის დადგენა. ასეთ დროს არც ერთი პირი არ მიიჩნევა დაზარალებულის წარმომადგენლად, რაც არ ეწინააღმდეგება სსსკ მიზნებს.

განვიხილოთ თითოეული ცალკ-ცალკე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ზიანი შეიძლება იყოს:

1. მორალური ზიანი
2. ფიზიკური ზიანი[1]
3. ქონებრივი ზიანი

1. მორალურ ზიანს — წარმოადგენს ზნეობრივი ტანჯვა რაც გამოწვეულია:

ა) დაბადებით ან კანონით მინიჭებული არამატერიალური სიკეთის ხელყოფით (მაგალითად სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი და ოჯახური ცხოვრების საიდუმლოება და ა.შ.)

ბ) ქმედებით, რომელიც ხელყოფს მის პირად არაქონებრივ უფლებებს (მაგალითად საკუთარი სახელით სარგებლობის უფლება, საავტორო უფლებები და ა.შ.

გ) მისი ქონებრივი უფლებების ხელყოფით.

კერძოდ, მორალურ ზიანს მიეკუთნება განცდები, რაც დაკავშირებულია ახლობელთა მკვლელობით, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის /ცხოვრების შესაძლებლობის მოსპობით, სამსახურის დაკარგვით, საექიმო, ოჯახური საიდუმლოების განსაჯაროებით, საქმიანო რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შემლახველი ყალბი ინფორმაციის გავრცელებით, დაინვალიდებ-

1 ეხება მხოლოდ ფიზიკურ პირს

ით, გარკვეული უფლებების შეზღუდვით ან ჩამორთმევით, ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ფიზიკური ტკივილით, ან მორალური განცდების შედეგად შეძენილი დაავადებით და ა.შ. შესაბამისად, პირს შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია დასახიჩრების, დამახინჯების, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფუნქციების მოშლის ან დაქვეითებისათვის ასევე სხვა სახის ფიზიკური თუ მორალური ზიანით გამოწვეული განცდებისათვის ანაზღაურება როდესაც იგი აცხადებს ასეთი ზიანის მისთვის მიყენების შესახებ.

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ზიანის სიმძიმე და ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა. ზიანის ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ ფულადი კომპენსაციის სახით, არამედ სხვა ქონებრივი გამოხატულებითაც.

2. ფიზიკური ზიანი გამოიხატება ჯანმრთელობის მდგომარეობის შერყევაში, სხეულებრივი დაზიანებები, ფიზიკური ტკივილები და ა.შ. და აღნიშნულთან დაკავშირებით გაწეული ისეთი ხარჯები, როგორიცაა მაგალითად დაკრძალვაზე, მკურნალობაზე, პროთეზირებაზე, მედიკამენტებზე და ა.შ. გაწეული ხარჯები და პენსიის გაცემა (კომპენსაცია)

3. ქონებრივი ზიანი — მატერიალური სიკეთის, ქონების დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზიანი. აქ იგულისხმება როგორც პირდაპირი ზიანი, ასევე ანაცდენი სარგებელიც.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, ერთი სახის ქმედებით პირს ადგება რამდენიმე სახის ზიანი. მაგალითად, ყაჩაღური თავდასხმის შემთხვევაში ეს შეიძლება გამოიხატოს ფიზიკურ, ქონებრივ და მორალურ ზიანში; საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში-ქონებრივ და მორალურ ზიანში.

დაზარალებულად ცნობის შესახებ საპროცესო გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის სახეზე უნდა იყოს ზ/ა

ერთერთი სახის ზიანის მიყენების ფაქტი. ზიანი შეიძლება მიყენებული იქნეს:

1. დანაშაულის შედეგად;

2. შეურაცხადი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით;

3. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ;

გამონაკლისია დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევები, სადაც დაზარალებულად ცნობისათვის საკმარისია ზიანის მიყენების შესაძლებლობის არსებობაც. აქ დაზარალებულად მიიჩნევა პირი, რომელსაც დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შედეგად შეიძლება მისდგომოდა ზიანი (მუხლი 68.3). იმავდროულად დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევაშიც შესაძლებელია არსებობდეს უკვე მიყენებული ზიანის ფაქტი. მაგალითად ბინაში შეღწევით ქურდობის მცდელობისას დაზიანდა შესასვლელი კარი, მკვლელობის მცდელობისას პირს მიადგა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება და ა.შ

დაზარალებულად მიიჩნევა პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მცდელობისას ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებებით ან დამთავრებული დანაშაულის შედეგად მიადგა ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ზიანი.

იმავდროულად, დაზარალებულად შეიძლება ცნობილი იქნეს არა მხოლოდ ხელყოფილი ქონების უშუალო მესაკუთრე, არამედ ის პირიც ვის მფლობელობაშიც/სარგებლობაში იყო ეს ნივთი. მაგალითად, ქონების მინდობით მართვისას თუ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ გადაცემული ქონების განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანებისას ან განადგურებისას ქონებრივი ზიანი ადგება არა მხოლოდ ამ ქონების მიმნდობს (მესაკუთრეს), არამედ ასევე მინდობილ მისაკუთრესაც.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა დაზარალებულად პირის აღირებისათვის საჭიროა ერთ-ერთი სახის ზიანის არსებობა ეს თავისთავად არ გულისხმობს ამ პირისათვის მიყენებული ზიანის

მხოლოდ ან სავალდებულო წესით ფინანსურ/ მატერიალურ ანაზღაურებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსის და პრინციპებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესის ერთერთი ამოცანაა დაიცვას სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილის (და მათ შორის დაზარალებულის) უფლებები და თავისუფლებები, დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა.თუმცა ცალკეულ შემთხვევებში დაზარალებულის პრიორიტეტს შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის სისხლის სამართლებრივი წესით დასჯა და მისი ინტერესების სფეროში არ შედიოდეს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.სწორედ ამიტომ, სსსკ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს უკავშირებს დაზარალებულის ნების გამოვლენას და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ დაზარალებულის მიერ შესაბამისი სამოქალაქო სარჩელის შეტანის შემთხვევაში.აღნიშნული სარჩელის შეუტანლობისას საგამოძიებო ორგანოები მსჯელობენ მხოლოდ დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

თუ პირი დაზარალებულად ცნობის შემდეგ წარადგენს სამოქალაქო სარჩელს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება) დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, ხოლო თუ სამოქალაქო სარჩელი შეტანილი იქნება პირის დაზარალებულად ცნობამდე, მაშინ პროცესის მწარმოებელ ორგანოს შეუძლია გამოიტანოს:

– ერთიანი დადგენილება (განჩინება) პირის დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ

– ცალკ-ცალკე გამოიტანოს დადგენილებები (განჩინებები)პირის დაზარალებულად და პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ.

დაზარალებულად ცნობა:

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი დაზარალებულის სტატუსს უკავშირებს ზიანის არსებობას, საპროცესო სამართლებრივი მნიშვნელობით ასეთი პირი პროცესში დაზარალებულის ამ სტატუსს იძენს მხოლოდ პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანის შემდეგ.

სისხლის სამართლის პროცესი ანსხვავებს დანაშაულის მსხვერპლის და დაზარალებულის ცნებას. კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედებით ზიანის მიყენებისას დაზარალებულად ცნობის შესახებ შესაბამისი საპროცესო დოკუმენტის გამოტანამდე, იგი მსხვერპლია და საპროცესო სამართლებრივ სტატუსს მისგან გამომდინარე უფლება-მოვალეობებით იძენს მხოლოდ პროცესის მწარმოებელი ორგანოს, მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ[1]. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს:

1. გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება;
2. მოსამართლის დადგენილება ან სასამართლოს განჩინება.

დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება (განჩინება) შეიძლება გამოტანილი იქნეს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ და მასში სხვა რეკვიზიტებთან ერთად უნდა აღინიშნოს მიყენებული ზიანის სახე. რამდენიმე სახის ზიანის მიყენების შემთხვევაში ყველა მათგანი აღინიშნება.

პირი დაზარალებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული როგორც:

1. წინასწარი გამოძიების;
2. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილის; ასევე

---

1 მაგალითად ე.წ. „პოტენციურ დაზარალებულს“/ მსხვერპლს არ გააჩნია პროცესის მწარმოებელი ორგანოს /თანამდებობის პირის ქმედებაზე საჩივრის შეტანის უფლებამოსილება. ანუ თუ პირი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად სისხლის სამართლის საქმეზე არ არის ცნობილი დაზარალებულად, მას საჩივრის შეტანის კომპეტენცია არ გააჩნია. ის მიერ შეტანილი საჩივარი ითვლება არაუფლებამოსილი პირის საჩივრად და არ განიხილება.

3. სასამართლო გამოძიებისას.

სასამართლოში საქმის წარმოებისას დაზარალებულად ცნობის უფლება აქვს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლეს) სისხლის სამართლის საქმის განხილვისას და ისიც სასამართლო კამათის დაწყებამდე. თუ პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას სასამართლო კამათის დაწყების შემდეგ, ან სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისას, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილი არ არის გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

პირის დაზარალებულად ცნობა შეიძლება განხორციელდეს:

1. პირადი განცხადების საფუძველზე

2. პროცესის მწარმოებელი ორგანოს ინიციატივით.

პირის დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული მის ნებასურვილზე. კერძოდ, დაზარალებულად მისი ცნობისათვის აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს მისი განცხადება ან თანხმობა პროცესში ჩართვაზე[1]. შესაბამისი ზიანის სავარაუდო მიყენების ფაქტის დადგენისათანავე დაუყოვნებლივ პროცესის მწარმოებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის პროცესში დაზარალებულად მოწვევის შესახებ. ვინაიდან დაყოვნება უსპობს ამ პირს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენების შესაძლებლობას.

დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული არც მის ასაკზე და არც მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველს წარმოადგენს:

1. ინფორმაცია სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენის შესახებ;

---

1 გამონაკლისია კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები, რომლებზეც სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს სწორედ დაზარალებულის საჩივარი/ განცხადება წარმოადგენს

2. ამ ქმედებით პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი;
3. მიზეზობრივი კავშირის არსებობა ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. – მიუხედავად იმისა, რომ მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი გამოძიების და სასამართლოში საქმის განხილვისას, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს პირის დაზარალებულად ცნობას სისხლისსამართლებრივი დევნის საწყისს ეტაპზევე, როდესაც იგი აცხადებს მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკლებული იქნება სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობის და საკუთარი უფლებების/ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.

პირი დაზარალებულად უნდა იქნეს ცნობილი იმ შემთხვევაშიც, თუ მისთვის მიყენებული ზიანი მისივე არამართლზომიერი ქმედებით არის გამოწვეული. ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას, მაგრამ ვერ წაართმევს მას დაზარალებულის უფლებებს.

სსსკ 68.7 მუხლის თანახმად დაზარალებული საჯარო ან კერძო-საჯარო ბრალდების საქმის გამო არის სუბსიდიური ბრალმდებელი, ხოლო კერძო ბრალდების საქმის გამო– კერძო ბრალმდებელი.

აღნიშნულის მიუხედავად, საჯარო ან კერძო-საჯარო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე სუბსიდიური ბრალმდებლის სახით მონაწილეობისას დაზარალებულის უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდულია, ვინაიდან:

1. მას და მის წარმომადგენელს არ აქვთ უფლება გასცდნენ პროკურორის მიერ ფორმულირებული სახელმწიფო ბრალდების ფარგლებს;
2. სუბსიდიური სისხლის სამართლებრივი დევნა წინასწარი გამოძიების სტადიაზე არ მიმდინარეობს, რადგან იგი გამოიხატება დაზარალებულის და მისი წარმომადგენლის მხრიდან

პროკურორის მიერ ფორმულირებული სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაში. სახელმწიფო ბრალდება კი არსებობს სასამართლო განხილვის და არა წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

იმავდროულად, სუბსიდიური ბრალდების შემთხვევაში პროკურორის მიერ ბრალდების მოხსნის ან შეცვლის შემთხვევაში დაზარალებულს და მის წარმომადგენელს უფლება აქვთ მხარი დაუჭირონ წინა ბრალდებას. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დევნა არ წყდება და სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში გრძელდება, სადაც ბრალმდებლად გამოდის დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, ხოლო პროკურორს უფლება აქვს საქმის შემდგომ განხილვაში მონაწილეობა არ მიიღოს რადგან მან თავისი პოზიცია უკვე დააფიქსირა სახელმწიფო ბრალდებასთან მიმართებაში.

ამასთან, დაზარალებულსაც უფლება აქვს უარი თქვას ბრალდების მხარდაჭერაზე. სწორედ ამიტომ, სასამართლო სხდომის მოსამზადებელ სტადიაზე სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის მონაწილეობის საკითხის გარკვევისა და მისთვის უფლებების განმარტების დროს სასამართლომ უნდა გაარკვიოს დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის პოზიცია სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით.

დაზარალებულის ინტერესების დაცვის საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება, სადაც, როგორც წესი ფიგურირებს მხოლოდ დაზარალებულის კერძო ინტერესი და დაზარალებული კერძო ბრალმდებლად გვევლინება. შესაბამისად მისი დაწყებისთვისაც სწორედ დაზარალებულის საჩივარია საჭირო, ისევ როგორც საქმის წარმოების შეწყვეტაც, როგორც წესი, დაზარალებულის ნებაზეა დამოკიდებული (მხარეთა შერიგებაზე). თუმცა როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ კატეგორიის საქმეებზე მხარეები ერთმანეთს უყ-

ენებენ ბრალდებებს, რის გამოც დაზარალებული იმავდროულად ბრალდებულადაც გვევლინება ხოლმე და პირიქით (ეს განსაკუთრებით ეხება სსკ 125-ე მუხლს (ცემა)).

სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ პირის დაზარალებულად ცნობა არ ნიშნავს პირის დაზარალებულობის საკითხის სავალდებულო წესით დადასტურდებას სასამართლო განაჩენით. სსსკ ითვალისწინებს თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ განჩინების (დადგენილების) გაუქმების ვალდებულებას, თუ აღნიშნული საპროცესო დოკუმენტის გამოტანის შემდეგ დადგინდება, რომ ამის საფუძველი არ არსებობს. ამასთან, ეს შეიძლება იყოს პროცესის მწარმოებელი იგივე ორგანო (თანამდებობის პირი) ან თუ ეს საფუძველი გამოვლინდება შემდეგ სტადიაზე-პროცესის მწარმოებელი სხვა ორგანო (თანამდებობის პირი). მაგალითად, დაზარალებულად ცნობის შესახებ გამომძიებლის დადგენილება შეიძლება გააუქმოს სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ (მოსამართლემ), თუ გაუქმების საფუძველი გამოვლინდა საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დებატები და ერთერთ პრობლემატურ საკითხს დაზარალებულის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით წარმოადგენს დაზარალებულის პროცესუალური დამოუკიდებლობის და ალტერნატიული გამოძიების განხორციელების შესაძლებლობის საკითხი. კერძოდ, რამდენად არის დაცული დაზარალებულის ინტერესები იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ბრალდების საქმეზე სახელმწიფო ბრალმდებელი უარს აცხადებს ბრალდების მხარდაჭერაზე და დაზარალებულს უსპობს სისხლის სამართლებრივი დევნის გაგრძელების შესაძლებლობას, როგორ წყდება საკითხი თუ დაზარალებული არ უჭერს მხარს სახ. ბრალმდებლის პოზიციას და ითხოვს ჩადენილი ქმედების განსხვავებულ კვალიფიკაციას და შესაბამისად განსხვავებული სახის სისხ. სამ სასჯელს განსასჯელისათ-

ვის.საკმარისია თუ არა აღნიშნული მიზნის მისაღწევად მისთვის გასაჩივრების და შუამდგომლობის განცხადების უფლების მინიჭება[1]. მით უმეტეს, რომ სსსკ 24.3 მუხლის თანახმად საჯარო სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი და გამომძიებელი შებოჭილნი არ არიან დაზარალებულის და სხვა პირთა პოზიციით.

დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები:

დაზარალებულად ცნობის მომენტიდან პირი იძენს უფლება-მოვალეობათა ფართო კომპლექსს, რომელთა მეშვეობითაც იგი ახორციელებს თავისი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას და რამაც უნდა უზრუნველყოს პროცესში მისი მონაწილეობის მაღალი ხარისხი. თავისი უფლებების რეალიზაციის გზით იგი ახორციელებს ბრალდების ფუნქციას: საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე არის სუბსიდიური ბრალმდებელი, კერძო ბრალდების საქმეებზე-კერძო ბრალმდებელი, ხოლო სამოქალაქო სარჩელის შეტანის შემთხვევაში– ხდება სამოქალაქო მოსარჩელე და იძენს მის უფლება-მოვალეობებსაც. იმავდროულად მისი ჩვენებები მტკიცებულების წყაროა.

სსსკ დაზარალებულისათვის მინიჭებული უფლებები პირობითად სამ ნაწილად იყოფა:

1. დაზარალებულის სპეციფიკური უფლებები;
2. ბრალდებულის უფლებების ანალოგიური უფლებები;
3. პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებების ანალოგიური უფლებები.

---

1 მაგალითად აშშ სსსკანონდებლობა დაზარალებულს ანიჭებს სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებას. საფრანგეთის სსსკანონმდებლობაში „დაზარალებულია“ და „სამოქალაქო მოსარჩელის ცნებები“ სინონიმებია. აზარალებულს უ ლება ეძლევა წარმოადგინოს სამოქ. სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში და ამ გზით დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ან სამოქალაქო მოსარჩელის სახით შევიდეს სისხლის სამართლის პროცესი პროკურორის მიერ დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე.

კერძოდ, სსსკ თანახმად, დაზარალებულს ან მის უფლებამონაცვლეს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს დადგენილებას (განჩინებას) დაზარალებულად ცნობის შესახებ და მიიღოს განმარტება მისი შინაარსისა და თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

ბ) მისცეს ჩვენება და განმარტება;

გ) განაცხადოს აცილება;

დ) განაცხადოს შუამდგომლობანი მტკიცებულებათა გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, საქმის გარემოებათა შემოწმებისა და სამართალწარმოების დროს წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ;

ე) წარმოადგინოს მტკიცებულებანი;

ვ) საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედებაზე და მოითხოვოს მისი შეტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში;

ზ) გაასაჩივროს პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში – ზემდგომ პროკურორთან გამომძიებლის და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში – სასამართლოში;

თ) პირისთვის ბრალდების წაყენების შემდეგ იცოდეს მისი არსი;

ი) მონაწილეობა მიიღოს თავისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;

კ) საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს;

მ) მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში: წარმოადგინოს მტკიცებულებანი და გამოიკვლიოს პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი; გამოვიდეს კამათში და გამოთქვას აზრი ბრალდების დასაბუთებუ-

ლობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და გამოთქვას მასზე შენიშვნები;

ნ) გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი თუ სხვა გადაწყვეტილება სააპელაციო ან საკასაციო წესით, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში – ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, და გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე;

ო) უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), საბრალდებო დასკვნის, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლები, თარგმნილი მისთვის გასაგებ ენაზე, თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

პ) მისცეს ჩვენება და განმარტება მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით;

ჟ) მონაწილეობა მიიღოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოთა სხდომებში და დაიცვას იქ თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები;

რ) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

ს) დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული კუთვნილი ქონება;

ტ) იყოლიოს წარმომადგენელი დაზარალებულად ცნობის მომენტიდან და სამართალწარმოების ნებისმიერ მომენტში უარი თქვას მის მომსახურებაზე;

უ) განთავისუფლდეს ადვოკატ-წარმომადგენლის შრომის ანაზღაურებისაგან 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ფ) პროცესის მწარმოებელ პირს მოსთხოვოს დაცვის ღონისძიებათა გატარება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და საკუთრებას

ქ) უარი თქვას კერძო ბრალდებაზე;

ღ) მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით შეიძლება ჩატარდეს დაზარალებულის შემოწმება, ექსპერტიზა დაკავშირებული გაშიშვლებასთან. აგრეთვე სირცხვილის გრძნობის გამომწვევი სხვა მოქმედება[1].

დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის მოვალეობები:

1. დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით — საგამოძიებო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში დაზარალებულის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით გამომძიებელთან, პროკურორთან ან მოსამართლესთან დაზარალებულის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მაგრამ მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების (წინასწარი გამოძიებისას— ბრძანების, საქმის არსებითად განხილვისას-დადგენილების ან განჩინების) საფუძველზე. ამასთან, დაუშვებელია დაზარალებულის მოყვანა მისი წინასწარი გამოძახების, ნებაყოფლობით გამოცხადებაზე უარის თქმის და მიზეზის არასაპატიო ხასიათის დადგენის გარეშე. როგორც წესი, დაუშვებელია სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას დაზარალებულის

1 სსსკ 69.1 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ასევე მის უფლებას სამართალში მიცემის სტადიაზე მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, მაშინ, როდესაც ეს სტადია 2006წლის 28 აპრილის კანონით გაუქმებულია.

იძულებით მოყვანა სსკ 140 და 141-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე, თუმცა გამონაკლისის სახით, სსსკ ითვალისწინებს დაზარალებულის იძულებით მოყვანას თუ მოსამართლეს დაზარალებულის მონაწილეობის გარეშე შეუძლებლად მიაჩნია საქმის გადაწყვეტა.

დაზარალებულის გამოუცხადებლობა საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე არ აბრკოლებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

2. გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს– დაზარალებულს ცრუ ჩვენების მიცემისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნა ამ საფუძვლით შეიძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.
3. არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა პროცესის მწარმოებელმა ორგანომ;
4. დაიცვას სსსკ დადგენილი წესი წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში.

დაზარალებულის წარმომადგენელი:

სისხლის სამართლის პროცესი მიუხედავად იმისა, რომ პროცესის მწარმოებელ ორგანოებს აკისრებს ვალდებულებას დეტალურად განუმარტონ დაზარალებულს მისი უფლებები და მოვალეობები, დაიცვან და ხელი შეუწყონ მისი უფლებების განხორციელებას, ვინაიდან დაზარალებული, როგორც წესი, იურიდიული განათლების არ მქონეა, სსსკ დაზარალებულის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ითვალისწინებს დაზარალებლის წარმომადგენლის მონაწილეობას წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში. ამასთანავე, სსსკ:

1. წარმომადგენლად მონაწილეობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ადვოკატებს;
2. არ ზღუდავს დაზარალებულს წარმომადგენელთა რაოდენობაში – დაზარალებულს შეუძლია პროცესში მოიწვიოს წარმომადგენელთა მისთვის სასურველი რაოდენობა.
3. ადგენს პროცესში წარმომადგენლის მონაწილეობის სავალდებულო შემთხვევებს.

წარმომადგენლის ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს პროცესის მონაწილეთა მიერ სსსკ მინიჭებული უფლებების, მოვალეობების და კანონიერი ინტერესების სრულყოფილად დაცვა-განხორციელებას. ასეთი დაცვა, როგორც წესი, სჭირდება არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებსაც, რომლებიც:

ა) მოკლებულნი არიან პროცესში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობას-მაგალითად ჯანმრთელობის მდგომარეობის (ქმედუუნარობა, ხანგრძლივი სტაციონალური მკურნალობა), მივლინებაში ყოფნის გამო და ა.შ;

ბ) პროცესში მონაწილეობისას განიცდიან მნიშვნელოვან სირთულეებს თავიანთი უფლებების და კანონიერი ინტერესების რეალიზაციასთან დაკავშირებით-მაგალითად შეზღუდული ქმედუნარიანობა-არასრულწლოვნება და ა.შ;

გ) ვინაიდან არ გააჩნიათ იურიდიული განათლება, უპირატესობას ანიჭებენ ადვოკატების დახმარებას;

დ) იურიდიული პირები და სახელმწიფო-პროცესში მონაწილეობენ მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობით.

სსსკ ადგენს პროცესში დაზარალებულის წარმომადგენლის მონაწილეობის ორ შემთხვევას:

1. ფაკულტატური-პროცესში დაზარალებულის წარმომადგენლის მონაწილეობა დამოკიდებულია დაზარალებულის ნებასურვილზე. თუმცა ამ შემთხვევაშიც წარმომადგენლის პროცესში შემოსვლის საფუძველი შეიძლება იყოს ან დაზრალე-

ბულთან დადებული შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ წარმომადგენლის დანიშვნა;

2. სავალდებულო შემთხვევები-წარმომადგენლის მოწვევა ხდება დაზარალებულის ნების მიუხედავად და ცალკეულ შემთხვევებში მისი ნების საწინააღმდეგოდაც (თუ იგი უარს აცხადებს საერთოდ წარმომადგენლის მოწვევაზე და არა კონკრეტულ პირზე) და მიეკუთვნება ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:
   - არის არასრულწლოვანი;
   - ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე;
   - ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები
   - არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულში დაზარალებული
   - არის არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულში დაზარალებული

აღნიშნულ შემთხვევებში პროცესის მწარმოებელი ორგანო უზრუნველყოფს საქმეში ადვოკატის მონწილეობას, რომლის ხარჯებსაც აანაზღაურებს სახელმწიფო. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სავალდებულო დაცვის შემთხვევებთან მიმართებაში სსსკ ითვალისწინებს დაცვის ფუნქციის განხორციელების უფლების მინიჭებას ადვოკატ-წარმომადგენლის პარალელურად დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენლისთვისაც.

დაზარალებულის სავალდებულო წარმომადგენლობასთან დაკავშირეით საინტერესოა დაზარალებულის უფლება წარმომადგენლის არჩევაზე და წარმომადგენლის დახმარებაზე უარის თქმის თაობაზე, ისევე როგორც საკითხი წარმომადგენელთა შეცვლის შესახებ, როგორც მათი სახაზინო წესით დანიშვნის, ასევე სავალდებულო წარმომადგენლობის შემთხვევებთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ აღნიშნულ საკითხს პირაპირ

არ არეგულირებს, პროცესში მხარეთა თანაბარუფლებიანობის და შეჯიბრებითობის პრინციპისათვის სათანადო წინაპირობების შექმნის მიზნით იგულისმება, რომ აქ მოქმედებს სსსკ ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ აღნიშნულ საკითხს ბრალდებულებთან (განსასჯელებთან) მიმართებაში. შესაბამისად,

დაზარალებულს უფლება აქვს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას დანიშნული თუ მოწვეული წარმომადგენლის დახმარებაზე და დამოუკიდებლად განახორციელოს დაცვა ან მოიწვიოს სხვა წარმომადგენელი. იმავდროულად მას უფლება აქვს შეცვალოს თავისი უარი წარმომადგენლის დახმარებაზე და მოგვიანებით მოითხოვოს წარმომადგენლის დანიშვნა ან თავად მოიწვიოს იგი. უარი წარმომადგენლის მომსახურებაზე და მისი შეცვლის შესახებ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს თუ უარი მიზნად არ ისახავს პროცესის გაჭიანურებას ან პროცესის სხვა მონაწილისათვის ხელის შეშლას თავისი უფლებების განხორციელებაში. ამასთან. პროცესის მწარმოებელ ორგანოს არა აქვს უფლება შეზღუდოს დაზარალებული წარმომადგენლის არჩევანში.

სსსკ თანახმად პროცესში დაზარალებულის წარმომადგენლის მონაწილეობის საფუძველია:

1. მოწვევა დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ

2. დანიშვნა პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ.

პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ წარმომადგენლის დანიშვნას ადგილი აქვს ორ შემთხვევაში:

1. სავალდებულო წარმომადგენლობა;

2. თუ დაზარალებულს სურს იყოლიოს წარმომადგენელი, მაგრამ არ გააჩნია საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა მისი მოწვევისათვის-კერძოდ, გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, რომელსაც გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო,

სახელმწიფო უზრუნველყოფს არასმქონე დაზარალებულის ინტერესების წარმომადგენლად ადვოკატის მოწვევას სახელმწიფოს ხარჯზე. თუ შეუძლებელი ხდება დაზარალებულის გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება, გადაწყვეტილებას დაზარალებულისათვის წარმომადგენლის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის შესახებ იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო.

ამასთან, დაზარალებულის წარმომადგენლის დანიშვნას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულს არ მოუწვევია წარმომადგენელი.

წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები:

წარმომადგენელი პროცესში მონაწილეობს დაზარალებულის პარალელურად. იგი არ ენაცვლება დაზარალებულს და იმავდროულად ვალდებულია საკუთარი საპროცესო პოზიცია და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხები შეუთანხმოს დაზარალებულს. წარმომადგენელი მონაწილეობს პროცესში დაზარალებულთან ერთად ან მისი დავალებით— მარტო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სსსკ ითვალისწინებს პირადად დაზარალებულის სავალდებულო მონაწილეობას.

წარმომადგენელი სარგებლობს იგივე უფლებებით, რაც დაზარალებული. გამონაკლისია:

1. იმ უფლებათა კომპლექსი, რომლის განხორციელებაც პირადად დაზარალებულთან არის დაკავშირებული— მაგალითად, ჩვენების მიცემა, უფლება უფასო იურიდიულ წარმომადგენლობაზე, უფლება შემაჯამებელი დოკუმენტების უფასოდ და მისთვის გასაგებ ენაზე მიღებაზე, უფლება საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული მისი კუთვნილი ქონების დაბრუნებაზე; უფლება იყოლიოს წარმომადგენელი.

2. უფლებები, რომელთა განხორციელება დაიშვება მხოლოდ დაზარალებულთან შეთანხმებით.

დაზარალებულის წარმომადგენელს არა აქვს უფლება, დაზარალებულის თანხმობის გარეშე:

– დაეთანხმოს უარს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტაზე,

– პროკურორის უარს ბრალდებაზე ან ბრალდების შეცვლაზე,

– უარი თქვას სარჩელზე,

– შეამციროს სარჩელის თანხა,

– მოურიგდეს ან შეურიგდეს ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეთა გამო,

– გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება, ან

– უარი თქვას მათ გასაჩივრებაზე.

გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც წარმომადგენლობა ხორციელდება დაზარალებულის ნებისაგან დამოუკიდებლად სავალდებულო წარმომადგენლობის ფარგლებში.

დაზარალებულის წარმომადგენელს უფლება აქვს პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) მოსთხოვოს დაცვის ღონისძიებათა გატარება, თუ საფრთხე ემუქრება მისი ან მისი ახლო ნათესავის:

– სიცოცხლეს;

– ჯანმრთელობას;

– საკუთრებას.

დაზარალებულის წარმომადგენელს ეკისრება სსსკ 70-ე მუხლის პირველი ნაწილით დაზარალებულზე დაკისრებული მოვალეობები. ამასთან, წარმომადგენელს, არც ერთ შემთხვევაში არა აქვს უფლება იმოქმედოს დაზარალებულის ინტერესების საზიანოდ.

დაზარალებულის წარმომადგენელი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:

ა) იგი წინათ მონაწილეობდა იმავე საქმეში, როგორც მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან დამსწრე;

ბ) მას ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობდა ან მონაწილეობს ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში, ანდა პირთან, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება პროცესის იმ მონაწილის ინტერესებს და რომელმაც მასთან დადო შეთანხმება იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ;

გ) მას უკავია მოსამართლის, პროკურორის ან გამომძიებლის თანამდებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი შრომისუუნარო პირის კანონიერი წარმომადგენელია, ანდა როცა დაწესებულება, რომელშიც იგი მუშაობს, ცნობილია სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ და ის ამ დაწესებულების წარმომადგენლად გამოდის;

დ) იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან წინათ უწევდა პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის ინტერესებს, რომლის წარმომადგენელიც ის არის;

ე) დასაცავი პირი (მარწმუნებელი) უარს ამბობს დაცვაზე (წარმომადგენლობაზე) და უარი მიღებულია.

§5. ეჭვმიტანილის სამართლებრივი სტატუსი

ეჭვმიტანილი სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტია, რომელიც საპროცესო-სამართლებრივ ურთიერთობაში ჩნდება წინასწარი გამოძიების საწყის ეტაპზე. პროცესში მისი მონაწილეობა ლოკალურ ხასიათს ატარებს, რადგან ეჭვმიტანილის საპროცესო მდგომარეობაში პირი შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთის მანძილზე.

მოქმედი საპროცესო კანონის თანახმად, პირის ეჭვმიტანილად ცნობა ხდება დადგენილების გამოტანით ან დაკავების ოქმის შედგენით.

ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილება გამოაქვს პროკურორს ან გამომძიებელს პროკურორის თანხმობით. ასეთი დადგენილება შეიძლება იყოს გამოტანილი იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, ანუ არსებობს ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მისთვის ბრალდების წასაყენებლად. ცხადია, კანონი არ მოითხოვს სარწმუნოდ იყოს დამტკიცებული პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. ასეთი მოთხოვნა არარეალური იქნებოდა გამოძიების საწყის ეტაპზე, მაგრამ აუცილებელია გამოძიების ორგანოებს გააჩნდეთ ეჭვის დასაბუთებისათვის საჭირო მტკიცებულებები.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სსსკ 142-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შედგეს დაკავების ოქმი პოლიციის თანამშრომლის ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ. ამასთან, თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე შეუძლებელია გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, იგი უნდა შედგეს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებულის მიყვანისთანავე.

პირის ეჭვმიტანილად ცნობა ხდება ფაქტობრივად დაკავების ოქმით და დაკავებისას ცალკე დადგენილების გამოტანა პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ საჭირო არ არის.

კანონის თანახმად პირის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს, რომელიც თავის მხრივ, უფლებამოსილია გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, დაკავებულის დაკითხვისა და გამომძიებლის დასაბუთების მოსმენის გზით შეამოწმოს დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ანდა გამოძიება და გაათავისუფლოს დაკავებული.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებისაგან განსხვავებით ეჭვი გარკვეული სპეციფიკის მატარებელია. კანონის თანახმად, დადგენილებაში ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ბრალდება უნდა იყოს ზუსტად ფორმულირებული, ეჭვის მიმართ კი ასეთი მოთხოვნა არ არსებობს, რადგან მონაცემები დანაშაულის ჩამდენ სავარაუდო პირზე ამ ეტაპისათვის საკმარისი სისრულით ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი. ამიტომ საპროცესო დოკუმენტებში (დადგენილებაში ეჭვმიტანილად პირის ცნობის შესახებ და დაკავების ოქმში) ეჭვი არ შეიძლება ისე კონკრეტულად იყოს გამოხატული, როგორც ბრალდება.

სსსკ 72-ე მუხლის თანახმად, თუ ეჭვმიტანილი დაკავებული არ არის, მას უნდა წაეყენოს ბრალდება არა უგვიანეს 30 დღისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ მას ბრალდება არ წაეყენა, დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება. თუ ეჭვმიტანილი დაკავებულია დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. ეჭვმიტანილს ამ ვადის ამოწურვამდე უნდა წაეყენოს ბრალდება. მომდევნო 24 საათში პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი უნდა გათავისუფლდეს.

ეჭვმიტანილს, როგორც პროცესის სუბიექტს გააჩნია კანონით განსაზღვრული საპროცესო უფლება-მოვალეობები. იგი თავისი უფლებების რეალიზაციას ახორციელებს ბრალდებულის მსგავსად. უპირველეს ყოვლისა, სსსკ 73-ე მუხლის თანახმად, ეჭვმიტანილს უფლება აქვს, იცოდეს თუ რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ ეჭვი. მოცემული უფლების უზრუნველსაყოფად დადგენილებაში ეჭვმიტანილად პირის ცნობის შესახებ უნდა იყოს მითითებული ეჭვის საფუძველი, ხოლო დაკავების ოქმში სავალდებულოა აღინიშნოს დაკავების საფუძველი და მოტივები, აგრეთვე დანაშაული, რომლის ჩადენაშიცაა ეჭვმიტანილი პირი. ოქმს ხელს უნდა აწერდეს დაკავებული. ამასთან, ეჭვმიტანილს ეჭვმიტანილად ცნობისთანავე ხელზე უნდა გადაეცეს ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების ასლი, ხოლო დაკავების შემთხვევაში დაკავების ოქმის ასლი.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს მისცეს ან არ მისცეს ჩვენება. ამ კუთხით ის სრულიად გათანაბრებულია ბრალდებულთან. ეჭვმიტანილი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის (რადგან მას აქვს დუმილის უფლება, რაც უნდა განემარტოს დაკავებისთანავე) და არც წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ეჭვმიტანილს უფლება აქვს არ დაიბრალოს დანაშაული. კანონის ეს მოთხოვნა შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მოთხოვნებს.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს იყოლიოს დამცველი. ამასთან დამცველის მოწვევის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ, ახსნა-განმარტების მიცემამდე, ხოლო თუ ეს ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება, მაქსიმალურად გონივრულ დროში, რათა ეჭვმიტანილს მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება თავის დასაცავად. ამასთან ეჭვმიტანილს უფლება აქვს მოითხოვოს დამცველის მოწვევა როგორც შეთანხმებით, ასევე დანიშვნით ანაზღაურებისაგან სრულად განთავისუფლებით

სსსკ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს პირისპირ, ცალკე შეხვდეს დამცველს შეხვედრების რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად. ამასთან, კანონი ითვალისწინებს მოცემული უფლების შეზღუდვასაც. კერძოდ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს გონივრული ვადით. ეს შეზღუდვა განპირობებულია პროცესში ეჭვმიტანილის ეპიზოდური და მოკლევადიანი მონაწილეობით. ეჭვმიტანილი თუ ისარგებლებს დამცველთან პირისპირ შეხვედრის შეუზღუდავი უფლებამოსილებით, ფაქტობრივად შეიძლება ისე ამოიწუროს მისი ეჭვმიტანილად ყოფნის ვადა, რომ მან ვერ შეძლოს სხვა უფლებების რეალიზაცია. ცხადია, ეს გარემოება ხელს შეუშლის ასევე პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირს ეჭვმიტანილის მიმართ საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების განხორციელებაში. ამასთან, თანამდებობის პირის თვითნებობის თავიდან ასაცილებლად კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვის და გონივრული ვადის დაწესების თაობაზე გამოძიების მწარმოებელი პირის მიერ მოტივირებული დადგენილების გამოტანის აუცილებლობა.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება, ასევე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვმიტანილს უფლება აქვს გაასაჩივროს ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი ერთჯერადად რაიონის (ქალაქის) სასამართლოში გამოძიების ადგილის მიხედვით. საჩივარი განიხილება მისი მიღებიდან 24 საათში, ამასთან, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება ზემდგომ ინსტანციაში. ეჭვმიტანილს ხელზე უნდა გადაეცეს სამედიცინო შემოწმების თაობაზე წერილობითი დასკვნა, აგრეთვე ექსპერტიზის დასკვნა.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მისი ან მისი დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში. ჩხრეკის, ამოღების და შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მოიწვიოს დამსწრე (არა უმეტეს ორისა), ხოლო თუ მან არ იცის, ან არასათანადოდ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობები. შუამდგომლობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. კერძოდ, ამა თუ იმ პირის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ, მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ა.შ. ცხადია, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, არგუმენტირებული. მას უფლება აქვს განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც გამორიცხავენ მის მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში, ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას. ამასთან, თუ ეჭვმიტანილი ვერ წარადგენს მისი ეჭვის უარმყოფელ, გამაბათილებელ ან გამამრიცხავ მტკიცებულებებს, ეს გარემოება არ შეიძლება მიჩნეული იყოს ეჭვის დადასტურებად, რადგან უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე ეჭვმიტანილი არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ეჭვისა და ბრალდების მტკიცების მოვალეობა აკისრია პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს სსსკ 138-ე მუხლის თანახმად, დაკავებიდან არაუგვიანეს 5 საათში, ხოლო თუ ის არასრულწლოვანია არაუგვიანეს 3 საათისა შეატყობინოს ოჯახის წევრებს ან ნათესავებსა და ახლობლებს დაკავების შესახებ და დაკავების ადგილი.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედებები და გადაწყვეტილებები პროკურორთან, პროკურორისა — ზემდგომ პროკურორთან, ასევე კანონით დადგენილ შემთხვევებში — სასამართლოში. უფლება აქვს მიიღოს ანაზღაურება ზიანისათ-

ვის, რომელიც მას მიადგა უკანონო დაკავების შედეგად.

ეჭვმიტანილს უფლება აქვს გამომძიებლისაგან მიიღოს ამომწურავი განმარტება თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ეჭვმიტანილის მიერ თავისი უფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება გაგებული ან განმარტებული იქნეს მისი დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

კანონში სავალდებულო წესით არ არის ფორმულირებული ეჭვმიტანილის დაკითხვის თაობაზე, რადგან დაკავებული ეჭვმიტანილის დაკითხვა პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირის უფლებამოსილებაა, რაც არ მიგვაჩნია სწორად. ეჭვმიტანილის დაკითხვა საქმის გარემოებებზე და მის დაკავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა წარმოებდეს დაუყოვნებლივ, რაც ერთის მხრივ, ეჭვმიტანილს მისცემს შესაძლებლობას დაიცვას თავი და უარყოს ეჭვის საფუძველი და მეორეს მხრივ, პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირი მიიღებს ინფორმაციას უშუალოდ ეჭვმიტანილისაგან მომხდარი ფაქტის და ამ დანაშაულში მისი მონაწილეობის საკითხებზე.

უფლებებთან ერთად ეჭვმიტანილს აკისრია გარკვეული მოვალეობები. კერძოდ, იგი მოვალეა გამოცხადდეს გამომძახებისთანავე პროცესის მწარმოებელ ორგანოში; ხელი არ შეუშალოს ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით, ფალსიფიკაციით, მოწმეთა და დაზარალებულთა შეგულიანებით. ხელი არ შეუშალოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს შემოწმების, ექსპერტიზის, საექსპერტო გამოკვლევის, ნიმუშების აღების, ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, პირადი ჩხრეკისა და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ გამოტანილ კანონიერ დადგენილებათა შესრულებას.

საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის ეჭვმიტანილის მიმართ გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებები.

§6. ბრალდებულის სამართლებრივი სტატუსი და უფლება-მოვალეობები

ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესისი ერთ-ერთი ცენტრალური სუბიექტია. იმ ქმედებაზე, რომელიც მას ბრალად ერაცხება წარმოებს წინასწარი გამოძიება, სასამართლო გამოძიება და დგინდება განაჩენი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით „ბრალდებული" გვარეობითი ცნებაა, მასთან მიმართებაში ტერმინები „ეჭვმიტანილი", „განსასჯელი", „მსჯავრდებული" წარმოადგენენ სახეობით ცნებებს. ბრალდებულს, რომლის მიმართაც არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ამგვარი ეჭვი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პირის მიმართ წაყენებულ იქნეს ბრალდება, კანონი უწოდებს ეჭვმიტანილს; ბრალდებულს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სასამართლო განხილვა ეწოდება განსასჯელი; ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი – მსჯავდებული, ხოლო გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში კი გამართლებული.

ადამიანის უფლებათა და ძირითადად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც ამა თუ იმ ფორმით ხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა –საბრალდებო საქმიანობა. როგორც ვხედავთ, ევროპული კონვენცია ფართოდ განმარტავს ბრალდებულის ცნებას და შლის სხვაობას ეჭვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს შორის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად, ბრალდებული არის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი. სსსკ 75–ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამომძიებლის ან პროკურორის დადგე-

ნილება მისი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

პირის ბრალდებულად ცნობის უფლებამოსილება გააჩნია გამომძიებელს პროკურორის თანხმობით და პროკურორს. ამისთვის მათ უნდა გამოიტანონ დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ბრალდებულად პირის ცნობისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. უნდა არსებობდეს კანონით დადგენილი წესით შეკრებილი და შემოწმებული მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებით მიუთითებენ იმაზე, რომ სწორედ კონკრეტული პირის მიერ არის ჩადენილი ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. სსსკ 281 –ე მუხლის ძალით ბრალდების წაყენების საფუძველია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული.

უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპიდან გამომდინარე პირის ცნობა ბრალდებულად ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის დამნაშავედ გამოცხადებას. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შემდეგ შეიძლება დადგინდეს მისი არაბრალეულობა და საქმე ამ პირის მიმართ შეწყდეს; პროკურორმა შეიძლება სასამართლოში უარი თქვას ბრალდებაზე; შესაძლებელია სასამართლომ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის აქტი იწვევს საპროცესო შედეგებს. კერძოდ, ბრალდებულისთვის ცნობილი ხდება თუ რაში ედება მას ბრალი და შესაბამისად მას უჩნდება გარკვეული უფლება-მოვალეობები; გამომძიებელი, პროკურორი მოვალენი არიან ბრალდებულს განუმარტონ კანონით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობები და უზრუნველყონ მისი განხორციელების შესაძლებლობები, ამასთან ისინი უფლებამოსილნი არიან ბრალდებულის მიმართ გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება.

სისხლის სამართალწარმოების მთელ მანძილზე ბრალდებული წარმოადგენს დაცვის უფლების სუბიექტს, თუმცა მისი საპროცესო მდგომარეობა პროცესის სხვადასხვა სტადიებზე ერთი და იგივე არ არის.

ბრალდებულის საპროცესო სტატუსის საფუძვლები განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში (მ. 42-ე), მათი კონკრეტიზირება ხდება საპროცესო კოდექსში. კანონი არა მხოლოდ ჩამოთვლის ბრალდებულის უფლებებს, არამედ ითვალისწინებს მათი უზრუნველყოფის საპროცესო საშუალებების რთულ მექანიზმს. ძირითადი უფლება, რომელიც ბრალდებულს აქვს კანონით მინიჭებული და რომელიც განსაზღვრავს მის საპროცესო მდგომარეობას ეს არის დაცვის უფლება.

ბრალდებულის დაცვის უფლება — ეს არის სხვადასხვა უფლებების კომპლექსი, რაც ბრალდებულს გააჩნია პროცესის ყველა სტადიაზე და რაც მას აძლევს შესაძლებლობას უარყოს ბრალდება, დაიცვას თავისი ინტერესები და თავისი პოზიცია საქმეზე. კანონში ჩამოთვლილი ბრალდებულის ყველა უფლება შეიძლება განვიხილოთ როგორც უფრო ზოგად კატეგორიაში — დაცვის უფლებაში შემავალი.

ბრალდებულის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სსსკ-ის 76-77 -ე მუხლებით. ბრალდებულად ცნობისთანავე დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ, მისთვის გასაგებ ენაზე ბრალდებულს უნდა ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი. ბრალდებულს უნდა გადაეცეს ბრალდებულად ცნობის დადგენილების ასლი.

უფლება იცოდეს რაში ედება ბრალი — ბრალდებულის უფლებათა შორის უპირველესია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია საკუთარი თავის დაცვა. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში მითითებულია რომელი დანაშაულის ჩადენაშია პირი ბრალეული და სისხლის სამართლის

კოდექსის რომელი ნორმა ითვალისწინებს ამ დანაშაულს.

ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს განმარტება წარდგენილ ბრალდებაზე, მისცეს ჩვენება. წარდგენილი ბრალდების განმარტებას ბრალდებული იძლევა დაკითხვის პროცესში. ჩვენების მიცემისას ის გამოხატავს თავის დამოკიდებულებას წარდგენილი ბრალდების მიმართ (ცნობს თავს დამნაშავედ სრულად, ნაწილობრივ ცნობს, საერთოდ არ ცნობს) და შესაბამისად მოჰყავს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ ბრალდების თეზისს.

ცხადია, ჩვენების მიცემა ბრალდებულისათვის უფლებაა და არა მოვალეობა. მას უნდა განემარტოს ბრალდებულად ცნობისთანავე, რომ არ არის მოვალე ამხილოს თავისი თავი ან ახლო ნათესავი დანაშაულის ჩადენაში. ბრალდებული არ აგებს პასუხს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

თუ ბრალდებული ჩათვლის, რომ თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, მას აქვს უფლება ისარგებლოს დუმილით და კითხვებზე პასუხის მიცემისაგან თავი შეიკავოს. კანონის თანახმად, ბრალდებულს უნდა განემარტოს უფლება არ დაიბრალოს დანაშაული და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ დუმილის უფლება ბრალდებულს შეუძლია გამოიყენოს სამართალწარმოების მთელ მანძილზე, ამასთან დუმილი არ შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

უფლება იყოლიოს დამცველი — ბრალდებულის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა.

ბრალდებულს აქვს დამცველის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული დამცველის შეცვლის უფლება ნებისმიერ დროს, ხოლო თუ ის უქონელია—უფლება დაენიშნოს დამცველი სახელმწიფოს ხარჯზე.

დამცველის პერსონალური მოწვევა ბრალდებულის პრეროგატივაა. ამიტომ ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას დამცველის მომსახურებაზე და თავი დაიცვას დამოუკიდებლად. ამასთან კანონი ადგენს დამცველის სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევებს. ასეთი შემთხვევების არსებობისას ბრალდებულის უარი დამცველზე არ არის სავალდებულო გამომძიებლისათვის, პროკურორისათვის და სასამართლოსათვის. ბრალდებულისა და დამცველის ურთიერთობა კონფიდენციალურია და აკრძალულია შეზღუდვების დაწესება. ბრალდებულს უფლება აქვს შეხვდეს დამცველს პირისპირ შეხვედრების რაოდენობისა და ხანგრძლივობის მიუხედავად.

კანონის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად, ან დამცველის მეშვეობით ჩაატაროს კერძო გამოძიება. თუმცა კანონში არ არის კონკრეტული მითითება კერძო გამოძიების ჩატარების საპროცესო წესის შესახებ. კერძო გამოძიების ჩატარების ერთ-ერთ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი ძალა აქვს.

ბრალდებულს უფლება აქვს გამოითხოვოს მტკიცებულება ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულებიდან, ორგანიზაციიდან, კომერციული თუ სხვა სახის კერძო დაწესებულებიდან, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად. თუ ბრალდებულს უძნელდება მტკიცებულების გამოთხოვა მას უფლება აქვს პროცესის მწარმოებელ ორგანოს მიმართოს შუამდგომლობით, რათა საგანი, დოკუმენტი, მასალა ან სხვა სახის ფაქტობრივი მონაცემი, რომელსაც საქმისთვის მნიშვნელობა აქვს და ბრალდებულის მიმართ წარდგენილ ბრალდებას აქარწყლებს ან ამსუბუქებს იყოს გამოთხოვილი და წარდგენილი გამოძიების ორგანოში ან სასამართლოში.

ბრალდებულს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა. ბრალ-

დებულის მიერ განცხადებული შუამდგომლობა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. შუამდგომლობა შეიძლება ეხებოდეს მტკიცებულებების გამოთხოვას, დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლას, აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას ან შეცვლას, საქმის წარმოების შეწყვეტას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და ა.შ.

ბრალდებულს უფლება აქვს შუამდგომლობა აღძრას როგორც წინასწარი გამოძიებისას, ასევე სასამართლოში. თუ შუმადგომლობაში მითითებული გარემოებები საქმისათვის მნიშვნელობის მქონეა, შუადგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე სრული ან ნაწილობრივი უარი უნდა იყოს ასახული გამომძიებლის ან მოსამართლის მოტივირებულ დადგენილებაში და სასამართლოს განჩინებაში. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ ეცნობება ბრალდებულს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება. წინასწარი გამოძიების დროს დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ უარი, ბრალდებულს არ ართმევს უფლებას იმავე სახის შუამდგომლობა კვლავ დააყენოს საქმის წარმოების მომდევნო ეტაპებზე. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს მისი ან მისი დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში. გამოძიების შევსების მიზნით დაცვის მტკიცებულების მოპოვებისათვის ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს ცალკეული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რაც სავალდებულოა გამომძიებლისათვის. საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა არ გულისხმობს ბრალდებულის უბრალო დასწრებას დაკითხვის, ამოცნობის, დათვალიერების და სხვა მოქმედებათა ჩატარებისას. ბრალდებულს უფლება აქვს შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირებს, გამომძიებლის ყურადღება მიაპყროს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მისი ბრალის უარყოფის ან ბრალდების შემამსუბუქებელი საფუძველი შეიძლება გახდეს. ამასთან ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს დამცველის დასწრება მისი

მონაწილეობით ჩატარებული ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების დროს. ეს მეტად მნიშვნელოვანი უფლებაა, რადგან სამართლებრივ საკითხზე დამცველის კონსულტაცია აუცილებელია საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისას. ბრალდებულის აქტიურობის მოცულობას სწორედ ასეთი რჩევა–დარიგებები განსაზღვრავს.

კანონის თანახმად ბრალდებულს დროულად უნდა შეატყობინონ მისი ან მისი დამცველის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დრო და ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი. კანონის მოთხოვნა, ცხადია, სამართლიანია, რადგან საგამოძიებო მოქმედება ტარდება არა გამომძიებლის ინიციატივით, არამედ ბრალდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობით და მათი დასწრება და მონაწილეობა ამიტომაც არის სავალდებულო. თუ ბრალდებულს საპატიო მიზეზი გააჩნია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეიძლება გადაიდოს. აღსანიშნავია, რომ თუ ბრალდებული დაპატიმრებულია ასეთ მოქმედებებს ესწრება მისი დამცველი და არა თვითონ ბრალდებული, რაც მის უფლებების ერთგვარ შეზღუდვად შეიძლება იყოს მიჩნეული. რაც შეეხება დამცველს, თუ დამცველი საპატიო მიზეზით ვერ იღებს მონაწილეობას მისი ან ბრალდებულის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში პროკურორი ამ საგამოძიებო მოქმედებას ერთჯერადად გადადებს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ხუთი დღისა. ამ ვადის გასვლისთანავე გამომძიებელი ატარებს საგამოძიებო მოქმედებას დამცველის მონაწილეობის გარეშე. ამასთან თუ არის სავალდებულო დაცვის საფუძველი, საგამოძიებო მოქმედება არ შეიძლება ჩატარდეს დამცველის მონაწილეობის გარეშე.

ბრალდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან დამცველთან ერთად კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით გაეცნოს

ბრალდების მტკიცებულებებს. აღნიშნული უფლების რეალიზაციის გარეშე წარმოუდგენელია ბრალდებისაგან თავის დაცვა. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს სრული წარმოდგენა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დაიცავს თავს, ვერ შეარჩევს დაცვის პოზიციას და ვერ დაუპირისპირდება ბრალდებას. აღნიშნული უფლების განხორციელების გარანტიას წარმოადგენს ბრალდებულის კიდევ ერთი უფლება – მიიღოს მტკიცებულებებისა და საქმის მასალების ასლები. კერძოდ, ბრალდებულს უნდა გადაეცეს ბრალდებულად ცნობის დადგენილების ასლი, საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების ასლები, რომლებიც ჩატარდა ბრალდებულის მონაწილეობით, ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების ასლი, სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების ასლი, განაჩენის ასლი და ა.შ.

თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას ბრალდებულად ცნობის დადგენილების ასლი გადაეცემა მის დამცველს, რაც ითვლება ბრალდების წაყენებად.

ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს მის მიმართ უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება უშუალოდ დაპატიმრებისთანავე უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია დაუშვებელია გაწელილი იყოს დროში. თუ ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების მომენტში გამოყენებული იყო ფიზიკური ძალადობა, ცხადია, ძალადობის ნიშნები უფრო მკაფიოდ გამოვლინდება დაუყოვნებლივ სამედიცინო შემოწმებისას. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი (თუ ფიზიკური ძალადობა მძიმე ფორმით არ იყო განხორციელებული) შესაძლებელია ძალადობის კვალი გაქრეს ან მისი ნიშნები გაუფერულდეს, ამიტომ არის

აუცილებელი სამედიცინო შემოწმება ჩატარდეს მოთხოვნისთანავე დროულად, გაჭიანურების გარეშე და ბრალდებულს მიეცეს შესაბამისი წერილობითი დასკვნა. ამასთან ბრალდებულს კანონი აძლევს უფლებას მიმართოს ალტერნატიულ ექსპერტიზას და ნებისმიერ დროს საკუთარი ხარჯით ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება მის მიერ არჩეული ექსპერტის მიერ. თუმცა აღნიშნული უფლების რეალიზაცია მაინც გამომძიებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, რადგან თუ ბრალდებული დაპატიმრებულია, მან უნდა მიმართოს შუამდგომლობით გამომძიებელს, რათა მის მიერ არჩეული ექსპერტი იყოს მოწვეული და მას მიეცეს შესაძლებლობა პრაქტიკულად ჩაატაროს სამედიცინო შემოწმება.

უმჯობესი იყო კანონში ყოფილიყო მითითებული ქმედითი სამართლებრივი მექანიზმი, რაც იქნებოდა აღნიშნული უფლების განხორციელების გარანტია.

ბრალდებულს უფლება აქვს დაპატიმრების თანავე შეატყობინოს ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს დაპატიმრების შესახებ, შეატყობინოს მისი ადგილსამყოფელი, თავისი მდგომარეობა. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ სატელეფონო საუბრის შედეგად, წერილის გაგზავნით, ფაქსით, იმეილით და კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ბრალდებულს კანონი აძლევს უფლებას ოჯახის წევრების გარდა თავისი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ აცნობოს კრედიტორებს, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა მიმართაც მას გააჩნია სამართლებრივი ვალდებულებები.

თუ ბრალდებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა, მას უფლება აქვს დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები, მისცეს ჩვენება, განაცხადოს შუამდგომლობა და ა. შ. თავის მშობლიურ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელიც მან უკეთესად იცის. ასეთ შემთხვევაში მას სახელმწიფოს ხარჯზე გამოეყოფა თარჯიმანი.

ბრალდებულს უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით იმ შემთხვევაშიც, როცა მას გააჩნია ფიზიკური ნაკლი, მაგალითად, არის მუნჯი ან ყრუ, რაც აძნელებს ან საერთოდ გამორიცხავს მასთან კომუნიკაციას. საპროცესო დოკუმენტების ასლები, რაც ბრალდებულს გადაეცემა უნდა იყოს თარგმნილი ,მის მშობლიურ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელიც მან უკეთესად იცის.

ბრალდებულს უფლება აქვს განაცხადოს აცილება პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირების—პროკურორის, გამომძიებლის, მოსამართლის მიმართ, ასევე პროცესის სხვა სუბიექტების (მაგალითად, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი) მიმართ. კანონით გათვალისწინებული აცილების საფუძვლის არსებობისას ბრალდებულის მიერ განცხადებული აცილება უნდა დაკმაყოფილდეს და დასახელებული პირები უნდა იყვნენ ჩამოცილებული საქმის წარმოებას.

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეიძლება იყოს გამოყენებული მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას, ანუ თუ არსებობს მისი მიმალვის, მის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების, მოწმეთა მიმართ ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურების ან განაჩენის აღსრულებისათვის ხელის შეშლის საფრთხე. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიება, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან თუ შეზღუდვასთან.

ბრალდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის როგორც გამოძიებაში, ასევე სასამართლო განხილვაში. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, ბრალდებულს სასამართლოში უფლება აქვს მისცეს ჩვენება, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, მოითხოვოს დაცვის მტკიცებულებების გამოკვლევა იმავე პირო-

ბებში როგორშიც ბრალდების მტკიცებულების გამოკვლევა ხდება, აღძრას შუამდგომლობა, გამოთქვას თავისი აზრი სასამართლო სხდომაზე წამოჭრილ საკითხებზე, გამოვიდეს სასამართლო კამათში, (თუ საქმეში არ მონაწილეობს დამცველი), გამოვიდეს საბოლოო სიტყვით, იცნობდეს მხარის შეტანილ საჩივარს და მის შესახებ გამოთქვას მოსაზრება, გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და გამოთქვას მასზე შენიშვნა.

ბრალდებულს უფლება აქვს გაასაჩივროს გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება. კერძოდ, გამომძიებლის მოქმედება საჩივრდება პროკურორთან, რომელიც გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს, ხოლო პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება კი ზემდგომ პროკურორთან, ან კანონით დადგენილ შემთხვევებში – სასამართლოში. ბრალდებულს ასევე უფლება აქვს გაასაჩივროს განაჩენი და სხვა სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო და საკასაციო წესით და მიიღოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილების ასლი.

სსსკ 76-ე მუხლში ჩამოთვლილი ბრალდებულის უფლებები არ არის ამომწურავი. კანონით მას აქვს მინიჭებული სხვა უფლებებიც. უფრო სრულად ეს უფლებები გამოიკვეთება სსსკ იმ ნორმების ანალიზისას რომლებიც არეგულირებენ სისხლის სამართლის პროცესის ცალკეულ სტადიებსა და ინსტიტუტებს. მაგალითად, ბრალდებულს წინასწარი გამოძიების ეტაპზე უფლება აქვს უარი განაცხადოს საქმის შეწყვეტაზე არამარეაბილიტირებელი საფუძვლებით; უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდების წარდგენის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიკითხოს; უფლება აქვს საკუთარი ხელით დაწეროს ჩვენება. ბრალდებულს ფართო უფლებები გააჩნია ექსპერტიზის დანიშვნასთან და ჩატარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბრალდებულს უფლება აქვს გაეცნოს დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ დასახელებულ პირთაგან,

ექსპერტის წინაშე დასვას დამატებითი კითხვები, გაეცნოს ექსპერტის დასკვნას და ა.შ. ამასთან ბრალდებულის მიერ თავისი უფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის მე-6 მუხლი კანონში ჩამოთვლილი ბრალდებულის უფლებების გარდა ადგენს მის სხვა უფლებებს სამართლიანი სასამართლო განხილვის ფარგლებში, რაც უნდა იყოს დაცული საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში შიდა კანონმდებლობასთან საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიორიტეტის პრინციპის გათვალისწინებით. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის თანახმად, ბრალდებულს აქვს უფლება მისი საქმე იყოს განხილული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966წ. 16 დეკემბერი) ასევე ადგენს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს „სრული თანასწორობის საფუძველზე... იყოს გასამართლებული გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე“ (მ. 14, ჰ. 4)

1988 წლის 9დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული საერთაშორისო პრინციპების კრებული ყველა იმ პირთა დაცვისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან დაკავებას ან დაპატიმრებას მიუთითებს სასამართლოში გონივრულ ვადაში საქმის განხილვის აუცილებლობაზე. პროცესის ხანგრძლივი, გაუმართლებელი გაჭიანურება მართლმსაჯულებაზე უარის თქმის ტოლფასია.

მართლმსაჯულება უნდა იყოს სწრაფი, ქმედითი. დაყოვნება კი არის მართლმსაჯულებაზე უარის თქმის სახე. გონივრულ ვადად ითვლება ვადა ლოგიკური, მიზანშეწონილი. ლოგიკური და მიზანშეწონილია დროის ისეთი შუალედი, რომელიც მტკიცე-

ბულებათა გამოკვლევას სჭირდება. მთელ რიგ ქვეყნებში ეს ვადა მკაცრად არის შეზღუდული კანონით.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით (ევროპული კონვენცია) ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეების დაკითხვა და ეს მოწმეები უნდა იყვნენ დაკითხულნი მისი თანდასწრებით. ეს უფლება იგივე დაპირისპირების მოთხოვნის უფლებაა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის პრინციპთან. ნებისმიერ მხარეს, მათ შორის დაცვის მხარეს უნდა შეეძლოს დაადოს „ვეტო“ სასამართლოში გამოუცხადებელი მოწმის ან დაზარალებულის ჩვენების ოქმის გამოცხადებას, რომლებიც ამის შედეგად ფაქტიურად დაუშვებელ მტკიცებულებებად იქცევიან. ამის შედეგად აუცილებელი გახდება დასახელებული პირების მიერ ზეპირი ჩვენების მიცემა უშუალოდ სასამართლო სხდომაზე ჯვარედინი დაკითხვის პირობებში.

ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს დაცვის მოწმეების გამოძახება ისეთივე პირობებში, როგორი პირობებიც არსებობს იმ მოწმეებისათვის, რომლებიც ჩვენებას იძლევიან მის წინააღმდეგ.

ცხადია, ბრალდებულს უფლებებთან ერთად გააჩნია მოვალეობებიც. კერძოდ, სსსკ77-ე მუხლის თანახმად ბრალდებული მოვალეა გამოცხადდეს გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში, ხელი არ შეუშალოს ჭეშმარიტების დადგენას მტკიცებულებათა მოსპობით, ფალსიფიკაციით, მოწმეთა და დაზარალებულთა შეგულიანებით, დაიცვას აღკვეთის ღონისძიებით მისთვის დადგენილი მოთხოვნები, არ შეეწინააღმდეგოს შემოწმების, ექსპერტიზის, საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიმუშების აღების, პირადი ჩხრეკის და სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ გამოტანილ კანონიერ დადგენილებათა შესრულებას. სასამართლო სხდომაზე არ დაარღვიოს წესრიგი. ამ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხ-

ვევაში ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს საპროცესო იძულების შესაბამისი ღონისძიება.

უფლება — მოვალეობათა მოცულობა ცხადყოფს, რომ ბრალდებული წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ მონაწილეს. მისი მნიშვნელობა პროცესში ამით არ ამოიწურება. მის მიერ მიცემული ჩვენება წარმოადგენს მტკიცებულების წყაროს. ბრალდებული პროცესის ის სუბიექტია, რომლის ირგვლივ მიმდინარეობს სამართალწარმოება, ანუ ის წარმოადგენს სამართალწარმოების ეპიცენტრს.

§7. დამცველის სამართლებრივი სტატუსი და უფლება-მოვალეობები

დამცველი სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტია, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას — დაცვის ფუნქციას. იგი კანონით დადგენილი წესით მონაწილეობს საქმეში ბრალდებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად.

კანონით განმტკიცებულია ადვოკატთა მონოპოლია დამცველის სახით მიიღონ მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად ადვოკატი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება კანონით დადგენილი წესით, დადებული აქვს ადვოკატის ფიცი, აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მოშაობის არანაკლებ ერთი წლის შრომის სტაჟი.

დამცველი საქმეში დაიშვება ეჭვმიტანილის დაკავების ან ბრალდებულად ცნობის მომენტიდან. სისხლის სამართლის

საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად დამცველმა უნდა წარადგინოს ადვოკატთა ასოციაციის, ფირმის, ბიუროს ორდერი და საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობა.

დაცვა ეს არის სისხლის სამართლებრივი დევნის საწინააღმდეგო ფუნქცია. შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაცია მოითხოვს დამცველის მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში. ბრალდებისა და დაცვის მოსაზრებებისა და დასკვნების ურთიერთდაპირისპირება იძლევა შესაძლებლობას თავი ავარიდოთ საბრალდებო გადახრას საქმის წარმოებისას და ხელს უწყობს საქმის სწორად გადაწყვეტას.

კანონი ითვალისწინებს დაცვის შემდეგ სახეებს: დაცვა შეთანხმებით, დაცვა დანიშვნით და იძულებითი დაცვა.

დაცვა შეთანხმებით გულისხმობს ბრალდებულის ან მისი თანხმობით მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ დამცველის მოწვევას. დამცველის შერჩევის უფლება ბრალდებულის შეუცვლელი უფლებაა. კანონის თანახმად გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს უფლება არა აქვთ რეკომენდაცია გაუწიონ კონკრეტულ დამცველს. ბრალდებული და დამცველი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების პირობებიც, ცხადია, განისაზღვრება მხარეთა მიერ. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ დაცვა მიღებულად ითვლება და დამცველს უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე არასაპატიო მიზეზით.

დაცვა დანიშვნით გულისხმობს დამცველის მომსახურების უზრუნველყოფას სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებული უნდა იყოს უზრუნველყოფილი დამცველით ყველა შემთხვევაში, როცა ის განაცხადებს ამის შესახებ შუამდგომლობას. დამცველის დანიშვნაზე უარის თქმა განიხილება როგორც საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა. სახელმწიფოს ხარჯზე დაცვა ხორციელდება ორ შემთხვევაში: ა) ბრალდებული გადახდის უუნარობის მოტივით მოითხოვს დამცველის დანიშვნას; ბ) არსებობს კანონით

გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევა და არ მონაწილეობს დამცველი შეთანხმებით.

გადახდისუუნარობის მოტივით თვით ბრალდებული ან მისი შუამდგომლობით პროკურორი და მოსამართლე მიმართავენ იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს სახელმწიფოს ხარჯზე დამცველის დანიშვნის შესახებ მოთხოვნით. გადახდის უუნარობის შემთხვევაში სახელმწიფო ამასთან ერთად გაიღებს დაცვისათვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, თუ ეს ხარჯები პირდაპირ კავშირშია ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან. მაგალითად, ხარჯები, რომლებიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისა და ექსპერტიზისათვის. სახელმწიფოს ხარჯზე დამცველის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა უნდა განისაზღვროს საქართველოს კანონით „იურიდიული დახმარების შესახებ."

რაც შეეხება სავალდებულო დაცვას, კანონში პირდაპირ არის ჩამოთვლილი ის შემთხვევები, როცა მიუხედავად ბრალდებულის სურვილისა დამცველი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს საქმეში. კერძოდ, სსსკ 81-ე მუხლის თანახმად, სავალდებულოა ბრალდებულს, ან პირს, რომელსაც ენიშნება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება ჰყავდეს დამცველი: თუ იგი არასრულწლოვანია; არ იცის პროცესის ენა; აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ დაცვის განხორციელებას; განიხილება საკითხი პირის მიმართ სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ჩადენილი ქმედებისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით; მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე; ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას (ამ შემთხვევაში მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა შესაძლებლობა 48 საათში დანიშნოს დამცველი. თუ იგი ამ ვადში არ დანიშნავს დამცველს, პირს

დამცველი დაენიშნება სავალდებულო წესით); თუ პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება (გარდა ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიებისა) თუ ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა ან განსასჯელთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ყავს დამცველი; დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი.

კანონი ადგენს რა დამცველის სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევებს უზრუნველყოფს დაცვის უფლებას დამატებითი გარანტიებით იმ პირებისათვის, რომლებსაც ყველაზე მეტად ეს სჭირდებათ. გარდა ამისა, დამცველის სავალდებულო მონაწილეობა გათვალისწინებულია სასამართლო სხდომაზე ბრალდებისა და დაცვის გაწონასწორების მიზნით. თუ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმეზე წარმოება განხორციელდა დამცველის მონაწილეობის გარეშე – ეს ფაქტი განიხილება როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა.

ეჭვმიტანილს და ბრალდებულს ეძლევათ დრო დამცველის მოსაწვევად. კერძოდ ეჭვმიტანილს შეუძლია დაკავებიდან 6 საათის ვადაში მოიწვიოს დამცველი. თუ იგი ამ ვადაში ვერ გამოცხადდება გამომძიებელი ვალდებულია შესთავაზოს ეჭვმიტანილს დამცველის დანიშვნა. ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს უფლება აქვთ უარი განაცხადონ დამცველის დანიშვნაზე და მათ მიერ არჩეული დამცველის გამოცხადებამდე დაცვა დამოუკიდებლად განახორციელონ. ხოლო თუ სავალდებულო დაცვის შემთხვევაა გამომძიებელი ვალდებულია 6 საათიანი ვადის გასვლის შემდეგ დაუნიშნოს მათ დამცველი. გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს მოთხოვნა დამცველის დანიშვნით გამოყოფის შესახებ სავალდებულოა ადვოკატთა გაერთიანებისათვის. კანონის თანახმად დამცველი ვალდებულია გამოცხადდეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის პირველ დაკითხვაზე. არასაპატიო მიზეზით დამ-

ცველის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრება კონკრეტულ ადვოკატს ან ადვოკატთა გაერთიანებას.

დამცველთა რაოდენობა კანონით შეზღუდული არ არის. (ადრე მოქმედ კოდექსში იყო ასეთი შეზღუდვა — ბრალდებულს შეიძლებოდა ყოლოდა არაუმეტეს სამი დამცველისა).

კანონით გათვალისწინებულია დამცველის შეცვლა სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, თუ შეცვლა მიზნად არ ისახავს საქმის წარმოების გაჭიანურებას.

რაც შეეხება დამცველის გამოუცხადებლობას, თუ იგი საპატიო მიზეზით მონაწილეობას ვერ იღებს დანიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა. ამ ვადის გასვლისთანავე გამომძიებელი, პროკურორი ატარებს საგამოძიებო მოქმედებას დამცველის მონაწილეობის გარეშე თუ არ არსებობს კანონით დადგენილი სავალდებულო დაცვის საფუძველი. თუ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება ტარდება დამცველის გამოუცხადებლობა არ იწვევს მისი ჩატარების გადადებას.

კანონით დაუშვებელია სასამართლო განხილვის გადადება დამცველის მიერ დაცვის მოვალეობის განხორციელების ხანგრძლივი ვადით შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ ეს იწვევს სასამართლო განხილვის არაგონივრულ გაჭიანურებასა და მისთვის ხელის შეშლას. ასევე დამცველის შეცვლის მოტივით სასამართლო განხილვის გადადება დაუშვებელია თუ იგი მიზნად ისახავს სასამართლო განხილვის გაჭიანურებასა და მისთვის ხელის შეშლას.[1]

1 მიგვაჩნია, რომ კანონის ეს მოთხოვნა არ არის მართებული, რადგან თუ ბრალდებული ერთჯერადად შუამდგომლობს დამცველის შეცვლის და შესაბამისად, სასამართლო განხილვის გადადების შესახებ, არ შეიძლება სასამართლო განხილვის გაჭიანურების და მისთვის ხელის შეშლის მოტივით უარი ეთქვას მას სასამართლო განხილვის გადადებაზე. გაჭიანურებად უნდა ჩაითვალოს მსგავსი შუამდგომლობის არაერთგზის დაყენება.

ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას დამცველის დახმარებაზე. ამასთან უნდა გაჩვასხვავოთ უარი კონკრეტული დამცველის დახმარებაზე და უარი საერთოდ დამცველის დახმარებაზე. პირველ შემთხვევაში უარი კონკრეტული დამცველის დახმარებაზე გამოიწვევს დამცველის შეცვლას, საერთოდ უარი დამცველზე კი იწვევს დაცვის უფლების დამოუკიდებლად, თვით ბრალდებულის მიერ განხორციელებას.

უარი დამცველის დახმარებაზე დაიშვება მხოლოდ ბრალდებულის ინიციატივით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. უარი ფიქსირდება სისხლის სამართლის საქმის მასალებში. კერძოდ, სათანადო საგამოძიებო მოქმედების ოქმში ან ცალკე განცხადებაში.

როცა სასამართლოში კეთდება ასეთი განცხადება, სასამართლომ უნდა მოისმინოს სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეთა მოსაზრება. საპროცესო კანონის დარღვევად ითვლება, თუკი ამ საკითხის განხილვა არ მოხდება სასამართლო სხდომაზე.

დამცველზე უარი ნებაყოფლობით უნდა იყოს. კანონის დარღვევად ითვლება ზეწოლით, იძულებით განცხადებული უარი დამცველზე. ამასთან ბრალდებული მოვალეა განმარტოს დამცველზე უარის თქმის მიზეზები.

დამცველზე უარის თქმის მოტივი შეიძლება იყოს ზოგადად დაცვის ინსტიტუტისადმი უნდობლობა, სურვილი თვითონ დაიცვას საკუთარი თავი, დამცველის მომსახურებისთვის საჭირო თანხის არ ქონა და ა.შ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბრალდებულს პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირებმა უნდა განუმარტონ მას სახელმწიფოს ხარჯზე დამცველის დანიშვნის უფლება.

კანონი ცალკე ითვალისწინებს დამცველის აცილების საკითხს. კერძოდ, სსსკ 107-ე მუხლის თანახმად დამცველი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში თუ იგი იმავე საქმეში მონაწილეობდა როგორც მოსამართლე, პროკურორი,

გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე, ექსპერტი ან თარჯიმანი; ან თუ იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესები. მას ნათესაური კავშირი აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან, ან სასამართლო სხდომის მდივანთან; მას უკავია მოსამართლის, პროკურორის ან გამომძიებლის თანამდებობა, გარდა იმ შემთხვევისა როცა იგი შრომისუუნარო პირის კანონერი წარმომადგენელია, ანდა როცა დაწესებულება, რომელშიც იგი მუშაობს ცნობილია სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ და ის ამ დაწესებულების წარმომადგენლად გამოდის; დასაცავი პირი უარს ამბობს დაცვაზე და უარი მიღებულია.

დამცველის მიზანი სისხლის სამართლის პროცესში მდგომარეობს შემდეგში: 1) გამოავლინოს ბრალდებულის გამამართლებელი ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები: 2) აღმოუჩინოს მას აუცილებელი იურიდიული დახმარება და მიაღწიოს მისთვის უფრო სასურველი საპროცესო გადაწყვეტილების მიღებას მოცემულ საქმეზე. ამ მიზნის რეალიზაციისათვის დამცველის ამოცანას წრმოადგენს: თავის დასაცავთან ერთად დაცვის პოზიციის ან დაცვის გეგმის შემუშავება, დაცვის საშუალებებისა და ხერხების განსაზღვრა. ამასთან კანონის თანახმად იმ გარმოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ანდა ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას დამცველმა უნდა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი.

მართალია, დამცველი პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტია, მაგრამ იგი დაკავშირებულია ბრალდებულთან, წარმოადგენს მის საპროცესო ინტერესებს, ამიტომ მის საპროცესო დამოუკიდებლობას აქვს განსაზღვრული საზღვრები: დამცველი თავისუფალია კანონის ფარგლებში – დაცვის განხორციელების ფორმებისა და მეთოდების შერჩევაში, სამართლებრივი საკითხების შეფასებასა

და გადაწყვეტაში. დამცველს უფლება არა აქვს იმოქმედოს ბრალდებულის მითითებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. მისი პოზიცია შეიძლება განსხვავდებოდეს დასაცავის პოზიციისაგან, თუ მის მიერ შერჩეული დაცვის მიმართულება ბრალდებულის მდგომარეობას გააუმჯობესებს. მაგრამ დამცველს უფლება არ აქვს მცირედი ხარისხითაც კი გააუარესოს დასაცავის მდგომარეობა. სხვაგვარად დაცვის უფლება დაკარგავდა აზრს.

დამცველის საქმიანობა სისხლის სამართლის პროცესში არის ცალმხრივი. მას არ ევალება საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრულყოფილი, ობიექტური გამოკვლევა. მისი მოვალეობაა ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დაცვა. დამცველი სისხლის სამართლის პროცესში ასრულებს სისხლის სამართლებრივი დევნის საწინააღმდეგო ფუნქციას. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება ბრალდების უარყოფაა. ბრალდებულის მიერ ბრალის უარყოფის შემთხვევაში დამცველს უფლება არა აქვს გამოვიდეს საწინააღმდეო პოზიციიდან. სხვაგვარად ბრალდებული დარჩება დაცვის გარეშე.

დამცველი უმრავლეს შემთხვევაში მოქმედებს არა ბრალდებულის მაგივრად, არამედ მასთან ერთად. ის დამოუკიდებლად არჩევს საპროცესო საშუალებებს და დაცვის განხორციელების ტაქტიკას. ამასთან ბრალდებულის ნებაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ დამცველის შერჩევა და მისი მონაწილეობა, არამედ ამ უკანასკნელის მიერ შერჩეული დაცვის საშუალებების რეალიზაციაც.

სისხლის სამართლის პროცესში დამცველის საქმიანობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია დასაცავისგან მიიღოს ისეთი ინფორმაცია, რომელსაც ის არცერთ შემთხვევაში არავის არ ეტყოდა. დამცველი მოვალეა შეინახოს საადვოკატო საიდუმლოება. ბრალდებულის ურთიერთობა მის დამცველთან კონფიდენციალური და თავისუფალია. კონფიდენციალურია ასევე პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა

შესაძლო დამცველთან. ამასთან კონფიდენციალურობაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

ხელმძღვანელობს რა კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, დამცველი ყოველთვის მოვალეა იმოქმედოს დასაცავის ინტერესებში, რომელიც მისთვის უნდა იყოს ყველა ინტერესებზე მაღლა. „არ ავნო“ – ეს არის დამცველის საქმიანობის ძირითადი ეთიკური საწყისი.

დამცველის სამართლებრივ პოზიციასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეში არ შეიძლება გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ შესაბამისად გამოიტანონ წარდგინება ან განჩინება.

გაეროს მე-8 კონფერენციაზე 1990 წლის აგვისტოში მიღებულ „ადვოკატთა როლის შესახებ ძირითადი დებულებების“ მე-6 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ადვოკატი არ შეიძლება იდენტიფიცირებული იყოს მის კლიენტთან და მის საქმესთან.

კანონში (სსსკ 84-ე მუხლი) კონკრეტულად არის ჩამოთვლილი დამცველის უფლება – მოვალეობანი.

სისხლის სამართლის საქმეზე დაშვების მომენტიდან დამცველს უფლება აქვს ბრალდებულს შეხვდეს პირისპირ მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე, აგრეთვე თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციისა და გამომძიების ორგანოს მხრივ შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად, გარდა სსსკ 73-ე, მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

დამცველს უფლება აქვს დაესწროს ბრალდების წაყენებას. დასწრება არ გულისხმობს პასიურ მდგომარეობაში ყოფნას. დამცველს უფლება აქვს გაეცნოს ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილებას, გადაიღოს მისი ასლი, განუმარტოს დასაცავს ბრალდების არსი, მასთან ერთად განიხილოს სამართლებრივი პოზიცია, რომელიც უნდა დაიკავოს ბრალდებულმა წარდგენილი ბრალდების გათვალისწინებით.

დამცველს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ბრალდებულის ყველა დაკითხვაში. სხვა საგამოძიებო მოქმედებებში დამცველი მონაწილეობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის ან მისი დასაცავი განაცხადებენ შუამდგომლობას ამის შესახებ. დამცველს, რომელიც მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებაში უფლება აქვს თავის დასაცავს გამომძიებლის თანდასწრებით მისცეს მცირე კონსულტაცია, გამომძიებლის ნებართვით დაუსვას შეკითხვები დასაკითხ პირს, გააკეთოს წერილობითი შენიშვნები საგამოძიებო მოქმედების ოქმში ჩანაწერის სისწორესა და სისრულეზე. გამომძიებელს უფლება აქვს განარიდოს დამცველის შეკითხვები, მაგრამ მოვალეა განრიდებული (მოხსნილი) შეკითხვები შეიტანოს ოქმში.

გარდა ამისა, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობისას დამცველს უფლება აქვს: დათვალიერების, ჩხრეკის და ამოღების ჩატარებისას მოითხოვოს ყველა აღმოჩენილი და ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის წარდგენა; გაეცნოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებას და იშუამდგომლოს მასში დამატებითი შეკითხვების შეტანა, განაცხადოს აცილება ექსპერტის მიმართ ან იშუამდგომლოს ექსპერტიზის ჩატარება სხვა საექსპერტო დაწესებულებაში და ა.შ.

დამცველს უფლება აქვს გაეცნოს დაკავების ოქმს, ბრალდებულად ცნობის დადგენილებას, დადგენილებას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებს, რომლებიც ჩატარდა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის მონაწილეობით, ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც ბრალდებულს წარუდგინეს ან უნდა წარუდგინონ. წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ უფლება აქვს საკუთარი ხარჯით გადაიღოს სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლი, სასამართლოში კი გაეცნოს საქმის მასალებს სრულად. ამასთან, დამცველის მიერ წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმის მასალების სრულად გაცნობის და წინასწარი გამოძიების შევსების

მიზნით შუამდგომლობის აღძვრის აკრძალვა დაცვის უფლების შეზღუდვას წარმოადგენს.

დამცველს უფლება აქვს მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები. მტკიცებულებათა მოპოვება ძირითადად ხორციელდება, იმ საგამოძიებო მოქმედებათა შედეგად, რომლებიც მისი შუამდგომლობის საფუძველზე იქნა ჩატარებული. სსსკ 129-ე მუხლის თანახმად, დამცველს უფლება აქვს შეაგროვოს ბრალდებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები; გამოითხოვოს ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, მოიძიოს პირი, და მისგან მიიღოს განმარტება, შემდეგში კი მოითხოვოს მისი დაკითხვა დაცვის მოწმის სახით, მიმართოს სპეციალისტს სპეციალურ საკითხებზე კონსულტაციის გასაწევად რათა მან გამოთქვას თავისი აზრი საქმის გამო წამოჭრილი სპეციალური საკითხის განსამარტავად, ჩატარებული ექსპერტიზის შესაფასებლად და შუამდგომლობის დასასაბუთებლად, მოიწვიოს ექსპერტი წერილობითი დასკვნის შესადგენად; ისარგებლოს კერძო დეტექტივის მომსახურებით მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობების მისაღებად. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დამცველის მიერ მოპოვებული მასალები, შეკრებილი ცნობები, მაშინათვე უნდა წარმოადგენდნენ მტკიცებულებებს, ისევე როგორც ის ცნობები, რომლებიც მოპოვებულია მოწინააღმდეგე მხარის – გამომძიებლის, პროკურორის მიერ. კანონის თანახმად კი დამცველის მიერ შეკრებილი ფაქტობრივი მონაცემები უნდა დაერთოს საქმეს და ამის შემდეგ ითვლება მტკიცებულებად. ცხადია, ადგილი აქვს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის ერთგვარ გამოვლინებას.

დამცველს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით განაცხადოს აცილება სათანადო საფუძვლების არსებობისას. უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ კანონის დარღვევას არ წარმოადგენს, როცა დამ-

ცველი გადადებს შუამდგომლობის აღძვრას საქმის წარმოების შემდგომი ეტაპისათვის დაცვის ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე. მას ამის სრული უფლება აქვს. შუამდგომლობა შეიძლება ეხებოდეს მტკიცებულებათა გამოთხოვას, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას, სისხლის სამართლებრივი დევნის და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას და ა.შ. ცხადია, დამცველის შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, არგუმენტირებული, უტყუარ მტკიცებულებებზე დამყარებული. საეჭვო და ბუნდოვანი მოსაზრებები, არალოგიკური, იურიდიულად დაუსაბუთებელი დასკვნები, ცხადია, გამოიწვევს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მიღებას.

დამცველს უფლება აქვს გაასაჩივროს გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედება და მათ მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილება.

სასამართლოში დამცველი სარგებლობს მხარის უფლებით. მას უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გამოთქვას თავისი შეხედულება ყველა იმ საკითხზე, რაც წამოიჭრება სასამართლო სხდომის მსვლელობისას.

დამცველმა შეფასება უნდა მისცეს საქმეში არებულ მტკიცებულებებს, გააკეთოს განცხადებები მტკიცებულებათა შესახებობის, დასაშვებობის, სარწმუნოობის და საკმარისობის თაობაზე. გამოთქვას თავისი მოსაზრება ბრალდების შესახებ და მიუთითოს ფაქტებზე, რომლებიც ამტკიცებენ განსასჯელის არაბრალეულობას, აქარწყლებენ წარდგენილ ბრალდებას. დამცველი უნდა გამოდიოდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან და ყველაფერი უნდა გააკეთოს სისხლის სამრთლის პროცესში მისი რელიზაციისათვის.

დამცველს უფლება აქვს გამოვიდეს სასამართლო კამათში და წარმოთქვას დაცვითი სიტყვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამცველის მტკიცებულებათა იურიდიული ანალიზითა და

სინთეზით გაჯერებული, მჭევრმეტყველებითა და ლოგიკური წყობით გამორჩეული, დასაბუთებული და არგუმენტირებული გამოსვლა. მას უფლება აქვს ასევე შეიტანოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსჯავრდებული არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი.

დამცველს უფლება არა აქვს გაახმაუროს წინასწარი გამოძიების მონაცემები, რისთვისაც მას წერილობით ჩამოერთმევა ხელწერილი. დამცველი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმის სახით იმ გარემოებებზე, რაც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

უფლებებთან ერთად კანონით დამცველს დაკისრებული აქვს გარკვეული მოვალეობები. დამცველი მოვალეა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებების გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ ბრალდებულს ან ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას; დამცველს უფლება არა აქვს უარი თქვას უკვე მიღებულ დაცვაზე, ეკავოს დასაცავის საწინააღმდეგო პოზიცია (გარდა თვითგათქმის შემთხვევისა), დასაცავის თანხმობის გარეშე გაახმაუროს ცნობები, რაც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით, მოვალეა დაიცვას საადვოკატო საიდუმლოება. დამცველი მოვალეა თავისი მოქმედებით არ გააუარესოს ბრალდებულის მდგომარეობა; მოვალეა დროულად გამოცხადდეს საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, დაემორჩილოს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის კანონიერ განკარგულებას, დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში. დამცველი მოვალეა არ გამოიყენოს დაცვის უკანონო და ზნეობრივად გაუმართლებელი მეთოდები და ხერხები, რადგან პროფესიული დაცვა გულისხმობს პროცესუალურად დასაშვები და ზნეობრივად გამართლებული საშუალებების გამოყენებას.

§8. სამოქალაქო მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას შესაძლებელია სამოქალაქო სარჩელის წარდგენა.

სამოქალაქო სარჩელის წარდგენისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა. კერძოდ, უნდა ჰქონდეს ადგილი დანაშაულის ფაქტს; პირის მიმართ მიყენებული ზიანი უნდა წარმოადგენდეს ჩადენილი დანაშაულის უშუალო შედეგს.

სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება აქვს ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ასევე პროკურორს.

ფიზიკურ პირს წარმოადგენს დაზარალებული, რომელსაც დანაშაულის ან იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, უშუალოდ მიადგა ზიანი, ხოლო თუ იგი გარდაიცვალა სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება გადადის გარდაცვლილის მემკვიდრეებზე.

ფიზიკურ პირს შეიძლება მიადგეს ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანი. ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოხდება სრული მოცულობით, კერძოდ, ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც პირდაპირი უშუალო ზიანი, ასევე ანაცდენი სარგებელი საშუალო-საბაზრო ფასებით ინდექსაციის გათვალისწინებით, ფიზიკური ზიანის ანაზღაურება მოიცავს მკურნალობის, პროთეზირების, მედიკამენტების შეძენაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, გადახდილი სადაზღვევო თანხების, დახმარების და პენსიის კომპენსაციის ანაზღაურებას, დაკრძალვაზე გადახდილი თანხების ანაზღაურებას. საქართველოს სსსკ 30-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მორალური ზიანი მოიცავს დასახიჩრების, დამახინჯების, ბიოლოგიური და

ფსიქოლოგიური ფუნქციების მოშლისა და დაქვეითებისათვის, აგრეთვე სხვა სახის ზიანის გამო მიყენებულ განცდებს, მორალურ ტრავმას, რაც ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ფულადი, ასევე სხვა სახის ქონებრივი გამოხატულებით (მაგალითად, საცხოვრებელი ბინის, აგარაკის, ავტომანქანის საკუთრებაში გადაცემა და ა.შ.).

დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ ზიანის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

კანონის თანახმად, ფიზიკურმა პირმა, სამოქალაქო სარჩელი შეიძლება განაცხადოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმითაც, რაც წერილობით უნდა იყოს დაფიქსირებული, კერძოდ, სათანადო ოქმში უნდა მოხდეს მისი შეტანა.

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება აქვს იურიდიულ პირსაც, ხოლო მისი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში იურიდიული პირის ან ორგანიზაციის უფლებამონაცვლეს. იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება. ფიზიკური პირისაგან განსხვავებით იურიდიული პირი ვალდებულია სამოქალაქო სარჩელი წერილობით წარადგინოს.

რაც შეეხება პროკურორს, იგი ვალდებულია წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ან პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს სისხლის სამართლის საქმე, ზიანი მიადგა სახელმწიფოს. ამასთან ერთად, კანონი პროკურორს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი დაზარალებულის თხოვნით, თუ დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას ჰყავდეს ადვოკატ-წარმომადგენელი და დაიცვას თავისი ინტერესები ბრალდებულზე დამოკიდებულების,

ავადმყოფობის, არასრულწლოვანების თუ სხვა მიზეზებით (მაგალითად, შეზღუდული ქმედუუნარობის, უმწეო მდგომარეობის და სხვ. გამო).

პროკურორი ვალდებულია მხარი დაუჭიროს სამოქალაქო სარჩელს სასამართლოში თუ მან წარადგინა აღნიშნული სარჩელი, მაგრამ თუ სარჩელი წარდგენილია სხვა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ, პროკურორს უფლება აქვს მხარი დაუჭიროს სამოქალაქო სარჩელს ან გამოთქვას მისი საწინააღმდეგო მოსაზრება.

ამასთან ერთად, პროკურორმა შეიძლება სარჩელი წარადგინოს არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, არამედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესითაც თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული სარჩელის წარდგენა, ცხადია, დაკავშირებულია სისხლის სამართლის პროცესთან.

საქართველოს სსსკ 37-ე მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრის საფუძველს წარმოადგენს პროკურორის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბრალდებული თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული ქონება შესაძლებელია იყოს მოპოვებული სამოხელეო ან სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, გამოძალვის, მითვისებისა ან გაფლანგვის, გადასახადისაგან თავის არიდების ან საბაჟო წესების დარღვევის შედეგად. კანონი ამომწურავად ჩამოთვლის იმ დანაშაულებს, რომელთა ჩადენის შემთხვევაში პროკურორი არის უფლებამოსილი ბრალდებული თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი. ბრალდებული თანამდებობის პირი კი შეიძლება იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, საჯარო

სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე ან საწარმოში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილს (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელობითი ანდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი. აღსანიშნავია, რომ პროკურორის სარჩელი შეიძლება ეხებოდეს როგორც ბრალდებული თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების, აგრეთვე, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლების, აქციების (წილის) ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემის საკითხებს. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ბრალდებული თანამდებობის პირი განთავისუფლებულია თანამდებობიდან თუ კვლავ განაგრძობს საქმიანობას. ასეთი სარჩელის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს და შესაბამისად გადაწყვეტილება გამოიტანოს სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისაგან დამოუკიდებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს ერთგვარად წინააღმდეგობრივ დებულებას, კერძოდ, სსსკ 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირს მიაჩნია, რომ ზიანი მიადგა იმ პირის დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, მას უფლება აქვს წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენამდე. აღნიშნული ნორმა მოითხოვს დაზუსტებას. მიგვაჩნია, რომ სიცხადისათვის ამოღებული უნდა იყოს სიტყვები – „სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე“, რადგან საბრალდებო დასკვნის ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დადგენილების შედგენა წარმოებს წინას-

წარი გამოძიების სტადიაზე და შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელიც უნდა იყოს წარდგენილი მხოლოდ ამ სტადიაზე. ანალოგიურ უზუსტობას შეიცავს სსსკ 32-ე მუხლიც, რომელიც აწესრიგებს პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთა მიერ სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლების განმარტების საკითხს. თუ სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ პირს აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს კანონი ავალდებულებს წერილობით შეატყობინონ და განუმარტონ მას ამ უფლების თაობაზე. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო ვერ შეატყობინებს და ვერ განუმარტავს ამ უფლებას უფლებამოსილ პირს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება მიიღოს სამოქალაქო სარჩელი, თუ იგი წინასწარ გამოძიებაში არ იყო წარდგენილი[1].

კანონის თანახმად, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის ხელისშემშლელ გარემოებას არ წარმოადგენს ბრალდებულის დაუდგენლობა. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შემთხვევაში, თუ ბრალდებული მიიმალა, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან პასუხისგებაში მისაცემი პირი დაუდგენელია, სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ შეიძლება წარედგინოს სახელმწიფოს, ოღონდ არა სისხლის სამართლის პროცესში, არამედ მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელზე გადაწყვეტილება მხოლოდ ერთხელ შეიძლება იყოს მიღებული ან სისხლის სამართლის პროცესში, ან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. კერძოდ, თუ პირს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას არ წარუდგენია სამოქალაქო სარჩელი, ან წარადგინა, მაგრამ იგი განუხილველად იქნა დატოვე-

---

1 მსგავს უზუსტობას შეიცავს სსსკ 35-36-ე მუხლებიც.

ბული, მას უფლება აქვს წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თავის მხრივ, თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით წარდგენილ სარჩელზე მოსარჩელემ უარი მიიღო, ეს გარემოება მას ართმევს უფლებას განმეორებით წარადგინოს იგივე სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე საბელმწიფო ბაჟით არ იბეგრება.

სამოქალაქო მოსარჩელედ პირის ცნობა ხდება პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ დადგენილების გამოტანით. დადგენილების ასლი გადაეცემა მოსარჩელეს და მას განემარტება კანონით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობები.

თუ პირი ცნობილია დაზარალებულად და შემდეგ წარადგენს იგი სამოქალაქო სარჩელს გამომძიებელს, პროკურორს გამოაქვთ დადგენილება დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, ხოლო თუ იგი დაზარალებულად არ არის ცნობილი, მაშინ შესაძლებელია ერთი დადგენილება იყოს გამოტანილი პირის დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ ან ცალ-ცალკე იყოს გამოტანილი დადგენილებები შესაბამისად დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ.

სამოქალაქო სარჩელის წარდგენისათვის დადგენილი საპროცესო წესის დარღვევის შემთხვევაში, გამომძიებელს, პროკურორს გამოაქვთ დადგენილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში პირს უნდა განემარტოს აღნიშნული დადგენილების გასაჩივრების წესი.

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წარმოდგენილი სამოქალაქო სარჩელის საფუძვლის მტკიცება და ფასის განსაზღვრა წარმოებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებიც გამოიყენება, თუ არ არის მოწესრიგებული სისხლის საპროცესო კანონმდებლობით

სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებული საპროცესო ურთიერთობები და ეს ნორმები არ ეწინააღმდეგება სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპეებს.

რაც შეეხება სარჩელის ცნობას, მორიგებას, სარჩელზე უარს — ეს საკითხები. რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უნდა იყოს დაცული მოთხოვნები სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების საგნის ყველა ელემენტის დადგენის შესახებ. სამოქალაქო სარჩელის განხილვისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ შრომის და სხვა კანონმდებლობან, კერძოდ, როცა საკითხი ეხება ზიანის ანაზღაურების საფუძველს, პირობას, მოცულობასა და წესს.

სამოქალაქო მოსარჩელედ' ცნობის მომენტიდან პირი ხდება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე. ამ მომენტიდან იგი იძენს საპროცესო სტატუსს და კანონით დადგენილ ფართო უფლებებს სარჩელის მხარდასაჭერად. პროცესის მწარმოებელი ორგანო და თანამდებობის პირები მოვალენი არიან არა მხოლოდ განუმარტონ სამოქალაქო მოსარჩელეს თავისი უფლებები, არამედ უზრუნველყონ იგი მათი რეალიზაციის შესაძლებლობით პროცესის ყველა სტადიაზე. სსსკ 86-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი უფლებების განმარტება, იცოდეს ბრალდების არსი, იყოლიოს წარმომადგენელი, წარადგინოს მტკიცებულებები, განაცხადოს აცილება და შუამდგომლობა, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველსაყოფად ზომების მიღება, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, რომელიც ეხება სარჩელის საფუძველსა და თანხას, მოითხოვოს ოქმში შეიტანონ სარჩელის დამადასტურებელი მონაცემები, გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის მოქმედებები და აქტები, არ გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, მოითხოვოს პროცესის მწარმოებელ ორგანოში გამოძახების შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება, გაეცნოს საქმის მასალებს, გადაიღოს

ასლები და საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში როგორც საბრალდებო დასკვნით საქმის სასამართლოში გაგზავნის შემდეგ, ასევე სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა გამოძიების შეწყვეტისას, მისცეს განმარტება წარდგენილი სარჩელის გამო, იყოს დაკითხული მოწმის სახით, ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით სასამართლოში, გამოვიდეს სასამართლო კამათში, გაასაჩივროს განაჩენი და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ეხება სარჩელის საფუძველსა და თანხას, დაიცვას თავისი ინტერესები სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გაეცნოს სასამართლოს სხდომის ოქმს და გამოთქვას მასზე შენიშვნები, გამოთქვას საწინააღმდეგო მოსაზრებები პროცესის სხვა მონაწილეთა საჩივრებზე, უარი თქვას სარჩელზე, დადოს მორიგება სამოქალაქო მოპასუხესთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. სარჩელზე უარის თქმა იწვევს სამოქალაქო სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო მოსარჩელეს ერთმევა შესაძლებლობა განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძვლით შეიტანოს იგი როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებზე გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა მისცენ განმარტება სამოქალაქო მოსარჩელეს, შეადგინონ ოქმი ან სათანადო აღნიშვნა შეიტანონ შესაბამის საგამოძიებო ოქმში. სამოქალაქო სარჩელზე უარის მიღების შესახებ პროცესის მწარმოებელ ორგანოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება).

სამოქალაქო სარჩელი სასამართლომ შეიძლება დააკმაყოფილოს მთლიანად ან ნაწილობრივ ან საერთოდ უარყოს. სამოქალაქო სარჩელის ბედი წყდება განაჩენით ან საქმეზე მიღებული

სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, კერძოდ, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების ან მის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებით (დადგენილებით), სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინებით (დადგენილებით) სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ამნისტიის აქტის გამოცემის გამო, ვითარების შეცვლის შედეგად ქმედების საშიშროების არარსებობის გამო, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულის შეწყალების გამო, ბრალდებულის გარდაცვალების გამო.

სსსკ 41-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია უარყოს სარჩელი სსსკ 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ი“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებში და მე-2 ნაწილის „ა“, „მ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლით სისხლის სამართლებრივი დევნის უნდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას (კერძოდ, სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო; ქმედების მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო; ახალი კანონით ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმების გამო; იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის გამო, რომელსაც ემყარება ბრალდება; იმავე ბრალდების გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის გამო; იმავე ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე სასამართლოს განჩინების არსებობის გამო; სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს, პროკურორის დადგენილების (განჩინების) არსებობის გამო; პროკურორის, დაზარალებულის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო სსსკ-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში; პირის იმ ასაკისათვის მიუღწევლობის გამო, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა; სსკ 36-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში (შეცდომა) არსებობის გამო; სსკ 37-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის (ბრძანების ან განკარგულების შესრულება) არსებობის გამო; სსკ 38-ე მუხლით გათვალ-

ისწინებული შემთხვევის (სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს) არსებობის გამო; სსსკ 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით პირის ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის არაუმეტეს 12 თვიანი ვადის გასვლის გამო.

სასამართლო ვალდებულია არ განიხილოს სამოქალაქო სარჩელი სსსკ 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას. კერძოდ, დაზარალებულის საჩივრის არარსებობის გამო – კერძო საჯარო და კერძო ბრალდების საქმეებზე; დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო კერძო ბრალდების საქმეზე; დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების გამო სსკ 69-ე, და 89 1-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე თუ სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით.

კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ზომები, თუ ისინი მანამდე არ ყოფილა მიღებული. სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს ქონებაზე ყადაღის დადება. სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მისი აღსრულება უნდა მოხდეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს იყოლიოს წარმომადგენელი. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ადვოკატი, რომელიც წარმოადგენს

მის ინტერესებს პროცესის ყველა სტადიაზე. სამოქალაქო მოსარჩელეს შეუძლია ისარგებლოს ადვოკატის პერსონალური მოწვევის უფლებით. მაგრამ, ამავე დროს, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის მონაწილეობა პროცესში სავალდებულოა მიუხედავად მისი სურვილისა. კერძოდ, ადვოკატ-წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა თუ სამოქალაქო მოსარჩელე არასრულწლოვანია, ქმედუუნაროა, შეზღუდულქმედუნარიანია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები, დაზარალებულია სსკ 443 1-ე მუხლით (ადამიანით ვაჭრობა-ტრეფიკინგი), 143 2-ე მუხლით (არასრულწლოვანით ვაჭრობა-ტრეფიკინგი), გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად. სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესები შეიძლება დაიცვას მისმა კანონიერმა წარმომადგენელმაც.

სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს აქვს სამოქალაქო მოსარჩელის ყველა საპროცესო უფლება სსსკ 86-ე მუხლის „ა“, „გ“, „ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებების გარდა. კერძოდ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს თავისი უფლებების განმარტება; იყოლიოს წარმომადგენელი; მხოლოდ სამოქალაქო მოსარჩელესთან შეთანხმებით შეუძლია უარი თქვას სარჩელზე ან დადოს მორიგება სამოქალაქო მოპასუხესთან.

სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს, ცხადია, არა აქვს უფლება მარწმუნებლის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავოს. იგი ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ კანონით ნებადართული საშუალებები და ხერხები სამოქალაქო მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამასთან, წარმომადგენლობის მიღების შემდეგ ადვაოკატს უფლება არა აქვს უარი თქვა მასზე. წარმომადგენელი ვალდებულია არ გაახმაუროს წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია.

სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს აკისრია იგივე მოვალეობები, რაც მის მარწმუნებელს გააჩნია. კერძოდ, სსსკ

86-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო მოსარჩელე ვალდებულია დროულად გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ ორგანოში, წარუდგინოს სასარჩელო განცხადების ასლები სამოქალაქო მოპასუხეს, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს, დაემორჩილოს სასამართლოს თავმჯდომარის კანონიერ განკარგულებას, პატივი სცეს სასამართლოს და მხარეებს, დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში.

§9. სამოქალაქო მოპასუხე და მისი წარმომადგენელი

სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის წარდგენის და პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ პროცესში ებმება სამოქალაქო მოპასუხე. სამოქალაქო მოსარჩელისაგან განსხვავებით სამოქალაქო მოპასუხედ ცნობა არ არის პირის ნება-სურვილზე დამოკიდებული. ის შეიძლება განხორციელდეს მისი ნების საწინააღმდეგოდაც.

სამოქალაქო მოპასუხის სტატუსს პირი იძენს გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით. სამოქალაქო მოპასუხედ შეიძლება ცნობილი იქნეს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

სამოქალაქო მოპასუხედ შეიძლება ცნობილი იყოს ბრალდებული, ასევე პირი, რომელსაც მატერიალური ან სხვა პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალდებულის ქმედებისათვის, ან იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, ვის მიმართაც წარმოებს საქმე სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად. კერძოდ, ასეთი პირები შეიძლება იყვნენ ბრალდებულის მშობლები, მეურვეები, მზრუნველები და ა.შ.

სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ დადგენილების ასლი და განცხადებული სამოქალაქო სარჩელის ასლი პროცესის

მწარმოებელმა ორგანოს დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს სამოქალაქო მოპასუხეს ან მის წარმომადგენელს და უნდა განუმარტოს მას კანონით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობები.

სამოქალაქო მოპასუხეს წაეყენება მოთხოვნა იმ ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც სხვა პირს მიადგა დამნაშავის ან იმ პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

სამოქალაქო მოპასუხე სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას აღჭურვილია მხარის უფლებებით. მისი საპროცესო ინტერესი დაკავშირებულია სასამართლოს მიერ განსასჯელისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტასთან. სამოქალაქო მოპასუხე გამოდის დაცვის მხარეს, რამდენადაც მას უწევს უარყოს მოთხოვნა, რომელიც მის მიმართ წაყენებულია ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად.

სამოქალაქო მოპასუხის უფლება-მოვალეობები რეგულირებულია სსსკ 90-ე მუხლით. ცხადია, კანონში ჩამოთვლილი სამოქალაქო მოპასუხის უფლებები დაკავშირებულია წარდგენილ სამოქალაქო სარჩელთან. სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვს უარყოს სარჩელი, რაც გულისხმობს შესაძლებლობას უარყოს სასარჩელო მოთხოვნა და მოიყვანოს შესაბამისი არგუმენტები. მართალია, მას აქვს მხარის ყველა უფლება, მაგრამ სამოქალაქო მოპასუხის ზოგიერთი უფლება შეზღუდულია მისი საპროცესო ფუნქციის თავისებურების გამო, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო მოსარჩელის სასარჩელო პრეტენზიისაგან თავის დაცვასთან, მაგალითად, განაჩენს იგი ასაჩივრებს მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ნაწილში ისევე, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე. უფრო კონკრეტულად, სამოქალაქო მოპასუხეს, ისევე როგორც სამოქალაქო მოსარჩელეს, უფლება აქვს მოითხოვოს თავისი უფლებების განმარტება, იცოდეს ბრალდების არსი, იყოლიოს წარმომადგენელი, წარადგინოს მტ-

კიცებულებები, განაცხადოს აცილება და შუამდგომლობა, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში, რომელიც ეხება სარჩელის თანხასა და საფუძველს, გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის მოქმედება და აქტები; გაეცნოს საქმის მასალებს, გადაიღოს ასლები და საქმიდან ამოიწეროს ცნობები სამოქალაქო სარჩელის ნაწილში საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ, აგრეთვე სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას, მისცეს განმარტება წარდგენილი სარჩელის გამო, მოითხოვოს მოწმედ დაკითხვა, სასამართლოში ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით, გამოვიდეს სასამართლო კამათში, გაასაჩივროს განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო სარჩელის თანხისა და საფუძვლის ნაწილში, დაიცვას თავისი ინტერესები სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და გამოთქვას მასზე შენიშვნები.

სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს სარჩელი ან დადოს მორიგება სამოქალაქო მოსარჩელესთან, რაც გამორიცხავს სარჩელის გამო შემდგომ წარმოებას.

სამოქალაქო მოპასუხე მოსარჩელის მსგავსად ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებელთან, პროცესის მწარმოებელ ორგანოში, დაემორჩილოს თავმჯდომარის კანონიერ განკარგულებებს, პატივი სცეს სასამართლოსა და მხარეებს, დაიცვას წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში.

აღსანიშნავია, რომ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო მოპასუხეს აწევს მტკიცების ტვირთი. კერძოდ, სამოქალაქო მოპასუხეს აწევს მოსარჩელის მტკიცებათა უარყოფის ტვირთი მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის საქმეებზე.

სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვს იყოლიოს წარმომად-

გენელი-ადვოკატი. თუ სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილია ბრალდებული, წარმომადგენლის უფლებამოსილება სამოქალაქო სარჩელის განხილვისას შეიძლება დაეკისროს დამცველს. სამოქალაქო მოპასუხის ინტერესები ასევე შეიძლება დაიცვას მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა, კერძოდ, თუ სამოქალაქო მოპასუხე არასრულწლოვანია, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუუნაროა, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები. ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა. აღნიშნულ შემთხვევაში თუ სამოქალაქო მოპასუხე არ მიიწვევს ადვოკატს პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს ადვოკატის მონაწილეობა, რომლის ხარჯებსაც სახელმწიფო აანაზღაურებს დადგენილი წესით. თუ ადვოკატ-წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევა არ არის სახეზე, მაგრამ სამოქალაქო მოპასუხე არასმქონეა და იგი წარუდგენს პროცესის მწარმოებელ ორგანოს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მიერ გაცემულ გადახდისუუნარობის დამადასტურებელ დოკუმენტს, სახელმწიფო უზრუნველყოფს არასმქონე სამოქალაქო მოპასუხის ინტრესების წარმომადგენლად ადვოკატის მოწვევას სახელმწიფოს ხარჯზე. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში სამოქალაქო მოპასუხის ადვოკატ-წარმომადგენლის სახელმწიფო ხარჯზე დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო.

სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი ვალდებულია გამოიყენოს კანონით ნებადართული ყველა საშუალება და ხერხი მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. წარმომადგენელს აქვს სამოქალაქო მოპასუხის ყველა საპროცესო უფლება სარჩელის ცნობის, მორიგების დადების, განა-

ჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების საკითხის გადაწყვეტის გარდა. წარმომადგენელი ვალდებულია მიიღოს სამოქალაქო მოპასუხის თანხმობა სარჩელის სრული ან ნაწილობრივი ცნობის, მორიგების დადების, განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტის გასაჩივრების შემთხვევაში.

წარმომადგნელი ვალდებულია არ გაახმაუროს წარმომადგენლობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია, წარმომადგენლობის მიღების შემდეგ ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას მასზე. სამოქალაქო მოპასუხის წარმოადგენელს აკისრია იგივე მოვალეობები, რაც სამოქალაქო მოპასუხეს აქვს.

§10. პირები, რომლებიც მოიწვევიან საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში დახმარების გასაწევად (მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე) როგორც პროცესის სუბიექტები

სისხლის სამართალწარმოებაში პროცესის მწარმოებელი პირების და ორგანოების, სისხლის სამართლის პროცესში პროცესუალური დაინტერესების და პროცესუალური ფუნქციის მქონე სუბიექტების გარდა, მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე პროცესის სხვა სუბიექტები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მოიწვევიან საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში დახმარების მიზნით. ეს პირებია: მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი და დამსწრე. პროცესის ამ სუბიექტებს არ გააჩნიათ საქმეში თავისი პირადი ინტერესი და ისინი არ ასრულებენ რომელიმე პროცესუალურ ფუნქციას, არამედ მხოლოდ ხელს უწყობენ პროცესის მწარმოებელ პირებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.

დასახელებულ პირთა სტატუსსა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XIII თავი (93-ე – 104-ე მუხლები).

სსსკ პირველი მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია სისხლის სამართლის პროცესში არა მხოლოდ დაზარალებულის და ბრალდებულის,არამედ პროცესის სხვა პირთა აქტიური მონაწილეობის გარეშე, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადგენას.

მოწმე

სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროცესში მოწმეთა მონაწილეობას განსაკუთრებით იმ

შემთხვევებში, როდესაც მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. მოწმე, როგორც მტკიცებულებითი ინფორმაციის მატარებელი იქმნება თვით გამოსაძიებელი საქმის გარემოებებით და შეუცვლელია სისხლის სამართლის პროცესში. ვინაიდან მისი ჩვენებები როგორც წესი ეხება უშუალოდ მის მიერ ნანახს ან მოსმენილს და რომლის შესახებ ინფორმაციის მოწოდებაც, როგორც წესი, მხოლოდ მას შეუძლია. სწორედ ამიტომ მოწმეს და მის მიერ მოცემულ ჩვენებებს სსპროცესში შეუნაცვლებადი ხასიათი გააჩნიათ. ამით განსხვავდება მოწმე ამ თავში განხილული სს პროცესის სხვა მონაწილეებისაგან-ექსპერტების, სპეციალისტების და თარჯიმნებისგან, რომელთა ფუნქციების განხორციელება შესაბამისი განათლების და კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერ სხვა პირს შეუძლია. ამასთან, მოწმე პროცესის მწარმოებელ ორგანოს აწვდის არა საკუთარ მოსაზრებებს ან დასკვნებს (ექსპერტი, სპეციალისტი) არამედ უშუალოდ მის მიერ ნანახი ან გაგონილი ფაქტობრივი მონაცემების თაობაზე ინფორმაციას.

სწორედ ამიტომ,სსსკ კრძლავს მოწმის მიერ სხვა პროცესუალური ფუნქციების შეთავსებას (მაგალითად თარჯიმანი, დამსწრე, ექსპერტი, გამომძიებელი და ა.შ). თუ საჭირო ხდება არჩევანის გაკეთება პირის მიერ მოწმის და პროცესის სხვა სუბიექტის სახით პროცესში მოწვევისას (გარდა ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან დაზარალებულის სახით) არჩევანი კეთდება მოწმის სტატუსის შენარჩუნების სასარგებლოდ. კერძოდ, იმ შეთხვევაში თუ საქმის წარმოებაში ექსპერტის სახით მოწვეული პირი ან გამომძიებელი აღმოჩნდება რომ იგივე საქმეზე შეიძლება მოწვეული იქნეს მოწმის სახით, იგი პროცესში შეინარჩუნებს მოწმის სტატუსს, მაგრამ აცილება მიეცემა როგორც ექსპერტს, გამომძიებელს. გამონაკლისია პროცესში მონაწილე პირთა კანონიერი წარმომადგენლები, ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, რომლებიც პროცესში ასევე შეუცვლელი სუბიექტები არიან.

სისხლის სამართლის პროცესში მოწმის სახით მოწვევის წინაპირობაა პროცესის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) ვარაუდი (შესაბამისი მტკიცებულებების და ინფორმაციის საფუძველზე), რომ ამ პირისათვის შესაძლებელია ცნობილი იყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სისხლის სამართლის პროცესში მოწმე არის პირი, რომელიც გამოიძახება პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ ჩვენების მისაცემად საქმესთან დაკავშირებული ფაქტების და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების შესახებ. ამასთან, სსსკ 305[1]-ე მუხლის თანახმად მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ იმ გარემოებების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, ასევე ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ვინაობის დასადგენად.

სისხლის სამართლის პროცესში პირის მოწმის სახით მონაწილეობის საფუძველს წარმოადგენს მისი გამოძახება. პროცესის სხვა სუბიექტებისაგან განსხვავებით აქ არ ხდება დადგენილების გამოტანა პირის მოწმედ ცნობის შესახებ. მოწმის გამოძახება ხორციელდება:

- უწყებით;
- ტელეფონოგრამით;
- დეპეშით;
- რადიოგრამით
- ფაქსით;
- კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით.

სისხლის სამართლის პროცესში მოწმის მოწვევის მიზანია გამოსაძიებელ ან განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება. ამიტომ, პროცესში პირის მოწმის სახით მონაწილეობა პირდაპირ უკავშირდება მის მიერ ჩვენების მიცემის მოვალეობას.

გაშონაკლისია სსსკ 95-ე მუხლით გათვალისწინებული პირები, რომელთა დაკითხვა არ ხდება მოწმის სახით. სსსკ

ითვალისწინებს მოწმეთა ამ ჯგუფის დაყოფას ორ კატეგორიად:

I. პირები, რომლებიც პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილებით შეიძლება გათავისუფლდნენ მოწმის მოვალეობისაგან.

სსსკ იცავს პროფესიული საქმიანობის საიდუმლოებას და პროცესის მწარმოებელ პირს, საქმის გარემოებების და პროფესიული საქმინობისათვის ჩვენების მიცემით გამოწვეული სავარაუდო ზიანის თანაფარდობის გათვალისწინებით, უფლებას აძლევს მოტივირებული დადგენილებით (განჩინებით) მოწმის მოვალეობისაგან გაათავისუფლოს:

ა) ექიმი, მედიცინის და, მეანი, ფარმაცევტი, სხვა სამედიცინო მუშაკი, თუ მათ პროფესიულად ევალებათ საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა;

ბ) ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;

გ) პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას.

დ) კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი, რომლის საქმიანობა გასაიდუმლოებულია, და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას.

მაგრამ სსსკ არ ითვალისწინებს მოწმის უფლებას უარი თქვას ჩვენების მიცემაზე პროფესიული, სამსახურებრივი, კომერციული თუ პირადი ცხოვრების საიდუმლოობის საფუძვლით. ვინაიდან საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე პროცესის მწარმოებელი ორგანო თავად იღებს გადაწყვეტილებას გაათავისუფლოს პირი მოწმის მოვალეობისაგან თუ უზრუნველყოს პირის დაკითხვა მის მიერ მიცემული ჩვენების კონფიდენციალურობის

უზრუნველყოფის პირობებში. იმავდროულად აღნიშნული პირების ამ საფუძვლით მოწმის მოვალეობისაგან გათავისუფლება დროში შეზღუდული არ არის და არც შეუქცევადი ხასიათისაა. კერძოდ, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე პროცესის მწარმოებელ ორგანოს უფლება აქვს მოგვიანებით შეცვალოს (იგივე ან შემდგომ სტადიაზე) თავისი გადაწყვეტილება და აღნიშნული პირები მოიწვიოს პროცესში ჩვენების მისაცემად.

სსსკ არ გამორიცხავს ზ/ა პირთა მოწმის მოვალეობისაგან სრული მოცულობით გათავისუფლების შესაძლებლობას. ის ადგენს აღნიშნული კატეგორიის პირების მიერ ჩვენების მიცემის მოვალეობას განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და იმავდროულად საჭიროებისას განთავისუფლებას მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ზ/ა საიდუმლოს ან ინფორმაციას. იმავდროულად, ეს არის პროცესის მწარმოებელი პირის უფლება და არა ვალდებულება და მისი გამოყენება დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე, მოწმის ჩვენების მნიშვნელობაზე მართლმსაჯულების განხორციელების და ობიექტური გამოძიების განხორციელების მიზნებისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მოტივირებული.

II. პირები რომლებიც არ შეიძლება იყვნენ ობიექტური მტკიცებულებითი ინფორმაციის წყარო – ინფორმაციის სარწმუნოობის ხარისხის მატარებელი არ არის შეზღუდული შესაძლებლობის და ქმედუუნარო პირთა მიერ მიცემული ჩვენება, სწორედ ამიტომ მოწმედ არ შეიძლება დაკითხონ პირი, რომელსაც მცირეწლოვნობის, ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური დაავადების გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიხსომოს ან აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში. იმის გასარკვევად მცირეწლოვნობის, ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური დაავადების

გამო შეუძლია თუ არა პირს მოვლენების სწორად აღქმა, დამახსოვრება აღდგენა და გადმოცემა შესაძლებელია საჭირო გახდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მოწვევა ან ექსპერტიზის ჩატარება.. ფიზიკური (მაგალითად ხეიბარი, უსინათლო, ყრუმუნჯი და ა.შ) ან ფსიქიკური ნაკლი თავისთავად არ წარმოადგენს პროცესში პირის მოწმის სახით მონაწილეობის დამაბრკოლებელ გარემოებას. აქ მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რა გავლენას ახდენს კონკრეტული ნაკლი პირის უნარზე აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს ესა თუ ის ვითარება (მაგალითად, უსინათლოს შეუძლია გამოძიების ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ საუბრის შესახებ, რომლის მომსწრეც ის იყო, ან რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სხვა პირებისაგან; ყრუ-მუნჯმა— მის მიერ უშუალოდ ნანახი დანაშაულის ჩადენის ვითარების შესახებ და ა.შ) მაგრამ აღნიშნული კატეგორიის პირების პროცესში მონაწილეობისას, როგორც წესი, აუცილებელია თარჯიმნის მონაწილეობა.

ფსიქიკური დაავადებები სხვადასხვა სიმძიმის და ფორმისაა (პერმანენტული ან დროებითი შეურაცხადობა). ამიტომ, ასეთ დროს უნდა დადგინდეს ერთის მხრივ ასეთი მოწმის ფსიქიკური მდგომარეობა კონკრეტული გარემოებების აღქმის და მეორეს მხრივ-დაკითხვის მომენტში. ასეთი პირების დაკითხვის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი პირი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში— ექიმ-სპეციალისტთან კონსულტაციის საფუძველზე.

III. პირები რომლებიც არ შეიძლება გამოძახებულნი და დაკითხულნი იქნენ მოწმის სახით კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით (სსსკ 95.1 მუხლი);

სსსკ მკაფიოდ განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, და შემთხვევებს, რომელთა თაობაზეც აღნიშნული პირების მოწმის სახით დაკითხვა აკრძალული. იმავდროულად მათი მოწმის

სახით დაკითხვის აკრძალვა არ არის აბსოლუტური. კანონი არ კრძალავს მათ დაკითხვას ან გამოძახებას პროცესში მოწმის სახით საერთოდ, არამედ მხოლოდ მათ მიერ განხორციელებულ კონკრეტულ ფუნქციებთან და ფაქტებთან მიმართებაში.

ამასთან, ამ ჯგუფში შემავალი პირებიც პირობითად იყოფა ორ სახედ:

1. პირები, რომელთა დაკითხვა მათი სურვილის/ თანხმობის შემთხვევაშიც აკრძალულია;

2. პირები რომელთა დაკითხვა მოწმის სახით შესაძლებელია მათი თანხმობის შემთხვევაში.

1. პირები, რომელთა დაკითხვა მათი სურვილის/ თანხმობის შემთხვევაშიც აკრძალულია

სსსკ ითვალისწინებს ადვოკატის (დამცველი, წარმომადგენელი), სახალხო დამცველის, საკანონმდებლო ორგანოს წევრების, მოსამართლის და ჟურნალისტების საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის დამატებით გარანტიებს და ნდობითი ურთიერთობების უზრუნველყოფას მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას (მაგ დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან ურთიერთობისას იმისათვის რომ ამ პირთა გულახდილობა არ იქნეს გამოყენებული მათსავე საწინააღმდეგოდ). ასევე აღსარების საიდუმლოების დაცვა, რაც აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

სსსკ თანახმად, არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ:

ა) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის დამცველი – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი – იმ გარემოების შესახებ, რომელიც

მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

გ) ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის ან წარმომადგენლობის მიღებამდე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით-ამასთან იგულისხმება მის მიერ იურიდიული დახმარების გაწევა ნებისმიერი სამართალდარღვევის საქმეზე. მათ შორის სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ა.შ. ასევე პროფესიული იურიდიული მომსახურების განხორციელებისას ასეთი ინფორმაციის მიღება დროის, ადგილის და ინფორმაციის შინაარსის მიუხედავად;

დ) ადვოკატი, რომელიც ორგანიზაციას ემსახურებოდა – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დაცვის ან წარმომადგენლობის განხორციელებასთან ან სხვა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

ე) სასულიერო პირი – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

ზ) სახალხო დამცველი – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

თ) საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები – იმ ფაქტის გამო, რომელიც მათ გაანდეს ამომრჩევლებმა;

ი) მოსამართლე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მოსამართლეთა თანამდებობის საიდუმლოებას;

კ) ჟურნალისტი – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს აკრძალვა დროში არ არის შეზღუდული და შესაბამისად აღნიშნული კატეგორიის პირთა დაკითხვა დაუშვებელია იმისდამიუხედავად კვლავაც აგრძელებენ

აღნიშნულ საქმიანობას თუ არა. მაგალითად, დაუშვებელია ეჭვმიტანილის დამცველის დაკითხვა იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მაშინაც, როდესაც იგი უკვე აღარ ასრულებს აღნიშნულ ფუნქციას საქმეზე გამამართლებელი თუ გამომატყუნებელი განაჩენის გამოტანის, თუ მის მომსახურებაზე ბრალდებულის მიერ უარის თქმის მიუხედავად.

იმავდროულად, მნიშვნელობა არა აქვს აღნიშნული ინფორმაცია უშუალოდ ეხებოდა მის მიერ განხილულ სამსახურებრივ საქმიანობას თუ სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების პროცესში გახდა მისთვის ცნობილი სხვა გარემოებები, რომლებსაც მის მიერ განხორციელებულ მომსახურებასთან კავშირი არა აქვს (მაგალითად ქურდობისათვის დაკავებული ეჭვმიტანილის დაცვისას ცნობილი გახდა ეჭვმიტანილის ახლო ნათესავის მიერ მკვლელობის ჩადენის შესახებ).

2. პირები, რომლებიც მათი თანხმობის შემთხვევაში შეიძლება დაიკითხონ როგორც ბრალდების მოწმე – სსსკ 95^1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად დაუშვებელია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ახლო ნათესავის მოწმის სახით დაკითხვა და შესაბამისად სსსპ მონაწილეობისათვის მოწვევა სსპროცესის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ისინი თავად არ გამოთქვამენ ჩვენების მიცემის სურვილს. ასეთი სურვილის გამოთქმის შემთხვევაში ისინი ნებაყოფლობით აცხადებენ უარს მოწმის საპროცესო იმუნიტეტზე და მათზე გარცელდება სსსკ მოწმისათვის დადგენილი ყველა მოვალეობა და პასუხისმგელობა. უარი მოწმის იმუნიტეტზე არის შეუქცევადი და უპირობო. რაც გულისხმობს, რომ მოწმეს არ აქვს უფლება თანხმობა განაცხადოს ინფორმაციის ნაწილის მიწოდებაზე ან საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს პროცესის მწარმოებელი ორგანოსათვის მისაწოდებელი ინფორ-

მაციის სახე და მოცულობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მის მიმართ ადგილი ექნება სსსკ დადგენილი საპროცესო იძულების და სსპ ღონისძიებების გამოყენებას დარჩენილ გაუმჟღავნებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

მოწმის უფლება-მოვალეობანი – პროცესში პირი მოწმის სტატუსს იძენს პროცესის მწარმოებელ ორგანოში ან თანამდებობის პირთან (როგორც წესი – გამომძიებელთან) მისი პირველივე გამოძახების მომენტიდან. სწორედ ამ მომენტიდან ეკისრება მას სსსკ მოწმისათვის დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

მოწმე ვალდებულია:

1. გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით – პროცესში არასაპატიო მიზეზით, გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოწმეს შეიძლება დაეკისროს ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით და დაექვემდებაროს იძულებით მოყვანას.

არასაპატიო მიზეზით მოწმის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით იქნეს მოყვანილი. მოწმის იძულებითი მოყვანა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით (წინასწარი გამოძიების სტადიაზე-ბრძანებით, საქმის არსებითად განხილვისას-დადგენილებით ან განჩინებით). მოწმის მოყვანის მიზანია მისი მონაწილეობის უზრუნველყოფა საგამოძიებო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში. მაგრამ მისი იძულებით მოყვანა დაუშვებელია წინასწარ მისი გამოძახების, მის მიერ ნებაყოფლობით გამოცხადებაზე უარის თქმის და გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზის დადგენის გარეშე. სსსკ გამოუცხადებლობის საპატიო შემთხვევებს მიაკუთვნებს განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებებს, რომლებიც პროცესის მონაწილისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროცესზე მის გამოცხადებას. (იხ. მუხლი 44.57)

2. სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს. მოწმე ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მხოლოდ იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილია დაკითხვის მომენტში. ამასთან იგი არ არის ვალდებული თავისი საკუთარი მოსაზრებები მიაწოდოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს. მოწმეს შეუძლია მისცეს ჩვენება უშუალოდ იმ მოვლენების და ფაქტების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მის მიერ იქნა აღქმული ან იმ გარემოებების შესახებ რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა სხვა პირთაგან. დაუშვებელია მოწმისაგან რაიმე სახის გამოძიების ან დაკვირვების წარმოების მოთხოვნა, ან მის მიმართ ისეთი ექსპერიმენტების ჩატარება, რომლებიც მართალია სასარგებლოა გამოძიებისათვის, მაგრამ არ გააჩნიათ მოწმის მოვალეობასთან პირდაპირი დამოკიდებულება მაგ., ჰიპნოტიზაცია. გამონაკლისია დანაშაულის შემთხვევის, ზიანის მიყენების ფაქტის დადგენის, დაკითხვისათვის მოწმის ვარგისიანობის შემოწმების და გამოსაძიებელ სს საქმესთან დაკავშირებული სხვა ლეგიტიმური მიზნით განხორციელებული ექსპერიმენტები. დაუშვებელია ისეთი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება მოწმის მიმართ, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს ან ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

მოწმის შემოწმება დასაშვებია მხოლოდ მისი ჩვენების სისწორის გასარკვევად. მოწმის შემოწმება დაიშვება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით. მაგრამ შემოწმების ჩატარებაზე მოწმის თანხმობის შემთხვევაში მოსამართლის ბრძანების მოპოვება საჭირო აღარ ხდება და შემოწმება ტარდება გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე სსსკ დადგენილი წესით. სსსკ კრძალავს ასევე მოწმის იძულებით ექსპერტიზას, გარდა ვენერიული თუ სხვა ინფექციური დაავადებების დადგენისა და აგრეთვე იმ შემთხვევებისა, როცა ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწ-

მებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში. დაზარალებულისა და მოწმის იძულებითი ექსპერტიზა დასაშვებია მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

2. მოწმეს ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის (მუხლი 370), ცრუ ჩვენების მიცემისათვის (მუხლი 370), არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის (მუხლი 3711) და ცრუ დასმენისათვის (მუხლი 373). მაგრამ მოწმეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ:

1. იგი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის ახლო ნათესავია;
2. მას უნდა ეპასუხა დანაშაულის ჩადენაში მის მამხილებელ შეკითხვაზე
3. იგი კეთილსინდისიერად ცდება და ამის გამო იძლევა არასწორ ჩვენებას და ადგილი არა აქვს მოწმის მიერ წინასწარი შეცნობით არასწორი ჩვენების მიცემას.
4. წინასწარი გამოძიების პროცესში ან სასამართლო გადაწყვეტილების განაჩენის გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებს მის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ.

წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმის მიმართ სს დევნის დაწყება დასაშვებია მხოლოდ განაჩენის დადგენასთან ერთდროულად.

ამასთან, მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ[1]. სსსკ 44-ე მუხლის

---

1 აშშ-ის სსსკ ითვალისწინებს მოწმის იმუნიტეტის ინსტიტუტს, რაც გულისხმობს სასამართლოს მიერ პირისათვის მინიჭებულ იმუნიტეტს, რომ პირის მიერ მოწმის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენებები და მათგან გამომდინარე ფაქტები არ იქნება გამოყენებული მტკიცებულების სახით მისსავე წინააღმდეგ შემდგომი სამართალწარმოებისას.

აშშ – ის კონსტიტუციის მე-5 შესწორება ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას პასუხი არ გასცეს ბრალდების მხარის ნებისმიერ შეკითხვას ან უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. კერძოდ" არავინ უნდა იქნეს იძულებული სისხლის სამ საქმეზე მისცეს ჩვენება საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ. იმუნიტეტი თვითგათქმისაგან ეხება

თანახმად ახლო ნათესავს მიეკუთვნება მშობელი, შვილად ამყვანი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (განქორწინებულიც). ამდენად, სსსკ ეს დებულება ისევე, როგორც მოწმის სახით გამოძახების და დაკითხვის აკრძალვა არ ეხება მეურვესა და მზრუნველს.

დაუშვებელია მოწმისაგან ჩვენების მოპოვება იძულების, მუქარის ან შანტაჟის ან სხვა უკანონო მეთოდებით. ასეთის გამოყენების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

4. არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ;

5. დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს – გამოუცხადებლობის, თავმჯდომარის განკარგულებათა შეუსრულებლობის, საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე. კერძოდ, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლის განკარგულებით იგი შეიძლება დაჯარიმდეს 50-დან 500 ლარამდე ოდენობით ან შეეფარდოს დაპატიმრება, ხოლო სასამართლოს აშკარა უპატივცემულობის

არა მხოლოდ ბრალდებულს, არამედ მოწმესაც რომელიც ჩვენებას იძლევა სასამართლოში. თუ მოწმე ჩათვლის რომ მისმა ჩვენებამ შეიძლება მოახდინოს მისსივე ინკრიმინირება /თვითგათქმა დანაშაულის ჩადენაში, შეუძლია თავი შეიკავოს ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. საკითხს მოწმისათვის პრივილეგიის მინიჭების თაობაზე იღებს მოსამართლე საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. „თუ არ არსებობს ინკრიმინირების რეალური და არსებითი საშიშროება, თხოვნა პრივილეგიის გამოყენების თაობაზე არ კმაყოფილდება, მაშინაც კი თუ დადგინდება სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენების შორეული საფრთხე. მაგრამ თუ მოწმისათვის ასეთი საფრთხის არსებობა ერთხელ უკვე იქნა დადგენილი, მას ენიჭება ფართო შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეაფასოს საკუთარი თავისათვის კონკრეტული საფრთხის საკითხი.

ან თუ მისი ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისკენ – 30 დღემდე ვადით.

5. არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.

6. შეასრულოს პროცესის მწარმოებელი ორგანოს კანონიერი მოთხოვნა-მოსამართლე ვალდებულია სისხლის სამართლის საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის 500 ლარამდე ოდენობის ფულადი ჯარიმა დააკისროს მოწმეს, რომელიც უარს იტყვის შემოწმების ან ექსპერტიზის ჩატარების, შედარებითი კვლევისათვის ნიმუშის მიღების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს კანონიერი მოთხოვნის შესრულებაზე.

მოწმეს უფლება აქვს:

- იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული;
- ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით;
- აცილება მისცეს თარჯიმანს;
- საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება;
- იყოლიოს ადვოკატი (მ. 305[5])
- მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;
- გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, ასევე გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, სადაც ჩაწერილია მისი ჩვენება, და მოითხოვოს მასში დამატებების, ცვლილებებისა და დაზუსტებების შეტანა,
- გააკეთოს განცხადება გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ;
- ისარგებლოს წერილობითი ჩანიშვნებითა და დოკუმენტებით;

• მის მიმართ განხორციელებულ იძულებით ექსპერტიზასთან მიმართებაში-ექსპერტიზის ჩატარებამდე გაეცნოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; აცილება მისცეს ექსპერტს; გაეცნოს ექსპერტის დასკვნას. მისი მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის შემდეგ აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე;

• გამომძიებლის უკანონო მოქმედება გაასაჩივროს პროკურორთან,

• არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში;

ყველა სხვა პირი შეიძლება დაკითხული იქნეს მოწმის სახით. კანონი არ ადგენს რაიმე სახის ასაკობრივ ან პირის ფიზიკური მდგომარეობიდან განინდინარე შეზღუდვას მოწმედ მოსაწვევ პირებთან მიმართებაში და აუცილებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს არასრულწლოვნების და მცირეწლოვნების[1] დაკითხის შესაძლებლობასაც. არასრულწლოვანი მოწმე შეიძლება დაიკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას ასაკის, ფსიქიკური მდგომარეობის, უნარ-ჩვევების და სხვა თვისებების ერთობლიობით შეუძლია სიტყვიერად, ან სხვა ფორმით მიაწოდოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობები. ანონი არ ადგენს მინიმალურ ასაკობრივ ზღვარს, რომლიდანაც დაიშვება მცირეწლოვნის დაკითხვა როგორც წესი ეს დამოკიდებულია ერთის მხრივ მცირეწლოვნის თვისებების ერთობლიობაზე და დასაკითხ გარემოებებზე. 7 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა დაიშვება მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. 14 წლამდე ასაკის მოწმეს უნდა განემარტოს მისი მოვალეობა ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ ის არ

1 მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის მტკიცებულებითი ხასიათი განხილულია მტკიცებულებათა თავში.

ფრთხილდება შეგნებულად არასწორი ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა დაიშვება პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით. აღნიშნული კატეგორიის პირთა დაკითხვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ასეთი ჩვენებების თავისებურებანი.

ყრუ-მუნჯი მოწმის დაკითხვა ტარდება იმ პირის მონაწილეობით, რომელიც იგებს მის ნიშნებს და შეუძლია მისთვის იმავე ნიშნებით აზრის გაგებინება. ხოლო მძიმე ავადმყოფი მოწმის დაკითხვა ყველა შემთხვევაში ტარდება ექიმის წერილობითი ნებართვით, ხოლო თუ ამას აუცილებლად მიიჩნევს ექიმი-მისი თანდასწრებით. ამასთან

დამატებითი რეგულაციები გათვალისწინებულია მხოლოდ დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირებთან მიმართებაში. მათი დაკითხვა დასაშვებია მხოლოდ მათი თხოვნით ან მათი თანხმობით. თანხმობა გამოითხოვება საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

სისხლის სამართლის საქმეზე ყოველმხრივი, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნებიდან გამომდინარე სსსკ პროცესის მონაწილე პირს აკისრებს მოწმის სახით ნებისმიერი იმ პირის მოწვევის მოვალეობას, რომლისთვისაც სავარაუდოდ ცნობილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ამდენად, სსსკ არ ითვალისწინებს მოწმის აცილების შესაძლებლობას დაზარალებულთან, პროცესის მონაწილესთან ნათესაური თუ სხვაგვარი დამოკიდებულების, მისი საქმიანობის თუ სხვა საფუძვლით (მაგალითად დაზარალებულის ნათესავია ან ადრე იყო გამომძიებელი ამ საქმეზე) მაგრამ ეს გარემოებები გათვალისწინებული უნდა იქნეს მის მიერ მიცემული ჩვენების შეფასებისას.

თარჯიმანი

სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის მიერ თავისი ფუნქციების განუხრელად, სრულყოფილად და კეთილსინდისიერად განხორციელებაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პროცესში მონაწილე პირთა აქტიურობა და მათი მოვალეობების სრულყოფილად განხორციელება (მაგალითად: მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი) და მეორეს მხრივ მხარეთა მიერ თავისი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის ხარისხი.

სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმნის მონაწილეობის საფუძველია:

1. გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის დადგენილება; ან
2. სასამართლოს განჩინება

პროცესში თარჯიმნის მოწვევის წინაპირობებია:

ა) გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ იციან ან სათანადოდ არ იციან ენა, რომელზედაც პროცესის მონაწილე იძლევა განმარტებას ან ჩვენებას;

ბ) ბრალდებულმა, ეჭვმიტანილმა, დამცველმა, დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ, მათმა წარმომადგენლებმა, პროცესის სხვა მონაწილეებმა არ იციან ან სათანადოდ არ იციან სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) საჭიროა მეორე ენიდან ითარგმნოს ესა თუ ის წერილობითი ტექსტი.

სსსკ ითვალისწინებს პროცესში ორი ტიპის თარჯიმნის მონაწილეობას:

1. პირი რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები;

2. პირი, რომელიც ფლობს სამართალწარმოების და პროცესის შესაბამისი მონაწილის ენას.

თუ საქმის რამდენიმე მონაწილეს სჭირდება თარჯიმანი და

ისინი სათანადოდ ფლობენ ერთსა და იმავე ენას, შესაძლებელია ერთი თარჯიმნის მოწვევა.

თარჯიმნის მოვალეობის შესრულების უფლება არა აქვთ:

1. პროცესის მწარმოებელ პირებს (გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს);
2. სხდომის მდივანს;
3. ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს;
4. დამცველს;
5. დაზარალებულს და მის წარმომადგენელს;
6. სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს;
7. მოწმეს;
8. ექსპერტს;
9. სპეციალისტს;
10. დამსწრეს.

თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი

11. თარჯიმანი ვალდებულია:

– გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით. თუ თარჯიმანი არასაპატიო მიზეზით, უარს იტყვის გამოცხადებაზე ან მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, მას დაეკისრება ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით. ხელმეორედ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას იგი იძულებით იქნება მოყვანილი. იძულებით მოყვანა არ ანთავისუფლებს გამოუცხადებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან.

– ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ ადგენს თარჯიმნის მოვალეობას თარგმანის კეთილსინდისიერად განხორციელების მიზნით, სსსკ დეტალურად არ არეგულირებს თარჯიმნის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულების ფორმას.

თარჯიმანთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი იმის

შესახებ თუ რომელი დოკუმენტების თარგმანის მოვალეობა და რა ფორმით უნდა ეკისრებოდეს თარჯიმანს– ზეპირი თუ წერილობითი, ზეპირი თარგმანის შემთხვევაში თარგმანი უნდა ხორციელდებოდეს სიტყვა-სიტყვითი, თუ შესაძლებელია საქმეში არსებული დოკუმენტების მოკლე შინაარსის თარგმნა. აღნიშნული განსაკუთრებით საინტერესოა პროცესის მონაწილის მიერ საქმეში არსებული მასალების გაცნობასთან მიმართებაში სსკ სხვადასხვა სტადიებთან მიმართებაში. სსსკ ითვალისწინებს მხოლოდ შემაჯამებელი ხასიათის დოკუმენტების წერილობითი თარგმანის მოვალეობას. დანარჩენი დოკუმენტების ზეპირი თარგმანის შემთხვევაში რთულია არაჯეროვანი ან არასრული, შერჩევითი თარგმანის ფაქტის მტკიცება. ამასთან, არ ითვალისწინებს არაჯეროვნად ან არასრულყოფილად განხორციელებული თარგმანისათვის თარჯიმნის პასუხისმგებლობის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ამით შეიძლება პროცესის მონაწილეს ხშირ შემთხვევაში მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი (მაგალითად ბრალდებულისათვის მოწმის ჩვენების არსებითად არასწორი თარგმანი, რამაც განაპირობა დაცვის ხაზის ან ტაქტიკის შეცვლა ბრალდებულის მიერ). აქედან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციური თარჯიმნების მონაწილეობის უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომ სსსკ 106 მუხლის ითვალისწინებს თარჯიმნის აცილების ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება მისი პროფესიული არაკვალიფიციურობა.

– ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმსა და სასამართლო სხდომის ოქმში, აგრეთვე სხვა საპროცესო დოკუმენტებში, რომლებიც პროცესის მონაწილეს გადაეცემა მის მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე თარგმნილი, რომელიც მან იცის. განზრახ არასწორი თარგმანისათვის თარჯიმანი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით. ამასთან, თარჯიმანი თავისუფლდება სისხლის სამართლის პა-

სუხისმგებლობისაგან თუ წინასწარი გამოძიების პროცესში, ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებს მის მიერ განზრახ არასწორი თარგმანის შესახებ;

— გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები, აგრეთვე ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ;

— დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სხდომის დროს.

3. თარჯიმანს უფლება აქვს:

— თარგმანის დასაზუსტებლად დაუსვას შეკითხვები პროცესის მონაწილეებს;

— გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და სასამართლო სხდომის ოქმს, გამოთქვას შენიშვნები, რომლებიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი;

— უარი თქვას საქმის წარმოებაში მონაწილეობაზე, თუ თარგმნისათვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია— პროცესში მონაწილე პირებისატვის არაკეთილსინდისიერი თარგმნით ზიანის მიყენების საფრთხის გათვალისწინებით, ვფიქრობთ ეს თარჯიმნის მოვალეობა და არა უფლება უნდა იყოს.

ექსპერტი

ექსპერტად პირის დანიშნვისათვის იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს:

1. უნდა ჰქონდეს სპეციალური ცოდნა — სპეციალური ცოდნა მოიცავს და შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ სფეროს — მეცნიერებას, ტექნიკას, ხელოვნებას, ხელობის ცალკეულ სახეებს. აღნიშნული წესი არ ეხება პროცესის მწარმოებელ სუბიექტებს. ექსპერტიზა ინიშნება იმისადამიუხედავად აქვს თუ არა პროცესის მწარმოებელ პირს შესაბამისი სპეციალური ცოდნა

(მაგალითად, თუ პროკურორს აქვს იმავდროულად ქირურგის კვალიფიკაცია) ან თუნდაც ლიცენზია.

2. უნდა მუშაობდეს საექსპერტო დაწესებულებაში ან ჰქონდეს ლიცენზია– ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო ანდა სხვა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სპეციალისტი ანდა სხვა მცოდნე პირი, რომელსაც ნიშნავს გამომძიებელი ან პროკურორი ან რომელსაც ანაზღაურებით მოიწვევენ მხარეები.

სასამართლო სამედიცინო და კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო დაწესებულების, განსაკურებულ შემთხვევაში კი – სხვა დაწესებულების სპეციალისტი ან კერძო პირი. საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზას ატარებს საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი. საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება საფინანსო ან საბუღალტრო საქმიანობაში, რაც დადასტურებულია შესაბამის დარგში უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი საბუთით, შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით ან შესაბამისი დოკუმენტით (სერტიფიკატით). მას არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სს პროცესში თუ მეორე მხარის მოთხოვნის საპასუხოდ ვერ წარადგენს მისი სპეციალური განათლების ანდა სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ საბუთს ან სერტიფიკატს.

კონკრეტული პირის ექსპერტად დანიშნვამდე ან კონკრეტული საექსპერტო დაწესებულებაში ექსპერტიზის დანიშნვამდე პროცესის მწარმოებელი პირი უნდა დაწმუნდეს რომ კონკრეტული საექსპერტო კვლევის ჩატარების უფლებამოსილება, ტექნიკური შესაძლებლობა და შესაბამისი ცოდნა გააჩნია კონკრეტულ საექსპერტო დაწესებულებას ან შესაბამისად კონკრეტულ ექსპერტს.

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ ითვალისწინებს ექსპერტიზის დანიშვნას საექსპერტო დაწესებულებაში ექსპერტი შეიძლება

იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი და არა საექსპერტო დაწესებულება ან იურიდიული პირი.

ექსპერტი არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში და რომელიც გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ, ბრალდებულმა, დამცველმა, დაზარალებულმა დანიშნა სპეციალური გამოკვლევის ჩასატარებლად და სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გარემოებათა შესახებ დასკვნის შესადგენად.

ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია.

ექსპერტის დასკვნა არ უნდა სცილდებოდეს ექსპერტის სპეციალური ცოდნის ფარგლებს. შესაბამისად, დაუშვებელია საექსპერტო კვლევის ჩატარება სამართლებრივ საკითხებზე (მაგალითად ბრალეულობის თუ უდანაშაულობის, კვალიფიკაციის და ა.შ. საკითხები), რაც სპეციალურად საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების კომპეტენციაა. ექსპერტს არა აქვს უფლება სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისა (მაგალითად მსჯელობა, დასკვნა იმის თაობაზე ადგილი ჰქონდა მკვლელობას თუ თვითმკვლელობას) მაშინაც კი თუ ასეთი საკითხი მის წინაშე იქნა დასმული პროცესის მწარმოებელი ორგანოს ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ. მას უფლება აქვს გადაწყვიტოს მხოლოდ საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ცოდნას, მაგალითად დაზიანება მიყენებული იქნა დაზარალებულის მიერ თუ სხვა პირის მიერ, გარდაცვალების მიზეზის დადგენა და ა.შ ხოლო კვალიფიკაციის საკითხს ექსპერტის დასკვნის და სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე წყვეტს პროცესის მწარმოებელი პირი. ექსპერტიზის დანიშვნის მიზანი შეიძლება იყოს ასევე გარკვეული სპეციალური წესების დაცვის საკითხის დადგენა– მაგალითად სამშენებლო წესების / ნორმატივების, საბუღალტრო აღრიცხვის, მოძრაობის უსაფრთხოების და ა .შ.

სისხლის სამართლის პროცესში ექსპერტის მოწვევის წინაპირობაა:

1. ფაქტობრივი საფუძვლები – სისხლის სამართლის საქმეზე უკვე შეკრებილი მტკიცებულებები, რომლებიც წარმოშობს რაიმე ფაქტობრივი გარემოების გადამოწმების საჭიროებას და ამასთან ასეთი გადამოწმებისათვის აუცილებელია მეცნიერების, ტექნიკის ხელოვნების და სხვა სათანადო დარგის სპეციალისტის მიერ შესაბამისი კვლევის ჩატარება (დასკვნა).

ექსპერიზის ჩატარების წინაპირობა არ შეიძლება იყოს რევიზია. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარებისთვის აუცილებელი არ არის ამავე საკითხზე ჯერ რევიზიის ჩატარება, თუმცა აკრძალულიც არ არის რომ ჯერ ჩატარდეს რევიზია და შემდეგ – ექსპერტიზა იმ პირობით რომ ექსპერტიზის ჩატარების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძველი არ იქნება მხოლოდ რევიზიის აქტი, ხოლო ექსპერტიზის მიზანი – მხოლოდ რევიზიის აქტით დადგენილი გარემოებების გადამოწმება.

სს პროცესში ექსპერტის მოწვევის მიზანია საექსპერტო კვლევის საფუძველზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა.

2. ფორმალური საფუძვლები:

– ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის დადგენილება;

– მხარის შეთანხმება ექსპერტთან /საექსპერტო დაწესებულებასთან ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

ექსპერტის დასკვნის მოპოვების უფლება აქვს მხარესაც. მხარის მოთხოვნით ექსპერტიზა ტარდება სპეციალური ცოდნის მქონე პირთან და იმ დაწესებულებასთან შეთანხმებით, სადაც იგი მუშაობს. დაცვის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას სახელმწიფო არ ანაზღაურებს. ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს, მხარეს უნდა წარუდგინოს ნივთიერი მტკიცებულებანი და საექსპერტო გამოკვლევის სხვა ობიექტები, გარდა იმ შემთხ-

ვევებისა, როცა ისინი უნდა გადაეცეს გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ დანიშნულ ექსპერტს. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს საექსპერტო კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება შევიდეს მის მიერ შეთავაზებული ექსპერტი. ამ შემთხვევაში მხარე ექსპერტის დასკვნას წარუდგენს გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს და მოითხოვს მის მონაწილეობას საქმის შემდგომ წარმოებაში.

ექსპერტი ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; — პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოთხოვნა ექსპერტად დანიშნული პირის გამოძახების და მის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად სპეციალური ცოდნის მქონე პირისატვის, ასევე შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელისათვის, სადაც მუშაობს ეს პირი. ამასთან, ექსპერტის მიერ გამოცხადებაზე ან მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მას დაეკისრება ფულადი ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. მისი ხელმეორედ არასაპტიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი იძულებით იქნება მოყვანილი. ღაც მას არ ანთავისუფლებს გამოუცხადებლობისათვის დაკისრებული 500 ლარამდე ოდენობის ჯარიმის გადახდის მოვალეობისაგან.

ბ) მისცეს ჩვენება ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას ან სასამართლო განხილვის დროს;

გ) მისცეს დასაბუთებული და ობიექტური წერილობითი დასკვნა დასმულ საკითხებზე-ექსპერტი დასკვნას იძლევა საკუთარი სახელით და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე და პირადად ეკისრება პასუხისმგებლობა გაცემული დასკვნის სისწორეზე. ყალბი დასკვნისათვის ექსპერტი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით-ექსპერტის თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგე-

ბლობისაგან თუ იგი წინასწარი გამოძიების პროცესში, ან განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფლობით განუცხადებს მის მიერ ყალბი დასკვნის მიცემის შესახებ პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

ექსპერტი დასკვნას ადგენს მის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად. ექსპერტი იძლევა დასკვნას იმ საკითხებზე რომელთა დასადგენად საჭიროა არა მხოლოდ სპეციალური ცოდნის ქონა, არამედ სპეციალური ცოდნის გამოყენებით კვლევის ჩატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისია მხოლოდ სპეციალური ცოდნა, ექსპერტიზა არ ინიშნება და ექსპერტი არ მოიწვევა. მაგალითად გარკვეული ნივთიერების დნობის ტემპერატურა, ავტოსატრანსპორტო საშუალების კონკრეტული მარკის თავისებურება და ა.შ) დგინდება არა საექსპერტო კვლევის განხორციელების გზით, არამედ შესაბამისი დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის ან მოწმეთა დაკითხვის გზით. სწორედ ამით განსხვავდება ექსპერტი სპეციალისტისაგან.

დ) კანონით დადგენილი წესით დაიცვას და დააბრუნოს კვლევის ობიექტები;

ე) პროცესის მწარმოებელი ორგანოს ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები და ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა;

ვ) განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს 106-ე მუხლში მითითებული საფუძველი.

ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის ობიექტურობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით სსსკ ითვალისწინებს ექსპერტის აცილებას იმ შემთხვევაში თუ:

1. გამოვლინდა მისი პროფესიული არაკომპეტენტურობა– თუ გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტი დარწმუნდა რომ მის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტისათვის მას არ

ჰყოფნის ცოდნა მან უნდა შეადგინოს აქტი ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის შესახებ და გაუგზავნოს ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს.

2. იგი სამსახურებრივად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ამათუიმ პირზე;
3. მას ნათესაური კავშირი აქვს მათთან.

ექსპერტის სახით არ უნდა იყოს მოწვეული არც ის პირი ვისაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე პირთან პირადი, სამსახურებრივი თუ სხვაგვარი დამოკიდებულების გამო შეუძლიათ პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიაწოდონ ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე და შესაბამისად შეიძლება მოწვეული იქნენ მოწმის სახით, მაგალითად, დაზარალებულის მკურნალი ექიმი (მკვლელობის ან სხეულის დაზიანების საქმეზე). იგი შეიძლება მოწვეული იქნეს მოწმედ, მაგრამ მიყენებული დაზიანებების ხაისთის, სიმძიმის, მათი წარმოშობის და ა.შ. საექსპერტო კვლევისათვის მოწვეული უნდა იქნეს სხვა პირი.

როგორც წესი ექსპერტა საქმეში მოწვევამდე არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმ საქმის გარემოებების თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც აწარმოებს ექსპერტიზას. იგი ამ გარემოებებს ეცნობა საქმეში მოწვევის შემდეგ და იმ მოცულობით რაც მას სჭირდება დასკვნისათვის.

ექსპერტს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს ექსპერტიზისათვის საჭირო საქმის მასალებს და ამოიწეროს საჭირო ცნობები ან გადაიღოს ასლები;
ბ) მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა— ექსპერტს არა აქვს უფლება თვითონ შეაგროვოს კვლევის ობიექტები და მასალები. ასეთის სა იროებისას მან უნდა განაცხადოს შუამდგომლობა პროცესის მწარმოებელი შესაბამისი პირის/ორგანოს წინაშე.
გ) უარი თქვას დასკვნის მიცემაზე ან ექსპერტიზის შემდგომ

გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალები საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;

დ) გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს (მოსამართლის) ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და დასაკითხ პირებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ექსპერტიზის საგანს განეკუთვნება;

ე) სასამართლო სხდომაზე მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ მტკიცებულებათა კვლევაში და სასამართლოს ნებართვით შეკითხვები დაუსვას დასაკითხ პირებს;

ვ) ჩამოაყალიბოს დასკვნა არა მარტო დასმულ საკითხებზე, არამედ ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ სხვა საკითხებზედაც, რომელთა გამოც მისთვის არ დაუსვამთ კითხვები;

ზ) შეადგინოს დასკვნა და მისცეს ჩვენება მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სამართალწარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;

თ) გამომძიებლის მოქმედებები და დადგენილებები გაასაჩივროს პროკურორთან, ხოლო პროკურორის მოქმედება – ზემდგომ პროკურორთან;

ი) გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, რომელიც მის მიერ ჩატარებულ ექსპერტიზას ეხება, და მოითხოვოს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

კ) გააკეთოს განცხადება მისი დასკვნის არასწორი ინტერპრეტაციის შესახებ.

სისხლის სამართლის პროცესში ექსპერტის სამართლებრივი სტატუსი გარკვეულწილად მოიცავს მოწმის და სპეციალისტის ნიშნებსაც, მაგრამ იმავდროულად მნიშვნელოვნად განსხვავდება მათგან: ექსპერტის დაკითხვისას მართალია მასზე ვრცელდებოდა მოწმის დაკითხვისათვის დადგენილი წესები, მაგრამ დაკითხვის საგანი განსხვავებულია-ერთ შემთხვევაში ეს არის

მოწმისათვის ცნობილი გარემოებები, ხოლო მეორე შემთხვევაში ექსპერტის მიერ წარმოებული კვლევა. მოწმის პროცესში მოწვევა ხდება იმისათვის რომ პროცესის მწარმოებელ ორგანოს შეატყობინოს მისთვის ცნობილი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ექსპერტი საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანოსგან პროცესში მისი მოწვევის შემდეგ. მოწმე პროცესის შეუცვლელი სუბიექტია, ექსპერტი-არა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტი ისევე როგორც სპეციალისტი სპეციალური ცოდნის მქონე პირია, პროცესში მათი მონაწილეობის მიზნები განსხვავებულია. სპეციალისტის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებაში და დემონსტრირებაში. ხოლო ექსპერტის-საექსპერტო კვლევის გზით დასკვნის მიცემა მის წინაშე დასმულ საკითხებზე.

სპეციალისტი

სპეციალისტი საჭირო დახმარებას უწევს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში. მაგალითად ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის. სპეციალისტად შეიძლება გამოიძახონ კრიმინალისტი, ექიმი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სხვა პირები, რომლებსაც აქვთ საჭირო ცოდნა და ჩვევები. მაგალითად დროს ტექნიკური აპარატურის (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ფოტო – და კინოგადასაღები, სხვა აპარატები) გამოყენების მიზნით შეიძლება გამოიძახონ სპეციალისტ-ოპერატორი.

სპეციალისტი შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი დაწესებულებიდან. ამ შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი გასცემს განკარგულებას იმის თაობაზე, თუ ამ დაწესებულების თანამშრომელთაგან რომელი უნდა გაიგზავნოს სპეციალისტად, რასაც აცნობებს გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს.

სპეციალისტი ვალდებულია:

— გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით;

— მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და სასამართლო განხილვაში;

— გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება მტკიცებულებათა აღმოჩენისა და დამაგრებისათვის;

— გამომძიებლის, პროკურორისა და სასამართლოს ყურადღება მიაპყროს გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, მისცეს განმარტებანი მის მიერ შესრულებულ მოქმედებათა გამო;

— გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები, აგრეთვე ცნობები მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ;

— დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სხდომის დროს.

თუ სპეციალისტი უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი საბდელი 203-ე მუხლით დადგენილი წესით.

სპეციალისტს უფლება აქვს:

— გაეცნოს საგამოძიებო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმებს;

— იცოდეს, რა მიზნით გამოიძახეს იგი;

— უარი განაცხადოს საქმეში მონაწილეობაზე, თუ არ გააჩნია სათანადო ცოდნა;

— ოქმში შესატანად გააკეთოს განცხადება და შენიშვნა იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომლის ჩატარებაშიც იგი მონაწილეობდა;

— გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ნებართვით

შეკითხვები დაუსვას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და სასამართლო განხილვაში მონაწილე პირებს;

– მოწმესთან შედარებით ექსპერტს სისხლის სამართლის პროცესში უფრო აქტიური პროცესუალური მდგომარეობა უკავია. მას უფლება აქვს გაეცნოს გაეცნოს საგამოძიებო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმებს

სსსკ ითვალისიწნებს სპეციალისტის აცილების საფუძვლებს, რომლის თანახმად, სპეციალისტს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, როცა:

– სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებულია საქმეში მონაწილე ამა თუ იმ პირზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან.

– თუ გამოვლინდება მათი პროფესიული არაკომპეტენტურობა.

დამსწრე

სსსკ 44-ე მუხლის თანახმად დამსწრე არის ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის ასევე სსს კოდექსით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში მოწვეული პირი.

პროცესში დამსწრის სახით მოსაწვევი პირის შერჩევის უფლება ენიჭება ეჭვნიტანილს, ბრალდებლს, განსასჯელს, ასევე პირს რომელიც არ არის ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მაგრამ შეიძლება შეეხოს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება (მაგალითად ჩხრეკა, ამოღება) მათ უფლება აქვთ უარი განაცხადონ დამსწრის მოწვევაზე.

დამსწრე არ შეიძლება შერჩეული იქნეს პროცესის მწარმოებელი პირის მიერ. დამსწრედ არ შეიძლება მოწვეული იქნეს ის პირი, რომელსაც სსსკ მინიჭებული აქვს უფლება არ მისცეს ჩვენება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის საწინააღმდეგოდ. კერძოდ, მშობელი, შვილად მაყვანი, და, ძმა,

შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, მეუღლე (განქორწინებულიც).

დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის, ამოღების ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ფაქტის, მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად, აგრეთვე სსსკ პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში.

ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე მოთხოვნის შემთხვევაში, დამსწრის მოსაწვევად მიეცემა გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ ერთი საათისა. მაგრამ გადაუდებელ შემთხვევაში, თუნდაც პირი ითხოვდეს დამსწრის მოწვევას, საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია დამსწრის გარეშე. ასსეტ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა აღინიშნოს რომ პირი ითხოვდა დამსწრის მოწვევას, მაგრამ მას უარი ეთქვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით. სსსკ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებს აკუთვნებს ვითარებას, როდესაც არსებობს:

— ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის;

— ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფის;

— მტკიცებულებათა დაზიანება-განადგურების;

— მტკიცებულებათა გადამალვის რეალური საფრთხე; ან

— სსს კოდექსოთ პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საფრთხის აღმოფხვრისთანავე ეჭვმიტანილი და ბრალდებული, კვლავ სარგებლობენ დამსწრის მოწვევის უფლებით. მაგალითად ჩხრეკის/ამოღების შემთხვევაში — შესაბამისი საგნის დაძებნვის და ამოღების შემდეგ საგამოძიებო მოქმედების ოქმში კვლად უნდა დაფიქსირდეს პირის პოზიცია დამსწრის მოწვევასთან დაკავშირებით.

დამსწრე ვალდებულია:

— მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

— საგამოძიებო მოქმედების ოქმზე ხელმოწერით დაადასტუროს ამ მოქმედების ჩატარების ფაქტი, მისი მიმდინარეობა და შედეგები;

— გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მასალები.

თუ დამსწრე უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას შეიძლება დაეკისროს ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით. დამსწრე შეიძლება დაიკითხოს, როგორც მოწმე, იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ, რომელშიც იგი მონაწილეობდა. ამ შემთხვევაში მას აქვს მოწმის უფლება-მოვალეობები მაგრამ მოწმისაგან განსხვავებით.

დამსწრეს უფლება აქვს:

— მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

— გააკეთოს განცხადება საგამოძიებო მოქმედების გამო და გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი;

— გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს.

პროცესის მონაწილისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

ეჭვმიტანილად (თუ იგი დაკავებული არ არის), ბრალდებულად (თუ იგი დაპატიმრებული არ არის), დაზარალებულად ან მის წარმომადგენლად, მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, დამსწრედ გამოძახებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს გამოძახებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება[1]. რაც გულისხმოს დახარჯულ დროსა და სამგზავრო

1 გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება სახელმწიფო სახსრებიდან კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით

ხარჯების ანაზღაურებას. კერძოდ, აღნიშნულ პირებს უნარჩუნდება საშუალო ხელფასი თავის სამუშაო ადგილზე იმ დროის განმავლობაში, რომელიც მან მოახმარა გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოძახებას. თუ პირი არ არის მუშა ან მოსამსახურე (გარდა ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისა), მას ეძლევა გასამრჯელო ჩვეულებრივი საქმიანობისაგან მოცდენისათვის. თუ პროცესის აღმნიშნულ მონაწილეს აქვს გაწეული ხარჯების ანაზღაურების სურვილი მან ამის შესახებ უნდა განაცხადოს იმ საგამოძიებო მოქმედების დამთავრებისთანავე, რომლისთვისაც იგი იყო მოწვეული.

სპეციალური საექსპერტო დაწესებულება (ექსპერტი), სპეციალისტი (შესაბამისი დაწესებულება, სადაც სპეციალისტი მუშაობს) და თარჯიმანი იღებენ გასამრჯელოს თავიანთი მოვალეობების შესრულებისათვის და კომპენსაციას იმ დანახარჯებისათვის, რომლებიც მათ გასწიეს ამ მოვალეობათა შესასრულებლად.

სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის (ექსპერტიზისათვის) სასამართლო-საექსპერტო მომსახურების (სპეციალისტის, თარჯიმნის) ანაზღაურებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო (თანამდებობის პირი), საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმებისა და ტარიფების შესაბამისად, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღნიშნული მომსახურების გაწევა წარმოებს სახელმწიფო სახსრებიდან გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში. კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის (დამოუკიდებელი ექსპერტისათვის) სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ანაზღაურება წარმოებს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებისათვის.

§11. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი. აცილება

სისხლის სამართლის პროცესში იმ გარემოებების არსებობა, რომლებიც გამორიცხავენ პროცესში გარკვეული სუბიექტების მონაწილეობას – უზრუნველყოფენ სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოძიებას და სასამართლოში განხილვასა და გადაწყვეტას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად: „მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან ერთ-ერთი მაინც არის სახეზე. მაგალითად:

ა) იგი არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით; აქ იგულისხმება ის გარემოება, როდესაც მოსამართლეს, პროკურორს, გამომძიებელს არ ჰქონდა უმაღლესი იურიდიული განათლება, არ ჩაუბარებიათ საკვალიფიკაციო გამოცდები, ან არ ფლობენ სახელმწიფო ენას. დანიშნული ან არჩეული იყვნენ არაკომპეტენტური ორგანოს ან პირების მიერ, მოსამართლეს ან გნებავთ პროკურორს გაუვიდათ უფლებამოსილების ვადა და ა.შ. რაც შეეხება სასამართლო სხდომის მდივანს, მისი მონაწილეობა გამოირიცხება სისხლის სამართლის პროცესში თუ იგი არ არის დანიშნული კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ (შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე).

ბ) საქმე არ არის ამ პროკურორის ან გამომძიებლის ქვემდებარე ანდა სასამართლოს განსჯადი; აქ საუბარია გარემოებაზე, როდესაც სისხლის სამართლის საქმე ქვემდაბარეა პროკურატურის გამომძიებლის, მაგალითად: სისხლის სამართლის საქმე საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, ან საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, ან საქართველოს მთავრობის წევრის მიერ ჩადენილი

დანაშაულის თაობაზე და ა.შ. და მასზე გამოძიებას დაიწყებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებელი, ასევე საპროცესო ხელმძღვანელობას განახორციელებს ის პროკურორი, რომელიც არ იყო უფლებამოსილი აღნიშნულ საქმეზე ყოფილიყო პროკურორი. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადია სისხლის სამართლის საქმეები მის სამოქმედო ტერიტორიაზე ჩადენილ ყველა კატეგორიის დანაშაულზე. მაგალითად, დანაშაული, რომელიც მოხდა სიღნაღის რაიონის ტერიტორიაზე, სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს სიღნაღის რაიონის სასამართლომ და არა გურჯაანის რაიონის სასამართლომ და ა.შ.

გ) სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, თუ ისინი მოცემულ საქმეში მონაწილეობენ ან წინათ მონაწილეობდნენ, როგორც ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, დამსწრე, მოწმე, ანდა ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის კანონიერი წარმომადგენელი. კანონმდებლის აღნიშნული აკრძალვა ვერ მიიღოს მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, სასამართლო სხდომის მდივანმა სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობა (ე.ი. განხორციელდეს მათი აცილება), თუ ისინი აღნიშნული ჩამონათვალის რომელიმე სახით იღებენ ან იღებდნენ მონაწილეობას საქმეში მისაღებია, რამდენადაც იგი ნასაზრდოებია სისხლის სამართლის საქმის მიუკერძოებლად გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის ინტერესებით.

სისხლის სამართლის პროცესში გარანტირებული უნდა იყოს მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მართლმსაჯულების განხორციელების დროს, ამავე დროს თავისი საპროცესო საქმიანობის დროს მიუკერძოებლობა და ობიექტურობა

უნდა შეინარჩუნონ პროკურორმაც, გამომძიებელმაც, სასამართლო სხდომის მდივანმაც. ნებისმიერი გარემოება, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს ზემოთ ხსენებული პირების მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, საფუძველი უნდა გაუხდეს მათი აცილებისა, სისხლის სამართლის საქმის წარმოებიდან ჩამოცილებისა.

სისხლის სამართლის პროცესში პრინციპულად მიუღებელია პროცესის რომელიმე მონაწილემ, მნიშვნელობა არა აქვს ეს იქნება მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი შეითავსოს სხვადასხვა საპროცესო როლი. ასე მაგალითად, თუ პირი მონაწილეობს ან წინათ მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმეში, როგორც ექსპერტი, სპეციალისტი, ან დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე ან სამოქალაქო მოპასუხე და ა.შ. ის იმავე საქმეზე ვერ იქნება გამომძიებელი და ვეღარ განახორციელებს გამოძიების ფუნქციას, ასევე, ვერ იქნება პროკურორი და ვეღარ განახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას, ისევე როგორც, ვერ იქნება მოსამართლე და ვერ განახორციელებს მართლმსაჯულებას, ასევე, ვერ იქნება მოცემულ საქმეზე სასამართლო სხდომის მდივანიც. უფრო მეტიც, თუ პირი შემსწრე იყო დანაშაულის ფაქტისა, მაგრამ იგი არ დაუკითხავთ როგორც მოწმე, მას არ შეუძლია მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე იყოს გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო სხდომის მდივანი, იმიტომ, რომ რჩება ალბათობა იმისა, გამოიძახონ და დაკითხონ, მოწმის სტატუსით.

დ) მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილეობას (მოხდება აცილება) თუ მას აქვს ნათესაური, მეგობრული ან სხვა ახლობლური ურთიერთობა საქმის მწარმოებელ თანამდებობის პირთან ან საქმეში მონაწილე ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან, დამცველთან, დაზარალებულთან, სამოქალაქო მოსარჩელესთან, სამოქალაქო მოპასუხესთან,

ექსპერტთან, სპეციალისტთან, თარჯიმანთან, დამსწრესთან, მოწმესთან, ანდა ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის კანონიერ წარმომადგენელთან. ასევე, თუ ნათესაური ან სხვა ახლობლური ერთიერთობა აქვთ ერთმანეთში სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე მოსამართლეს, პროკურორს, გამომძიებელს, სასამართლო სხდომის მდივანს. ნათესაური კავშირის არსებობა ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებს შორის სერიოზული საფუძველია იმისათვის, რომ ეჭვი გაჩნდეს მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხდომის მდივნის მიუკერძოებლობაში, ობიექტურობაში. მიუხედავად იმისა, ისინი შინაგანად შეიძლება სულაც არ ფიქრობდნენ საქმის მიკერძოებულად გადაწყვეტას. კანონმდებლის მხრიდან ნათესაობა ფართოდაა გაგებული, იგი არ არის შეზღუდული ახლო ნათესავების წრით. მასში მოიაზრება ნებისმიერი ხარისხის ნათესაური კავშირი.

მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხდომის მდივნის მიმართ, როდესაც ეჭვი ჩნდება მათი მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის შესახებ, მეგობრული ან სხვა ახლობლური ურთიერთობის გამო, აცილების (თვითაცილების) საკითხი მოითხოვს განსაკუთრებულ დასაბუთებას. მეგობრულ ურთიერთობაში ნათელია რაც იგულისხმება, სხვა ახლობლურ ურთიერთობაში იგულისხმება ზემოთ აღნიშნულ სუბიექტებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახებით ახლობლობა, ან სასწავლო დაწესებულებაში ერთად სწავლა და ა.შ.

ე) არის სხვა გარემოებები, რომლებიც ეჭვს ბადებს მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხდომის მდივნის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში. ასეთი გარემოებები შეიძლება უამრავი იყოს, ძნელია მათი ამომწურავად ჩამოთვლა. გარკვეულ მათგანზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტი. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს საქმეში მონაწილე პირისადმი მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხ-

დომის მდივნის ნაცნობობა, ამხანაგობა, ან პირიქით მტრული დამოკიდებულება (წარსულში მოსამართლეს კონფლიქტი ჰქონდა საქმეში მონაწილე დაზარალებულთან, ან საქმეში მონაწილე პროკურორს და იმავე საქმეში ბრალდებულ პიროვნებას ერთი გოგო უყვარდათ და ის გოგო ცოლად გაჰყვა ბრალდებულს და ა.შ.). თავიანთი საპროცესო საქმიანობის დროს მოსამართლეს, პროკურორს, გამომძიებელს, სასამართლო სხდომის მდივანს სიფრთხილე მართებთ. ასე მაგალითად, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მოსამართლემ სასამართლოში საქმის განხილვის დროს თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი შეფასებებისაგან და დასკვნებისაგან, რათა რომელიმე მხარეს საფუძველი არ გაუჩნდეს მოსამართლე მიიჩნიოს არაობიექტურად და მიუკერძოებლად. თუ მოსამართლე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს აკეთებს დასკვნებს, იძლევა შეფასებებს, ეს უსათუოდ გახდება მისი აცილების საფუძველი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილში კანონმდებელი საუბრობს კიდევ ისეთი გარემოებების შესახებ, რომელთა არსებობის შემთხვევაშიდაც მოსამართლე მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში. კერძოდ კი, თუ მოსამართლე წინათ მონაწილეობას იღებდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, როგორც გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო სხდომის მდივანი, ეს უკვე საფუძველია იმისა, რომ მან იმავე საქმის განხილვაში მონაწილეობა ვერ მიიღოს (მოხდეს აცილება ან თვითაცილება), როგორც მოსამართლემ.

ასევე, თუ მოსამართლე მონაწილეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს მეორე ინსტანციის სასამართლოში ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო იმავე საქმის განხილვაში.

ზემოთ აღნიშნული მითითებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში მოსამართლე მონაწილეობას ვერ იღებს სისხლის სამართლის განხილვაში, ნაკარნახევია საქმის მიუკერძოებლად განხილვის ინტერესებით. საქმე იმაშია, რომ თუ მოსამართლემ განსახილველ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ერთხელ მაინც გამოთქვა თავისი შეხედულება, მეტ-ნაკლებად ერთგული რჩება წინანდელი შეხედულებისა გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით. არის პიროვნული მომენტიც, ხშირად ადამიანს უჭირს შეცდომის აღიარება.

თუმცა გარკვეულ შემთხვევაში, კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს მოსამართლის მონაწილეობას ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. მაგალითად, მოსამართლემ მონაწილეობა მიიღო საქმის საკასაციო წესით განხილვაში, ეს გარემოება არ გამორიცხავს მის მონაწილეობას იმავე საქმის განხილვაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში. ასევე, მოსამართლის მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ვერ შეაბრკოლებს (არ იქნება აცილება, თვითაცილების საფუძველი) ის გარემოება, თუ იმავე საქმეზე წინასწარი გამოძიებისას გადაწყვიტა ბრალდებულის მიმართ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენების საკითხი (მაგ. დაპატიმრების, გირაოს და ა.შ.), ან სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული საგამოძიებო მოქმედებების (ჩხრეკა, ამოღება, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება) ჩასატარებლად გასცა ნებართვა (ბრძანება). იგულისხმება, რომ ზემოთ ხსენებული საკითხების გადაწყვეტისას მოსამართლე საქმეს არსებითად არ განიხილავს, არ გამოთქვამს აზრს კონკრეტული პირის ბრალეულობის შესახებ.

პროკურორთან მიმართებაში კანონმდებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეოთხე ნაწილში შენიშნავს, რომ: „პროკურორის მიერ თავისი

ფუნქციების განხორციელება სამართალწარმოების არც ერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მის შემდგომ მონაწილეობას", რაც სწორია და ლოგიკური. რამდენადაც პროკურორი კონკრეტულ პიროვნებას უსაბუთებს რა წარდგენილ ბრალდებას, განახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას, მას მოსამართლის მსგავსად არ მოეთხოვება გაურბოდეს საკუთარი აზრების გამოთქმას საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე. მთავარია, რომ ბრალდების თაობაზე საკუთარი აზრის გამოთქმის დროს, პროკურორი ხელმძღვანელობდეს არაბრალეულობის (უდანაშაულობის) პრეზუმფციის პრინციპით.

რაც შეეხება გამომძიებელს, იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს იმ საქმის წარმოებაში, რომელიც მის მიერ იქნა გამოძიებული და დაბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის, თუ ამას განჩინებით (დადგენილებით) აუცილებლად მიიჩნევს სასამართლო (მოსამართლე), ან თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს პროკურორი. გამომძიებელს თავისი საპროცესო მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლია საკმაოდ დიდი ზემოქმედება მოახდინოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობაზე და შედეგზე, ამიტომ მისი ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად გამომძიებლის აცილების ინსტიტუტის არსებობა მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა გამოძიებისა და საერთოდ სისხლის სამართლის პროცესის კანონიერად წარმოებისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი გვაწოდებს სისხლის სამართლის საქმეში ექსპერტის, სპეციალისტის ან თარჯიმნის მონაწილეობის გამომრიცხველ გარემოებებს. ექსპერტი ან სპეციალისტი ვერ მიიღებს მონაწილეობას (მისი აცილების, თვითაცილების საფუძველი იქნება) სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, როცა იგი სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებულია საქმეში მონაწილე ამა თუ იმ პირზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან. აქვე შეიძლება დაუმატოთ, რომ ექსპერტის აცილების საფუძველი უნდა გახ-

დეს ისიც, როდესაც ექსპერტიზას ატარებს იმ საექსპერტო დაწესებულების ექსპერტი, რომლის ხელმძღვანელიც დაინტერესებულია სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობით. ექსპერტის, სპეციალისტის აცილების საფუძველია ისიც, თუ გამოვლინდება მათი პროფესიული არაკომპეტენტურობა.

სისხლის სამართლის პროცესში ვერ მიიღებს მონაწილეობას საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტი, თუ მეორე მხარის მოთხოვნის საპასუხოდ ის ვერ წარადგენს მისი სპეციალური განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ საბუთს ან შესაბამის დოკუმენტს (სერტიფიკატს). ამ შემთხვევაში, საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტის დასკვნა და ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

პირისათვის, რომელიც ჩაბმულია სისხლის სამართლის საქმეში, ძნელია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, როდესაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა. აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია თარჯიმნის მხრიდან თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მეორე ნაწილი პროცესის მონაწილეს აძლევს შესაძლებლობას თუ გამოვლინდება თარჯიმნის პროფესიული არაკომპეტენტურობა განახორციელოს მისი აცილება. კარგი იქნებოდა კანონმდებელს თარჯიმნის აცილების საფუძვლად, ასევე დაესახელებინა თარჯიმნის დაინტერესებულობა საქმის შედეგით. რა თქმა უნდა თარჯიმნის აცილების (თვითაცილების) საფუძველია თუ იგი სათანადოდ არ ფლობს ენას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლი ითვალისწინებს დამცველის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომად-

გენლის აცილების საფუძვლებს. კერძოდ კი, ნათქვამია, რომ ხსენებული პირები ვერ მიიღებენ მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:

ა) რომელიმე მათგანი წინათ მონაწილეობდა იმავე საქმეში, როგორც მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან დამსწრე;

ბ) რომელიმე მათგანს ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან, ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობდა ან მონაწილეობს ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში, ანდა პირთან, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება პროცესის იმ მონაწილის ინტერესებს და რომელმაც მასთან დადო შეთანხმება იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ;

გ) რომელიმე მათგანს უკავია მოსამართლის, პროკურორის ან გამომძიებლის თანამდებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი შრომისუუნარო პირის კანონიერი წარმომადგენელია, ანდა როცა დაწესებულება, რომელშიც იგი მუშაობს, ცნობილია სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ და ის ამ დაწესებულების წარმომადგენლად გამოდის;

დ) რომელიმე მათგანი დახმარებას უწევს ან წინათ უწევდა პირს, რომლის ინტრესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის ინტერესებს, რომლის წარმომადგენელიც ის არის;

ე) დასაცავი პირი (მარწმუნებელი) უარს ამბობს დაცვაზე (წარმომადგენლობაზე) და უარი მიღებულია.

დამცველი, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი იცავს რა თავისი კლიენტის (დასაცავი პირის, მარწმუნებლის) კანონიერ ინტერესებს, უწევს მას კვალიფიცირებულ იურიდიულ დახმარებას,

მოეთხოვება იყოს ობიექტური და გარკვეულწილად თავისუფალიც. ამ თავისუფლებაში იგულისხმება ის, რომ დამცველი და ზემოთ დასახელებული სუბიექტების წარმომადგენელი შებოჭილი არ უნდა იყოს მის მიერ დასაცავი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებით. ასე მაგალითად, დამცველი, რომელმაც იკისრა ვალდებულება სისხლის სამართლის საქმეში დაიცვას ბრალდებულის კანონიერი ინტერესები, გამოვლინდა რომ, იგი არის ამავე საქმეში დაზარალებულის ბიძაშვილი, ან/და ამავე სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულს უწევს ან წინათ უწევდა იურიდიულ დახმარებას. ხსენებული გარემოებები დამცველს წარმოაჩენს, საპროცესო საქმიანობაში შებოჭილად და არაობიექტურად. საბოლოო ჯამში კი, ყოველივე ეს შეარყევს ნდობის ფაქტორს დამცველსა და მის დასაცავ პიროვნებას შორის. გაჩნდება ბზარი, ეჭვი მათ ურთიერთობაში, რაც გახდება დამცველის აცილების საფუძველი.

აცილებისა და თვითაცილების განცხადებისა და გადაწყვეტის წესი

თუკი სახეზე იქნება მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხდომის მდივნის, ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, დამცველის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლების სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი ვალდებულნი არიან განაცხადონ თვითაცილება. თვითაცილება განცხადებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც პირისთვის ცნობილი გახდება იმ გარემოებების შესახებ, რომელიც უკრძალავს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობას. თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირები

არ განაცხადებენ თვითაცილებას, მაშინ მათ აცილებას მოითხოვენ საქმეში მონაწილე პირები. პროცესის მწარმოებელ პირებსაც აქვთ უფლება, მისცენ ერთმანეთს აცილება. განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული. ე.ი. მითითებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ გარემოებაზე, რომელიც გამორიცხავს პირის სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობას და ეს გარემოება იყოს ახსნილი. პირს, რომელსაც აცილება განუცხადეს უფლება აქვს აცილების საკითხის განხილვამდე მისცეს განმარტება. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პროცესი იცნობს საქმისაგან პირის ჩამოცილების ორ გზას: თვითაცილებას და აცილებას.

მოდით განვიხილოთ, როგორია მოსამართლის აცილების წესი. ამ წესის შესახებ ინფორმაციას გვაძლევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის მეოთხე ნაწილი. საიდანაც ვგებულობთ, რომ: თუ სისხლის სამართლის საქმეს ერთპიროვნულად განიხილავს მოსამართლე და მას განუცხადეს აცილება, აცილების საკითხს წყვეტს თვითონვე, საქმის განმხილველი მოსამართლე. აცილების განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლე საქმეს გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს. თუ აცილება მისცეს იმ სასამართლოს მოსამართლეს, სადაც არ არის ამ საქმის განმხილველი სხვა მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს გადაუგზავნის ზემდგომ სასამართლოს თავმჯდომარეს. ხოლო იმ შემთხვევაში კი, როდესაც სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობა და აცილება განუცხადეს რომელიმე მოსამართლეს, მისი აცილების საკითხს გადაწყვეტენ დანარჩენი მოსამართლეები იმ მოსამართლის დაუსწრებლად, რომელსაც აცილება მისცეს. არის შემთხვევა, როცა აცილებას განუცხადებენ მოსამართლეთა უმრავლესობას ან სასამართლოს მთელ

შემადგენლობას. ამ დროს აცილების საკითხს გადაწყვეტს სასამართლო მთელი შემადგენლობით, ხმების უმრავლესობით.

სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევას, როდესაც აცილებას აძლევენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მთელ შემადგენლობას. ამ დროს სისხლის სამართლის საქმე, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეცემა შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც სისხლის სამართლის საქმის შესვლიდან 5 დღეში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

თუ აცილების საფუძვლები გამოვლინდება, აცილება შეიძლება გამოეცხადოს სააპელაციო სასამართლოს მთელ შემადგენლობასაც. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საკითხს გადაწყვეტს საქმის შესვლიდან 5 დღის განმავლობაში.

თუკი გამოვლინდება სასამართლო სხდომის მდივნის აცილების საფუძვლები, მას აცილება შეიძლება მისცეს პროცესის ნებისმიერმა მონაწილემ. მისი აცილების საკითხი შემდეგნაირად გადაწყდება: ა) თუ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივნის აცილების საკითხს გადაწყვეტს სასამართლო მთელი შემადგენლობით, ხმების უმრავლესობით; ბ) თუ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს მოსამართლე ერთპიროვნულად, სასამართლო სხდომის მდივნის აცილების საკითხს გადაწყვეტს საქმის განმხილველი მოსამართლე.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროცესის მონაწილეთა მხრიდან თუ დაისვა საკითხი გამომძიებლის აცილების თაობაზე, მისი აცილების საკითხს გადაწყვეტს პროკურორი, რომელიც წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობს, როგორც საპროცესო ხელმძღვანელი. გამომძიებელი დამოუკიდებლად არ წყვეტს მის

მიმართ განცხადებული აცილების საკითხს. თუ უშუალოდ მასთან შეეხება შუამდგომლობა მისი აცილების შესახებ, იგი ვალდებულია შუამდგომლობა გადასაწყვეტად გადაუგზავნოს პროკურორს. თვით პროკურორის მიმართ მიცემული აცილების საკითხს გადაწყვეტს ზემდგომი პროკურორი, ხოლო სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას პროკურორის აცილების საკითხს გადაწყვეტს ის სასამართლო შემადგენლობა (მოსამართლე), რომელიც საქმეს განიხილავს.

რაც შეეხება წინასწარი გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობის განხილვას ექსპერტის, სპეციალისტის, თარჯიმნის, დამცველის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლების აცილების შესახებ გადაწყვეტს საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორი. ხოლო სასამართლო სხდომაზე აღნიშნულ პირთა აცილების საკითხს გადაწყვეტს ის სასამართლო შემადგენლობა (მოსამართლე), რომელიც განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს.

ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე განცხადებული აცილების საკითხი პროკურორმა უნდა გადაწყვიტოს შუამდგომლობის შეტანიდან 24 საათის განმავლობაში. განცხადებული აცილების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მას გამოაქვს დადგენილება.

სასამართლო სხდომაზე განცხადებული აცილების საკითხი წყდება დაუყოვნებლივ. სასამართლო შემადგენლობა (მოსამართლე) უფლებამოსილია შუამდგომლობა აცილების თაობაზე გადაწყვიტოს როგორც ადგილზე თათბირით (გადაწყვეტილება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში), ასევე სათათბირო ოთახში. სასამართლო შემადგენლობას აცილების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გამოაქვს განჩინება, ხოლო მოსამართლეს დადგენილება.

§12. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებანი

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია ამკვიდრებს ადამიანის, მოქალაქის, პიროვნების პრიმატს და მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების დაცვას, მისი ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას ანიჭებს პრიორიტეტს და მიიჩნევს უმაღლეს სოციალურ ღირებულებად.

მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის რეალიზაცია გულისხმობს ისეთი ზოგად-საკაცობრიო პრინციპების დანერგვას საპროცესო კანონმდებლობაში, როგორიცაა ჰუმანიზმი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2005 წლის 16 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით (კოდექსს დაემატა XIV 1 თავი) პირველად იქნა შემოღებული პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია აღნიშნულ პირთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საზოგრებელი ბინის, ქონების, პატივისა და ღირსების დასაცავად მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან იმ მიზნით, რათა შეიქმნას აუცილებელი პირობები მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისათვის.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების საფუძველს წარმოადგენს ინფორმაცია, ცნობები, ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების მიმართ რეალური მუქარის არსებობას.

გადაწყვეტილებას პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის

სპეციალური ღონისძიებების გამოყენების შესახებ ღებულობს სასამართლო და პროკურორი.

კანონში ორ ჯგუფად არის ჩამოთვლილი დაცვის სპეციალური ღონისძიებების სახეები იმისდა მიხედვით, თუ ვინ ღებულობს გადაწყვეტილებას მისი გამოყენების შესახებ. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 109 1-ე, მუხლის თანახმად მოსამართლე უფლებამოსილია გამოიყენოს პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების შემდეგი სახეები:

ა) საჯარო რეესტრიდან ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერიდან დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობის და იდენტიფიკაციის შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება.

საჯარო რეესტრიდან გაიცემა ამონაწერი საცხოვრებელი ბინის ან მიწის ნაკვეთის საკუთრებაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, გაიცემა მესაკუთრის მოწმობა. სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად, საკრებულოს სხდომის ოქმი.

აღნიშნული დაცვის ღონისძიება გულისხმობს დასახელებულ დოკუმენტებში არა ნამდვილი სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის, ან სხვა ინფორმაციის შეტანას, არამედ მათ შეცვლას. ამასთან შესაძლებელია აღნიშნული მონაცემები საერთოდ არ იყოს მითითებული, ანუ იყოს ამოღებული.

ბ) დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და აგრეთვე ზემოთდასახელებულ „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტის გასაიდუმლოება.

დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ საპროცესო დოკუმენტად შეიძლება

ჩაითვალოს ყველა საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებათა ოქმები, სადაც მოწმე და დაზარალებული მონაწილეობას ღებულობდა, სადაც არის მითითებული მათი ანკეტური მონაცემები, მაგალითად, დათვალიერების ოქმი, ამოცნობის ოქმი, შემოწმების ოქმი, დაკითხვის ოქმი და ა.შ. აგრეთვე სასამართლო სხდომის ოქმი, გასაიდუმლოება გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული დოკუმენტები ნებისმიერი პირისათვის უნდა გახდეს ხელმიუწვდომელი და არ უნდა მოხდეს მათი გაცნობა, მათ წარდგენა პროცესის მონაწილეებისათვის.

დასაცავი პირის მიმართ მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ, ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ამომცნობის მიერ ამოსაცნობის ვიზუალური დაკვირვების გარეშე, სასამართლო სხდომაზე გამოძახებულ პირთა სიაში დასაცავი პირის ნამდვილი ანკეტური მონაცემები არ იყოს შეტანილი, დასაცავი პირის გამოძახება პროცესის მწარმოებელ ორგანოში განხორციელდეს გამონაკლისის სახით იმ ორგანოს მეშვეობით, რომელიც უსაფრთხოების ღონისძიებას განახორციელებს.

ამასთან ერთად, კონფიდენციალურია და გასაიდუმლოებას ექვემდებარება დასაცავი პირის შესახებ ცნობები, რომელიც გაიცემა ცნობათა ბიუროს მიერ, საპასპორტო სამსახურის, საპატრულო პოლიციის მიერ, სატელეფონო სადგურების საცნობარო სამსახურების მიერ და სხვა სახელმწიფო საინფორმაციო საცნობარო სამსახურების მიერ. ამიტომ აღნიშნულ სამსახურებს დროებით უნდა აეკრძალოს დასაცავი პირის მიმართ ცნობების გაცემა. აღსანიშნავია, რომ კანონში საუბარია ზემოთაღნიშნული დოკუმენტების გასაიდუმლოებაზე ვადის მიუთითებლად, რაც არასწორად მიგვაჩნია, რადგან აღნიშნული დოკუმენტების გასაიდუმლოება უნდა მოხდეს დროებით და არა სამუდამოდ.

გ) ფსევდონიმის მინიჭება

იმისათვის, რათა პროცესის მონაწილის ვინაობა არ გახ-

მაურდეს შესაძლებელია მას მიენიჭოს ფსევდონიმი და ყველა საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებებში პროცესის მონაწილემ მონაწილეობა მიიღოს არა ნამდვილი სახელითა და გვარით, არამედ ფსევდონიმის მითითებით.

დასაცავი პირის საქმეში ფსევდონომით მონაწილეობის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება. შემდგომ საპროცესო დოკუმენტებში მიეთითება მხოლოდ ფსევდონიმი.

რაც შეეხება პროცესის მონაწილის ნამდვილ სახელს, გვარს, მამის სახელს, დაბადების წელს, თვესა და რიცხვს, დაბადების ადგილს, ოჯახურ მდგომარეობას, სამუშაო ადგილს, საქმიანობის სახეს ან თანამდებობას, საცხოვრებელ ადგილს და სხვა ანკეტურ მონაცემებს, რომლებიც შეიცავენ პირის შესახებ ინფორმაციას, მათი მითითება სავარაუდოდ უნდა მოხდეს ცალკე გამოტანილ დადგენილებაში ანკეტური მონაცემების შეცვლის შესახებ. ეს დადგენილება არ უნდა დაერთოს საქმის მასალებს, არამედ ცალკე უნდა ინახებოდეს საქმის მწარმოებელ ორგანოში.

დასაცავი პირის სახელისა და გვარის ფსევდონიმით შეცვლისას საქმის მასალებიდან უნდა იყოს ამოღებული საგამოძიებო მოქმედებათა ოქმები და სხვა დოკუმენტები, სადაც აღნიშნულია მონაცემები მისი ვინაობის შესახებ, საქმის მასალებს კი უნდა დაერთოს აღნიშნული დოკუმენტების ასლები, სადაც დასაცავი პირის გვარი და სახელი შეცვლილია ფსევდონიმით.

დ) მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება.

ეს ღონისძიება გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, პირად დაცვას, საცხოვრებელი ბინის და ქონების დაცვის უზრუნველყოფას. დასაცავი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობისას უნდა იყოს გამოყენებული ინდივიდუალური დაცვის სპეციალური საშუალებები, მათ შორის მუქარის ხარისხისა და სიმძიმის გათვალისწინებით შეიძლება გამოყოფილი

იყოს იარაღი. ამასთან, დასაცავი პირის საცხოვრებელ ბინაში შესაძლებელია განთავსებული იყოს ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვის სიგნალიზაცია. ასევე, შესაძლებელია შეიცვალოს მისი ბინის ტელეფონის ნომერი და მის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული სახელმწიფო სანომრე ნიშნები.

დასაცავი პირის მიმართ თავდასხმის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შესახებ მუქარის არსებობისას მისი განცხადების საფუძველზე ან მისი წერილობითი თანხმობით შეიძლება განხორციელდეს სატელეფონო და სხვა საუბრების მოსმენა და ხმის ჩაწერა. ცხადია, მოსმენა უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით სასამართლოს გადაწყვეტილებით.

აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს, კანონის თანახმად, დაუშვებელია სასამართლოში პროცესის მონაწილის დაკითხვა მისი ვინაობის გასაიდუმლოებით ან იდენტიფიცირების შეცვლით. სასამართლო სხდომაზე პროცესის მონაწილე იკითხება უშუალოდ და ზეპირად.

ზემოთაღნიშნული დაცვის სპეციალური ღონისძიებები სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს დაცვის მხარის შუამდგომლობით და პროცესის მონაწილის თანხმობით. ამასთან, ერთდროულად შესაძლებელია გამოყენებული იყოს რამდენიმე დაცვის საშუალება.

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოს გარდა, პროკურორიც არის უფლებამოსილი გამოიყენოს დაცვის სპეციალური ღონისძიებები. კანონში ცალკეა ჩამოთვლილი პროკურორის მიერ გამოყენებული დაცვის სპეციალური ღონისძიებები. კერძოდ, სსსკ 109 1-მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პროცესის მონაწილეთა დაცვის შემდეგი სახის სპეციალური ღონისძიების გამოყენებაზე:

ა) მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება;

ბ) საცხოვრებელი ადგილის დროებითი ან მუდმივი შეცვლა. ამ შემთხვევაში იგულისხმება დასაცავი პირის სხვა საცხოვრებელ ადგილას გადაყვანა ანუ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემა, აგრეთვე ახალ საცხოვრებელ ადგილას შრომითი მოწყობის უზრუნველყოფა, რაც უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ზომების გამომყენებელი ორგანოს მიერ.

სხვა საცხოვრებელ ადგილას დროებით გადაყვანის შემთხვევაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ექვემდებარება ბრონირებას. არასრულწლოვანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მათი მშობლებისა და სხვა კანონიერი წარმომადგენლების წერილობითი თანხმობით ისინი შეიძლება დროებით იყვნენ მოთავსებულნი სკოლამდელ აღმზრდელობით დაწესებულებაში, ხოლო სრულწლოვანი ქმედუუნარო პირები — სოციალური დაცვის ორგანოთა დაწესებულებაში.

საცხოვრებელი ადგილის შეცვლა უნდა იყოს გამოყენებული გამონაკლის შემთხვევაში, როცა დაცვის სხვა ღონისძიების გამოყენება არაეფექტურია. ამასთან უნდა იყოს უზრუნველყოფილი დასაცავი პირის ყველა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა და დაცვა.

გ) გარეგნობის შეცვლა

ასეთი ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული დასაცავის შუამდგომლობით ან მისი თანხმობით, ან სასამართლოს განჩინებით და შეიძლება ადგილი ჰქონდეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის სიტუაციაში, როცა პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვა საშუალებით შეუძლებელია. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები ანაზღაურდება იმ ორგანოს მიერ, რომელმაც მიიღო ამის შესახებ გადაწყვეტილება.

გარეგნობის შეცვლა შეიძლება გამოიხატოს ვარცხნილობის შეცვლაში თმის ფერის შეცვლასთან ერთად, თვალის ფერის შეცვლაში, პლასტიკური ოპერაციის შედეგად ცხვირის ფორმის

შეცვლაში, მთლიანად სახისა და სხეულის პლასტიკური, კოსმეტიკური და ქირურგიული ოპერაციის შედეგად არსებითად განსხვავებული გარეგნობის შექმნაში.

გარეგნობის შეცვლასთან ერთად აუცილებელია გადაწყდეს საკითხი მოქალაქისათვის მისი უფლებების, თავისუფლებებისა და შეღავათების შენარჩუნების შესახებ. უნდა იყოს უზრუნველყოფილი მისი ყველა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და მისი კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების განხორციელების ხარჯებს გაიღებს სასამართლო.

დაცვის სპეციალური ღონისძიებების განხორციელების მოვალეობა ეკისრებათ ძირითადად შინაგან საქმეთა ორგანოებს. თანამედროვე პირობებში საგამოძიებო პრაქტიკაში გვხვდება მუქარის მრავალრიცხოვანი ფაქტები, მოწმეთა, დაზარალებულთა და თვით გამომძიებელთა, პროკურორთა და მოსამართლეთა მისამართით. თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან არასათანადო ფინანსური უზრუნველყოფის გამო პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები ჯერ კიდევ გამოიყენება იშვიათად და არასაკმარისად. ამასთან უფრო ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული დაცვის ისეთი ღონისძიებები, რომელთა გამოყენება დიდ მატერიალურ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული, მაგალითად, მოქალაქეთა ბინაში დაცვის სიგნალიზაციის დაყენება, დასაცავი პირის ტელეფონის ნომრის შეცვლა, მის სატრანსპორტო საშუალებაზე სახელმწიფო სანომრე ნიშნების შეცვლა.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის ავტომანქანის ძარის შეღებვა და მისი ნომრის შეცვლა, აგრეთვე მისი ტელეფონის ნომრის შეცვლა, მისი საქმეში ფსევდონიმით მონაწილეობის უზრუნველყოფა აღმოჩნდა საკმარისი დაცვის ღონისძიება ნარკოტიკების გასაღების საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად დაცვის სპეციალური ღონისძიება გამოიყენება პროკურორის დადგენილებით არა მხ-

ოლოდ პროცესის მონაწილის მიმართ, არამედ მასთან დაკავშირებული პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფადაც.

რაც შეეხება ბრალდებულსა და განსასჯელს, მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ბრალდებულისა და განსასჯელის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ; შუამდგომლობა კი წარედგინება მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ პროცესის მონაწილის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ერთი, ისე ერთდროულად რამდენიმე დაცვის სპეციალური ღონისძიება.

კანონის თანახმად თუ მოწმისა და დაზარალებულის მიმართ წინასწარ გამოძიებაში გამოყენებული იყო დაცვის სპეციალური ღონისძიება, სასამართლოში მისი დაკითხვის შემდეგ, ბრალდებულს ან მის დამცველს, მოთხოვნის შემთხვევაში, მოსამართლე აძლევს გონივრულ ვადას დაცვის მომზადებისათვის, მაგრამ არა უმეტეს 7 დღისა.

დაცვის სპეციალური ღონისძიება გამოიყენება შემდეგი საფუძვლების არსებობისას.

ა) საქმე განიხილება ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტებზე, რომლის საჯარო განხილვა თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;

ამ შემთხვევაში შეიძლება ვიგულისხმოთ ისეთი საქმეები, რომელთა განხილვა დაკავშირებულია პროცესის მონაწილეთა პირადი ინტიმური ცხოვრების დეტალების გახმაურებასთან, მაგალითად, სსკ 137 – 141-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

ბ) პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის საჯაროობით მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას.

აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პროცესის მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ბრალდებულის მხრიდან არსებობს მუქარა. მუქარის რეალურობა უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მუქარის შინაარსი; დროის მონაკვეთი, როცა გაცხადდა მუქარა; მუქარის ინტენსივობა, მუქარის სუბიექტის პიროვნული თავისებურებები – მისი სოციალური, ქონებრივი მდგომარეობა, ფსიქოლოგია, მისი კავშირები, სამართალდამცავ ორგანოებთან დამოკიდებულება და ა.შ.

აღნიშნული გარემოებების ერთბლიობის გაანალიზების საფუძველზე უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება პროცესის მონაწილის ვინაობის გასაიდუმლოების შესახებ, რადგან რეალურად არსებობს საფრთხე ზიანი მიადგეს მისი ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას.

გ) პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა პროცესის მონაწილეს ბრალდებულთან აკავშირებს სამსახურებრივი, თანამდებობრივი, მატერიალური დამოკიდებულება. მაგალითად (ბრალდებულს ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობა იმ ორგანოში, სადაც პროცესის მონაწილე მუშაობდა ან პროცესის მონაწილე არის ბრალდებულის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირი ან პირი, რომელიც ბრალდებულისაგან იღებდა სარჩოს, მატერიალურ უზრუნველყოფას და მისი ანკეტური მონაცემების გახმაურება საფრთხეს შეუქმნის მის პირად ცხოვრებას (შეუწყდება სარჩოს მიღება, დაკარგავს სამსახურს და ა.შ.).

დ) პროცესის მონაწილის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე.

საქმეში უნდა არსებობდეს ფაქტობრივი მონაცემები, ინფორმაცია, მასალები, რომლებიც აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ საქმეში მონაწილეობის საჯაროობით პროცესის მონაწილის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება ზიანი მიადგეს. საფრთხის რეალურობა კი უნდა განისაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების საფუძველზე.

აღნიშნული საფუძვლების არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია წინასწარი გამოძიების დროს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიებას ადგილის მიხედვით. თავის მხრივ, პროცესის მონაწილემ შეიძლება მიმართოს პროკურორს თხოვნით, რათა მის მიმართ იყოს გამოტანილი დაცვის სპეციალური ღონისძიება.

შუამდგომლობა სასამართლოში განიხილება საერთო წესის მიხედვით. სხდომა არ არის საჯარო. მას ესწრებიან მხოლოდ პროკურორი, შუამდგომლობის ავტორი და პროცესის მონაწილე, ვის მიმართაც უნდა იყოს გამოყენებული დაცვის სპეციალური ღონისძიება. გამონაკლისს წარმოადგენს ფსევდონიმის მინიჭება. შუამდგომლობა განიხილება საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილი წესით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს გადაწყვეტილება, სადაც უნდა იყოს აღნიშნული კონკრეტულად დაცვის რომელი სპეციალური ღონისძიება უნდა იყოს გატარებული, ვის მიმართ გამოიყენება იგი და რა ვადით, რომელ ორგანოს ევალება მისი აღსრულება. ამასთან, დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იყოს უვადოდ.

რაც შეეხება გარკვეული ვადით დაწესებულ დაცვის სპეციალურ ღონისძიებას თუ იქნება აღნიშნული ღონისძიების გამოყენების საჭიროება, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელია მისი მოქმედების ვადის გაგრძელება. დაცვის

სპეციალური ღონისძიების ვადის გაგრძელების შუამდგომლობა განიხილება საერთო წესით.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ კონფიდენციალურია და საჯაროდ არ ცხადდება, თუმცა ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ეცნობებათ მხარეებს, შუამდგომლობის შემტანს და იმ პირს, ვისაც შეეხო ეს ზომა. ამასთან, შეტყობინებაში არ უნდა იყოს შეტანილი დასაცავი პირის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შემცველი მონაცემები. თავის მხრივ, დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების აღსრულების შესახებ სამი დღის ვადაში უნდა ეცნობოს ამ ღონისძიების გამოყენების ინიციატორს და მოსამართლეს (სსსკ 109 4-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს. კერძოდ, სსსკ 109 3, მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს საქმეზე შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში მისი დამნიშვნელი მოსამართლის (სასამართლოს) ან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლის დადგენილებით (განჩინებით) ეს ღონისძიება უნდა გაუქმდეს, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება დასაცავ პირს.

სსსკ 109 5-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ საჯარო არ არის. იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის, შუამდგომლობის განხილვაში მონაწილე პირებისა და უფლებამოსილი თანამდებობის პირისათვის, რომელმაც უნდა აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგე-

ბლობაა დაწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილის, აღმასრულებლის, დაზარალებულის, მოწმის ან სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილის ანდა მისი ახლო ნათესავის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურებისათვის იმ პირის მიმართ, ვინც ასეთი საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს (სსკ 367-ე მუხლი). პასუხისმგებლობა მძიმდება თუ გახმაურებას მძიმე შედეგი მოჰყვა.

გახმაურება გულისხმობს ცნობების შეტყობინებას გარეშე პირისათვის. გახმაურება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: პრესაში გამოქვეყნებით, მიმოწერით, კერძო საუბრის დროს ზეპირად, საჯაროდ გამოსვლით, სათანადო დოკუმენტების გაცნობით და ა.შ. რის შედეგადაც გახდება ცნობილი ინფორმაცია უსაფრთხოების ზომების შესახებ.

სსკ 365-ე მუხლის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს პროკურორის, გამომძიებლის, დამცველის, ექსპერტის, აღმასრულებლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილისა ან მისი ახლო ნათესავის მიმართ წინასწარ გამოძიებასთან, სასამართლოში საქმის განხილვასთან ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა. ამ მუხლში, როგორც ვხედავთ, პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად დასახელებულნი არიან პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირები პროკურორი, გამომძიებელი. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად კი დაცვის სპეციალური ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ მოწმისა და დაზარალებულის მიმართ. არადა ხშირია შემთხვევები, როცა გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს ემუქრებიან სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების და ქონების ხელყოფის მუქარით. სასურველი იყო კანონმდებელს

გაეფართოვებინა დაცვის სპეციალური ღონისძიებების სუბიექტების წრე და მოეწესრიგებინა პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთა დაცვის ღონისძიებების გამოყენების საკითხიც.

თავი VI

მტკიცებულებანი და მტკიცება სისხლის სამართლის პროცესში

§1. მტკიცებითი სამართლისა და მტკიცებითი თეორიის ცნება

დანაშაულის ჩადენას ყოველთვის წარსულ დროში აქვს ადგილი, ამიტომ აღნიშნულ გარემოებათა დადგენა და აღდგენა მტკიცების მეშვეობით ხდება. ვინაიდან მოვლენები და ფაქტები ყოველთვის ტოვებენ მატერიალური ან იდეალური სახის კვალს. ცნობილი ფაქტების საფუძველზე კი ხდება უცნობი ფაქტების დადგენა. აღნიშნული პროცესი კი თავისთავად წარმოადგენს მტკიცებას. წარსულში მომხდარი მოვლენის შემეცნება ანუ მათი მტკიცება, დადგენა არის მეცნიერების მრავალი სფეროს ამოცანა, მაგ: ისტორია, არქეოლოგია, მაგრამ სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაცია ასეთი სახის მოვლენებზე იქცევა სამართლებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად. სწორედ ამიტომ მათი მტკიცება დეტალურად არის რეგლამენტირებული კანონმდებლობით და ეფუძნება პროცესის საერთო პრინციპებს (შეჯიბრებითობა, უშუალობა და ა.შ.).

საკანონმდებლო რეგლამენტაციისას კი უნდა განისაზღვროს შემდეგი გარემოებები:

1. კანონმდებლობით დადგენილი მტკიცების პროცესი წარმოადგენს პროცესის ფორმისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებას (სამძებრო(ინკვიზიციური), ბრალდებითი, შეჯიბრებითი, შერეული).
2. მტკიცება არსებითად განსაზღვრავს პიროვნების პროცესუალურ მდგომარეობას (მაგ:ბრალდებულის პროცესუალურ მდგომარეობას).

3. ინსტიტუტები, რომლებიც ახდენენ მტკიცების პროცესის რეგლამენტაციას, წარმოადგენს სამართალწარმოების პრინციპების რეალიზაციის ძირითად საშუალებას.

ამ კითხვებზე პასუხის საკანონმდებლო რეგლამენტაციას დიდი მნიშვნელობა გააჩნია როგორც სისხლისსამართალწარმოების შესაბამისი ინსტიტუტების საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის, ისე პროცესის მონაწილეთა პრაქტიკული საქმიანობისათვის.

იმისათვის, რომ გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა ჩატარდეს ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად, საქმეზე უნდა დადგინდეს: იყო თუ არა დანაშაულის შემთხვევა; პირის ბრალეულობა; მტკიცების საგანი; ჩატარდა თუ არა ყველა საჭირო და აუცილებელი საპროცესო მოქმედება.

გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე ხორციელდება კანონით განსაზღვრული წესით და უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენას სისხლის სამართლის საქმეზე პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების სრული დაცვით და სავალდებულოა როგორც პროცესის მწარმოებელი პირის, ასევე პროცესის სხვა მონაწილეთათვის.

იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ მტკიცების პროცესთან დაკავშირებულ პროცესუალურ მოქმედებებსა და ურთიერთობას ჭეშმარიტების დადგენის მიზნით მტკიცებითი სამართალი ეწოდება.

მტკიცებითი სამართალი მჭიდრო კავშირშია მტკიცებულებათა თეორიასთან. მტკიცებულებათა თეორია არის საპროცესო სამართლის ნორმათა ერთობლიობა და საპროცესო სამართლის დარგი, რომელიც გამოიყენებს რა მეცნიერების მიღწევებს (ლოგიკა, ფსიქოლოგია, ეთიკა, კრიმინალისტიკა და ა.შ.), განსაზღვრავს შემეცნების პროცესს, მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოყენების საკითხებს.

მჭიდრო კავშირია ასევე მტკიცებასა და მტკიცებულებებს

შორის. მაგრამ მტკიცებულება და მტკიცება არ არის იდენტური ცნებები. მტკიცება, ლიტერატურაში მიღებული განსაზღვრებიდან გამომდინარე, არის საქმეზე კანონიერი გზით ჭეშმარიტების დასადგენად ინფორმაციის მოპოვება — შემოწმებასა და შეფასებაში მონაწილეთა მოქმედება და ურთიერთდამოკიდებულება. მტკიცება მოიცავს მტკიცებულებასაც: მტკიცება დინამიურობას გამოხატავს; იგი მიმდინარე პროცესებზე მიგვანიშნებს. მტკიცება გამოხატავს პროცესში მონაწილე პირთა მოქმედებებსა და მათ ურთიერთდამოკიდებულებას ჭეშმარიტების დასადგენად. მტკიცების მოვალეობა აკისრია პროცესის მწარმოებელ პირს. მტკიცებულება კი სულ სხვა ბუნებისაა. იგი უკვე მოპოვებული ინფორმაციაა. ანუ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზეც დგინდება არსებობს თუ არა დანაშაულებრივი ფაქტი და მისი მისი ჩამდენი პირი.

მტკიცებითი სამართლის მიზანია ჭეშმარიტების დადგენა. ე.ი. ფაქტებისა და გარემოებათა იმგვარად დადგენა, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი.

ჭეშმარიტება არის ცოდნის ან მოსაზრების სინამდვილესთან შესაბამისობის აბსოლუტური თანხვედრა. ჭეშმარიტება შემეცნების თეორიასთან არის გაიგივებული ხშირ შემთხვევაში და დიალექტიკის ნაწილადაც კი არის მიჩნეული, ჭეშმარიტება არ არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეშე. ობიექტური სინამდვილის საგნები თავისთავადნი არიან და არაფერი აქვთ საერთო ჭეშმარიტებასთან მანამდე, ვიდრე ადამიანი არ დაუკავშირდება მათ აღქმისა და წარმოსახვის ასახვის ფორმით, ცნებების დადგენის პროცესში. ჭეშმარიტება ცნობიერია იმდენად, რამდენადაც შემმეცნებელი სუბიექტია, იგი ასახვაა ადამიანის გონებაში, მაგრამ, როგორც დადგენილია, თვით ეს ასახვაა, სინამდვილის ადექვატური სურათი იგი სრულებითაც არ არის დამოკიდებული ადამიანის ნება სურვილზე მის სუბიექტურ ფაქტორებზე: ჭეშ-

მარიტება მუდამ შეპირობებულია ობიექტური სინამდვილით.

ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით, თითქოს ყოველთვის გაძნელებულია კონკრეტული დანაშაულისათვის დამახასიათებელი ნიშნების უტყუარად გამოვლინება. როდესაც ლაპარაკია ჭეშმარიტებაზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჭეშმარიტების განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმს ჭეშმარიტების ცვალებადობა წარმოადგენს, რომელიც ეფუძნება პრაქტიკისა და შემეცნების განვითარებითობას.

შემეცნებისა და მისი შედეგების დამაჯერებლობის ურთიერთთანაფარდობის განსაზღვრა ერთნაირად აუცილებელია ყველა სფეროში. სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში ჭეშმარიტების მტკიცების მიზანი საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიერ ისეთი დასკვნების მიღებაა, რომლებიც აბსოლუტურად შეესაბამებიან სინამდვილეს და რეალურად ასახავენ მომხდარ მოვლენებს. ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელია დანაშაულის ჩადენის არსებობის ფაქტისა და ამა თუ იმ პირის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის და მისი ბრალეულობის უტყუარობის დადგენა. ჭეშმარიტების მტკიცება მოწოდებულია გაარკვიოს ფაქტების, მოვლენების, გარემოებების რეალურად არსებობა და მათი სიყალბე, რომელთა ძირითადი მიზანია საგამოძიებო და სასამართლო შეცდომების თავიდან აცილება.

შესაძლებელია ჭეშმარიტება დავყოთ რამოდენიმე სახედ: 1. მიახლოებით ჭეშმარიტებად – რომელსაც პირობითი ხასიათი აქვს. 2.შეფარდებით ჭეშმარიტებად, რაც უფრო მეტი ინფორმაცია იქნება დაგროვილი ამა თუ იმ საგნის რაობის შესახებ, მით უფრო სრული იქნება ჩვენი წარმოდგენა სინამდვილეზე. 3.ობიექტურ ჭეშმარიტებად – რომელიც, როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, მიიღება შეფარდებით ჭეშმარიტებათა შეჯამებით და არის მტკიცებითი სამართლის ძირითადი მიზანი.

§2. მტკიცებულების ცნება სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად მტკიცებულებებია: კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან და წესით მიღებული ცნობები, რომელთა საფუძველზედაც მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ადგენენ, არსებობს თუ არა მოვლენა ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს.

მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებია: ა. ეჭვმიტანილის ჩვენება; ბ. ბრალდებულის ჩვენება; გ. განსასჯელის ჩვენება; დ. დაზარალებულის ჩვენება; ე. მოწმის ჩვენება; ვ. ექსპერტის დასკვნა; ზ. ნივთიერი მტკიცებულებები; თ. საგამოძიებო მოქმედების და სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები; ი. სხვა დოკუმენტები; კ. ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას. ამ შემთხვევაში ფარული გადაღების მწარმოებელი პირი დაკითხული უნდა იქნეს სასამართლოში მოწმის სახით ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით.

სსსკ 110-ე მუხლის თანახმად მოპოვებული და მხარის მიერ წარმოდგენილი ცნობები უნდა დაერთოს საქმეს. ისინი უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს მეორე მხარემ, აგრეთვე ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს. მხოლოდ დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოყენებული სასამართლო კამათსა და სასამართლო განაჩენში.

კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ოპერატიულ – სამძებრო

ღონისძიებით მიღებული მონაცემები შეიძლება გახდეს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობისა და ფაქტის (დოკუმენტის გარდა) შინაარსი და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიშვება, როგორც მტკიცებულება. კერძოდ: ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მიღებული მონაცემები ხშირად განაპირობებენ სისხლის სამართლის საქმეთა წარმატებით გადაწყვეტას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები წარმოადგენს წინაპირობას შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების სახის განსაზღვრისა და ჩატარებისათვის. გარკვეულ შემთხვევაში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ერწყმის საგამოძიებო მოქმედებებს და აისახება შესაბამის საპროცესო დოკუმენტში. კანონის თანახმად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგებს ანუ მონაცემებს, რომლებიც მიღებულია მათი ჩატარების შედეგად არ აქვთ მტკიცებულების ძალა, რადგან არ არსებობს მათი უტყუარობის გარანტია. ისინი უნდა შემოწმდეს და დამაგრდეს საპროცესო საშუალებებით და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

მტკიცებულებათა დასაშვებობა. საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილება, სასამართლოს გადაწყვეტილება, თანამდებობის პირის გადაწვეტილება და პროცესის განმავლობაში მხარეთა პოზიცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენილად მიჩნევის ან უარყოფისათვის უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებებს.

სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს მტკიცებულებათა დასაშვებობის პრეზუმფცია, ანუ მტკიცებულება დასაშვებია, თუ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, თანამდებობის პირს, იგი დაუშვებლად არ უცვნიათ.

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დაუშვებელი მტკიცებულება და მტკიცებულება, რომელიც დასაშვებია, მაგრამ შესაბამის დასაბუთებაზე მითითებით, პროცესის მწარმოებელი ორგანო, თანამდებობის პირი არ იზიარებენ, ხოლო მხარე შუამდ-

გომლობს რათა არ იქნეს გაზიარებული ამ მტკიცებულებით დადგენილი გარემოებები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია:

ა. იმ თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილი არ არის შეკრიბოს მტკიცებულებანი, ამ საქმეზე;

ბ.კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან;

გ. კანონით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდების გამოყენებით.

დ. პირისაგან, რომელმაც დაარღვია კანონი ან რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს, რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები;

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალმდებელს ეკისრება როგორც ბრალდების მტკიცებულებათა დასაშვებობის მტკიცების ტვირთი, ისე დაცვის მტკიცებულებათა დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი.

მხარეები ვალდებულნი არიან სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ.

მტკიცებულების დაუშვებლად მიჩნევის საკითხს წყვეტს პროცესის მწარმოებელი ორგანო დადგენილებით.

დაუშვებლად მიჩნეული მტკიცებულება ამოიღება სისხლის სამართლის საქმიდან და სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადის განმავლობაში ინახება სასამართლოს კანცელარიაში.

დაუშვებლად მიჩნეული ბრალდების მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის შუამდგომლობით.

მტკიცებულებათა შესახებობა. მტკიცებულებათა შესახებობა ნიშნავს მისი შინაარსის კავშირს იმ გარემოებებთან, რომლებიც ექვემდებარებიან მტკიცებას სისხლის სამართლის საქმეზე.

შეუძლებელია იმ გარემოებების წრის წინასწარ განსაზღვრა (დადგენა), რომელიც შედის მტკიცების საგანში და გააჩნია მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმისათვის. მტკიცებულებათა შესახებობის საკითხი წყდება პროცესის მწარმოებელი პირის მიერ, კერძოდ ფაქტის შესახებ ვერსიის შემუშავებისა და შემოწმების შედეგად, აგრეთვე მხარეთა და სხვა პირთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა მიღებისას.

შედარებით მარტივია განვსაზღვროთ მტკიცებულებათა შესახებობის საკითხი, როდესაც იგი მიმართულია იურიდიული ფაქტების მტკიცებაზე ან უარყოფაზე, რომელიც პირდაპირ არის გათვალისწინებული ნორმის ჰიპოტეზით და შეძლებისდაგვარად ზუსტად არის ორიენტირებული დროსა და სივრცეში. ამ ამოცანის გადაწყვეტა რთულია – ირიბი მტკიცებულების გამოყენებისას ვინაიდან ყოველთვის არ არის ნათელი, არის თუ არა დაკავშირებული დასადგენი ფაქტები მთავარ გარემოებებთან. წარმოიშობა პირობითი შესახებობა, რომელიც საქმის მოძრაობიდან გამომდინარე ხდება უპირობო ან ხდება მისი უარყოფა. კერძოდ, თუ პროცესის მწარმოებელი პირი მივა დასკვნამდე, რომ დადგენილი, მოპოვებული ან მიღებული ცნობა და ფაქტი კავშირში არ არის საქმესთან და არ ეხება მოცემულ საქმეს გამოიტანს დასაბუთებულ დადგენილებას. რომლის საფუძველზეც არსებითად გადაწყვეტს საკითხს მტკიცებულებათა შესახებობის შესახებ.

თუ მტკიცებულება არ ეხება მოცემულ საქმეს, იგი არ დაიშვება სისხლის სამართლის პროცესში.

§3. მტკიცების საგანი და მტკიცების ფარგლები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს გარემოებათა მინიმუმს, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას სისხლის სამართლის საქმეზე. თუ ეს მოთხოვნა არ იქნება დაცული, ასეთ შემთხვევაში საქმეზე გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა ჩაითვლება არასრულყოფილად და ცალმხრივად. გარემოებათა ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას ეწოდება მტკიცების საგანი.

მტკიცების საგანს გააჩნია როგორც სისხლის სამართლებრივი ისე სისხლის სამართლის საპროცესო (პროცესუალური) მხარე. კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი აყალიბებს იმ გარემოებებს, რომელიც უნდა დამტკიცდეს ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ბრალდებულის ან სხვა პირის მოქმედება (უმოქმედობა). მოქმედების (უმოქმედობის) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ბრალი. გარემოებები,რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე. ახასიათებს მის პიროვნებას. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი და ოდენობა.

დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, საშუალება და სხვა გარემოებები შეიძლება იყოს როგორც მაკვალიფიცირებელი (შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები), ასევე იურიდიულად ნეიტრალური გარემოებებიც. უკანასკნელ შემთხვევაში მათი დადგენა აუცილებელია ბრალდების კონკრეტიზაციისათვის, რაც ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ბრალდების ფუნქციის რეალიზაციისათვის.

დანაშაულის ჩადენის დროის, ადგილისა და საშუალების კონკრეტიზაციის ხარისხი დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის თავისებურებაზე და განისაზღვრება კონკრეტული პირის

მიერ დანაშაულებრივი ფაქტის დადგენის აუცილებლობით. დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის ცნება მოიცავს მოთხოვნას დადგენილ იქნეს არა მხოლოდ კონკრეტული პირი, არამედ იმ მოქმედების ან უმოქმედობის ხასიათი, რომელმაც განაპირობა მისი ქცევა (საქმე ეხება დანაშაულის სუბიექტსა და სუბიექტურ მხარეს).

მოტივის დადგენის აუცილებლობა იმ შემთხვევაშიც კი როდესაც მას მნიშვნელობა არ გააჩნია დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, განისაზღვრება პირველ რიგში იმით, რომ იგი ხელს უწყობს როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის ადეკვატურ შეფასებას ისე ჩადენილი ქმედების სიმძიმის გამოვლენას.

დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენა არ გამორიცხავს იმ მონაცემთა წრეს, რომელიც ეხმარება ბრალდებული პიროვნების შეფასებას და გამოყოფილია მტკიცების საგნის დამოუკიდებელ ელემენტად. აღნიშნული გარემოებების დადგენა აუცილებელია პირველ რიგში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისათვის. აღნიშნული ჯგუფი გარემოებებისა მოიცავს თავის თავში ბრალდებულის ფიზიკური (ჯანმრთელობის მდგომარეობა),ან ფსიქიკური (ფსიქიკური მდგომარეობა, ალკოჰოლისადმი ან ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულება) მდგომარეობის დადგენასაც.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათსა და ოდენობას უნდა აღინიშნოს, რომ იგი შეიძლება იყოს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, გარკვეულ შემთხვევაში კი შეიძლება გასცდეს მტკიცების საგნის ფარგლებსაც.

ყველა ეს გარემოება, ორგანულად განსაზღვრავს ქმედების ფაქტიურ სურათს, გააჩნია გადამწყვეტი სამართლებრივი მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც იგი იძლევა უარყოფით პასუხს ბრალდებული პირის ბრალეულობის შესახებ.

და ბოლოს, მტკიცების საგანში შედის ყველა ის გარემოება,

რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება.

ყოველი გარემოება, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას, არის არსებითი სისხლის სამართლის საქმისათვის და უნდა იყოს გამოკვლეული გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მიერ. სასამართლოს განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომელიც იყო გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე. მრავალმა გარემოებამ, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას უნდა განსაზღვროს საბრალდებო დასკვნის შინაარსი და განაჩენი, რომელსაც ადგენს წინასწარი გამოძიების ორგანო და სასამართლო.

ჩამოთვლილი გარემოებანი ეხება ყველა სისხლის სამართლის საქმეს, მაგრამ, ამავე დროს, საპროცესო კანონი ჩამოთვლის მტკიცების საგნის თავისებურებას, რაც დამახასიათებელია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისა და ფსიქიკურად დაავადებული პირის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის.

ს.ს.ს.კ 641–ე მუხლი ადგენს იმ გარემოებას, რომლებიც დამატებით დასადგენია არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, კერძოდ:არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს უნდა დადგინდეს:

ა. არასრულწლოვანის ასაკი(დაბადების რიცხვი, თვე, წელი);
ბ. არასრულწლოვანის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები ოჯახსა და სკოლაში;
გ. სრულწლოვან წამქეზებელთა არსებობა;
დ. არასრულწლოვანის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონე;
ე. არასრულწლოვანის პიროვნების ხასიათის თავისებურებები, მოთხოვნილებები და ინტერესები.

იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

661-ე მუხლის შესაბამისად, დამატებით უნდა დამტკიცდეს:

პირის ფსიქიკური ავადმყოფობა, რომელიც წარმოიშვა დანაშაულის ჩადენის შემდეგ და გამორიცხავს სასჯელის გამოყენებას.

შეურაცხის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით უნდა დამტკიცდეს: ა. შეურაცხი პირის დამახასიათებელი გარემოებები; ბ. ქმედების ჩადენის მომენტში პიროვნების ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა, ფსიქიკის დროებითი მოშლა, ჭკუასუსტობა ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობა, რის გამოც მას არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი ქმედებისათვის და განეგო იგი; გ. ამ პირის ფსიქიკური მდგომარეობა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. დ. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებული პირის საქმეზე, ასევე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი შეურაცხის საქმეზე უნდა დადგინდეს, შეიძლება თუ არა მათი შემდგომი ქცევა საშიში იყოს თავად მათთვის და გარშემო მყოფთათვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომლებიც დგინდება მტკიცებულებათა წარდგენის გარეშე და პრეიუდიციებს.

ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას, არ შედის მტკიცების საგანში, თუმცა მისი დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლში მითითებულია 2 სახის, 2კატეგორიის ფაქტი, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებას. კერძოდ: 1.სასამართლოს მიერ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და 2.პრეიუდიციული (წინასწარ გადაწყვეტილი, წინასწარ დადგენილი ფაქტები, ე.ი. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დადგენილი) ფაქტები.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, ის, რომლის არსებობის შესახებ იცის ადამიანთა ფართო წრემ, მათ შორის, საქმის განმხილველმა მოსამართლემაც, რის გამოც ასეთი ფაქტი აღარ საჭიროებს მტკიცებას. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგ: მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია ფაქტები (ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა, ფაქტი), მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი შეიძლება იყოს სხვა გარემოებებიც, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს რატომ მიიჩნია ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ ფაქტი საყოველთაოდაა ცნობილი ეს არ შეიძლება იყოს განპირობებული მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრით, რომლისთვისაც ცნობილია ეს ფაქტი და დამოკიდებულია იმ დროზე, რაც გავიდა მას შემდეგ, რაც ეს მოვლენა მოხდა.

იმ შემთხვევაში, როდესაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი ცნობილია არა მთელი მსოფლიოსათვის, ან მთელი ქვეყნისათვის, ლოკალური ხასიათისაა და შემოფარგლულია განსაზღვრული ადგილით. არ იქნებოდა სწორი მხარეთაგან მოგვეთხოვა ასეთი ფაქტების დასადასტურებლად მტკიცებულებათა სავალდებულოდ წარდგენა იმ მოტივით (საფუძვლით), რომ ლოკალური მნიშვნელობის ფაქტები საკმაოდ ცნობილია სწორედ მოცემულ ადგილას და სასამართლოს უფლება აქვს აღიაროს ასეთი მნიშვნელობის ფაქტები საყოველთაოდ ცნობილად, რის გამოც მათ მტკიცება არ სჭირდებათ და უნდა მიუთითოს ამის შესახებ გადაწყვეტილებაში.

თუმცა, საყოველთაოდ ცნობილად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული კონკრეტული ადამიანის პირადი თვისებები, ხასიათი, ვინაიდან ეს არის სუბიექტური მოსაზრება და არა ფაქტი.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები მტკიცებას არ საჭიროებს ანუ მხარეები არ არიან ვალდებული წარმოადგინონ მტკიცებ-

ულებები,ამ ფაქტების ნამდვილობა ნათელია და მტკიცება ზედმეტია.

მტკიცებულებათა შეგროვებას (მტკიცებას) არ საჭიროებენ და შესაბამისად მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლების მეორე საფუძველია ფაქტის პრეიუდიციულობა. პრეიუდიციულია (ლათ. სიტყვაა praejudicio – ნიშნავს „წინასწარ გადაწყვეტას“, „წინასწარ დადგენას“) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი. ფაქტები პრეიუდიციულ მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ და ამ მნიშვნელობას ინარჩუნებენ მანამდე, სანამ სასამართლოს აქტები არ გაუქმდება კანონით დადგენილი წესით.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ყველა ფაქტს აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა და არც ერთი ეს ფაქტი აღარ უნდა დამტკიცდეს ხელახლა სხვა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს თუმცა იმისათვის რომ სასამართლოს ჰქონდეს პრეიუდიციული ფაქტების მტკიცების მოვალეობისაგან მხარის გათავისუფლების კანონიერი საფუძველი,მან უნდა გამოითხოვოს და საქმეში უნდა ჰქონდეს შესაბამისი გადაწყვეტილების ან განაჩენის ასლი.

პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტები არ საჭიროებენ მტკიცებას, იმიტომ, რომ ისინი უკვე დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განაჩენით და,შესაბამისად აღარ არსებობს არავითარი აუცილებლობა მათ ხელახლა დასადგენად,ე.ი. არ შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს (საეჭვო გახდეს) ეს ფაქტები.

სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობა განისაზღვრება მისი სუბიექტური ფარგლებით.კერძოდ, პრეიუდიციულობის თვისება აქვთ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულ მატერიალურ სამართლებრივ ფაქტებს,თუ,ამასთან, ყველა დაინტერესებული პირი, რომელთ-

აც გადაწყვეტილება ეხება, ჩაბმული იყო პროცესში.

თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს გარკვეულ გამონაკლისს. კერძოდ: პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი შეიძლება უარყოს მხარემ, სასამართლოს განაჩენმა, სხვა შემაჯამებელმა გადაწყვეტილებამ ან დადგენილებამ, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებსა და მოსამართლეთა შინაგან რწმენას.

აღნიშნულ შემთხვევაში გამომძიებელსა და პროკურორს უფლება აქვთ უარყონ პრეიუდიცია და საქმე გადასცენ სასამართლოს თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე. სასამართლოს, რომელიც შინაგანი რწმენით შეაფასებს მტკიცებულებებს, უფლება აქვს გამოიტანოს განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება პრეიუდიციის მიუხედავად. ასეთი განაჩენი ან გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლისთანავე იგზავნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც გამოითხოვს იმ საქმეს, რომლის პრეიუდიციული მნიშვნელობაც უარყოფილია, და იმ მტკიცებულების შეფასების შემდეგ, რომელიც საფუძვლად უდევს ურთიერთსაწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებს, აუქმებს ან ცვლის ერთ მათგანს და ძალაში ტოვებს მეორეს.

პრეიუდიციებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული პრეზუმფციები. პრეზუმფცია სამართალში მოიცავს საკითხების საკმაოდ დიდ წრეს,რომელიც ეხება როგორც სამართლის ზოგად თეორიას, ისე სამართლებრივი მეცნიერებების სხვა სფეროებს.

პრეზუმფციის ქვეშ, როგორც წესი, მოიაზრება საერთო წესი, რომელიც ასახავს მყარ არაერთჯერად კავშირს ფაქტებს, მოვლენებსა და გარემოებებს შორის.

პრეზუმფციები მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარია, მათგან ნაწილი განმტკიცებულია კანონით (ლეგალური პრეზუმფციები). იმ პრეზუმფციებს, რომლებიც არ შედის ნორმატიულ

აქტებში (ფაქტიური პრეზუმფციები) აგრეთვე შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობა სისხლის სამართლებრივი იურისდიქციისათვის. ვინაიდან ამგვარი პრეზუმფციები მოსამართლეთა მართლშეგნების ელემენტებია.,

სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელია ე.წ. მტკიცებულებითი პრეზუმფციები.

პრეზუმფციებს გააჩნიათ სტატისტიკური ბუნება. აღნიშნულიდან გამომდინარე ეს არის ვარაუდი რომ როგორც წესი კავშირი ფაქტებს შორის, არსებობს ასევე მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც.

სამართლებრივი პრეზუმფცია ეს არის კანონით დადგენილი წესი,რომელიც ადასტურებს ან უარყოფს ფაქტებს საპირისპირო მტკიცებულებათა წარმოდგენამდე. იგი გამოიყენება მხოლოდ ფაქტის უტყუარობის დასადგენად, რომელთანაც კანონი აკავშირებს პრეზუმფციებს.

სამართლებრივი პრეზუმფციების გაქარწყლება არ უნდა გავიგოთ როგორც გაქარწყლება ჭეშმარიტი განსჯისა, პრეზუმფციების გათვალისწინებით. ეს განსჯა აძლევს ობიექტურ შეფასებას განსაზღვრულ სოციალურ მოვლენას.

პრეზუმფციები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მტკიცებულებათა დასაშვებობასთან უნდა იყვნენ გადმოცემული ნეგატიური ფორმით. მათ საფუძვლად უდევთ შემდეგი მოსაზრება: თუ დარღვეულია საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედებათა პროცესუალური წესი ან იგი განახორციელა არაუფლებამოსილმა სუბიექტმა, მაშინ ამ გზით გამოვლენილი ფაქტები არ შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად.

პროცესუალური პრეზუმფციები, რომლებიც განსაზღვრავენ დაუშვებელ მტკიცებულებებს, შეიძლება მივაკუთვნოთ: ა. ცალკეულ მტკიცებულებებს ან მტკიცებულებათა ჯგუფს; ბ. პროცესის ცალკეულ სტადიებს.

პროცესუალური დარღვევები, რომელიც ეხება მთლიანად

მტკიცების პროცესს სისხლის სამართალწარმოების ამათუიმ სტადიაზე (მაგ: სასამართლოს უკანონო შემადგენლობა, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელისათვის უფლება–ჰყავდეს დამცველი და ა.შ.) იწვევს საერთო (ზოგადი) პრეზუმფციის გამოყენებას, რომლის შესაბამისადაც მტკიცების შედეგები პროცესის მოცემულ სტადიაზე კარგავს თავის მნიშვნელობას.

მთელი რიგი კერძო და ზოგადი პროცესუალური პრინციპების სინთეზს წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფცია და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ჭეშმარიტების პრეზუმფცია.

უდანაშაულობის პრეზუმფცია როგორც სამართლებრივი პრინციპი ჩამოყალიბდა საფრანგეთში. მან თავისი ასახვა ჰპოვა 1789 წლის დეკლარაციის მე-9 მუხლში. უდანაშაულობის პრეზუმფციამ შემდგომ ასახვა ჰპოვა 1948 წლის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციაშიც. უდანაშაულობის პრეზუმფცია არის პროგრესული სამართლებრივი პრინციპი, რომელიც გამოიყენება პოლიციური ძალაუფლების შესაზღუდად. რათა მოხდეს პიროვნების დაცვა დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან.

უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით უდანაშაულობის პრეზუმფცია კარგავს თავის მნიშვნელობას – ვინაიდან იგი გამოხატავს სახელმწიფოს შეხედულებას პიროვნების ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. რის შემდეგაც იგი წყვეტს თავის მოქმედებას.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს მთელი რიგი დასკვნებისა: ა.დაუმტკიცებელი ბრალეულობა იურიდიულ ურთიერთობაში უტოლდება უდანაშაულობის დამტკიცებას; ბ. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობს წესის განმარტება ეჭვის სასარგებლოდ. ბრალდებულის სასარგებლოდ, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების მისაღწევად. გ. უდანაშაულობის პრეზუმფცია არის

მოქალაქის სრული რეაბილიტაციის საფუძველი, რომელთა ბრალიც არ არის დამტკიცებული. დ.განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე პირს არ შეიძლება ჩამოერთვას საარჩევნო შრომითი და სხვა მთელი რიგი უფლებები. ე. უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაბამისად ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

ზოგიერთი პროცესუალური პრეზუმფციები მოქმედებენ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

ჭეშმარიტების პრეზუმფცია კანონიერ ძალაში შესული განაჩენისაგან მოითხოვს აღიარებული იქნეს ჭეშმარიტებად და სავალდებულოდ შესასრულებლად ყველაფერს, რაც გადმოცემულია კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ჭეშმარიტების პრეზუმფცია ემყარება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც პროცესის სტადიის პროცესუალური გარანტია საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამიტომ სასამართლოს განაჩენი – პრეზუმფცირებულია ჭეშმარიტებად.

არსებობს ზოგიერთი კერძო სისხლის საპროცესო სამართლებრივი პრეზუმფციები:

1. მტკიცებულებითი პრეზუმფცია გამყარებულია საპროცესო კანონმდებლობით, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ბრალის აღიარება არ არის საკმარისი განაჩენის გამოსატანად.
2. პრეზუმფციულად თავისი ბუნებით აღიარებულია ექსპერტიზის სავალდებულოდ ჩატარების წესი, რომლის საფუძველი მოცემულია კანონში. თუ ექსპერტიზა არ ჩატარებულა, შესაბამისი გარემოება ითვლება დაუდგენლად.
3. საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა სამართალსუბიექტობის პრეზუმფცია გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ არ არის წარმოდგენილი საპირისპირო მტკიცებულებები.

მტკიცების პროცესში სისხლის სამართლის საქმეებზე მთა-

ვარ როლს თამაშობენ ფაქტიური პრეზუმფციები. ფაქტიური პრეზუმფციები საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა მოსაძებნ ფაქტზე გარკვეული ნიშნების არსებობისას.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოიყენება ბევრი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული პრეზუმფციები.

ცხოვრებისეული პრაქტიკული საქმიანობა ადამიანის, მათ შორის სამართალწარმოების სფეროში, შეუძლებელია ფაქტიური პრეზუმფციების გამოყენების გარეშე.

ფაქტიური პრეზუმფციები თავის გამოყენებას პოულობენ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების გამოყენებისას, რომლებიც არ ექვემდებარებიან მტკიცებას.

მტკიცების საგანთან მჭიდრო კავშირშია მტკიცების ფარგლები.

მტკიცების ფარგლები არის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია იმ ფაქტებისა და გარემოებების დასადგენად, რაც უშუალო კავშირშია სისხლის სამართლის საქმესთან და მნიშვნელობა გააჩნია საქმისათვის. მტკიცების ფარგლები შეიძლება შეიცვალოს საქმის გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს საქმის გარემოებათა შეცვლასთან დაკავშირებით. მტკიცების ფარგლებს განსაზღვრავს გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო.

გამოძიების ეტაპზე მტკიცების ფარგლები განისაზღვრება საბრალდებო დასკვნაში. სასამართლო საქმეს იხილავს მხოლოდ საბრალდებო დასკვნის ფარგლებში, თუმცა აღნიშნული ფარგლები შეიძლება შეიცვალოს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზეც იმ შემთხვევაში თუ განსასჯელმა ჩაიდინა სხვა დანაშაულიც, რომლის გამოც მას ბრალდება არ ჰქონდა წაყენებული ან დანაშაული ჩაიდინა სხვა პირებთან ერთად, რაც არ იყო დადგენილი გამოძიების ეტაპზე. ამ შემთხვევაში სასამართლო (მოსამართლე) უბრუნებს საქმეს პროკურორს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს მტ-

კიცების ფარგლები და ბრალდებულს წაეყენოს ახალი ბრალდება. სასამართლოში მტკიცების ფარგლები თავის საბოლოო გამოხატულებას პოულობს სასამართლოს განაჩენში.

§4. მტკიცებულებათა ცალკეული სახეები

მტკიცებულებათა ცნება როგორც ფაქტიური მონაცემებისა და პროცესუალური წყაროების ერთიანობა იძლევა საშუალებას მოვახდინოთ მტკიცებულებათა დაყოფა ცალკეულ სახეებად. მტკიცებულებათა სახეები (წყაროები) და მათი არსი ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI თავში. მტკიცებულებათა სახეებს მიეკუთვნება: 1.ეჭვმიტანილის ჩვენება; 2.ბრალდებულის ჩვენება; 3.განსასჯელის ჩვენება; 4.დაზარალებულის ჩვენება; 5.მოწმის ჩვენება; 6.ექსპერტის დასკვნა; 7.ნივთიერი მტკიცებულებები; 8.საგამოძიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები; 9.სხვა დოკუმენტები; 10.ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი.

1. ეჭვმიტანილის ჩვენება. სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილად ითვლება პირი, რომლის შესახებაც არსებობს საფუძველი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ არ არის საკმარისი მტკიცებულება მისთვის ბრალდების წასაყენებლად. რის შესახებაც გამომძიებელს პროკურორის თანხმობით, პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ.

ეჭვმიტანილის მიმართ დაკავება, როგორც თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა გამოიყენება მაშინ როდესაც ჩადენილია ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც პირს სასჯელის სახით შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოცემულმა პირმა ჩაიდინა

ასეთი დანაშაული და მოსალოდნელია მისი გაქცევა, ან მისი თავისუფლებაში ყოფნა ხელს შეუშლის წინასწარ გამოძიებას, ან გაანადგურებს მტკიცებულებას. ამასთან კანონით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს ცნობილი და დაკავებული პირი ეჭვმიტანილად. კერძოდ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის თანახმად, პირი ეჭვმიტანილის სახით შეიძლება დაკავებული იქნეს იმ შემთხვევაში თუ : ა. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; ბ. თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; გ. პირზე, მასთან ან მის ტანისამოსზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; დ. პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო დაზარალებულმა; ე. პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძებნის წარმოების შესახებ; ვ. პირი შესაძლოა მიიმალოს;

ეჭვმიტანილის დაკავების საერთო ვადა განისაზღვრება 48 საათით. კერძოდ 48 საათის ამოწურვამდე უნდა წარედგინოს პირს ბრალდება წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ დაკავებისა და ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ გამოტანილი დადგენილება უნდა გაუქმდეს და იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. აღნიშნული გარემოებების გარდა საპროცესო კანონმდებლობით მკაფიოდაა განსაზღვრული მისი უფლება-მოვალეობები. ამ უფლებების დარღვევით დასაკითხი პირისაგან მიღებული ჩვენება, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი გამოძიებისათვის დაკარგავს მტკიცებულებით მნიშვნელობას.

ეჭვმიტანილის ჩვენება არის დაკითხვის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მის მიერ მიცემული ინფორმაცია, რომელიც უარყოფს ან ადასტურებს მის მიმართ არსებულ ეჭვს, აგრეთვე ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მისთვის ცნობილი სხვა გარემოებების შესახებ, ანუ იმ გარემოებების შესახებ, რომელიც ფაქტიურად გახდა

საფუძველი მისი ეჭვმიტანილი სახით ცნობისა, დაკავების ან მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების შერჩევისა, მისთვის ბრალდების წარდგენამდე.

ეჭვმიტანილის ჩვენებას გააჩნია ბევრი საერთო ბრალდებულის ჩვენებასთან. ეს ვლინდება შემდეგში: ა. ორივე მათგანი პიროვნული ხასიათის მტკიცებულებებია; ბ. ისინი ზეპირი ხასიათის ჩვენებებია; გ. ეჭვმიტანილის ჩვენების უტყუარობის პროცესუალური გარანტიები იგივეა რაც ბრალდებულის ჩვენების შემთხვევაში; დ. ეჭვმიტანილის ჩვენება არის არა მხოლოდ მტკიცებულებათა წყარო, არამედ საშუალებაც მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად. თუმცა ამავე დროს ეჭვმიტანილის ჩვენება განსხვავდება ბრალდებულის ჩვენებისაგან სუბიექტით, საგნითა და ჩვენების პროცესუალური მნიშვნელობით.

ეჭვმიტანილის ჩვენების შეფასება უნდა მოხდეს ისევე როგორც ყველა სხვა მტკიცებულებების. გასათვალისწინებულია ეჭვმიტანილის ჩვენების ფსიქოლოგია: ჩვენების მოტივები, მიზნები და სხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები[1].

2. ბრალდებულის ჩვენება. ბრალდებულის ჩვენება არის დაკითხვის ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მის მიერ მიცემული ინფორმაცია.

ბრალდებულის ჩვენების თავისებურება იმაში მდგომარეობს,

---

1 ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ინსტიტუტი ფაქტიურად ორი იდენტური ინსტიტუტია. ვინაიდან ეჭვმიტანილად ცნობისათვის გარკვეული ეჭვი უნდა არსებობდეს, ხოლო ბრალის წასაყენებლად კი დასაბუთებული ვარაუდი – მტკიცებულებათა ერთობლიობით ანუ ის მტკიცებულებები, რომელიც შესაძლებლობას იძლევიან ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. ანუ ამ შემთხვევაშიც არსებობს ალბათობის ანუ ეჭვის მაღალი ხარისხი და რატომ არ შეიძლება აღნიშნულიდან გამომდინარე პირი პირდაპირ იქნეს დაკითხული ბრალდებულის სახით? აღნიშნული მოსაზრება არსებობდა ქართულ პროცესუალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებშიც (იხ.ბ.ხარაზიშვილი „მტკიცებითი სამართალი“ თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1982წ. გვ.251.)რომელმაც თავისი ასახვა მხოლოდ ამჟამად ჰპოვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტში.

რომ სუბიექტის სახით გამოდის თვით ბრალდებული პირი,რომელთან დაკავშირებითაც არის გამოტანილი დადგენილება პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ.

ბრალდებულის ჩვენება ემსახურება დანაშულის გარემოებების დადგენას და ამავე დროს წარმოადგენს ბრალდებულის თავდაცვის საშუალებას წაყენებული ბრალდებისაგან.

ბრალდებულის ჩვენების საგანი განისაზღვრება როგორც წესი მის მიმართ წაყენებული ბრალდებით.

ბრალდებულმა შეიძლება თავი ცნოს დამნაშავედ, ან უარყოს ბრალი, მიუთითოს სხვა პირთა ბრალეულობაზე, ან ისარგებლოს დუმილის უფლებით, არ უპასუხოს დასმულ შეკითხვებს. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ბრალდებულის ჩვენების მიღება შესაძლებელია დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ ხდება ბრალდებულად ცნობისთანავე დაუყოვნებლივ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის ნებისმიერი დაკითხვის წინ, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს ბრალდების არსი; ბრალდებული არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება; ბრალდებულის დაკითხვის წესი მათ შორის არასრულწლოვანის დაკითხვის წესი და მისი ჩვენების ფიქსაციის წესი წარმოადგენს არსებით გარანტიას ბრალდებულისაგან სწორი ჩვენების მისაღებად.

ბრალდებულს, ისევე როგორც მოწმეს ან დაზარალებულს უფლება აქვს მისცეს ჩვენება ყოველგვარი იძულების გარეშე. აკრძალულია ბრალდებულის ჩვენების მიღება ძალადობის, მუქარის ან სხვა უკანონო მეთოდების გამოყენებით.

ტერმინი „ჩვენება“ გულისხმობს ბრალდებულის მიერ არა მხოლოდ ფაქტობრივი მონაცემების გადმოცემას, არამედ მის მიერ ბრალდების გამო გაკეთებულ განმარტებებს და ინფორმაციას, რასაც მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის.

შინაარსის მიხედვით ბრალდებულის ჩვენება წარმოადგენს დაკითხვაზე საქმესთან დაკავშირებულ არსებითი მნიშვნელობის მქონე განცხადებას. ე.ი. მის მიერ ცნობილი ფაქტების გადმოცემას.

ბრალდებულის ჩვენება სისხლის სამართლის პროცესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის იმყოფებოდა ყურადღების ცენტრში. ხშირად ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება ფორმალურად იყო აღიარებული „საუკეთესო მტკიცებულებად", „მტკიცებულებათა დედოფლად". მას განსაკუთრებული მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით პრაქტიკა ორიენტირებული იყო ამ სახის მტკიცებულებაზე როგორც წამების ასევე ცივილიზებულ საზოგადოებაში დაგმობილი სხვა მეთოდების საშუალებით. ასეთი მიდგომა იყო გაბატონებული სისხლის სამართლის პროცესის აღზევების პერიოდში, რომელიც ემყარებოდა მტკიცებულებათა მაქსიმალურ ფორმალიზაციას.

ამჟამად გავრცელებული მოსაზრებების თანახმად ბრალდებულის ჩვენებას არ უნდა მიენიჭოს უპირატესი მნიშვნელობა. იგი უნდა შეფასდეს როგორც სხვა სახის მტკიცებულებები, თავისუფლად მხოლოდ შინაგანი რწმენით[1]. ვინაიდან აღნიშნული ასევე ნეგატიურად მოქმედებს ადამიანის (პიროვნების) უფლებების დაცვაზე, იგი ფაქტიურად განაპირობებს განაჩენის გამოტანას იმ საკითხის გადაწყვეტის გარეშე რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულებრივ ფაქტს და დამნაშავეა თუ არა მის ჩადენაში განსასჯელი.

---

1 მაგრამ არსებობს სხვა სახის მიდგომაც. მაგ:ანგლოსაქსურ სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდებულის მიერ ბრ ა ლის აღიარება სასამართლოში იმის საფუძველია, რომ ნაფიცი მსაჯულები არ დაკომპლექტდეს და მტკიცებ უ ლ ებ ათ ა სასამართლო შემოწმება არ განხორციელდეს. სასამართლო ახორციელებს სასჯელის დანიშვნას, აღნიშნული მი დ გომა კი ნეგატიურად მოქმედებს პიროვნების უფლებებზე, ვინაიდან შესაძლებელი ხდება განაჩენის განაჩენის გამოტანა ს აკ ითხის გამოკვლევის გარეშე და ხდება პირის თავისუფლების აღკვეთის საფუძველი.

ბრალის აღიარება შეიძლება დავყოთ 2 ნაწილად: სრულ და ნაწილობრივ აღიარებად.

სრულია ბრალდებულის ისეთი აღიარება, როდესაც ბრალდებული ბრალდების ცალკეულ ეპიზოდებს არ ეთანხმება და სადავოდ ხდის. აღნიშნულიდან გამომდინარე აღიარებად ჩაითვლება და პირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობა მიენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავს არა მარტო დადებით პასუხს წარდგენილ ბრალდებაზე, არამედ ისეთ ცნობებზე მიუთითებს, რომელიც ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტს ადასტურებენ.

პრაქტიკაში ხშირია ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების აღიარების შემთხვევები.

ცრუ აღიარება ეწოდება ბრალდებულის ისეთ ცრუ ჩვენებას, რომელშიც იგი მიუთითებს ვითომდა მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტს, თუმცა გათვითცნობიერებული აქვს, რომ ეს ქმედება მას არ ჩაუდენია.

ბრალდებულის ცრუ აღიარებისაგან შეიძლება განვასხვავოთ ბრალდებულის შეცდომით აღიარება, როდესაც ბრალდებულს შეცდომით ჰგონია, რომ დანაშაულებრივი ქმედება მან ჩაიდინა და ამიტომაც თავს დამნაშავედ ცნობს და მიუთითებს ვითომდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებზე, განსხვავება ბრალდებულის ცრუ და შეცდომით აღიარებას შორის გამოიხატება განზრახვაში, პირის სუბიექტურ დამოკიდებულებაში მისი ნათქვამის მიმართ.

ცრუ აღიარების დროს ბრალდებულს გათვითცნობიერებული აქვს, რომ ინკრიმინირებული ქმედება მას არ ჩაუდენია, მაგრამ გარკვეული მოტივის გამო იგი განზრახ იბრალებს დანაშაულს.

ყურადღებას იპყრობს ბრალდებულის მიერ დანაშაულის გულახდილი მონანიება, რომელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ბრალის აღიარებით გამოცხადებასთან ერთად, კანონმდებელი შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდებულის ჩვენება უნდა შეფასდეს ობიექტურად ყველა იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებით რაც აუცილებელია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

3. განსასჯელის ჩვენება. განსასჯელის ჩვენება მტკიცებულებათა დამოუკიდებელია სახეა. განსასჯელის ჩვენება ხასიათდება იმავე კრიტერიუმით, როგორც ბრალდებულის ჩვენება, მაგრამ იგი დამახასიათებელია არა გამოძიებისათვის, არამედ სასამართლოში საქმის განხილვისათვის.კერძოდ: განსასჯელის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება, რომელიც უარყოფს ან ადასტურებს წაყენებულ ბრალდებას, აგრეთვე ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მისთვის ცნობილ სხვა გარემოებათა შესახებ. განსასჯელისათვის ჩვენების მიცემა არის უფლება და არა ვალდებულება. განსასჯელის მიერ უარის თქმა ჩვენების მიცემაზე ან ცრუ ჩვენების მიცემა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

განსასჯელის მიერ ბრალის აღიარება სასამართლოში არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებასა და გამამტყუნებელ სასამართლო განაჩენს, თუ ბრალის აღიარება სასამართლოში დამტკიცებული არ არის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლობით.

4. დაზარალებულის ჩვენება. დაზარალებულის ჩვენება, ისევე, როგორც მოწმის ჩვენება ს.ს.ს.კ.116-ე მუხლის შესაბამისად არის შეტყობინება ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, რომელიც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეზე აგრეთვე შეტყობინება ეჭვმიტანილთან (ბრალდებულთან) ურთიერთობის შესახებ. დაზარალებული ისევე როგორც მოწმე ვალდებულია მისცეს სწორი ჩვენება და მიუთითოს ინფორმაციის წყაროზე.

იმ შემთხვევაში თუ მას არ შეუძლია ინფორმაციის წყაროს მითითება, ჩვენება კარგავს მტკიცებულებით მნიშვნელობას. მათ

ასევე ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ანუ დაზარალებულის ჩვენებას მჭიდრო კავშირი აქვს მოწმის ჩვენებასთან. მაგრამ მას მიუხედავად ასეთი მსგავსებისა ასევე ახასიათებს მთელი რიგი თავისებურება,რომელიც განპირობებულია თვით სუბიექტის პროცესუალური მდგომარეობით. კერძოდ: დაზარალებული, როგორც წესი არის საქმის შედეგით დაინტერესებული პირი, მას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დასრულებისას და დაესწროს საქმის განხილვას სასამართლოში საქმის მთელი განხილვის პროცესში.

დაზარალებულის შეტყობინება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწოდებული ფაქტის წყაროს ვერ მიუთითებს, ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის, ჭკუასუსტობის ან მცირეწლოვანების გამო შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

სსსკ. შესაბამისად დაზარალებული შეიძლება იყოს არა მხოლოდ ფიზიკური პირი, ასევე იურიდიული პირი და სახელმწიფო, ვინაიდან ისევე როგორც ფიზიკურ პირს ასევე იურიდიულ პირსაც და სახელმწიფოს შეიძლება მიადგეს მორალური და მატერიალური ზიანი (ტერმინი „დაზარალებული“ სიტყვა „ზარალს“ უკავშირდება,ზარალი კი სიტყვა „დაზრობისაგან“უნდა იყოს ნაწარმოები[1]).

დაზარალებულის განმარტებას არ გააჩნია წმინდა პროცესუალური დატვირთვა, რადგან იგი დაფუძნებულია მატერიალურ სამართლებრივ ნიშნებზე. ამდენად დაზარალებულზე, როგორც პირზე, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი – ითვალისწებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თუმცა მათი შინაარსი მკვეთრად განსხვავებულია. პროცესუალური მხარე

1 ს.საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ტერმინი დაზრობა ჟინვისაგან დაწვას ნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანის ქართულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი – თბილისი „მერანი“ 1989წ.გვ.189გვ.

მოიცავს იმ პირობებს რომელშიც დაზარალებული ხდება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე და იძენს მასთან დაკავშირებულ პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არ არსებობს დაზარალებულის ცნების ჩამოყალიბებული ფორმულირება, ის ასახავს დანაშაულით მიყენებული ზიანის ობიექტურ ფაქტს. პირი დაზარალებულად ითვლება იმ მომენტიდან რა მომენტიდანაც ადგილი აქვს დანაშაულებრივ ზეწოლას მისი კანონით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მიმართ. დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური, ფიზიკური და ქონებრივი ზიანი კი წარმოადგენს დაზარალებულის ცნების მატერიალურ სამართლებრივ მხარეს.

საერთაშორისო სამართალი იყენებს არა ტერმინ „დაზარალებულს" არამედ, „მსხვერპლს", კერძოდ, მასში ნათქვამია: ტერმინი „მსხვერპლი" ნიშნავს პირს, რომელსაც ეროვნული სისხლის სამართლის კანონების დარღვევით აყენებენ ზიანს, ზიანი კი განიმარტება უფრო ფართოდ, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობაში მას მიაკუთვნებენ არა მარტო სხეულის დაზიანებებს, მორალურსა და მატერიალურ ზარალს, არამედ მსხვერპლის ემოციურ ტანჯვას, აგრეთვე პიროვნების ძირითად უფლებათა არსებით შელახვას (დეკლარაცია 1.18მუხ).

არსებითი ყურადღება უნდა მიენიჭოს დაზარალებულის ჩვენების შეფასებისას მოტივსა და მიზანს. ვინაიდან დაზარალებულმა არ შეიძლება „ჩვენება მისცეს უნებურად", იგი გარკვეულ მიზანს ისახავს და რა თქმა უნდა გარკვეული მოტივიც გააჩნია. დაზარალებულმა შეიძლება თავისი რეპუტაციის შელახვის თავიდან აცილების გამო გარკვეულწილად დაამახინჯოს ფაქტები ან ცრუ დაზარალებულადაც მოგვაჩვენოს თავი. მაგ: იმ შემთხვევაში როდესაც საქმე ეხება სქესობრივი ხასიათის დანაშაულს, დაზარალებული შეიძლება მალავდეს ნამდვილ მიზეზს და მას სხვა დანაშაულის სახით წარმოგვიდგენდეს ან პირიქით ახდენდეს

დანაშაულის ინსცენირებას, მაგ:როდესაც ქალი თავისი ხელით მიიყენებს დაზიანებებს ან სხვა მიზეზით განვითარებულ დაზიანებებს მიაწერს სქესობრივ ძალადობას. ამ სახის ძალადობის ფაქტის დასადგენად საჭიროა გამომძიებელმა საქმის გარემოებების ზუსტი შესწავლის საფუძველზე მოახდინოს დასკვნის გაკეთება.

თუმცა გარდა ამისა აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვა გარემოებებიც, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასწორი, ცრუ ჩვენება, ასეთი კი შეიძლება გამოწვეული იყოს ბრალდებულის, ეჭვმიტანილის ან მისი ახლობლების დაშინების, ასევე სამსახურის დაკარგვის შიშითაც.

5. მოწმის ჩვენება. მოწმის ჩვენება სისხლის სამართლის პროცესში არსებულ მტკიცებულებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, შეუცვლელი და დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებაა. რაც უპირველეს ყოვლისა დასაკითხი პირისაგან იმ ფაქტებისა და მონაცემების შეტყობინებაში გამოიხატება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია და რაც უნდა დადგინდეს სისხლის სამართლის საქმეზე. იგი შეიძლება იყოს სინამდვილის (ჭეშმარიტების) დადგენის უტყუარი საშუალება. მოწმედ შეიძლება დაიკითხოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს უნარი სწორად აღიქვას და მეხსიერებაში აღიდგინოს გარესამყაროს მოვლენები. ფიზიკური პირის უნარს, იყოს მოწმე, კანონი არ უკავშირებს განსაზღვრული ასაკის მიღწევას ამიტომ მოწმედ შეიძლება დაიკითხოს მცირეწლოვანიც.

მოწმის ჩვენება თავის მტკიცებულებით მნიშვნელობას კარგავს იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ვერ მიუთითებს, ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები[1].

---

1 მოწმის ჩვენებას ყოველთვის არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა და არც მტკიცებულებათა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა. მაგ: IX-XIV სს. როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა განავითარების მაღალ საფეხურზე იდგა

მოწმის ჩვენების საგანს წარმოადგენს ნებისმიერი გარემოება, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას სისხლის სამართლის საქმეზე.მოწმის ჩვენება უნდა შეიცავდეს კონკრეტულ მონაცემებს გარკვეულ გარემოებებზე.

მოწმის ჩვენების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა გარემოებები, რომელიც ექვემდებარება მტკიცებას სისხლის სამართლის საქმეზე.თუმცა აღნიშნულ წესს გააჩნია გარკვეული გამონაკლისიც. კერძოდ: სსსკ 95-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ: ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის დამცველი, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარ-

---

და სამართლებრივი კულტურაც შესაბამისად საკმაოდ მაღალი იყო მოწმის ჩვენებასა და წერილობით საბუთებსაც შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუმცა შემდგომ საუკუნეებში მკვეთრად შეიცვალა, დაკნინდა მისი როლი და მტკიცებულებითი მნიშვნელობა. ამის საილუსტრაციოდ მშვენიერი მაგალითია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, სადაც მოწმის ჩვენებას სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში მხოლოდ მეხუთე ადგილი უკავია ფიცისა და ორდალების შემდეგ; მე-13 მუხლი კი აღნიშნულის საილუსტრაციოდ მშვენიერი მაგალითია: „მოწმე დიაღ სწამთა და იციან უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა და წმინდა სახარებაც ბრძანებს, მაგრამ აქ ქართლში, უფრო არ განუწესებიათ“ (ქართული სამართლის ძეგლები, რედ. ი.დოლიძე, ტ.I. 1952წ. თსუ გამომც. გვ.484). ქართული სამართლით მოწმე ჩვენებას იძლეოდა არა მარტო საკუთარი თვალით ნანახზე, არამედ სხვაგან მოსმენილზეც, თუმცა „გაგონილზედ მოწმობა ნაკლებად“ სარწმუნოდ ითვლებოდა. (გ.დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძვ. ქართულ სამართალში, თსუ გამომც.2002წ. 102 გვ.). განსაზღვრული იყო მოწმეთა თვისებებიც, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ღვთის მოშიში, ჭკვიანი, სანდო, მართალი კაცის სახელის მქონე ადამიანი. ქართული სამართალი ასევე განსაზღვრავდა მოწმეთა რაოდენობასაც, კერძოდ: ვახტანგის სამართლის წიგნით უარყოფილი იყო 1 მოწმის ჩვენების საკმარისობა, „პირთა ორისა ანუ სამისა მოწმისათა დაემტკიცოს ყოველი სიტყვა“ რაც იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ 1 მოწმის ჩვენებას მიიჩნევდნენ არასარწმუნოდ და არასაკმარისად იმისათვის, რომ საქმეზე რეალურად დადგენილიყო ჭეშმარიტება. თუმცა ეს არ ეხება მთელ საქართველოს მაგ: ხევსურეთში ზუსტად არ იყო რეგლამენტირებული მოწმეთა რაოდენობა. მოწმეთა დაკითხვა ძირითადად სასამართლო პროცესზე ხდებოდა, რომელსაც შეეძლო განესაზღვრა ვადა მხარისათვის მოწმის მოსაძებნად და სასამართლოში წარსადგენად ან სასამართლო აგზავნიდა კაცს ადგილზე მოწმის დასაკითხად და მათთვის ჩვენების ჩამოსართმევად. ხშირ შემთხვევაში კი მოწმეების ჩვენებას ფიცითაც ამტკიცებდნენ და შესაბამისად მეტი მტკიცებულებითი მნიშვნელობაც ენიჭებოდა.

ჩელის, სამოქალაქო მოპასუხის ან იმ პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის ან წარმომადგენლობის მიღებამდე იმ გარემოების შესახებ,რომელიც მისთვის ცნობილი გახდა, დაცვის ან წარმომადგენლობის განხორციელებასთან ან სხვა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით. სასულიერო პირი, სახალხო დამცველი, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ახლო ნათესავი, საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ა.რ. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, მოსამართლე, ჟურნალისტი.

გამომძიებელს, სასამართლოს კი უფლება აქვთ მოტივირებული დადგენილებით მოწმის მოვალეობისაგან გაათავისუფლონ: ექიმი, მედიცინის და მეანი, სამედიცინო მუშაკი, ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამასახურე, ასევე პირი რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას.

მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: აღსარების, საადვოკატო, სამედიცინო და ჟურნალისტური საიდუმლო,რომელიც დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული სახელმწიფოს და საერთოდ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა ხომ წარმოუდგენელია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფის გარეშე. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში, „ყოველ ადამიანს აქვს აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება და დაუშვებელია დევნა აღმსარებლობისა და რწმენის გამო.“

იგი მჭიდრო კავშირში არის თვით აღსარების საიდუმლოსთან, ვინაიდან აღსარების საიდუმლოს დაცვა უზრუნველყოფილია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლებით. იგი როგორც სამართლებრივი კატეგორია მოქალაქის პირადი ცხოვრების საიდუმლოს წარმოადგენს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ეს მოთხოვნა კი შესაბამისად ზნეობრივ პრინციპებს ემყარება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საადვოკატო საიდუმლო, რომელიც პროფესიულად მინდობილ საიდუმლოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უძველესია.

სსსკ და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია თითოეული მოქალაქის უფლება უზრუნველყოფილი იყოს კვალიფიკაციური, სრულფასოვანი დაცვით საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

საადვოკატო საქმიანობა მიჩნეულია დამოუკიდებელ და თავისუფალ საქმიანობად. ადვოკატი თავისუფალი პროფესიის პირია, რომელიც ემორჩილება კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს. მისი საქმიანობის პრინციპებს წარმოადგენს კანონიერება, პროფესიული საიდუმლოსა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. იგი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდემლო გასული დროის მიუხედავად და კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს მისგან მიღებული ინფორმაცია.

თავისი არსით, საადვოკატო საიდუმლო ეს არის ის ინფორმაცია, რომელიც უნდა მიაწოდოს ადვოკატს დასაცავმა პირმა, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს სრულყოფილი დაცვა და აღმოუჩინოს პირს კვალიფიციური იურიდიული დახმარება. არ აქვს მნიშვნელობა რა ინფორმაციაზე არის საუბარი,ყველა შემთხვევაში მიწოდებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა საადვოკატო საქმიანობის უმთავრესი მოთხოვნაა, რადგან ნდობის

ფაქტორი არის ის უმთავრესი ღირებულება, რომელსაც მთლიანად ეფუძნება ადვოკატურა.

თუმცა საადვოკატო საიდუმლოს მფლობელი შეიძლება იყოს არა მარტო ადვოკატი, არამედ კანონიერი წარმომადგენელი. აღნიშნული პირების ფუნქცია სამართალწარმოების პროცესში ადვოკატის ფუნქციის იდენტურია. ანუ ისინი ვალდებულნი არიან გამოიყენონ კანონით ნებადართული ყველა საშუალება და ხერხი თავიანთი კლიენტის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვაც, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს. ექიმი მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს პაციენტის როგორც პირადი, ისე ოჯახური, ინტიმური, ურთიერთობის შესახებ. ექიმი კი პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგად ვალდებულია,გამონაკლისი შემთხვევების გარდა საიდუმლოდ შეინახოს აღნიშნული ინფორმაცია და არ დაუშვას მისი გახმაურება პაციენტის თანხმობის გარეშე როგორც მის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ.

საექიმო საიდუმლოს სუბიექტებს კი ექიმის გარდა წარმოადგენენ: ექთანი, მედდა, სანიტარი, ბებიაქალი, ლაბორანტი და ა. შ. ანუ ყველა ის პირი, ვისთვისაც პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ცნობილი გახდა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს და იცავს სამედიცინო საიდუმლოს, როგორც საქართველოს მოქალაქის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების ერთერთ მნიშვნელოვან ელემენტს.

რაც შეეხება ჟურნალისტს ანუ ჟურნალისტურ საიდუმლოს, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს ფლობდეს და ავრცელებდეს სრულყოფილ ინფორმაციას იმ საზოგადოებაზე, რომელშიც იგი

ცხოვრობს და მოღვაწეობს. აღნიშნული უფლება აღიარებული და გარანტირებულია როგორც „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციით“ ისე ევროპიის კონვენციით „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ასევე საერთაშორისო პაქტით „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.“ მოწმე სისხლის სამართლის პროცესში არის პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას ფაქტზე (მოვლენაზე) რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლოში საქმის განხილვა. ამიტომ იგი წარმოადგენს შეუცვლელ ჟურნალისტური მასალების საფუძველზე დაწყებულ გამოძიებას,ხშირად კი ერთადერთი უტყუარი მტკიცებულების წყაროს.

აკრძალვას – გარკვეული პირების მოწმის სახით დაკითხვის შესახებ ან მათ უფლებას უარი თქვან მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე ხშირად მოწმის იმუნიტეტსაც უწოდებენ.

მოწმის ჩვენების შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი სასამართლო – საგამოძიებო შემოწმების საფუძველზე. კერძოდ: მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით. სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები თუ ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ.

თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების მიცემისათვის, მოწმეს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მოწმეს უფლება აქვს: იცოდეს რა საქმის გამოა გამოძახებული: ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება და ა.შ. უტყუარი ჩვენების მიღე-

ბას ხელს უწყობს დაკითხვის პროცესუალური ფორმა, კერძოდ დაკითხვის მიმდინარეობისას უნდა იყოს გამოკვლეული გარემოებები, რომლებიც იძლევა საშუალებას შეფასდეს მოწმის ჩვენების ხარისხი. უკანასკნელი აუცილებლად უნდა იქნეს გაანალიზებული მისი სისრულის, შეუსაბამობის შესაბამისად. იგი აუცილებლად უნდა შედარდეს ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც მიღებულია სხვა წყაროებიდან. დამაზუსტებელი და შემავსებელი კითხვების დასმა მოწმისათვის იძლევა საშუალებას მოვახდინოთ მისი ჩვენების დეტალიზება და აღმოვფხვრათ არსებული წინააღმდეგობები. მოწმის ჩვენების შემოწმება და შეფასება გრძელდება მტკიცების მთელ პროცესში წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის მთელ სტადიაზე. მოწმის ჩვენების შეფასება ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით და იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც ამ სახის მტკიცებულებას განეკუთვნება. მოწმის ჩვენების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა იყოს, კერძოდ: მოწმის ჩვენების სიმართლის თუ სიყალბის საკითხის დადგენა და იმ მოწმის ჩვენების ობიექტური უტყუარობის საკითხის გარკვევა რომლის შესახებაც არ მოიპოვება მონაცემები შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ. მოწმის ჩვენების შემოწმებისა და შეფასებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია იმ გარემოებების დადგენას, რაც გავლენას ახდენს ჩვენების სისწორეზე, კეთილსინდისიერებაზე. მოწმის ცრუ ჩვენების მიზეზი შეიძლება იყოს: მტრული, მეგობრული ან ნათესაური ურთიერთობა ბრალდებულთან ან მის ნათესავებთან. ანალოგიური ვრცელდება დაზარალებულზეც.

მოწმის ჩვენების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება 3 ძირითად ფაქტორს: აღქმას, დამახსოვრებასა და გადმოცემას.

ადამიანის მიერ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება აღქმის

გზით იწყება, რომელიც ასევე თავისებურებით ხასიათდება აღქმის პროცესში, არესებითი აქცენტი ამ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს ასაკზე, პროფესიაზე, განწყობასა და სმენაზე, ასევე მხედველობასა და შეგრძნებაზე, ვინაიდან აღქმის სისრულესა და სიზუსტეზე სწორედ ეს ფაქტორები ახდენენ არსებით ზეგავლენას. გარდა ამისა აღქმის პროცესზე ასევე ძალზე უარყოფითად მოქმედებს ემოციის ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა შიში ანუ დანაშაულის ეპიზოდების აღქმა ადამიანს ექსტრემალურ სიტუაციაში უხდება, რომელსაც თან ახლავს შიში, რა დროსაც თითოეული სახე ემოციისა თამაშობს მოტივირებულ როლს. ეს მხოლოდ სიტყვებია რომელსაც ადამიანი გამოხატავს, სიტყვები კი ძალზე მწირია იმისათვის, რომ სრულად მოხდეს იმის გადმოცემა რასაც რეალურად განიცდის ადამიანი.

ემოცია მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ინფორმაციასთანაც, რომელსაც ჩვენ ვიღებთ გარემომცველი სამყაროსაგან. ანუ იგი წარმოიშობა მოულოდნელი მოვლენის შედეგად, რომლისთვისაც ჩვენ ვერ მოვასწარით მომზადება, ვერ შევძელით ყველა ინფორმაციის შეკრება, რომელიც აუცილებელია ადექვატური რეაქციისათვის ე.ი. ემოცია არ წარმოიშობა, თუ ჩვენ ვხვდებით მოცემულ სიტუაციას საჭირო მონაცემების საკმარისი მარაგით.

აღქმის სისრულეზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე მეტეოლოგიური პირობები (წვიმა, ქარი, თოვლი და ა.შ.).

დამახსოვრებასა და გადმოცემაზეც სწორედ აღნიშნული ფაქტორები ახდენენ დიდ ზეგავლენას. დამახსოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს პირის ჯანმრთელობა და ასაკი, აღქმული საგნების ცოდნა და შთაბეჭდილების სიძლიერე. ზემოაღნიშნული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები ასევე დიდ გავლენას ახდენს ჩვენების ფორმირების პროცესის მესამე შემაჯამებელ სტადიაზე – აღქმულისა და დამახსოვრებულის გადმოცემაზე, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირის

მიდრეკილება აღქმული ფაქტის გაზვიადებისა და ფანტაზიისადმი,მისი შთაგონება და უნარი შეუცდომლად და სრულყოფილად გადმოსცეს დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ აღქმული და დამახსოვრებული ფაქტობრივი გარემოებები.

მოწმის სიცრუის გამოსამჟღავნებლად კი ყველაზე საიმედო საშუალებას ჩვენების მიცემის მოტივის (ფსიქოლოგიური ქცევის) შესწავლა წარმოადგენს, რის გამოც მიზანშეწონილია იმ ურთიერთობის შემოწმება, რაც შეიძლება არსებობდეს მოწმესა და პროცესის სხვა მონაწილეებს შორის.

თუ მოწმის მიერ წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა მოცემული ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

6. ექსპერტის დასკვნა. ისტორიულად ცნობილია, რომ ექსპერტად მოიხსენიებოდა ის პირი, რომელიც სპეციალური ცოდნით იყო აღჭურვილი და რომელსაც „ხელოვან კაცს," ან „დამფასებელსაც" უწოდებდნენ, მოსამართლეებიც სწორედ ექსპერტთა დასკვნას ეყრდნობოდნენ – რომელთაც ავალდებდნენ შეესწავლათ ესა თუ ის საკითხი და წარმოედგინათ წერილობითი დასკვნა, ასეთი პირები კი შესაბამისად ექსპერტებად, ხოლო მათ მიერ შედგენილი დოკუმენტები ექსპერტის დასკვნად იწოდებოდა, რომელსაც განაჩენის დასაბუთებისათვის იყენებდნენ.

ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით პროცესუალურ ლიტერატურაში XIXს. 90-იან წლებსა და XXს. დასაწყისში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. მეცნიერთა ნაწილი ექსპერტის დასკვნას სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან შედარებით უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ[1]. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მართალია ექსპერტის დასკვნა გარკვეული თავისებურებით

1 Фойницкий, Курс уголовного судопроизводства, 1899г. стр. 59

გამოირჩევა, მაგრამ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება დაუშვებელია.

ექსპერტის დასკვნის საპროცესო ფორმა განისაზღვრება ამ სახის მტკიცებულებათა თავისებურებით.

ექსპერტის დასკვნა როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი სახე არსებითად განსხვავდება მოწმისა და ბრალდებულის (ასევე სხვა სახის მტკიცებულებებისაგან)ჩვენებისაგან რამოდენიმე გარემოებით.

მონაცემთა წრეს, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს პროცესის დასახელებული მონაწილეების ჩვენებები, განისაზღვრება გარემოებათა ხასიათით,რომელიც ექვემდებარება მტკიცებას მოცემულ საქმეზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად: ექსპერტი არის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის დარგში და რომელიც გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ, ბრალდებულმა, დამცველმა, დაზარალებულმა დანიშნა სპეციალური გამოკვლევის ჩასატარებლად და სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გარემოებათა შესახებ დასკვნის შესადგენად, მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია, იძლევა დასკვნას თავისი სახელით ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე და აკისრია პირადი პასუხისმგებლობა.

სპეციალური ცოდნა, გულისხმობს ისეთ ცოდნას, რომელიც სცილდება სამართლებრივი ცოდნისა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების (ჭეშმარიტების)ფარგლებს, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანთა გამოცდილებიდან და ეფუძნებიან მას.

სპეციალურ ცოდნაში იგულისხმება პროფესიონალური ცოდნის, ჩვევებისა და ოსტატობის ისეთი ერთობლიობა, რომელიც შეძენილია სპეციალური განათლების შედეგად ან დაგროვილი გამოცდილების შედეგად. შეესაბამება მეცნიერების,ტექნიკის, ხელოვნების ან ხელობის განსაზღვრულ სფეროს განვითარების

თანამედროვე დონეს და საკმარისია საექსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად და კომპეტენტური დასკვნის მისაღებად საქმისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

სპეციალური ცოდნა არ მიეკუთვნება იმ საყოველთაოდ ცნობილი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ცოდნის რიცხვს, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული ე.ი. სპეციალური ცოდნა ეს ის ცოდნაა, რომელსაც პროფესიონალურ დონეზე ფლობს სპეციალისტების მხოლოდ ვიწრო წრე. თავისი ხასიათით ექსპერტის მოსაზრებები, რომელიც გამომდინარეობს ჩატარებული გამოკვლევიდან შეიძლება იყო მხოლოდ კატეგორიული და საფუძვლიანი[1].

სპეციალური ცოდნა გააჩნია სპეციალისტსაც,მაგრამ ყველა სპეციალისტი როდია ექსპერტი. პროცესის ეს ორი მონაწილე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ექსპერტს წარედგინება განსაკუთრებული მოთხოვნები. იგი არ უნდა იყოს საქმის შედეგით დაინტერესებული პირი და უნდა იყოს ამავე დროს კომპეტენტური კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას.იგი ვალდებულია:ა.გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით;მისცეს ჩვენება ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას ან სასამართლო განხილვის დროს;მისცეს დასაბუთებული და ობიექტური წერილობითი დასკვნა დასმულ კითხვებზე;განაცხადოს თვითაცილება და ა.შ.

რაც შეეხება უფლებას, მას შეუძლია: გაეცნოს ექსპერტიზისათვის საჭირო მასალებს ამოიწეროს საქმისათვის საჭირო ცნობები და გადაიღოს ასლები; მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა; უარი თქვას დასკვნის მიცემაზე თუ დასმული

---

1 ექსპერტის დასკვნა შეიძლება იყოს დადებით კატეგორიული ან ურყოფითი კატეგორიული. სისხლის სამართლის საპ რ ოცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს სალბათო ან სავარაუდო დასკვნას რომელსაც რა თქმა უნდა მტ კი ც ებ უ ლებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება.

საკითხები სცილდება მისი სპეციალური ცოდნის ფარგლებს ან მისთვის წარდგენილი მასალები საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად; ჩამოაყალიბოს დასკვნა არა მარტო დასმულ საკითხებზე, არამედ ექსპერტიზის საგანს მიკუთვნებულ სხვა საკითხებზედაც, რომელთა გამოც მისთვის არ დაუსვამთ კითხვები; და ა.შ. ხოლო სპეციალისტი მხოლოდ საჭირო დახმარებას უწევს გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში და არ ატარებს რაიმე სახის გამოკვლევას.

მტკიცებულებათა სხვა სახეებისაგან განსხვავებით კანონი ადგენს გარემოებებს, როდესაც –ექსპერტის დასკვნის გარეშე არ შეიძლება იქნეს აღიარებული დადგენილად ან დაუდგენლად ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ა.სიკვდილის მიზეზი; ბ.ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ხარისხი და ხასიათი; გ. ბრალდებულის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა, როდესაც წარმოიშვება ეჭვი, მისი შერაცხადობის შესახებ.

ბრალდებულის ასაკი,როდესაც აღნიშნულს აქვს მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმესათვის, ხოლო დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს მის ასაკს, არ არსებობს ან იწვევს ეჭვს.

მოწმისაგან განსხვავებით, ექსპერტი, როგორც წესი, აღიქვამს არა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს, არამედ მტკიცებულებით ფაქტებს. ექსპერტის დასკვნის ფორმირების პროცესს წინ უსწრებს ექსპერტის მიერ აღქმული და გამოკვლეული მტკიცებულებების ფორმირების პროცესი.

კანონმა განსაზღვრა ექსპერტის დასკვნის, როგორც მტკიცებულებათა ერთ-ერთი სახის არსებითი ხასიათი:წერილობითი ხასიათი. შინაარსი კი განისაზღვრა ექსპერტისადმი დასმულ კითხვებზე პასუხით რომელიც უნდა მოიცავდეს მის მიერ ჩატარებული გამოკვლევის აღწერას. ექსპერტის დასკვნაში მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს როგორც კვლევით ნაწილს, ისე

ექსპერტიზით დადგენილ შედეგს.ექსპერტის დასკვნა სტრუქტურულად 3 ნაწილისაგან:შესავალი,აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილისაგან შედგება.

ექსპერტის დასკვნის დასაშვებობა ფასდება რამოდენიმე პარამეტრით: ა.ექსპერტის კვალიფიკაციის შესაბამისობა ჩატარებულ ექსპერტიზასთან; ბ.კანონმდებლობის სრული დაცვა; გ.ნივთიერ და სხვა სახის მტკიცებულებათა დასაშვებობა, რომელიც ემსახურება საექსპერტო გამოკვლევის ობიექტებს.

ექსპერტის დასკვნის შეფასების დასაბუთება მოიცავს თავის თავში ექსპერტის მიერ გამოყენებული მეთოდიკის გამოყენებას. გამოკვლევის დროს ექსპერტის მიერ შესრულებული ფოტო და სურათი, გრაფიკა, ცხრილი, ნახაზი, ექსპერტის დასკვნის შემადგენელი ნაწილია.

შედარებითი გამოკვლევის დროს ექსპერტის მიერ გაკეთებული ექსპერიმენტული ტყვიები, მასრები და სხვა ნიმუშები უნდა დაერთოს საქმეს, როგორ ნივთიერი მტკიცებულება.

ექსპერტის დასკვნა დგება იმ შემთხვევაშიც, როცა ექსპერტმა გამოკვლევა დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა კვლევის ობიექტების არასაკმარისობის ან საკუთარი არაკომპეტენტურობის გამო. თუ გამოკვლევის დაწყებამდე დარწმუნდება კვლევის ობიექტების არასაკმარისობაში ან საკუთარ არაკომპეტენტურობაში, იგი ადგენს აქტს, რომ შეუძლებელია ექსპერტიზის ჩატარება, და ამ აქტს ექსპერტიზისათვის გაგზავნილ საგნებთან ერთად უგზავნის ორგანოს, რომელმაც ექსპერტიზა დანიშნა. თუ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონე ექსპერტის წინაშე დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლევა,მაგრამ ექსპერტს არა აქვს ამისათვის საჭირო ცოდნა, ხელსაწყოები და რეაქტივები,მას უფლება აქვს მიუთითოს,რომელ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში შეიძლება ჩატარდეს ასეთი ექსპერტიზა.

თუ საჭირო არ არის დამატებითი და ახალი გამოკვლევის

ჩატარება ექსპერტის ჩვენება განმარტავს და ავსებს მის დასკვნას.

საქმის განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაეკისროს რამოდენიმე ექსპერტს. იმ შემთხვევაში როდესაც ექსპერტიზას ატარებს ერთი სპეციალობის მქონე რამოდენიმე ექსპერტი ეწოდება საკომისიო ექსპერტიზა.

ამასთან ექსპერტებს დასკვნის მიცემისას უფლება აქვთ მოსაზრებები გამოთქვან. თუ კომისიის წევრები მივლენ საერთო დასკვნამდე — ისინი ადგენენ ერთიან დასკვნას. ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაშიც მონაწილეობენ რამოდენიმე სხვადასხვა სპეციალობის მქონე ექსპერტები ეწოდება კომპლექსური ექსპერტიზა.

კომპლექსური ექსპერტიზის წარმოებისას ყოველი ექსპერტი ატარებს გამოკვლევას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. თუ არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ექსპერტებს შორის, დასკვნა ფორმდება კომისიური ექსპერტიზის წესით.

7. ნივთიერი მტკიცებულებები. ნივთიერი მტკიცებულება ეწოდება ნებისმიერ საგანს, რომელიც თავისი თვისებებითა და ნიშნებით, წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ჭეშმარიტების დადგენას[1].

---

1 ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი თავისი მნიშვნელობით ყოველთვის იპყრობდა მეცნიერთა ყურადღებას, რაც არის მიზეზიც იმისა, რომ ნაშრომების დიდი ნაწილი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში სწ ო რ ედ აღნიშნულ საკითხს უკავშირდება. ამ მეცნიერთა შორის კი შეიძლება გამოვყოთ: ლ.ე.ვლადიმიროვი, ვ.კ. სლუჩევსკი, ი.ი.ფოინიცკი, და სხვა ავტორები. ძველია თვით ცნებაც „ნივთიერი მტკიცებულ ებები სა,"რომელიც ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ დამკვიდრდა. მაგ: ი.ევერსი მის წარმოშობას რუსეთსა და საბერძნეთს შო რის 911 წელს დადებულ ხელშეკრულებას უკავშირებს, რომლის პირველივე მუხლშიც ავტორი „ჩვენები" ქვეშ მო იაზრებს „ყველა გარეგან ნიშანს, ჭრილობას, ლაქას." ძველი რუსეთის სამართლებრივ აქტებში კი საუბარია მტკი ცებულებითი ინფორმაციის მატარებელ

ნივთიერი მტკიცებულება არის დანაშაულის იარაღი, დანაშაულებრივი ქმედების საგანი ან მასზე დარჩენილი დანაშაულის კვალი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა, აგრეთვე ყველა სხვა საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დანაშაულის აღმოჩენის, დანაშაულის ჩამდენის დადგენის ან ბრალდების უარყოფის საშუალება. ანუ შეიძლება აღმოჩენილი იქნეს არამარტო გამამტყუნებელი მტკიცებულებები, არამედ ისეთებიც რომელთა მეშვეობითაც თავისუფლად დადგინდება ჩაიდინა თუ არა კონკრეტულმა პირმა კონკრეტული ქმედება. ზოგჯერ საგანი შეიძლება ფლობდეს ნივთიერი მტკიცებულების რამოდენიმე ნიშანს ერთად. მაგ: მოპარული ნივთი, რომელზედაც აღმოჩენილია დამნაშავის თითის კვალი — ეს ცვლილება კი ნივთს შეიძლება განეცადა არამარტო დანაშაულის ჩადენის მომენტში, არამედ დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგაც, ანუ ეს არის შედეგი არა მარტო უშუალო დანაშაულის, არამედ სხვა მოქმედებების შესახებაც, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მოწმობენ კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ან უარყოფენ აღნიშნულს.

ცალკე სახედ შეიძლება განვიხილოთ ისეთი საგნები, რომლებიც იმყოფებოდნენ იმ გარემოში სადაც მოხდა გამოსაკვლევი მოვლენა, მაგრამ მათ არ განუცდიათ სახეცვლილება, არ გადაადგ-

---

კონკრეტულ საგნებზე, მოპარულ პურზე, თევზზე, გაყალბებულ სიგელებზე, საქმისათვის მნიშვნელოვან გადამალულ მასალებზე და ა.შ. ტერმინი ნივთიერი მტკიცებულება პირველად შემოღებულ იქნა 1812 წლის 27 იანვარს მიღებულ საველე სასამართლოს წარმოების წესდებაში, რომლის 31-ე პარაგრაფშიც ნათქვამია: „საქმეს მიკუთვნებული მასალები (ქაღალდები) შეიძლება იყოს დოკუმენტები, ან ნივთიერი მტკიცებულებები, რომლებიც ამხელენ დანაშაულს.“ 1864 წელს მიღებული სისხლის სასამართლო წარმოების წესდება მტკიცებულებების დამოუკიდებელ სახედ მოიხსენიებს ნივთიერ მტკიცებულებებს, რომელსაც მიაკუთვნებს „იარაღს, რომლითაც ჩადენილი დანაშაული, გაყალბებულ დოკუმენტებს, მონეტებს, სისხლიან ან დაზიანებულ საგნებს და საერთოდ ყველაფერს, რაც ნაპოვნია შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ჩხრეკის ან ამოღებისას და რომელსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ დანაშაულის აღმოჩენას და დამნაშავის დადგენას.“

ილებულან, თუმცა ისინი შემეცნების ობიექტები შეიძლება გახდნენ მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1. როდესაც გამოსაკვლევი მოვლენა წარმოადგენს პირის მიერ მოქმედებათა შეუსრულებლობას, მაგ: დანაშაულებრივი უმოქმედობა და 2. როდესაც გამოსაკვლევ მოვლენას ფაქტიურად არ ჰქონია ადგილი მაგ: დანაშაულის ინსცენირება, ყალბი ალიბი და ა.შ.

ასევე აქ შეიძლება განვიხილოთ ისეთი საგნები ან ადგილი სადაც უშუალოდ მოხდა გამოსაკვლევი მოვლენა, ანუ შემთხვევის ადგილი რომელიც გარესამყაროს ნაწილს და ამავე დროს ერთგვარ ნივთიერ მტკიცებულებასაც წარმოადგენს ზოგიერთ შემთხვევაში კი დამოუკიდებელი მტკიცებულების სახითაც წარმოგვიდგება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი ხდება გაკეთდეს ხშირ შემთხვევაში უტყუარი დასკვნა მომხდარ ფაქტზე. მაგრამ არ შეიძლება უარყოთ ერთი გარემოება, კერძოდ ის, რომ მიუხედავად იმისა რომ გნოსეოლოგიური თვალსაზრისით შემთხვევის ადგილი და ნივთიერი მტკიცებულება ფაქტიურად იდენტურნი არიან, მათ იურიდიული თვალსაზრისით მაინც ვერ გავათანაბრებთ – იმ გარემოების გამო, რომ მათი გარესამყაროდან ამოღება შეუძლებელია და შესაბამისად მასზე არც იმ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის გავრცელება შეიძლება რაც ნივთიერი მტკიცებულებისათვის არის დადგენილი.

უკანასკნელ წლებში კრიმინალისტიკური ტექნიკის განვითარებამ მტკიცების პროცესში ძალზე გაზარდა ნივთიერი მტკიცებულებების მნიშვნელობა და როლი, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მტკიცებულებების სრულყოფილად აღმოჩენა, ამოღება, ფიქსირება და მათი გამოყენება.

საგანი ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი უნდა იქნეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს განჩინებით (დადგენილებით). ნივთიერი მტკიცებულება საქმეზე დართვამდე უნდა შემოწმდეს და დაილუქოს დამსწრეთა თანდასწრებით. შემოწმებისას უნდა

გამოვლინდეს და აღიწეროს საგნის ინდივიდუალური, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არის გვარეობითი ნიშნები, რომლის შედეგებიც აისახება ოქმში. ლუქის მოხსნა და ნივთიერი მტკიცებულების განმეორებით შემოწმება ხდება დამსწრეთა მონაწილეობით.

ნივთიერი მტკიცებულება დაუშვებლად ითვლება თუ უარყოფილი არ არის ვარაუდი მისი შესაძლო გამოცვლის, ან მისი ნიშნებისა და თვისებების არსებითი შეცვლის, ანდა მასზე დარჩენილი კვალის გაქრობის შესახებ.

ნივთიერი მტკიცებულებები უნდა შემოწმდეს და გამოკვლეულ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საერთო წესიდან გამომდინარე ნივთიერი მტკიცებულება არის ირიბი მტკიცებულება. ამიტომ კარგად უნდა დადგინდეს მათი შესახებობა სისხლის სამართლის საქმესთან. თუმცა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ყოველთვის არ არის სათანადო შესაძლებლობა დადებითად გადაწყდეს აღნიშნული საკითხი.

ნივთიერი მტკიცებულების ფორმირების პროცესუალური ეტაპი საკმაოდ რთულია. დაწვრილებით უნდა იყოს დადგენილი ნივთიერ მტკიცებულებათა უტყუარობა, ვინაიდან როგორც პრაქტიკა მოწმობს ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება ფალსიფიცირებული იყოს დაინტერესებული პირების მიერ: გაყალბებული, ხელოვნურად შექმნილი, ან საერთოდ განადგურებული. ნივთიერ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის დადგენის მიზნით უმჯობესია დაიკითხოს, ბრალდებული, დაზარალებული და სხვა პირები გარემოებების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ამ საგნებთან, აუცილებლობიდან გამომდინარე შესაძლებელია ექსპერტიზის ჩატარება, ასევე სხვა გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

ნივთიერ მტკიცებულებას ინახავს პროცესის მწარმოებელი ორგანო ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის და-

კარგვასა და მისი თვისებების შეცვლას. ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც არ ნადგურდება ან მესაკუთრესა თუ მფლობელს არ უბრუნდება, ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. სისხლის სამართლის საქმის წარმოების პერიოდში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში უნდა ინახებოდეს ძვირფასი ლითონები, ქვები და თვლები, უცხოური ვალუტა, საქართველოს ფულის ნიშნები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

აღნიშნული საგნები ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, თუ მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს მათ ინდივიდუალურ ნიშნებს. დიდგაბარიტიანი საგანი შეიძლება დარჩეს მის მფლობელთან ანდა ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელთან, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საგნის დაცვაზე. ექსპერტიზისათვის გასაგზავნი და ექსპერტისაგან მიღებული საგნები უნდა იყოს დალუქული, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს გამომძიებლისა და დამსწრეთა მონაწილეობით. იგივე წესი უნდა იქნეს დაცული ნივთიერ მტკიცებულებათა ფოსტით გაგზავნისა და მიღების დროს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად საქმის წარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს: მალფუჭებად საგნებს, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, შინაურ პირუტყვს, ფრინველს, სხვა ცხოველებს, სატრანსპორტო საშუალებებს, თუ მათ ყადაღა არა აქვთ დადებული.

აღნიშნული საგნის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი ცნობილი არ არის, ან მისი დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით, საგანი უნდა ჩაბარდეს შესაბამის ორგანიზაციას გამოსაყენებლად, შესანახად თუ მოსავლელად.

განაჩენში, განჩინებასა და დადგენილებაში საქმის შეწყვეტის შესახებ ნივთიერი მტკიცებულების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგი ფორმით: ა. თუ დანაშაულის იარაღს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო მას აქვს რაიმე ღირებულება,

ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია; ბ. თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, იგი გადაეცემა შესაბამის დაწესებულებას, ხოლო თუ მას ღირებულება არა აქვს ნადგურდება; გ. სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, ნადგურდება, ხოლო დაინტერესებული პირის ან დაწესებულების შუამდგომლობით–მას გადაეცემა; დ. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული და ფასეულობა ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, სახელმწიფო ბიუჯეტს გადაეცემა; ე.დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, განსასჯელისა და იმ პირის გარდა, რომელთაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქმის შეწყვეტისას მატერიალური ღირებულების მქონე ნივთიერი მტკიცებულების განადგურება,საპროცესო კონფისკაცია და ვადაცემა ხდება მხოლოდ მოსამართლის დადგენილების საფუძველზე. რომელსაც მოსამართლე განიხილავს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით, იმ ცნობისა და სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომლებიც გამომძიებელმა წარადგინა.

ნივთიერი მტკიცებულების კუთვნილების გამო დავა წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თუ ასეთი დავა წარმოიშვა, ნივთიერი მტკიცებულება ინახება სისხლის სამართლის საქმესთან სარჩელის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სასამართლოს, რომელიც ასეთ სარჩელს განიხილავს, უფლება აქვს გამოითხოვოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად შენახული ნივთიერი მტკიცებულება. ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. აღნიშნული წესი არ ვრცელდება მსჯავრდებულის ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება

საპროცესო კონფისკაციას, განადგურებას ან სამოქალაქო სარჩელის ანაზღაურებას.

8. საგამოძიებო მოქმედების, სასამართლო მოქმედებისა და სასამართლო განხილვის ოქმები. სხვა დოკუმენტები. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები და სხვა დოკუმენტები, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. მათ ქვეშ როგორც წესი მოიაზრება მატერიალური ობიექტები, რომელზედაც ოფიციალური პირები ან მოქალაქეები საყოველთაოდ მიღებული ან სხვა საშუალებების მეშვეობით აფიქსირებენ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.

დოკუმენტები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად: საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები; (სსსკ 125 მუხ.) სხვა დოკუმენტები (სსსკ 126 მუხ.).

საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმები ეწოდებათ წერილობით ოქმებს, რომელშიც გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო კანონით დადგენილი წესით უშუალო აღქმისა და დაკვირვების გზით აფიქსირებენ ფაქტებს, რომლებიც ექვემდებარებიან მტკიცებას სისხლის სამართლის საქმეზე. ყველა ოქმს არ გააჩნია მტკიცებულებათა დამოუკიდებელი წყაროს მნიშვნელობა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად მათ მიეკუთვნება: ოქმები, რომლებიც ადასტურებენ გარემოებებსა და ფაქტებს, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ამოღების, ჩხრეკის, დაკავების, ამოსაცნობად წარდგენის, ან საგამოძიებო ექსპერიმენტის წარმოებისას. მტკიცებულებათა მითითებულ წყაროებს არ მიეკუთვნება მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის, ეჭვმიტანილის დაკითხვის ოქმები. ამ შემთხვევაში მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია დასაკითხი პირის ჩვენებას, რომელიც დაფიქსირებულია დაკითხვის ოქმში და არა თვითონ ოქმს. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნიათ იმ შემთხვევაში თუ

ისინი მიღებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით. ასეთი სახის დოკუმენტის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისი შედგენის სუბიექტები არიან მხოლოდ კანონით უფლებამოსილი პირები.

საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმების დასაშვებობის შეფასებისას უნდა გაირკვეს მისი შემდგენლის კომპეტენტურობა და საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან მისი შესაბამისობა.

საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ოქმების შესახებობის საკითხის დადგენა, როგორც წესი სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან ეს მტკიცებულება იქმნება როგორც წესი საქმის წარმოებისას და მისი კავშირი გარემოებებთან, რომლებიც ექვემდებარებიან მტკიცებას, განისაზღვრება დანაშაულის კვალის დამაგრების აუცილებლობით სპეციალურად უფლებამოსილი პირების მიერ პროცესუალურ დოკუმენტებში.

ასევე გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ოქმების უტყუარობის განსაზღვრა. მათი ფორმირების პროცესი, რომელიც ასახავს ობიექტურად არსებული ფაქტების სუბიექტურ აღქმას პროცესის მწარმოებელი უფლებამოსილი პირების მიერ,მოქმედებს ოქმში არსებული მონაცემების სისწორეზე. ამიტომ ოქმში გადმოცემული ინფორმაციის უტყუარობის შეფასება მდგომარეობს დასაკვირვებელი ობიექტისა და აღქმის ფსიქოლოგიური თავისებურების შესწავლაში.

სხვა დოკუმენტი – მტკიცებულების ეს სახე თავის თავში მოიცავს ინფორმაციის მატერიალურ მატარებელს, თუ უკანასკნელს გააჩნია მნიშვნელობა მტკიცებას დაქვემდებარებული გარემოების დასადგენად. იმისათვის, რომ მტკიცებულებად იყოს აღიარებული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს საქმესთან დაკავშირებულ მონაცემებს, ასევე ინფორმაციას, რომელიც იძლევა საშუალებას დადგინდეს სუბიექტი, რომლისგანაც გამომდინარეობს დოკუმენტი.

მონაცემები, რომელიც დაფიქსირებულია დოკუმენტში შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც წერილობითი ისე სხვა ფორმით, ეს შეიძლება იყოს ფოტო, კინოგადაღება, აუდიო-ვიდეოჩანაწერი და ინფორმაციის სხვა მატარებლები, რომელიც მიღებულია, გამოთხოვილია ან წარმოდგენილია კანონმდებლობით დადგენილი წესით. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მიიღება როგორც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებამდე, ისე გამოძიების წარმოების, განაჩენის დადგენისა და მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომაც.

დოკუმენტი არის ნივთიერი მტკიცებულება თუ იგი შეუცვლელია, ვინაიდან მასზე დაფიქსირებული ფაქტები უნიკალურია (მაგ: მხოლოდ ერთი ეგზემპლიარია, მაგ: საფინანსო-დოკუმენტის გაყალბების კვალით, იმ დოკუმენტებისაგან განსხვავებით, რომელთაც გააჩნით ნივთიერი მტკიცებულების ნიშნები).

ყველა დოკუმენტი შეიძლება დავყოთ 2 ჯგუფად: ოფიციალური და კერძო დოკუმენტებად. ოფიციალური დოკუმენტები შეიძლება იქნეს წარმოდგენილი დაწესებულების, ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის მიერ. ოფიციალური დოკუმენტების რეკვიზიტები უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას, რათა არ წარმოიშვას ეჭვი მათი უტყუარობის შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში კი წარმოშობილი ეჭვი შეიძლება უარყოფილ იქნეს ასევე ახალი მტკიცებულების მიღების გზითაც (მაგ: დაკითხვის გზით). კერძო დოკუმენტებისათვის (წერილი, დღიური, ჩანაწერი და ა.შ.) რაიმე სხვა სავალდებულო ფორმა, რა თქმა უნდა არ არსებობს.

სხვა დოკუმენტები — ეს არის შენაცვლებადი სახის მტკიცებულება, იგი შეიძლება იყოს ნაწარმოები, ვინაიდან მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია მხოლოდ მათ შინაარსს.

სხვა დოკუმენტების შესახებობის საკითხი კი განისაზღვრება მათი შემადგენლობით. კერძოდ, იმ ფაქტების დადგენის შესაძლებლობით, რომელსაც მნიშვნელობა გააჩნია სისხლის

სამართლის საქმისათვის. დოკუმენტების უტყუარობის დადგენა ხორციელდება დოკუმენტების შინაარსის ანალიზის გზით.

9. ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი. სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების სრულყოფილი წარმოება არის გარანტია სასამართლოსათვის, დაადგინოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება. წინასწარი გამოძიების სტადიაზე აუცილებელია ინფორმაციული უზრუნველყოფა, რათა გამოძიების ორგანოებმა განსაზღვრონ ვერსიები და საგამოძიებო მოქმედებების მიმართულებები.

წინასწარი გამოძიების ასეთი ინფორმაციული უზრუნველყოფა უმეტესად არასაპროცესო საშუალებებით ხდება. კერძოდ: ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის როლი მნიშვნელოვანია მტკიცების პროცესში. იგი განსაზღვრავს იმ საგნების წრეს რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში. ფარული აუდიო – ვიდეო ჩანაწერი ოპერატიული ინფორმაციაა. მისი ფარული ხასიათი პირდაპირ მიუთითებს სამძებრო ხასიათზე, ტექნიკური საშუალებებით მოპოვებული ინფორმაციის მნიშვნელობა სადავო არ არის, რადგან ეს საკმაოდ ზუსტია. ამასთან, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის ფიქსაციის მნიშვნელოვან როლს განაპირობებს მისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობა, დააფიქსიროს ფაქტები და ობიექტები დინამიკაში, რაც საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს გადაწყვეტილი საკმაოდ რთული ამოცანები.

ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია: რეალური ვითარებისა და საგამოძიებო მოქმედებების დოკუმენტური სიზუსტით ასახვა, დაფიქსირებული ინფორმაციის შენახვა და გამოყენება წინასწარი გამოძიებისას და სასამართლო განხილვის სტადიაზე. ნებისმიერ დროს, ასეთი თვისებების მქონე ინფორმაცია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. აუდიო თუ ვიდეოჩანაწერი ასახავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს და ამტკიცებს საქმი-

სათვის მნიშვნელოვან ამა თუ იმ ფაქტს, ამგვარი ინფორმაცია ს.ს.პროცესში ჩართვის შემდეგ პირდაპირ მტკიცებულებაა, რომელსაც ტაქტიკური თვალსაზრისითაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ მასალის წარდგენას შეუძლია უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინოს ეჭვმიტანილსა თუ ბრალდებულზე.

გარდა ამისა, ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერი ს.ს. პროცესში შეიძლება მოწმის ჩვენების შესამოწმებლად იქნეს გამოყენებული. ეს მეტად ეფექტური საშუალებაა ცრუ ინფორმაციის გამოსავლენად.

ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად შესაძლებელია დამატებითი მტკიცებულებითი ინფორმაციის მიღება, ასევე ამ ინფორმაციის საფუძველზე. შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფრო ეფექტური ტაქტიკის შერჩევა. ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საგამოძიებო ორგანოებს შეუძლიათ განსაზღვრონ იმ პირთა წრე, რომელთაც კავშირი აქვთ დანაშაულებრივ ქმედებასთან, დაადგინონ მისი სავარაუდო დრო და ადგილი, აგრეთვე გაარკვიონ დანაშაულის ჩადენის პირობები და მიზეზები[1].

ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერი სისხლის სამართლის პროცესის მიერ 2004 წლის 13 თებერვალსა და 2005 წლის 25 მარტის ცვლილებების შედეგად – აღიარებული იქნა მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, „მტკიცებულებად ს.ს.პროცესში დასაშვებია ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი. რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას. ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, თუ იგი დაფიქსირებულია: ა.ფარულად იმ პირის

1 გ.მეფარიშვილი „მიღწევები თუ დანაკარგები?“ მართლმსაჯულება და კანონი 2006წ. №5

მიერ, რომლის წინააღმდეგ მიმართული იყო დანაშაული და რომელიც არის საუბრის ან ქმედების მონაწილე; ბ.ტექნიკური საშუალებით შემთხვევით, რაც ასახავს განხორციელებულ ქმედებას".

ფარული ჩანაწერისას ფართოდ გამოიყენება ფარული საშუალებები სისხლის სამართლის პროცესში. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ხორციელდება ღია და კონსპირაციული ღონისძიებების შეთანხმების პრინციპის საფუძველზე. რაც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისათვის დამახასიათებელი და იმავდროულად სხვა ანტიკრიმინალური ხასიათის იურიდიული საქმიანობისაგან განმასხვავებელი თვისებაა.

ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერის მტკიცებულებად აღიარებით იშლება ყველა ეს მიჯნა ოპერატიულ – სამძებრო საქმიანობასა და სისხლის სამართლის პროცესს შორის.

სისხლის სამართლის პროცესში ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი მტკიცებულებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მას შემდეგ, რაც მოხდება მისი საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მისი განხილვა და გადაწყვეტა. უშუალოდ საპროცესო ურთიერთობის ფარგლებში კი აუდიო – ვიდეო ჩანაწერის ფარულად წარმოება დაუშვებელია:ეს დასაშვებია მხოლოდ არასაპროცესო საშუალებით, რაც არ გამორიცხავს ამ ინფორმაციის მტკიცების პროცესში გამოყენებას. რაიმეს შესახებ ინფორმაცია შესაძლოა მივიღოთ საპროცესო ფორმის დაუცველად,მაგრამ ამგვარი ინფორმაციის გამოყენებით მტკიცება ს.ს.პროცესის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

მტკიცება რთული პროცესია, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა საპროცესო მოქმედებას და უზრუნველყოფს სისხლის სამართალწარმოების ამოცანების შესრულებას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით. მტკიცების პროცესს შეადგენს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რომელიც მტკიცებულებათა მოპოვების, შემოწმებისა და შეფასების მიზნით განხორციელდა. ინფორმაცია, რომელსაც მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს მოპოვებული

უნდა იქნეს მტკიცების პროცესის ფარგლებში, საპროცესო მოქმედებების შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული ცნობები არ დაერთვება საქმეს და არ იქნება გამოყენებული მტკიცებულებად. ს.ს.საპროცესო კოდექსმა ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი მტკიცებულების სახედ მიიჩნია. მაგრამ, ცხადია, რომ მისი მოპოვება ხდება არასაპროცესო საშუალებით. ამდენად, ის არ განეკუთვნება მტკიცებითი სამართლის სფეროს. მის მოპოვებაში უშუალოდ არ მონაწილეობს და ამ პროცესს არ აკონტროლებს არც საგამოძიებო ორგანო და არც სასამართლო, არადა სწორედ სისხლის სამართალწარმოების ორგანოების მიერ ინფორმაციის გამოვლენის, მიღებისა და დამაგრების მიზნით განხორციელებული მოქმედებების ერთობლიობა უზრუნველყოფს ინფორმაციის მაქსიმალურ სიზუსტეს და ქმნის მისი საიმედოობის დამატებით გარანტიებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნებისმიერი აუდიო-ვიდეო ჩანაწერის აღიარება მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ სისხლის სამართლის პროცესში არამართლზომიერია.

თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ობიექტური სინამდვილის ამსახველი ინფორმაცია, რომელიც რეალურად არსებობს, როცა საქმის ძიებისას ს.ს.პროცესის მიზანი ყოველთვის არ მიიღწევა, ნებისმიერმა ინფორმაციამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი შეასრულოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. არაერთი გაუხსნელი საქმიდან აშკარაა:საგამოძიებო პრაქტიკის წინაშე დგას პრობლემა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა განვითარდეს მტკიცებულებათა მოპოვების საშუალებები და გაიზარდოს მათი ეფექტურობა. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ს.ს.პროცესში გაფართოვდეს მტკიცებულებითი ბაზა და უზრუნველყოფილ იქნეს დამნაშავეთა მიერ კვალის სახით დატოვებული ყველა შესაძლო ინფორმაციის მაქსიმალურად გამოდევნა და გამოყენება. თუ გამოძიების ორგანოები აღმოაჩენენ აუდიო ან ვიოდეო ჩანაწერს, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ამა თუ იმ გარემოებას ასახავს, ის ვერ იქნება დატოვებული უყურადღე-

ბოდ. მთავარი ამ შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვების საშუალებაა. თუ აუდიოვიდეოჩანაწერი, რომელიც შესაძლოა ფარულადაც იქნეს ჩაწერილი, აღმოჩენილი იქნება მტკიცების პროცესში სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყების შემდეგ, ინფორმაციის მტკიცებულებითი მნიშვნელობა საეჭვო არ არის. ფარული აუდიო – ვიდეო ჩანაწერიც იმისათვის, რომ ეს სისხლის სამართლის საქმეს დაერთოს მტკიცებულებად. აუცილებლად უნდა გაირკვეს მისი წარმოშობის წყარო და მასში მოცემული ინფორმაციის უტყუარობა და საიმედოობა. ეს მოთხოვნები წაეყენება არა მხოლოდ ფარულ აუდიო-ვიდეო ჩანაწერს არამედ ნებისმიერი სახის მტკიცებულებათა შემოწმებასა და საპროცესო დამაგრებას.

ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერის შემოწმების რამდენი საშუალება არსებობს. უპირველეს ყოვლისა კი აუცილებელია მოწმის სახით დაიკითხოს ჩანაწერის მწარმოებელი პირი. მოწმის დაკითხვა საგამოძიებო მოქმედებაა, ხოლო თავად მოწმის ჩვენებაც მტკიცებულების საპროცესო წყარო. ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერის მწარმოებლის დაკითხვით ხდება მტკიცებულების ისეთი სახის მოპოვება, როგორიცაა მოწმის ჩვენება, რომელშიც ასახვას პოვებს ოპერატიული გზით მოპოვებული ინფორმაცია. ამგვარად, ამ გზით შესაძლებელია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მიღებული ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერში მოცემული ინფორმაცია გახდეს საპროცესო წყაროს შინაარსი, რაც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის თვით ფარული აუდიო – ვიდეო ჩანაწერში მოცემული ინფორმაცია გახდეს საპროცესო წყაროს შინაარსი, და გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად.

§5. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია

სისხლის სამართლის პროცესში გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მრავალრიცხოვან ფაქტებთან გვაქვს საქმე, ამიტომ საჭიროა მტკიცებულებათა კლასიფიკაცია ანუ დაყოფა ცალკეულ სახეებად გარკვეული ნიშნების მიხედვით, რაც ხელს უწყობს დასაბუთებული დასკვნების ფორმირებას სისხლის სამართლის საქმეზე.

სისხლის სამართლის პროცესში მიღებულია მტკიცებულებათა კლასიფიკაციის 4 სახე, კერძოდ: 1. გამამართლებელი და გამამტყუნებელი მტკიცებულებები; 2. პირველადი და წარმოებული მტკიცებულებები; 3. პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები; 4. პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები.

1. გამამართლებელი და გამამტყუნებელი მტკიცებულებები. მტკიცებულებათა დაყოფას გამამტყუნებელ ან გამამართლებელ მტკიცებულებად საფუძვლად უდევს ბრალდების საგანი ე.ი. თუ რა ურთიერთობაშია მტკიცებულება ბრალდების საგანთან. აღნიშნულ დაყოფას გააჩნია როგორც თეორიული, ისე უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ვინაიდან, ყველა სისხლის სამართლის საქმეზე უნდა იქნეს დადგენილი, როგორც ბრალდებულის მამხილებელი, ისე მისი გამამართლებელი გარემოებანი, როგორც ბრალდებულის ბრალის დამამტკიცებელი, ისე ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი.

გამამატყუნებელ მტკიცებულებებს წარმოადგენენ ფაქტიური მონაცემები, რომლებიც ამტყუნებს პირს დანაშაულის ჩადენაში ან ამძიმებს მის პასუხისმგებლობასა და პროცესუალურ მდგომარეობას. მაგ: ექსპერტის დასკვნა იმის შესახებ, რომ შემთხვევის ადგილზე თითის ანაბეჭდი დატოვებულია ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ წარმოადგენს გამამტყუნებელ მტკიცებულებას.

გამამართლებელ მტკიცებულებებს კი მიეკუთვნება ფაქტიური

მონაცემები, რომლებიც ამართლებენ პირს გარკვეული დანაშაულის ჩადენაში ან ამსუბუქებენ მის მდგომარეობას. მაგ: თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა სხვა ქალაქში, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მომენტში მას არ შეეძლო ჩაედინა მკვლელობა, აღნიშნული გარემოების დადგენა კი ამართლებს პირს დანაშაულის ჩადენაში და წარმოადგენს გამამართლებელ მტკიცებულებას.

არსებობს ისეთი კატეგორიის მტკიცებულებები, როდესაც მტკიცებულების ერთ სახეში (წყაროში) დადგენილია როგორც გამამართლებელი ისე გამამტყუნებელი ფაქტები, მაგ: ექსპერტის დასკვნა, რომ ფეხის კვალი შემთხვევის ადგილზე დატოვებულია ბრალდებულის მიერ (გამამტყუნებელი მტკიცებულებაა),ხოლო თითის ანაბეჭდი საგანზე დატოვებული არ არის ბრალდებულის მიერ (გამამართლებელი მტკიცებულებაა).

გამამართლებელი და გამამტყუნებელი მტკიცებულებები თავის შეფასებას პოულობენ საბრალდებო დასკვნაში. ხოლო საბოლოოდ კი სასამართლოს განაჩენში. საბრალდებო დასკვნა, როგორც წინასწარი გამოძიების შემაჯამებელი იურიდიული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მტკიცებულებათა თვალსაჩინო და დამაჯერებელ ანალიზს. რაც თავისთავად ეხმარება სასამართლოს საქმის არსებითად განხილვისას სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში. ვინაიდან განაჩენის დასაბუთება ასევე შეუძლებელია მტკიცებულებათა ამგვარი დაყოფისა და მათი ანალიზის გარეშე.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე აქვს მტკიცებულებათა ამგვარ დაყოფას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

2. პირველადი და წარმოებული მტკიცებულებები. მტკიცებულებათა ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს მტკიცებულების მიღების წყარო. პირველად ანუ თავდაპირველ მტკიცებულებებს მიეკუთვნება ის მტკიცებულება რომელიც მიღებულია პირველი

წყაროდან. წარმოებული მტკიცებულებას კი მიეკუთვნება ისეთი მტკიცებულება, რომელიც მიღებულია მეორე წყაროდან.

პირველად მტკიცებულებებს წარმოადგენს მაგ: დანაშაულებრივი ფაქტის თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ხოლო იმ მოწმის ჩვენება მოვლენაზე, რომელიც მას პირადად არ უნახია, მაგრამ მოისმინა (გადმოცემით იცის) სხვა პირისაგან არის ნაწარმოები მტკიცებულება. ასევე შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ფეხის კვალი, ან დოკუმენტის ორიგინალი პირველადი მტკიცებულებაა, ხოლო ფეხის კვალიდან დამზადებული ტვიფარი ან დოკუმენტის ასლი კი არის ნაწარმოები მტკიცებულება.

ნაწარმოები მტკიცებულების გამოყენების ყველა შემთხვევაში ცნობილი უნდა იყოს მისი მიღების წყარო (მაგ: თვითმხილველი) და უნდა მოხდეს აღნიშნული პირის დაკითხვა. ვინაიდან მოვლენის თვითმხილველი, გადმოსცემს ფაქტს ზუსტად და უფრო სრულად, ვიდრე ის პიროვნება, რომელმაც აღნიშნულის შესახებ გადმოცემით იცის.

თვითმხილველის ჩვენების შემოწმება გაცილებით მარტივია და უტყუარი. ამიტომ არის უფრო მისაღები. თუ შეუძლებელია ამა თუ იმ მონაცემის დადგენა რომლის შესახებაც იძლევა ინფორმაციას დასაკითხი პირი ეს ინფორმაცია კარგავს თავის მტკიცებულებით მნიშვნელობას. არ შეიძლება მტკიცებულებითი მნიშვნელობა ჰქონდეს ისეთ ფაქტიურ მონაცემს, რომელსაც ფლობს მოწმე და არ შეუძლია მიუთითოს ინფორმაციის წყაროზე. აღნიშნული ვრცელდება დაზარალებულის ჩვენებაზეც. მტკიცებულებათა დაყოფას პირველად და წარმოებულად ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ სისხლის სამართლის საქმეში ყოველთვის უნდა ინახებოდეს პირველადი მტკიცებულება, რადგან წარმოებულ მტკიცებულებასთან შედარებით იგი უფრო ახლოა სინამდვილესა და ობიექტურობასთან. თუ სისხლის სამართლის საქმეში ერთდროულად არის როგორც პირველადი ისე წარმოებული მტკიცებულება, საჭიროების შემთხვევაში და კანონით

დადგენილი წესით, წარმოებული მტკიცებულება შეიძლება დაუბრუნდეს მის მფლობელს, ხოლო საქმეში უნდა დარჩეს პირველადი მტკიცებულება.

წარმოებული მტკიცებულება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს საქმეში,როდესაც პირველადი მტკიცებულების საქმეზე დართვა პრაქტიკულად შეუძლებელია სწრაფადფუჭებადობის ან დიდი მოცულობის გამო.

3. პირდაპირი და ირიბი მტკიცებულებები. მტკიცებულებათა დაყოფას პირდაპირ და ირიბად (არაპირდაპირად) საფუძვლად უდევს მტკიცებულების კავშირი მტკიცების საგანთან (გარემოებებთან, რომლებიც უნდა დამტკიცდეს ყველა სისხლის სამართლის საქმეზე).

მტკიცებულება, რომელიც უშუალო კავშირშია მტკიცების საგანთან, პირდაპირ და უშუალოდ ამტკიცებს მტკიცების საგანს ან მის რომელიმე ელემენტს, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას. მაგ: თუ მოწმე იძლევა ჩვენებას, რომ მან უშუალოდ იხილა მკვლელობის ფაქტი, ასეთი ჩვენება წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რადგან მიუთითებს და ადგენს მტკიცების საგნის ელემენტებს: დანაშაულის შემთხვევასა და კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენას.

მტკიცებულება რომელიც პირდაპირ და უშუალოდ არ ამტკიცებს მტკიცების საგანს ან მის რომელიმე ელემენტს, მაგრამ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში და ობიექტურ კავშირში იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს საქმეზე მტკიცების საგანი ან მისი რომელიმე ელემენტი, ეწოდება ირიბი მტკიცებულება.

არაპირდაპირ (ირიბ) მტკიცებულებათა გამოყენების დროს მთავარია დამტკიცდეს დადგენილი ფაქტების კავშირი მოცემულ საქმესთან და მათი ერთობლიობა საკმარისი იყოს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. არაპირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს მაგ: ექსპერტის დასკვნა იმის შესახებ, რომ მაღაზიაში,

დახლზე თითის ანაბეჭდი დატოვებულია კონკრეტული პირის მარჯვენა ხელის შუა თითით. ექსპერტის აღნიშნული დასკვნა არ ამტკიცებს მტკიცების საგნის არც ერთ ელემენტს, მაგრამ თუ ამ ფაქტის გარდა, დადგენილი იქნება სხვა გარემოებები, კერძოდ, მისი ბინის ჩხრეკის დროს აღმოჩენილი სხვადასხვა საგნები და ა.შ. ერთობლიობაში იძლევა საშუალებას დავადგინოთ მტკიცების საგანი, პირის ბრალეულობა.

4. პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებები. მტკიცებულებათა დაყოფას პიროვნულად და ნივთიერად საფუძვლად უდევს მტკიცებულებითი ფაქტებისა და გარემოებების აღქმა და მისი გადმოცემა.

პიროვნულია ისეთი მტკიცებულება, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით. პიროვნულ მტკიცებულებებს მიეკუთვნება დაკითხვის ოქმი, ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ოქმი, ექსპერტის დასკვნა და ა.შ.

ნივთიერია ისეთი მტკიცებულება, რომელიც გამოსახულია მატერიალური ობიექტების სახით, მაგ: ფეხის კვალი, ნივთები, საგნები, ფასეულობა და ა.შ. მატერიალური ობიექტების შემცველი ინფორმაცია გადმოცემულია არა სიტყვიერი ფორმით, არამედ საგნის ნიშნების უშუალო აღქმით. ნივთიერი მტკიცებულება საჭიროებს დაწვრილებით აღწერას მისი ზოგადი და კერძო ნიშნების ფიქსირებას, აღმოჩენის ადგილის აღწერას, მისგან ტვიფარის დამზადების პროცესის ასახვას და ა.შ.

ყოველი მტკიცებულება უნდა შეფასდეს ყოველმხრივად, კრიტიკულად, ობიექტურად და ასეთი შეფასების შედეგად განისაზღვროს მათი პროცესუალური ძალა და მნიშვნელობა.

§6. მტკიცების პროცესი

მტკიცების პროცესი მტკიცებითი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. მტკიცების პროცესი არის პროცესის მწარმოებელი პირის (გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო, მოსამართლე) და პროცესის სხვა მონაწილეთა (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, დამცველი, დაზარალებული და ა.შ.) კანონის დაცვის საფუძველზე მტკიცებულებათა შეკრებისა და აღმოჩენის, მათი პროცესუალური დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების პროცესი. რომელიც მიზნად ისახავს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. მტკიცების პროცესი, როგორც შემეცნების პროცესი, ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე გარკვეულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მტკიცების პროცესის შედეგს წარმოადგენს როგორც შუალედური, ისე შედეგობრივი გადაწყვეტილების მიღება სისხლის სამართლის საქმეზე.

მტკიცების პროცესი შედგება 4 საფეხურისაგან, კერძოდ:1. მტკიცებულებათა აღმოჩენა და შეკრება; 2.მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრება; 3.მტკიცებულებათა შემოწმება; 4.მტკიცებულებათა შეფასება.

მტკიცებულება ჩნდება მხოლოდ სუბიექტის პროცესუალური მოქმედების შედეგად რომლის წარმოებაშიც იმყოფება სისხლის სამართლის საქმე, ამიტომ მტკიცების პროცესი წარმოუდგენელია გამომძიების ორგანოს, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს საქმიანობის გარეშე. რომლის შედეგსაც წარმოადგენს მიღებული მტკიცებულებები.

მტკიცებულებათა შეკრება – მტკიცებულებათა აღმოჩენა და შეკრება ხდება სხვადასხვა გზით, კერძოდ: საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების დროს, პროცესის მწარმოებელი პირის მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვის გზით; პროცესის მონაწილეთა მიერ მტკიცებულებათა წარდგენით; მტკიცებ-

ულებათა შეკრებას ახდენენ გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო, შესაბამისად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად მტკიცებულებათა შეკრება ხდება წინასწარი გამოძიების, სასამართლო განხილვის, სააპელაციო წარმოებისა და განაჩენის აღსრულების პროცესში. საკასაციო წარმოების სტადიაზე წარმოდგენილი ან გამოთხოვილი დამატებითი მასალა, რომელიც არ არის მტკიცებულება, თავისთავად ან საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთად შეიძლება გახდეს განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ შეცვლის საფუძველი.

მტკიცებულებათა აღმოჩენისა და მიღების ძირითად საშუალებას წარმოადგენს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარება, მტკიცებულებთა აღმოჩენა და მიღება ხდება ისეთ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების გზით, როგორიცაა დაკითხვა, ამოღება, ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოიძებო ექსპერიმენტი, გვამის ექსჰუმაცია, ჩვენების ადგილზე შემოწმება, ექსპერტიზის ჩატარება, ნიმუშების მიღება საექსპერტო კვლევისათვის.

სასამართლო განხილვისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე მტკიცებულებათა შეკრება სასამართლოს შეუძლია დაავალოს გამომძიებელს ან პროკურორს, თუ ამისათვის საჭიროა ჩხრეკა, ამოღება, გვამის ექსჰუმაცია ან სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებაც სასამართლო სხდომაზე ვერ ხერხდება.

მტკიცებულებათა წარმოდგენა შეუძლიათ ასევე ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს, მათ წარმომადგენლებს, ნებისმიერ მოქალაქეს და ორგანიზაციას. მაგ: მოქალაქემ, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა დაწესებულებამ შეიძლება თავისი ინიციატივით წარმოადგინონ მტკიცებულებები, თუ მათ მიაჩნიათ, რომ მათ მფლობელობაში მყოფ საგანს, ნივთს, დოკუმენტს კავშირი აქვს სისხლის სამართლის საქმესთან.

დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება, დოკუმენტები სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან, ორგანიზაციიდან, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ასეთი მოთხოვნა, მიმართონ მცოდნე პირს გამოთქვას თავისი აზრი საქმის გამო წამოჭრილი სპეციალური საკითხის განსამარტავად, ჩატარებული ექსპერტიზის შესაფასებლად და შუამდგომლობის დასასაბუთებლად.

დამცველისა და წარმომადგენლის მიერ მოპოვებული მასალები, დოკუმენტები, ცნობები უნდა დაერთოს საქმეს და შეიძლება წარედგინოს სასამართლოს, როგორც მტკიცებულებანი.

დამცველის დასაბუთებული მოთხოვნა საგამომძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სავალდებულოა გამომძიებლისა და პროკურორისათვის. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო მისი ასლი გადაეცეს დამცველსაც, რომელსაც უფლება აქვს დაიმოწმოს ისინი პირის უდანაშაულობის ან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა დასამტკიცებლად.

მტკიცებულებათა საპროცესო დამაგრება. არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობა სისხლის სამართლის საქმეზე. მას პროცესუალური მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი მიღებული იქნება საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით და ამავე დროს სათანადოდ პროცესუალურად დამაგრებული. კერძოდ, მტკიცებულების მნიშვნელობის ცნობა უნდა იქნეს შეტანილი საგამოძიებო მოქმედების ან სასამართლო განხილვის ოქმში. ნივთიერი მტკიცებულება კი უნდა აღიწეროს ოქმში და დაერთოს საქმეს განჩინებით (დადგენილებით). სასამართლო მოქმედების ოქმი და დოკუმენტი საქმეს უნდა დაერთოს სპეციალურად გამოტანილი დადგენილების გარეშე.

მტიცებულებათა დამაგრების მიზნით გამოიყენება არა მხ-

ოლოდ ოქმი, არამედ ტექნიკური საშუალებები: ფოტოაპარატი, ვიდეოპარატი, კინოაპარატი. მათი გამოყენების შესახებ კი უნდა მიეთითოს შესაბამის საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებში, ხოლო შესაბამისი მასალები კი დაერთოს საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებს.

მტკიცებულებათა შემოწმება – მტკიცებულებათა შემოწმებას ახორციელებს გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო, ე. ი. მტკიცებულებათა შემოწმება ხორციელდება პროცესის ყველა სტადიაზე, შემოწმებას ექვემდებარება როგორც ფაქტიური მონაცემები, ასევე მათი მიღების წყაროები, ასევე ნებისმიერი მტკიცებულებები ცალ-ცალკე. მტკიცებულებათა შემოწმებას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები და უფლებამოსილი პირები, რომელთა საქმიანობაზეც არის დამოკიდებული შესაბამისი პროცესუალური გადაწყვეტილების მიღება. პროცესის სხვა სუბიექტები მხოლოდ იღებენ მონაწილეობას მტკიცებულებათა შემოწმებაში. მტკიცებულებათა შემოწმება ხდება საპროცესო მოქმედებათა საშუალებითა და ლოგიკური გზით.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები აქტიურად ინერგება სისხლის სამართლის პროცესში. მაგ: ცალკეული ექსპერტიზის ჩატარების გზით. ვიდეოჩანაწერის გამოყენების გზით მტკიცებულებათა შემოწმებისას და ა.შ.

კანონმა განსაზღვრა მათი სათანადოდ ფიქსაციის პროცესუალური წესი.

მტკიცებულებათა შეფასება – მტკიცებულებათა შეფასება წარმოადგენს მტკიცების პროცესის აუცილებელ და შემჯამებელ საფეხურს, მტკიცებულებათა შეფასება წარმოადგენს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის აზრობრივ და ლოგიკურ პროცესს. მტკიცებულებათა შეფასებისას ისინი ხელმძღვანელობენ თავიანთი შინაგანი რწმენით, აფასებენ მტკიცებულებებს კანონის დაცვის საფუძველზე ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად.

მტკიცებულებათა შეფასება ხდება პროცესის ყველა სტადიაზე. კანონი ადგენს პროცესის ყველა სტადიისათვის საერთო მოთხოვნებს მტკიცებულებათა შეფასებისას.

მტკიცებულებათა შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმის ჩვენების ფორმირების პროცესიც, რომელსაც შეუძლია გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს ჩვენების აღიარების ობიექტურობაზე,მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ფაქტებისა და გარემოებათა აღქმა, დამახსოვრება და გადმოცემა.

ჩვენებათა შეფასების დროს გათვალიწინებული უნდა იყოს აღქმის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური გარემოებანი რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენებათა სისწორეზე.

ჩვენებათა შეფასების დროს ასევე გათვალიწინებულ უნდა იქნეს აღქმული და დამახსოვრებული ჩვენების გადმოცემის უნარი.

თუ ჩვენებათა შეფასების პროცესში დადგინდება, რომ პირს არ შეეძლო სწორად და სრულყოფილად აღექვა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ფაქტები და გარემოებები, ამ შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, უნდა დაინიშნოს ფსიქიატრიული ან კომპლექსური ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ჩვენებათა შეფასების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული და ამავე დროს კრიტიკულად შეფასებული ბრალის აღიარების ფაქტი, გათქმა, თვითგათქმა და ალიბი.

ბრალის აღიარება არ შეიძლება გამოყენებული იყოს უტყუარ მტკიცებულებად მისი კრიტიკური შეფასების გარეშე. ბრალის აღიარება შეიძლება არასწორად იყოს მიჩნეული, თუ შეფასების პროცესში დადგინდა, რომ ბრალის აღიარებას ადგილი ჰქონდა გარკვეული თანხის მიღების მიზნით და ა.შ.

შეფასების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთი

ფაქტის დადგენაზე, როგორიცაა გათქმა. გათქმა ნიშნავს იმას, რომ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ამხელს დანაშაულში სხვა პირს იმ მიზნით, რომ აიცილოს პასუხისმგებლობა. თვითგათქმა კი გულისხმობს პირის მიერ თავისი დანაშაულის აღიარებას (იმ შემთხვევაში, როდესაც მას აღნიშნული ქმედება არ ჩაუდენია) იმ მიზნით, რომ დაფაროს მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული და გამოძიება, სასამართლოში საქმის განხილვა წარმართოს არასწორი გზით.

ასევე კრიტიკულად უნდა შემოწმდეს ალიბი. (ალიბი – ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის ჩადენის დროს პირი იმყოფებოდა სხვა ადგილზე და ამ დროს და ამ მომენტში არ შეეძლო ჩაედინა მოცემული დანაშაული). ალიბის განცხადების შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს 2 პირობა: ალიბის შესახებ დაწვრილებით უნდა იყოს დაკითხული პიროვნება და ჩვენების სისწორე უნდა შემოწმდეს სწრაფად და ოპერატიულად.

მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულყოფილ და ობიექტურ შეფასებას მტკიცების პროცესში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება რადგან საბოლოოდ განსაზღვრავს თითოეული მტკიცებულების ძალასა და პროცესუალურ მნიშვნელობას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

თავი VII

პასუხისმგებლობა წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის

სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიებისათვის, სასამართლოში განხილვისა და გადაწყვეტისათვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გარკვეულ გარანტიებს იძლევა, წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაწესებით.

ამ გარანტიათა ჯგუფში ცალკე უნდა გამოვყოთ: ა) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობა საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის; ბ) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის და გ) პასუხისმგებლობა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე, სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის და წესრიგის დარღვევისათვის.

ა) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობა საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის ითვალისწინებს: ერთის მხრივ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ასე მაგალითად: თუ მოწმე ან დაზარალებული უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, მას დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მოწმეს ან დაზარალებულს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თუ ისინი ეჭვმი-

ტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის ახლო ნათესავები არიან, ან თუ უნდა უპასუხონ იმ შეკითხვებს, რომელიც ამხელს მათ დანაშაულის ჩადენაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაშიც, როცა გამოძიების დროს ან სასამართლოში მოწმე ან დაზარალებული მისცემს ცრუ ჩვენებას, ასევე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება ექსპერტის თუ იგი მისცემს ყალბ დასკვნას ან ცრუ ჩვენებას, ხოლო თარჯიმანი კი განზრახ არასწორად თარგმნის საპროცესო დოკუმენტს ან პროცესის მონაწილის ჩვენებას. მოწმის ან დაზარალებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371[1]-ე მუხლით, თუ ისინი მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებას მისცემენ გამოძიების დროს ან სასამართლოში (აქცენტი ძირითადად გადატანილია სასამართლოზე). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენისათვის.

მეორეს მხრივ, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა მხრიდან საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობა წარმოშობს არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ ისეთი სახის იძულებით ღონისძიებას, როგორიცაა ფულადი ჯარიმა. ასე მაგალითად, თუ ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან დამსწრე უარს იტყვის ან თავს აარიდებს თავის მოვალეობათა შესრულებას არასაპატიო მიზეზით, მას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლით დადგენილი წესით დაეკისრება ფულადი ჯარიმა 500 ლარამდე ოდენობით.

ხოლო, თუ მოწმე, დაზარალებული არ შეასრულებენ გა-

მომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს კანონიერ მოთხოვნებს — უარს იტყვიან შემოწმების, ექსპერტიზის ჩატარების, შედარებითი კვლევისათვის ნიმუშების მიღების შესახებ, მოსამართლე პროკურორის მიერ დამტკიცებული სამართალდარღვევის ოქმისა და თანდართული მასალების საფუძველზე მათ დააკისრებს ფულად ჯარიმას 500 ლარამდე ოდენობით. მოსამართლე აღნიშნული წესის დაცვით დააკისრებს ფულად ჯარიმას 500 ლარამდე ოდენობით ყველა იმ პირებს, რომლებიც ხელს შეუშლიან გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, გვამის ექსჰუმაციის, ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებაში. ასეთივე პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იურიდიულ პირთა ან ადმინისტრაციულ ორგანოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც ხელს შეუშლიან გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გამოძახებით იმ პირთა გამოცხადებას, რომლებიც არიან ბრალდებული, ეჭვმიტანილი, დაზარალებული, მოწმე, სპეციალისტი, ექსპერტი, თარჯიმანი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, მათი წარმომადგენლები; აგრეთვე იმისთვის, თუ განუხილველი დარჩა ან/და დროულად არ გაეცა პასუხი კერძო განჩინებას (დადგენილებას) ან წარდგინებას კანონის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების შესახებ (სსსკის 205-ე მუხლი).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი აწესებს ქონებრივ პასუხისმგებლობას თავდები პირების მიმართ; ბრალდებულის, განსასჯელის სახელით გირაოს შემტანი პირების მიმართ; მშობლების, მეურვეების და მზრუნველების მიმართ, თუ ისინი ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებენ, ვერ უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით მათთან გამოცხადებას. მაგრამ თუ თავდები პირები, ასევე არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლები, მეურვეები, მზრუნველები დაამტკიცებენ, რომ

ბრალდებულის სათანადო ქცევის შესაძლებლობა ვერ უზრუნველყვეს დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო (მაგ. ოთახში ჩაკეტეს, გათოკეს და ა.შ.), ისინი გათავისუფლდებიან ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული პირები, იმ შემთხვევაშიც განთავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ პროცესის მწარმოებელ პირებს მიმართავენ წერილობით და უარს იტყვიან ნაკისრ ვალდებულებაზე იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რომელსაც მათი პასუხისმგებლობა მოსდევს (უარის თქმის საფუძველი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგ. ავადმყოფობა, ოჯახში ურთიერთობის გაუარესება და ა.შ). რაც შეეხება, ბრალდებულის ან განსასჯელის სახელით გირაოს შემტან პირს, თუ იგი დარწმუნდება, რომ ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის ან განსასჯელის სავალდებულო ქცევას და მის დროულ გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში, მას უფლება აქვს ამის თაობაზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართოს პროცესის მწარმოებელ ორგანოს და ის ამ დროიდან პასუხს აღარ აგებს ბრალდებულის ან განსასჯელის ქცევაზე (ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თუ დადგინდება, რომ პროცესის მონაწილე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დათქმულ დროსა და ადგილას, რამაც გამოიწვია სასამართლოში საქმის განხილვის ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადადება, ამ საპროცესო მოქმედებათა გადადებით გამოწვეული ხარჯები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გადახდება გამოუცხადებელ პირს. ასევე, თუ პროცესის მონაწილე საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით გამოძახებულია სასამართლოში და არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, მოსამართლე ვალდებულია დააჯარიმოს იგი 100 ლარ-

იდან 500 ლარამდე. ფულადი ჯარიმის გადახდა პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან.

ბ) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის წესზეა საუბარი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლში, თუ წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს, პროცესის რომელიმე მონაწილე სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ჩაიდენს დანაშაულს. აქ, უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ისეთი დანაშაული, როდესაც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს პროცესის მონაწილე საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისათვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამომძიებლის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონოდ ჩაერევა; ან/და დაემუქრება პროკურორს, გამომძიებელს, დამცველს, ექსპერტს, სამართალწარმოების სხვა მონაწილეს ან მათ ახლო ნათესავს სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით, ქონების განადგურებით, დაზიანებით; ან/და მოახდენს მტკიცებულებათა განადგურებას, ფალსიფიკაციას და ა.შ. მაგალითად, ყაჩაღობის ფაქტთან დაკავშირებით გამომძიებელი აწარმოებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას და ბრალდებული დაემუქრება მას, თუ არ შეწყვეტს წინასწარ გამოძიებას ხელყოფს მისი ოჯახის რომელიმე წევრის სიცოცხლეს ან აუფეთქებს საცხოვრებელ სახლს (მუქარა რეალურია). ბრალდებულის ეს ქმედება დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს და მისი გამოვლენისთანავე გამომძიებელი უფლებამოსილია დაიწყოს ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება. მაგრამ გამოძიება უნდა აწარმოოს არა იმ გამომძიებელმა ვის წინააღმდეგაც მიმართულია აღნიშნული ქმედება (ის დაინტერესებული პირია), არამედ სხვა გამომძიებელმა ან პროკურორმა.

რაც შეეხება ცრუ ჩვენების მიცემისათვის პირის (მოწმე, დაზარალებული) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხ-

ორციელებას, იგი შეიძლება დაიწყოს განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

გ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის, რომლის ძალითაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ, თუ ისინი სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს არღვევენ წესრიგს, გამოხატავენ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას. წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის გაძევებულსაც, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა საარსულებო ფურცელი. თუ დაჯარიმებული პირი ისევ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა.

თუ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს პირის ქმედება მიმართულია იმისაკენ, რომ ჩაიშალოს სასამართლო პროცესი ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს (მოსამართლის), გნებავთ პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის მითითებით სასამართლოს მანდატური განახორციელებს პირის დაკავებას და შეადგენს დაკავების ოქმს. თავის მხრივ, სხდომის თავმჯდომარე ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას, და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს შესაბამის სა-

სამართლოს (მოსამართლეს), რომელიც უფლებამოსილია განკარგულებით დაკავებულ პირს შეუფარდოს 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობა. თუ დადგინდება, რომ პირს ერთხელ უკვე შეფარდებული ჰქონდა აღნიშნული ქმედებისათვის პატიმრობა, სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია განკარგულებით შეუფარდოს მას 60 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობა. აქვე, უნდა გავახსოვდეს, რომ თუ პირის მხრიდან სასამართლოსადმი, პროცესის მონაწილისადმი ან მხარის მიმართ აშკარა ან/და უხეში უპატივცემულობა ან პროცესის ჩაშლისაკენ სწრაფვა გამოვლინდა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი ან ორზე მეტი მოსამართლეა, განკარგულება წესრიგის დამრღვევი პირის დაპატიმრების შესახებ გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს. ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. თუ ხსენებული სახის დარღვევა მოხდა მაგისტრატი მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას, განკარგულება გამოაქვს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე. სააპელაციო სასამართლოში განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მოადგილეს ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გარდა დიდი პალატისა, განკარგულება გამოაქვს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს იმ მოსამართლეს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში.

თუ მოხდა ისე, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წესრიგი დაარღვია იმ პირმა, რომლის ვინაობაც დაუდგენელია, თვითონ დამრღვევიც უარს აცხადებს

საკუთარი ვინაობის გამჟღავნებაზე ან სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო შეუძლებელია მისი პიროვნების ვინაობის დადგენა, სასამართლოს მანდატური ადგენს ოქმს, რომელშიც აღიწერება წესრიგის დამრღვევი პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშანი (სავარაუდო ასაკი, სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, თვალის ფერი, სხვა გარეგნული თავისებურებანი და ნიშნები), რომლითაც შესაძლებელია ამ პირის გაიგივება (დადგენა). ასევე შესაძლებელია, ოქმში აღნიშვნით პირს მიენიჭოს პირობითი სახელი ციფრების ან/და ანბანის სიმბოლოების იმგვარი კომბინაციით, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლებელს გახდის ამ პირის გაიგივებას (დადგენას). აღნიშნული ოქმი და დამრღვევის ფოტოსურათი დაერთვის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებას. თუ ხსენებული პირი წესრიგის დარღვევისათვის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებული ან/და დაპატიმრებული უნდა იქნეს, განკარგულება აღსრულდება დაუყოვნებლივ, ხოლო დაჯარიმების შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულება და სასამართლოს მანდატურის მიერ შედგენილი ოქმი დარღვევის შესახებ, დამრღვევი პირის ფოტოსურათთან ერთად ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პირის გაიგივების (იდენტიფიცირების) მიზნით და აღსასრულებლად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლი ითვალისწინებს პირის პასუხისგებაში მიცემის წესს, სასამართლო განხილვის სტადიაზე სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ დანაშაულთა რიცხვში უპირველეს ყოვლისა იგულისხმება სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით; ასევე სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით; ასევე სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით მოსამართლის ან მისი

ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების თუ დაზიანების მუქარა და ა.შ. თუ სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე გამოვლინდა, რომ არსებობს საფუძველი სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრე პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, სასამართლოს (მოსამართლეს) განაჩენთან ან სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გამოაქვს განჩინება (დადგენილება), რომ პროკურორს წინასწარი გამოძიებისათვის გაეგზავნოს სათანადო მასალები. ამავე დროს სასამართლოს მანდატური უფლებამოსილია დააკავოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი და დაუყოვნებლივ გადასცეს იგი პოლიციას ან სხვა სამართალდამცავ ორგანოს. სასამართლოს მანდატური პირის დაკავების თაობაზე ადგენს ოქმს და თუკი ექნება საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულ პირს აქვს იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში თავისი მამხილებელი მტკიცებულებები, ჩაუტარებს პირად ჩხრეკას, რასაც კიდეც აღნიშნავს დაკავების ოქმში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლის მიერ დაწესებული პასუხისმგებლობა წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის, გარკვეულ გარანტიას ქმნის სისხლის სამართლის საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების და სასამართლოში განხილვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებების, კანონიერი ინტერესების დასაცავად.

თავი VIII

სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის სხვა დებულებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე კარი (თავები 26-ე – 32-ე) განიხილავს და წყვეტს ზოგადი ნაწილის ისეთ დებულებებს, რომლებიც დამახასიათებელია საპროცესო ურთიერთობის დროს წარმოქმნილი ორგანიზაციული და საპროცესო საკითხების გადაწყვეტასთან. საპროცესო კანონის ძალით აღნიშნულ საკითხებს მიეკუთვნება: საპროცესო ვადები; სასამართლო ხარჯები და მათი ანაზღაურება; რეაბილიტაცია; შუამდგომლობათა განხილვა და გადაწყვეტა; საჩივარი, სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება და გამოყოფა, დაბოლოს, სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ურთიერთქმედება საზღვარგარეთის სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებთან სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით. აღნიშნული საკითხები დახასიათებული უნდა იყოს ცალ-ცალკე.

§1. საპროცესო ვადები

სისხლის სამართლის პროცესში საპროცესო ვადების ცნების ქვეშ იგულისხმება დროის ის განსაზღვრული მონაკვეთი, რა პერიოდშიაც ჩატარებულ უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებული ესა თუ ის საპროცესო მოქმედება ანდა მიღებულ იქნეს გარკვეული გადაწყვეტილება.

საპროცესო ლიტერატურაში საპროცესო ვადების სახეებად დაყოფას სხვადასხვა კრიტერიუმით ახდენენ.

ზოგიერთი ავტორი საპროცესო ვადებს ორ სახედ ყოფს: პირველს მიაკუთვნებს იმ ვადებს, რომლებიც კანონითაა დადგე-

ნილი და გათვალისწინებულია ერთგვაროვანი სამართლებრივი ურთიერთობის ყველა შემთხვევისათვის, ხოლო მეორეს — ვადებს, რომლებსაც ადგენს სისხლის სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოები[1]:

ავტორთა გარკვეული ნაწილიც, საპროცესო ვადებს ორ სახედ ყოფს, მაგრამ ასეთ დაყოფას ისინი ახდენენ სხვა კრიტერიუმით: კერძოდ კი: პირველ სახეს მიაკუთვნებენ ვადებს, რომელთა მიზანიცაა მაქსიმალურად შეამცირონ დროის მონაკვეთი მომხდარ ფაქტსა და პირის მიმართ შესაბამისი სასჯელის სახეობის (თუ სხვა ღონისძიების) შეფარდებას შორის. მეორე სახეობას მიაკუთვნებენ ვადებს, რომლებიც ქმნიან გარანტიას რეალურად იქნეს დაცული პროცესის მონაწილეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები[2].

ავტორთა ნაწილი საპროცესო ვადებს სამ სახედ ყოფს: აბსოლუტურად განსაზღვრული, შედარებით განსაზღვრული და ალტერნატიული.

აბსოლუტურად განსაზღვრულ საპროცესო ვადებს მიაკუთვნებენ ზუსტად განსაზღვრულ დროს, რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულდეს კონკრეტული საპროცესო მოქმედება. აბსოლუტურად განსაზღვრულია საპროცესო ვადა, როდესაც კანონი ითხოვს, შესრულდეს ესა თუ ის საგამოძიებო მოქმედება, დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობაში მყოფი განსასჯელი სასამართლო სხდომის დარბაზიდან თუ იგი გაამართლეს და ა.შ.

შედარებით განსაზღვრულ ვადად მიიჩნევენ კანონში მითითებულ საპროცესო ვადის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს. მაგალითად, „განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღეღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქ-

---

1 იხ. Уголовный процесс: Учебник для вузов / Под ред. В. П. Божьева, 2-ое изд., – М., спарк, 2000, с. 210.

2 იხ. Тертышник В.М., Уголовный процесс. Учеб. пособие, 2-ое изд., Харьков, 1999, с. 26.

მეზე – არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა, განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს მსჯავრდებულს ან გამართლებულს (სსსკ-ის 514-ე მუხლი) და ა.შ.

ალტერნატიული საპროცესო ვადებია, როდესაც კანონი ითვალისწინებს საპროცესო მოქმედების ჩატარებას ამა თუ იმ დროის მონაკვეთში. მაგალითად, „ბრალდება წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათისა, ხოლო დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში – არა უგვიანეს მისი მოყვანიდან 24 საათში“ (სსსკ-ის 283-ე მუხლი) და ა.შ.[1]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საპროცესო ვადების კლასიფიკაციას ახდენენ სხვადასხვა საფუძვლებით, მაგრამ მათ ყველა შემთხვევაში ერთნაირი დანიშნულება აქვთ – უზრუნველყონ სისხლის სამართალწარმოების სწრაფი და დროული მსვლელობა, რათა მოკლე მონაკვეთში დადგინდეს ჭეშმარიტება სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები კოდექსის 212-ე მუხლის თანახმად: გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით.

ვადები, რომელიც საათებით გამოითვლება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემდეგ მუხლებში: მე-12 მუხლი (III ნაწ.); მე-13 მუხლი (II ნაწ.); 24-ე მუხლი (VI ნაწ.); 72-ე მუხლი (II ნაწილი); 83-ე მუხლი II, VII ნაწილები); 108-ე მუხლი (IX ნაწ.); 138-ე მუხლი (I ნაწ.); 140-ე მუხლი (VIIნაწ.); 160-ე მუხლი (I, II ნაწ.); 195-ე მუხლი (II ნაწ.); მე-200 მუხლი (I ნაწ.); 243-ე მუხლი (I ნაწ, III ნაწ.); 283-ე მუხლი (I ნაწ.); 290-ე მუხლი (II ნაწ.); 292-ე მუხლი (IV ნაწ.); 302-ე მუხლი; 416-ე მუხლი (III ნაწ.); 647-ე მუხლი (IV ნაწ.).

---

1 Советский уголовный процесс. Учебник, отв. ред. К. Ф. Гуценко, Юридическая литература, М., 120-121.

ვადები, რომელიც დღე-ღამეებით გამოითვლება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემდეგ მუხლებში: 137-ე მუხლი (I ნაწ.); 147-ე მუხლი; 231-ე მუხლი (VI ნაწ.); 399-ე მუხლი (II ნაწ.); 413-ე მუხლი; 454-ე მუხლი (II ნაწ.); 455-ე მუხლი (I ნაწ.); 462-ე მუხლი (II ნაწ.); მე-500 მუხლი (VI ნაწ.); 514-ე მუხლი; 636-ე მუხლი (I ნაწ.).

რაც შეეხება დღეებით ვადების გამოთვლას, იგი შინაარსობრივად უთანაბრდება დღე-ღამეებით ვადების გამოთვლას. დღეებით ვადების გამოთვლა გათვალისწინებულია ხსენებული კოდექსის შემდეგ მუხლებში: 72-ე მუხლი (I ნაწ.); 83-ე მუხლი (V და VII ნაწილები); 108-ე მუხლი (XI, XII ნაწილები); 140-ე მუხლი (XV ნაწ.); 163-ე მუხლი (I, II ნაწილები); 242-ე მუხლი (IV ნაწ.); 285-ე მუხლი (IV ნაწ); 449-ე მუხლი (II ნაწ.); 475-ე მუხლი (IV ნაწ.); 527-ე მუძლი (I ნაწ.); 529-ე მუხლი (III ნაწ.); 552-ე მუხლი (II ნაწ.); 596-ე მუხლი (III, V ნაწილები); 598-ე მუხლი (II, III ნაწილები); 599-ე მუხლი (VII ნაწ.).

ვადები, რომელიც თვეებით გამოითვლება, გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემდეგ მუხლებში: 50-ე მუხლი (IV ნაწ.); 75-ე მუხლი (IV ნაწ.); 162-ე მუხლი (III, IX ნაწილები); 226-ე მუხლი (II ნაწ.); 528-ე მუხლი; 607-ე მუხლი (I ნაწ.დ) პუნქტი, II ნაწ.); 610-ე მუხლი (III ნაწ.); 618-ე მუხლი (V ნაწ.).

წლის მიხედვით ვადების გამოთვლისას გამოიყენება თვეების მიხედვით ვადების გამოთვლის წესი. თითოეული წელი ტოლია თორმეტი თვის. წლების მიხედვით ვადების გამოთვლა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე (I ნაწ.); 601-ე მუხლის II ნაწ. და 607-ე მუხლის (I ნაწ. ბ), გ) პუნქტებით.

ვადების გამოთვლისას, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე

მუხლში; „მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა, დაპატიმრებისა, რომელთა ხანგრძლივობაც გამოითვლება წუთებით“. ასე მაგალითად, პოლიციის დაწესებულებაში უფლებამოსილ თანამდებობის პირთან დაკავებულის მიყვანისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შედგეს დაკავების ოქმი, სადაც უნდა მიეთითოს, როგორც დაკავების დღე, ასევე მისი მიყვანის საათიც. რამდენადაც ამ მომენტიდან უკვე აითვლება ექვსმიტანილის დაკავების ვადა.

საპროცესო კანონმდებლობა არა მხოლოდ ადგენს ვადებს, არამედ განსაზღვრავს იმასაც, თუ რა სამართლებრივი და ფაქტობრივი შედეგი მოჰყვება მათ დაუცველობას. ასე, მაგალითად, კანონმდებელი აღნიშნავს, რომ დაკავების ვადა ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია სხვადასხვა საპროცესო მოქმედებათა ჩატარების ვადები, როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას. საპროცესო ვადები პროცესის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრულ ვადაში დაიცვან საკუთარი ინტერესები: შეიტანონ საჩივარი შესაბამისი პირების უკანონო მოქმედების შესახებ, აღძრან შუამდგომლობა, გააკეთონ შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმში, წარადგინონ დამატებითი მასალები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლი ვადას გაცდენილად არ თვლის, როცა საჩივარი, შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ფოსტას ჩაბარდა ვადის ამოწურვამდე, ასევე ვადის გასვლამდე გადაეცა ან გამოეცხადა მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, ხოლო დაპატიმ-

რებულთათვის ან თუ პირი იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში — საჩივარი ან სხვა დოკუმენტი საპატიმრო ადგილის ან სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას ჩაბარდა ვადის გასვლამდე.

ვადის გაგრძელება კი შეუძლია პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

ვადის გაგრძელებისაგან უნდა განვასხვაოთ გაცდენილი ვადის აღდგენა. თუ ვადა საპატიო მიზეზითაა გაცდენილი, იგი აღდგენილი უნდა იქნეს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილებით, რომლის წარმოებაშიც იმყოფება საქმე. საპატიო მიზეზით ვადის გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს.

ვადის გაცდენასთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება, დაინტერესებული პირის შუამდგომლობით, შეიძლება შეჩერდეს გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ საკითხის გადაწყვეტამდე (სსსკ 215-ე მუხლი).

თუ ვადა არ იქნა აღდგენილი და საპროცესო მოქმედება ჩატარდა დადგენილი ვადის შემდეგ, ეს მოქმედება ბათილად ჩაითვლება (საპროცესო ვადების გამოთვლის, დაცვის წესს, ვადის გაგრძელებას, გაცდენილი ვადის აღდგენისა და მის შედეგებს განსაზღვრავს საქართველოს საპროცესო კოდექსის 212-ე — 216-ე მუხლები).

§2. სასამართლო ხარჯები

სასამართლო ხარჯების ცნების ქვეშ იგულისხმება ის ფულადი სახსრები, რომელიც დახარჯულ იქნა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას.

როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლშია აღნიშნული, სასამართლო ხარჯებია: ა) წინასწარი

გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლოს შესანახად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული ფულადი სახსრები სისხლის სამართლის თითოეულ საქმეზე; ბ) პროცესის მწარმოებელ ორგანოში საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის პროცესის მონაწილეთა გამოძახებასთან დაკავშირებით მათი გადასახდელებისა და გასამრჯელოსათვის დახარჯული ფულადი სახსრები.

სასამართლო ხარჯები შედგება: ა) დაზარალებულის, მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტისათვის გადახდილი თანხებისაგან — გამოცხადების ხარჯებისა და დღიური თანხის ანაზღაურების წესით; ბ) საპროცესო მოვალეობათა შესასრულებლად ექსპერტის, სპეციალისტისა და თარჯიმნისათვის გასამრჯელოს სახით გადახდილი თანხებისაგან. გ) მოწმისათვის, დაზარალებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის, რომელთაც მუდმივი ხელფასი არა აქვთ გადახდილი თანხებისაგან, თუ ეს პირები მოსცდნენ ჩვეულებრივ საქმიანობას; დ) პროცესის მწარმოებელ ორგანოში პროცესის მონაწილეთა გამოძახებასთან დაკავშირებით მათ მიერ გაცდენილი მთელი დროის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხებისაგან; ე) ეჭვმიტანილისათვის, ბრალდებულისა თუ განსასჯელისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად დამცველისათვის სახელმწიფოს მიერ გადახდილი თანხებისაგან — იმ შემთხვევებში, როცა ეს პირები გათავისუფლებულნი არიან დამცველის შრომის ანაზღაურებისაგან, ან როცა მონაწილეობს დამცველი დანიშვნით; ვ) ნივთიერ მტკიცებულებათა შენახვისა და გადაგზავნისათვის დახარჯული თანხებისაგან; ზ) სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაში ექსპერტიზის ჩასატარებლად დახარჯული თანხებისაგან; თ) ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარების სახით გადახდილი თანხებისაგან, თუ ეს პირები გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან; ი) დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაციის სახით

გადახდილი თანხებისაგან. კ) სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლისა და ოპერატიული მუშაკებისათვის ხელფასის სახით გადახდილი თანხებისაგან.

ზემოთ აღნიშნული 217-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული სასამართლო ხარჯები სასამართლომ შეიძლება დააკისროს მსჯავრდებულს და ჩარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში ანდა გადაუხადოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს მის მიერ გაწეული ხარჯების კომპენსაციის სახით.

თუ მსჯავრდებულია რამდენიმე პირი, სასამართლო ხარჯები დაეკისრება თითოეულ მათგანს წილობრივად – ბრალის ხარისხის, დანიშნული სასჯელის სიმკაცრისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. გადახდევინებისას სოლიდარული პასუხისმგებლობის გამოყენება დაუშვებელია.

სასამართლო უფლებამოსილია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს მსჯავრდებული გადახდისუუნარობის, შრომისუუნარობის ან ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან გარდაცვლილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მემკვიდრეები.

კერძო ბრალდების საქმეზე, საქმის წარმოება თუ შეწყდება მხარეთა შერიგების გამო, სასამართლოს უფლება აქვს სასამართლო ხარჯები დააკისროს ორივე მხარეს ან ერთ-ერთს.

მსჯავრდებულს შეიძლება შეუმცირდეს შესაბამისად გადასახდელი სასამართლო ხარჯების საერთო თანხა თუ: ჩატარებულ იქნა არასაჭირო საგამოძიებო მოქმედებები, შეყოვნდა წინასწარი გამოძიება, სისხლის სამართლის საქმე დაბრუნებულ იქნა დამატებით გამოძიებაში ან ახალი სასამართლო განხილვისათვის, გამოვლინდა სასამართლო შეცდომები და დაიკარგა დრო მათ გამოსასწორებლად და ა.შ.

თუ სასამართლო განხილვისას დაკმაყოფილებულ იქნება სამოქალაქო სარჩელი, ხარჯების დაფარვა დაეკისრება სამოქალაქო მოპასუხეს, ხოლო მისი უარყოფის შემთხვევაში — სამოქალაქო მოსარჩელეს.

დაზარალებულის, მოწმის, სპეციალისტის, ექსპერტისათვის გადასახდელ თანხებში იგულისხმება მათი მგზავრობის ხარჯები საგამოძიებო-სასამართლო ორგანოების ადგილსამყოფელამდე და პირუკუ, მუდმივ საცხოვრებელ ადგილამდე. როგორც წესი, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ხდება მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტების (ბილეთების) წარდგენის საფუძველზე. ასევე მოწმეს, სპეციალისტს, ექსპერტს, რომლებიც გამოძახებულნი იყვნენ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში, სამუშაო ადგილას უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი (მათ შორის — პრემია, დანამატი და ანაზღაურება შეთავსებითი სამუშაოსათვის). თუ არასახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაცია უარს ამბობს პროცესის მონაწილისათვის საშუალო ხელფასის გადახდაზე, მაშინ გადახდა წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან მათ ნათესავებს შეუძლიათ დადონ შეთანხმება ადვოკატთან სისხლის სამართლის საქმეში დამცველის სახით მონაწილეობის შესახებ. დაცვის პირობებსა და ხარჯების ანაზღაურების წესს მხარეები თვითონ განსაზღვრავენ. დაცვა მიღებულად ითვლება შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.

თუ დამცველი ინიშნება პროცესის მწარმოებელი პირის მიერ გადახდისუუნარობის გამო, მაშინ მისი შრომა ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანაზღაურების ოდენობა კი არ შეიძლება იყოს დადგენილ განაკვეთზე ნაკლები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-7 ნაწილში აღნიშნულია, რომ: „წინასწარი გამოძიების დროს, აგრეთვე განსასჯელის გამართლების ან არე-

აბილიტაციო საფუძველზე საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო ხარჯების გადახდა არ ხდება“.

§3. რეაბილიტაცია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე თავი (მუხლები 219-ე – 229-ე) დაწვრილებით არეგულირება სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მოქალაქეებისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლებს და წესს. სსსკ ითვალისწინებს რეაბილიტაციისა და სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს (პირის) მიერ უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამარტივებულ წესს საერთო საფუძვლით ზიანის ანაზღაურების წესთან შედარებით.

სსსკ ადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის რამდენიმე წინაპირობას:

1. ზიანი უნდა იყოს უკანონო ქმედების შედეგი;

2. იგი გამოწვეული უნდა იყოს პირის უკანონოდ ან დაუსაბუთებლად:

– დაკავების,

– დაპატიმრების,

– სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად,

– თანამდებობიდან გადაყენების,

– ჩხრეკის,

– ამოღების,

– ქონებაზე ყადაღის დადების,

– საგამოძიებო ექსპერიმენტის,

– შემოწმების,

— სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო ან დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად.

3. უკანონო ქმედებები ჩადენილი უნდა იყოს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს (პირის) მიერ. ამავე დროს სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ყველა გადასახდელი გადაიხდევინება, ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. გადასახდელი არ ინიშნება, თუ უდანაშაულო პირისათვის მსჯავრის დადება და მის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება გამოწვეული იყო წინასწარგანზრახულად ცრუ აღიარებით (თვითგა-თქმით), რომელიც მიღებულია რაიმე იძულების გარეშე.

4. უნდა ანაზღაურდეს პირისათის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი.

ნაწილობრივ რეაბილიტაციას ექვემდებარება პირი, თუ ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ შეცვალა ქმედების კვალიფიკაცია ან სასჯელის ღონისძიება ისე, რომ ფაქტობრივად მოხდილი სასჯელი აღმოჩნდა მეტი ან უფრო მკაცრი, ვიდრე საბოლოოდ დანიშნული, ანდა თუ განაჩენიდან ამოირიცხა ბრალდებათა ნაწილი, რის გამოც აღარ არის საფუძველი დაკავებისათვის, დაპატიმრებისათვის ან თავისუფლების აღკვეთისათვის.

ფიზიკური ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ თანხის გადახდით, მკურნალობის ხარჯების, შრომისუნარიანობის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციოდ, თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ.

სსსკ ითვალისწინებს ფიზიკური ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებას სახელმწიფოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პირს ჯანმრთელობა დაუზიანდა:

— დაკავების,

— დაპატიმრების,

— სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების,

— თავისუფლების შეზღუდვის ან

— თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულის ყოფნის წესების დარღვევის ან

— სამედიცინო დახმარების დროულად გაუწევლობის,

— ასევე კანონით დადგენილი სასამართლო ექსპერტიზისა და სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების წესის დარღვევის შედეგად.

ჯანმრთელობის შერყევის მიზეზის დასადგენად აუცილებელია სამედიცინო ექსპერტიზა.

კერძოდ, აღნიშნული ზიანის ანაზღაურების მიზნით გათვალისწინებულია:

ა) მიყენებული ზიანისათვის ერთდროული გადასახდელი, რომლის ოდენობასაც სასამართლო განსაზღვრავს დაავადების სიმძიმისა და პროგნოზის გათვალისწინებით, მაგრამ შრომის ანაზღაურების ას მინიმალურ ოდენობამდე;

ბ) მკურნალობის ხარჯები;

გ) ორმაგი ოდენობის პენსია ინვალიდობის დადგენის შემთხვევაში.

მოთხოვნა მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურების შესახებ წაყენებული უნდა იქნეს:

— სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას,

— სასჯელის მოხდის პროცესში და

მისი მოხდის შემდეგ 6 თვის განმავლობაში.

2. რეაბილიტირებულისათვის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანი სრული მოცულობით ანაზღაურდება და სარეაბილიტიო პირს მოიცავს:

ა) ხელფასს ან სხვა შემოსავალს, რომელიც სარეაბილიტაციო პირს მოაკლდა, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი;

ბ) პენსიას, დახმარებას, — თუ მათი გადახდა შეჩერებული იყო;

გ) ფული, ფულადი ანაბრები და მათი პროცენტები, ობლიგაციები და მათი წილხვედრი მოგება, სხვა ფასიანი ქაღალდები და მათზე მიღებული შემოსავალი;

დ) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ნივთებისა და სხვა ქონების ღირებულებას;

ე) სასამართლო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდევინებული ჯარიმები და სასამართლო ხარჯები;

ვ) თანხას, რომელიც გადახდა მსჯავრდებულს დანიშვნით დაცვის განხორციელებისათვის;

ზ) ადვოკატისათვის გადახდილი ჰონორარს შეთანხმებით დაცვის განხორციელებისათვის;

თ) სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს.

იმ პირის გარდაცვალებისას, რომელსაც ზიანი მიადგა, ზიანის ანაზღაურების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე.

გადაუხდელ პენსიას და დახმარებას ანაზღაურებს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები, ხოლო ყველა სხვა სახის ზიანს – შესაბამისი საფინანსო ორგანოე სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დასაბრუნებელი ფულისა და ნივთების ღირებულების ინდექსაცია ხდება გადახდის დღეს არსებული საშუალო-საბაზრო ფასებით, ინფლაციის გათვალისწინებით.

3. მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით ბოდიშის მოხდის გზით, აგრეთვე ფულადი კომპენსაციით

პუბლიკაცია სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაციის ყველა შემთხვევის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში.

მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე საწარმოს, დაწესებ-

ულებისა თუ ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს, სადაც მუშაობდა ან სწავლობდა რეაბილიტირებული.

თუ ცნობები დაკავების, დაპატიმრების, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების, თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, სხვა იძულებითი მოქმედების, ბრალდების შინაარსისა და გამამტყუნებელი გვნაჩენის შესახებ გაავრცელეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ისინი ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ ინფორმაცია რეაბილიტაციისა თუ სათანადო საპროცესო მოქმედების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის შესახებ.

ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რეაბილიტაციის შესახებ, რეაბილიტირებულს აძლევს მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

თუ რომელიმე საპროცესო მოქმედების შედეგად პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიადგა, ამ ზიანის ანაზღაურების გარდა, სამართალწარმოების შესაბამისი ორგანო (თანამდებობი პირი) რომელთა უკანონო ქმედებამაც გამოიწვია ზიანს მიყენება, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში ამ ქმედებით დაზარალებულ პირს წერილობით უხდის ბოდიშს.

4. იმავდროულად სსსკ ითვალისწინებს ასევე იმ პირისათვის, რომელიც უკანონონდ ან დაუსაბუთებლად იყო მსჯავრდებული, ვინც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში იმყოფებოდა, ან იყო დაკავებული ან მოთავსებული სამედიცინო დაწესებულებაში სხვა უფლებათა აღდგენას. კერძოდ:

1. სამუშაოდან (თანამდებობიდან) გათავისუფლების შემთხვევაში – მისთვის წინანდელი სამუშაოს (თანამდებობის) მიცემას, ან თუ ეს შეუძლებელია– სხვა ტოლფასი სამუშაოთი (თანამდებობით) უზრუნველყოფას;

2. აღნიშნულთან დაკავშირებით სასწავლებლიდან გარიცხვის შემთხვევაში – სასწავლებელში აღდგენას;

3. აღნიშნულთან დაკავშირებით სახცოვრებელი ბინის დაკარგვის შემთხვევაში – დაუბრუნდეს ადრე დაკავებული ბინა,

ხოლო თუ ეს შეუძლებელია-საზელმწიფომ მას რიგგარეშე მისცეს ტოლფასი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა იმავე დასახლებულ პუნქტში, საბინაო ფართობის მოქმედი ნორმებისა და მისი ოჯახის წევრთა შემადგენლობის გათვალისწინებით;

4. აღნიშნულთან დაკავშირებით სამხედრო და სხვა წოდებების, საკლასო ჩინების, ორდენების და მედლების ცამორთმევის შემთხვევაში – დადგენილი წესით უნდა აღუდგეს წოდებები, საკლასო ჩინები, დაუბრუნდეს ორდენები და მედლები.

თუ არსებობს მონაცემები, რომ ზიანი მიყენებულია გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ანდა დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად, პირს, რომელსაც თავი დაზარალებულად მიაჩნია, უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს სასამართლოში წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე. მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, მომჩივნისა და იმ ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით, რომლის მოქმედებაც საჩივრდება და გამოაქვს:

1. დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილების და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომ,ელშიც დასაბუთებული უნდა იყოს მიყენებული ზიანის სახეობა და ოდენობა

2. დასაბუთებული დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოსამართლეს, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროს განიხილა საჩივარი მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, უფლება არა აქვს შემდგომში განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოც შეტანილი იყო საჩივარი. მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. მოსამართლის კანონიერ ძალაში შესული დადგენილება გამორიცხავს სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იმავე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართვის შესაძლებლობას.

მას შემდეგ, რაც პროკურორი შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას ან/და წინასწარ გამოძიებას იმ საფუძვლით, რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, საქმეს გადასცემს სასამართ-

ლოს, რომლის განსჯადიც იყო ეს საქმე, და ეს იმავე დღეს უნდა ეცნობოს რეაბილიტირებულს. თუ პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას არ განსაზღვრავს ზიანის ოდენობას, რეაბილიტირებულს უფლება აქვს პირდაპირ მიმართოს სასამართლოს. საქმის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა მოსამართლე ატარებს სხდომას და გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ. მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საპელაციო წესით.

თუ რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლოში, მოსამართლემ (სასამართლომ) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გამამართლებელ განაჩენში ან განჩინებაში (დადგენილებაში), რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, უნდა ცნოს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება. განაჩენის ან განჩინების (დადგენილების) ასლი რეაბილიტირებულს უნდა გადაეცეს ხელზე ან გაეგზავნოს ფოსტით. მას განემარტება, რომ ზიანის ანაზღაურებისა და უფლებების აღდგენის შესახებ განცხადება სასამართლოში შეტანილი უნდა იქნეს გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტის გამოტანის დღიდან 6 თვის ვადაში. რეაბილიტირებულს უფლება აქვს მიმართოს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, რომელიც რეაბილიტირებულის განცხადების მიხედვით განსაზღვრავს მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს საფინანსო და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების გაანგარიშებას. თუ სასამართლომ საქმე შეწყვიტა მისი საკასაციო წესით განხილვისას, ზიანის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, ოღონდ სხვა შემადგენლობით. გაგამამართლებელი განაჩენი, სასამართლოს, მოსამართლის პროკურორის განჩინება (დადგენილება) მარეაბილიტირებელი საფუძვლით

სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ თავად წარმოადგენს გადაწყვეტილებას პირის რეაბილიტაციის შესახებ და ამ საკითხს (თვით რეაბილიტაციის ფაქტის) დასადგენად სასამართლო განხილვა აღარ ტარდება. სასამართლო განხილვა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით შეეხება არა თვით რეაბილიტაციის ფაქტის დადგენას (რაც უკვე დადგენილია შესაბამისი მარეაბილიტირებელი გადაწყვეტილებით) არამედ– უკვე რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და მის აღდგენას უფლებებში.

ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (დადგენილება) ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ. გერბიანი ბეჭდით დამოწმებული განჩინების (დადგენილების) ასლი გადაეცემა ან ეგზავნება რეაბილიტირებულს, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში – მის მემკვიდრეებს, რათა ეს ასლი წარუდგინონ ორგანოებს, რომლებიც ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ყველა სახის ზიანი.

რეაბილიტირებულისათვის ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ განჩინება (დადგენილება) შეიძლება სააპელაციო წესით გაასაჩივრონ რეაბილიტირებულმა, პროკურორმა, დაინტერესებულმა პირმა და ორგანიზაციამ, რომლებსაც ეხება სასამართლოს მოთხოვნა რეაბილიტირებულისათვის ყველა უფლების აღდგენის შესახებ.

თუ რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას, მოსამართლემ (სასამართლომ) გამამართლებელ განაჩენში ან მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში (განჩინებაში) უნდა ცნოს რეაბილიტირებულის უფლება მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

თუ მოქალაქის მოთხოვნა შრომითი, საპენსიო, საბინაო ან სხვა უფლების აღდგენის, ანდა ქონებისა თუ მისი ღირებულების

დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილებულა, ან თუ მოქალაქე არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით, სასარჩელო წარმოების წესით, გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის შესახებ სხვა აქტის გამოტანის დღიდან 3 წლის განმავლობაში.

სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის სამწლიანი ვადის გაშვების შემთხვევაში პირი უფლებამოსილია გაცდენილი ვადის აღდგენის (საპატიოდ ჩათვლის) შესახებ განცხადებით მიმართოს იმ სასამართლოს, რომელშიც უნდა შეტანილიყო სარჩელი. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენისას სასამართლომ ეს ვადა უნდა აღადგინოს.

რეაბილიტაციის შესახებ განჩინების (დადგენილების) შესრულება სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, საკუთრების ფორმის მიუხედავად.

თუ გამამართლებელი განაჩენი ან განჩინება (დადგენილება) რეაბილიტაციის შესახებ გაუქმებულია და გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია, სასამართლომ შეიძლება შეცდომით რეაბილიტირებულს დააკისროს ზიანის ასანაზღაურებლად მიღებული თანხის გადახდა. სასამართლოს აგრეთვე შეუძლია გააუქმოს რეაბილიტაციის სხვა ღონისძიებები.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სსსკ დეტალურად არეგულირებს რეაბილიტაციის და სისხლის სამართლის პროცესის ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სსსკ 12.4 მუხლი ადგენს, რომ „უკანონოდ და დაუსაბუთებლად თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს მისთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება“ უფლება უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღებაზე გარანტირებულია ეჭვმიტანილის და ბრალდებულისთვისაც (მუხლი 73.1 და მუხლი 76.2). იმავდროულად, სსსკ 150-ე მუხლი ით-

ვალისწინებს უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული. მაგრამ სსსკ 165-ე მუხლი, რომელიც ასევე არეგულირებს პირის უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავებით და დაპატიმრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებს პრინციპულად საწინააღმდეგო დებულებებს შეიცავს და ადგენს, რომ ქონებრივი ზიანი პირს სრული მოცულობით აუნაზღაურდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ მისი დაკავება ან დაპატიმრება უკანონო ან დაუსაბუთებელი იყო. 150-ე მუხლისგან განსხვავებით იგი ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას პირდაპირ უკავშირდებს გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ან საქმის შეწყვეტას მარეაბილიტირებელი საფუძვლით – კერძოდ, თუ:

– თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; ან

– საქმე შეწყვეტილია პირის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მიუღწევლობის გამო, ან

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე–38-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ამდენად, სსსკ 160-ე მუხლი ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ვინაიდან კომპენსაციის მინიჭებისათვის პირის გამართლებას ადგენს წინაპირობად. იგი ასევე ეწინააღმდეგება თვით სსსკ სხვა მუხლებსაც (მაგ. მუხლი 150[4] რომელიც ითვალისწინებს უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავებისათვის ზიანის უპირობო ანაზღაურებას).

165-ე მუხლისგან განსხვავებით სსსკ219-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს საქმის შედეგის მიუხედავად. ამ შემთხვევაში ერთადერთ პირობად სსსკ ადგენს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ქმედებით ადგილი უნდა ჰქონდეს პირისათვის:

- ქონებრივი,
- ფიზიკური, ან
- მორალური ზიანის მიყენებას.

მაგრამ სსსკ 219-ე მუხლი პირის რეაბილიტაციას უკავშირებს მის გამართლებას და ადგენს, რომ: რეაბილიტაციის საფუძველია:

I. გამამართლებელი განაჩენი,

II. მოსამართლის ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი;

ი) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ანდა სასამართლოს (მოსამართლის) განჩინება (დადგენილება) იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე;

კ) თუ არსებობს სასამართლოს ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

მ) თუ პროკურორი და დაზარალებული უარს იტყვიან ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით; ან

III. მოსამართლის ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა,

ბ)საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე–38-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) გასულია ამ კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადა.

IV. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა სსს კოდექსის 28-ე მუხლში აღნიშნული ნებისმიერი საფუძვლით.

სსსკ თანახმად უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებულს ან ბრალდებულს უნდა აღუდგეს უფლებები, თუ დადგინდება მისი უდანაშაულობა.

ზემოთ აღნიშნული აღნიშნული ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობა კომპენსაციის საკითხს უკავშირებს პირის გამართლებას (გამამართლებელი განაჩენის დადგენას ან მარეაბილიტირებელი საფუძვლებით შეწყვეტას). აღნიშნული ეწინააღმდეგება კონვენციის არსს და სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციის უფლების მინიჭებას განაჩენის სახის მიუხედავად.

იმავდროულად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავსუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 5.5 მუხლი სახელმწიფოს არ ანიჭებს დისკრეციას თავად განსაზღვროს კომპენსაციის სახით სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველმყოფელი ორგანო. 5.5 მუხლი მოითხოვს რომ ასეთი საშუალება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლოს სახით, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული საშუალება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილებით. რაც შეეხება კომპენსაციის უფლების განხორციელებას, სახელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს სამართალწარმოების ფორმა. სამართლებრივი დაცვის საშუალებების სხვა ორგანოების მიერ უზრუნველყოფა ან მთავრობის მიერ ეს გარანტია გადახდა 5.5. მუხლის მიზნებისათვის საკმარისი არ არის.

§4. შუამდგომლობა

შუამდგომლობა ეს არის პროცესის მონაწილის ოფიციალური თხოვნა გამომძიებლის, სასამართლოს ან მოსამართლის წინაშე, საპროცესო მოქმედების ჩატარების ან საპროცესო გადაწყვეტილების მიღების შესახებ (შუამდგომლობის განხილვა – გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს სსსკ 230-ე – 233-ე მუხლები).

სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ერთერთი გარანტიაა შუამდგომლობის ინსტიტუტის არსებობა. ამ ინსტიტუტით სარგებლობა შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. შუამდგომლობის განცხადება შეუძლია პროცესის ყველა მონაწილეს. იგი შეიძლება განცხადებული იქნეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. წერილობითი შუამდგომლობა და მისი დამასაბუთებელი მასალები თან ერთვის სისხლის სამართლის საქმეს. ხოლო ზეპირი შუამდგომლობა, თუ ის შეტანილ იქნა წინასწარი გამოძიების სტადიაზე, უნდა აისახოს იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმში, რომლის ჩატარების დროსაც იყო იგი განცხადებული, ასევე შეიძლება შედგეს ცალკე ოქმი. სასამართლოში განცხადებული შუამდგომლობა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მე-5 ნაწილში შენიშნულია, რომ შუამდგომლობის უარყოფა განმცხადებელს არ უსპობს უფლებას, ახალი არსებითი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს შუამდგომლობით სისხლის სამართლის პროცესის იმავე ან სხვა სტადიაზე.

შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი განცხადების მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა.

გამომძიებელი, პროკურორი, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები მიიღებენ რა შესაბამისად: ეჭვმიტანი-

ლის, ბრალდებულის, განსასჯელის, დამცველის, დაზარალებულის წარმომადგენლის, თუ პროცესის სხვა მონაწილის დასაბუთებულ შუამდგომლობას მტკიცებულებათა გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, დაუყოვნებლივ უნდა დააკმაყოფილონ იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობა ხელს უწყობს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად დადგენას.

ბრალდებისა და დაცვის მხარეთა მიერ შუამდგომლობის თხოვნის დროს, უპირატესობით არც ერთი მხარე არ სარგებლობს. ორივე მხარის შუამდგომლობა ერთნაირი ყურადღებით განიხილება. აქვე ხაზგასასმელია ერთი გარემოებაც, კერძოდ კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის მეოთხე ნაწილით პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა აუცილებლად უნდა დააკმაყოფილონ ბრალდების მხარის შუამდგომლობა იმ მტკიცებულების გამოთხოვის, საქმეზე დართვისა და გამოკვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს წაყენებულ ბრალდებას ან ამძიმებს განსასჯელის პასუხისმგებლობას. ასეთი მბრძანებლური მოთხოვნა, რომ აუცილებლად იქნეს დაკმაყოფილებული დაცვის მხარის შუამდგომლობა კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული. ასეთი მიდგომით, ვფიქრობთ, დარღვეულია შეჯიბრებითობის მნიშვნელოვანი მოთხოვნა – თანაბარი პირობები შეექმნეთ მხარეებს მტკიცებულებათა წარსადგენად და პაექრობისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობანი მტკიცებულებათა გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, საქმის გარემოებათა შემოწმებისა და სამართალწარმოების დროს წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ.

შუამდგომლობის დასმის უფლებით სარგებლობენ, როგორც ეს ნათქვამია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის 73-ე – 76-ე მუხლებში, ეჭვმიტანილი და ბრალდებული. მათაც, შესაბამისად გააჩნიათ უფლება განაცხადონ შუამდგომლობა ჩატარებულ იქნეს ესა თუ ის საგამოძიებო მოქმედება მათი მონაწილეობით. განაცხადონ შუამდგომლობა გამოძიების შევსების თაობაზე, რომლის განხილვაც სავალდებულოა.

თუკი პროცესის მონაწილის შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება, იგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შუამდგომლობის განმცხადებელს. მაგრამ, თუ არ იქნა დაკმაყოფილებული შუამდგომლობა, მაგალითად, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, გამომძიებელს გამოაქვს მოტივირებული, დასაბუთებული დადგენილება შუამდგომლობის უარყოფის შესახებ, რაც გადაეცემა შუამდგომლობის შემტან პირს, ხოლო სასამართლოში შუამდგომლობის უარყოფის შესახებ გამოტანილი განჩინება (დადგენილება) გამოუცხადდება პროცესის მონაწილეს უშუალოდ სასამართლოში.

თუ შუამდგომლობის განმცხადებელი პირი არ ეთანხმება გამომძიებლის მიერ შუამდგომლობის უარყოფას, მას უფლება აქვს ასეთივე შუამდგომლობით მიმართოს პროკურორს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას ადგენს გამომძიებელი და ეთანხმება პროკურორი. ამავე მოქმედებების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობებს განიხილავს მოსამართლე აღნიშნული კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს იზღუდება ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ადგენს გამომძიებელი და ეთანხმება პროკურორი. განიხილავს მოსამართლე 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

§5. საჩივარი

საჩივრის ცნების ქვეშ იგულისხმება პროცესის მონაწილის მიმართვა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირისადმი დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად (გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეძღვნება სსსკ XXX თავის 234-ე – 243-ე მუხლები).

გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის, პროკურორის, მოსამართლის ან სასამართლოს მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მინიჭება პროცესის მონაწილეებისათვის, უმნიშვნელოვანესი გარანტიაა მათი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას საჩივარი შეტანილ იქნეს იმ პირთან ან იმ ორგანოში, რომლის მოქმედებაც ან გადაწყვეტილებაც საჩივრდება. მაგრამ ამ შემთხვევაში საჩივარი დაუოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს უფლებამოსილ პირს.

გამომძიებლის, გამოძიების ორგანოს უფროსის ან პროკურორის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივარი რა ვადაში უნდა იქნეს შეტანილი, როგორც წესი, კანონმდებელი არ ადგენს. როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლი განსაზღვრავს, ასეთი საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს წინასწარი გამოძიების მთელი წარმოების განმავლობაში.

საჩივარი შეიძლება იყოს როგორც წერილობითი ასევე ზეპირი.

ზეპირი საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და საჩივრის მიმღები თანამდებობის პირი. საჩივარს შეიძლება დაერთოს მისი დამადასტურებელი მასალები.

თუ საპატიო მიზეზით ვერ მოხდა საჩივრის შეტანა, გაცდენილი დროის აღდგენა შეუძლია სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ საჩივრის გამო.

მას შემდე, რაც უფლებამოსილი ორგანო ან თანამდებობის პირი მიიღებს საჩივარს, იგი უნდა განიხილოს, ყოველმხრივ შეამოწმოს მასში ჩამოყალიბებული მოსაზრებანი, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს დამატებითი მასალები და განმარტებანი. ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა, სხვა პირთა, აგრეთვე დაწესებულებათა, საწარმოებისა და ორგანიზაციების დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად.

საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ; ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ; გ) გასაჩივრებული მოქმედების იურიდიული ძალის არმქონედ ცნობის შესახებ; დ) საჩივრის უარყოფის შესახებ. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

საჩივრის შემტან პირს უნდა შეატყობინონ, რომ მიღებულია გადაწყვეტილება საჩივრის გამო და გუნამარტონ გასაჩივრების შემდგომი წესი;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ: „თუ გასაჩივრებული მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო პირს არამართლზომიერი მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა, მას უნდა განემარტოს ამ ზიანის ანაზღაურების უფლება“.

სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს საჩივარი და

მასზე პასუხის ასლი, აგრეთვე საჩივრის შემოწმების მასალები.

საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად გამომძიებლის, პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მოხდეს სასამართლოში, რომელიც მომჩივანის აზრით უკანონოა, კერძოდ:

ა) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება (399-ე მუხლი).

ბ) ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება (73-ე მუხლი).

სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლება აქვს პროცესის ყოველ მონაწილეს, რომელიც იცავს საკუთარ ან მარწმუნებლის ინტერესს, კერძოდ: ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს, კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს, მათ წარმომადგენლებს.

პროცესის მონაწილეს უფლება აქვს გამომძიებლის მოქმედებისა თუ გადაწყვეტილების გამო საჩივრით მიმართოს სასამართლოს მას შემდეგ, რაც ეს საჩივარი უარყო პროკურორმა, ანდა უშუალოდ სასამართლოს.

საჩივარს განიხილავს სასამართლო გამოძიების ადგილის მიხედვით. საჩივარი შეიტანება არა უგვიანეს 15 დღისა მას შემდეგ, რაც მომჩივნისათვის ცნობილი გახდა მოქმედება თუ გადაწყვეტილება, რომელიც მას უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მიაჩნია, გასაჩივრების ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში მისი აღდგენა შეუძლია სასამართლოს.

მიღებულ საჩივარს სასამართლო განიხილავს 15 დღის ვადაში.

საჩივრის განხილვის შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, სადაც საჩივარი განიხილება 15 დღის ვადაში. განმცხადებელი თავისუფლდება ბაჟის გადასახადისაგან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი განსაზღვრავს წინასწრი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესს. კერძოდ კი, ნათქვამია, რომ: რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანება (დადგენილება) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს ბრძანების (დადგენილების) გაცემიდან (გამოტანიდან) 48 საათის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ბრძანების (დადგენილების) გამომტან მოსამართლესთან, რომელიც საჩივარსა და საქმის მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების (დადგენილების) აღსრულებასა და საქმეზე გამოძიებას. მოსამართლე საჩივარს განიხილავს საქმის მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 72 საათისა; საჩივრის განხილვის დღე და დრო დაუყოვნებლივ ეცნობება მხარეებს.

საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს ერთპიროვნულად განიხილავს, პროკურორისა და მხარეთა მონაწილეობით. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივრის განხილვისას მოწმდება აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ბრძანების (დადგენილების) გაცემისას მოსამართლემ დაიცვა თუ არა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, და ამის შემდეგ მოსამართლე (სასამართლო) იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას; ა) გასაჩივრებული ბრძანების (დადგენილების) ძალაში დატოვებისა

და საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ბ) გასაჩივრებული ბრძანების (დადგენილების) გაუქმების (შეცვლის) და საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ.

საჩივრის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს ადრე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება ბრალდების მხარის (პროკურორი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი) შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, რის შესახებაც გამოიტანს დადგენილებას (განჩინებას).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონით, საჩივრის შემტან მხარეს უფლება აქვს, ვიდრე მოსამართლე სათათბირო ოთახში გავიდოდეს, უკან გამოითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებით შეტანა არ დაიშვება.

როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მერვე ნაწილშია აღნიშნული: საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი დადგენილების ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება ბრძანების (დადგენილების) გამცემ მოსამართლესა და დადგენილების აღმასრულებელ ორგანოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, გამოტანილი დადგენილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

§6. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება და გამოყოფა

იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად იქნეს გამოძიებული სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოება, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანებასა და გამოყოფას.

სისხლის სამართლის საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანების საფუძველი შეიძლება იყოს: ა) ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე რამდენიმე პირის ბრალდების საქმეები; ბ) რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ერთი პირის ბრალდების საქმეები; გ) დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვის საქმეები; დ) საქმეები მოვლენისა და მოქმედების შესახებ, რომელთა მონაწილეებიც იმავდროულად არიან ბრალდებულიცა და დაზარალებულიც, მათ შორის, საჯარო ბრალდების საქმეები.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლი შესაძლებლად მიიჩნევს ერთ წარმოებად საქმეთა გაერთიანებას და არა ვალდებულებად. კანონმდებლის ასეთი მინიშნება ლოგიკურიცაა, რამეთუ გასათვალისწინებელია ის პრაქტიკული სიძნელეები, რომელიც თან ახლავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებასა და განხილვას.

ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე რამდენიმე პირის ბრალდების საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანებას ის გამართლება აქვს, რომ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს თითოეული თანამონაწილის როლი დანაშაულთა ჩადენაში და ობიექტურად მიეცეს შეფასება როგორც თითოეულის ქმედებას, ისე დანაშაულის საშიშროებას. აღნიშნული საფუძვლით სისხლის სამართლის საქმეები ერთ წარმოებად შეიძლება გაერ-

თიანდეს წინასწარი გამოძიების მსვლელობისას.

რაც შეეხება რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ერთი პირის ბრალდების საქმეებს, ამ საფუძვლით შეიძლება გაერთიანებულ იქნეს ნებისმიერი, რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, მიუხედავად მათი შინაარსისა და სიმძიმისა, თუ დადგინდება, რომ ეს დანაშაულებანი ჩადენილია ერთი პირის მიერ. ამ საფუძვლით საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებად შეიძლება წამოიჭრას წინასწარი გამოძიებისას, აგრეთვე სასამართლოშიც.

დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვის საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანებას ის თავისებურება ახლავს, რომ ამ დროს ერთიანდება საქმე ორი სხვადასხვა დანაშაულის შესახებ, რომლებიც ჩადენილია სხვადასხვა პირის მიერ. მაგრამ აღნიშნულ საქმეთა გაერთიანებას ის გამართლება აქვს, რომ წინასწარ შეუპირებელი დაფარვისათვის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია იმაზე, დადგინდება თუ არა ეგრეთ წოდებული „ძირითადი" დანაშაულის ჩადენა.

საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებად, რომლის მონაწილეებიც იმავდროულად არიან ბრალდებულიცა და დაზარალებულიც, ხშირად გვხვდება კერძო ბრალდების საქმეებზე, როდესაც მხარეები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე თავისი დადგენილებით დაზარალებულს ცნობს ბრალდებულადაც, ხოლო ბრალდებულს — დაზარალებულადაც.

საქმეთა გაერთიანება ერთ წარმოებად ხდება პროკურორის დადგენილებით ან პროკურორის შუამდგომლობით მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმიდან საქმის გამოყოფას ცალკე წარმოებისათვის. კერძოდ, პროკურორს, სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვთ სისხლის სამართლის საქმიდან გამოყონ საქმე ცალკე წარმოებისათვის: ა) მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ; ბ) ბრალდებულის მიმართ,

რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია; გ) ბრალდებულის მიმართ, რომელიც მძიმე ავადმყოფობით დაავადდა, რაც დადასტურებულია ექიმის მიერ; დ) არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, რომელიც საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმულია მოზრდილ ბრალდებულებთან ერთად, თუ ეს გავლენას არ მოახდენს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ყოველმხრივობაზე, სისრულესა და ობიექტურობაზე; ე) დანაშაულის დაუდგენელი თანამონაწილის მიმართ.

სისხლის სამართლის საქმეთა გამოყოფის შესახებ დგება პროკურორის, ანდა მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება).

სისხლის სამართლის საქმეთა გამოყოფისას, გამოიყოფა საქმის მასალები დედნები, ხოლო მათი სათანადოდ დამოწმებული ასლები რჩება საქმეში, რომლიდანაც გამოიყო მასალები. გამოყოფილი საქმის წინასწარი გამოძიების ვადა იწყება გამოყოფის შესახებ დადგენილების გამოტანის დღიდან.

§7 სამართლებრივი დახმარება და ურთიერთობა საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან

მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, საზღვრების გამჭვირვალეობა და გადაადგილების თავისუფლება გარკვეულწილად ხელს უწყობს ორგანიზებული ტრანსნაციონალური დანაშაულის მასშტაბების ზრდას, რაც საფრთხეს უქმნის როგორც კონკრეტულ სახელმწიფოთა, ასევე მსოფლიო თანამეგობრობის უსაფრთხოებას და მართლწესრიგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა-გამოძიების სფეროში, რის გარეშეც პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება გამოძიების სრულყოფილად განხორციელება.

სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული საპროცესო საკითხების რეგლამენტაცია ხდება:

1. საქართველოსათვის ძალაში მყოფი საერთაშორისო კონვენციების და ხელშეკრულებების დებულებით[1]
2. სამთავრობათაშორისო და საუწყებათაშორისო ხელშეკრულებებით
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXXII თავით
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-260 მუხლებით-შესაბამის სახელმწიფოსთან სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულების არ არსებობის შემთხვევაში.

კერძოდ, ასეთი დახმარების გაწევის საკითხი შეიძლება გადაწყდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ან საქართველოს გენერალურ პროკურორსა და აღნიშნული სახელმწიფოს შესაბამის თანამდებობის პირებს შორის სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დადებული შეთანხმებით და ხორციელდება 248-260 მუხლებით დადგენილი წესით.

---

1 „ექსტრადიციის შესახებ“ ევროპის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, „სისხლის სამართლის საკითხებზე ურთიერთდახმარების შესახებ“ 1959 წლის 20 აპრილის ევროპის კონვენცია; მისი დამატებითი ოქმი (1978წ. 17 მარტი), „უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ“ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1978წ), ***არასრულწლოვანთა რეპატრიაციის შესახებ ევროპული კონვენცია*** (1970), სისხლის სამართლებრივ განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ“ (1970), „წამების და სხვა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების შესახებ“ კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები; „მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ“ 13 XII 1957წ ევროპული კონვენცია, და მისი დამატებითი ოქმები 17 მატი 1973წლის და 15 ოქტომბერი 1975წლის;. ***ევროპული შეთანხმება სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობათა გადაცემის შესახებ (1977წ)***, კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ დსთ–ს წევრ სახელმწიფოთათვის (1993წ); ასევე მრავალრიცხოვანი ორმხრივი ხელშეკრულებებით სამართლებრივი დახმარების შესახებ.

5. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან თანამშრომლობა- კანონით საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან თანამშრომლობის შესახებ.

სამართლებრივი დახმარების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, როგორც წესი, გულისხმობს:

1. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების, მტკიცებულებათა და ინფორმაციის გადაცემის

2. პირის გადაცემის შესახებ თხოვნასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

I. სამართლებრივი დახმარება საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების, მოწმეთა ჩვენებების, მტკიცებულებათა, მასალების ან დოკუმენტების, ინფორმაციის მიღების მიზნით

აღნიშნული ტიპის დახმარების მიზანი, როგორც წესი, არის მტკიცებულებათა მოპოვება, საქმის მასალების გაცნობა, ჩხრეკა-ამოღების ჩატარება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ინფორმაციის და მტკიცებულებების გადაცემა, შესაბამისი დოკუმენტების და მასალების ორიგინალების ან დამოწმებული ასლების წარდგენა მათ შორის საბანკო, საფინანსო, საფირმო და კომერციული დოკუმენტების, შემოსავლების და საკუთრების დადგენა მტკიცების მიზნებისათვის, მოქმედი სამართლის და სასამართლო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სხვა. მხარეებს უფლება აქვთ ერთმანეთს გაუწიონ ნებისმიერი სახის სამართლებრივი დახმარება, რომელიც არ იკრძალება შემკითხველი მხარის კანონმდებლობით. იმავდროულად, როგორც წესი, მხარეებს არა აქვთ უფლება უარი თქვან სამართლებრივი დახმარების გაწევაზე საბანკო საიდუმლოების საფუძვლით.

სამართლებრივი დახმარების ეს სახე იყო სამ ქვესახედ:

1. სამართლებრივი დახმარება საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების,

2. სამართლებრივი დახმარება მტკიცებულებათა და ინფორმაციის მიღების,

3. მოწმედ, ექსპერტად, დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ / მოპასუხედ პირთა მოწვევის,

4. პირის გადაცემის საკითხებში.

გავიხილოთ თითოეული მათგანი ცალკ-ცალკე.

§1. **სამართლებრივი დახმარება საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარებაში**

თავის მხრივ, თხოვნა საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების შესახებ იყოფა ორ ქვესახედ მისი ჩატარების ადგილის მიხედვით:

ა) საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თხოვნა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების შესახებ, და

ბ) უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების დავალება საქართველოს ტერიტორიაზე საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების შესახებ.

ა. ***საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თხოვნა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ჩატარების შესახებ.***

საქართველოში სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება აუცილებელი გახდეს საზღვარგარეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედებების ჩატარება (მაგალითად, როგორიცაა

მოწმეთა დაკითხვა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ექსპერტიზის ჩატარება და ა.შ).

საპროცესო მოქმედების ჩატარების აუცილებლობისას გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო მათ ჩატარებას ავალებს იმ სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება სამართლებრივი დახმარების შესახებ.

შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ იგზავნება საქართველოს გენერალური პროკურორის (ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პროკურორის) მეშვეობით, ხოლო სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მეშვეობით.

შუამდგომლობა საპროცესო მოქმედების ჩატრების შესახებ დგება წერილობით იმ სახელმწიფოს ენაზე, სადაც ის იგზავნება (თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) და მოწმდება დავალების გამგზავნის ხელმოწერითა და დაწესებულების გერბიანი ბეჭდით. შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს:

ა) შუამდგომლობის გამგზავნი ორგანოს დასახელებას და მისამართს;

ბ) იმ ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელსაც ეგზავნება შუამდგომლობა;

გ) საქმის ფაქტობრივ გარემოებებს;

დ) თხოვნის არსს – ჩასატარებელი საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედების შინაარსს

ე) მონაცემებს იმ პირთა ვინაობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების, საქმიანობისა და სისხლის სამართლის საქმისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელდს საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედება

ვ) გამოთხოვილი დოკუმენტებისა და ნივთიერი მტკიცებულებების ნუსხას

ზ) მოსამართლის ხელმოწერითა და გერბიანი ბეჭდით დამოწმებული ბრძანება შესაბამისი საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ[1]

საგანგებო შემთხვევაში შუამდგომლობა შეიძლება გადაიცეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შემდეგ კი დადასტურდეს წერილობით. წერილობითი დადასტურების გაგზავნის ვადა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით.

ამასთანავე, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით ჩატარებული გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მიღებულ მტკიცებულებას საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა თანაბარი იურიდიული ძალა აქვს და ისინი (მტკიცებულებები და დოკუმენტები) არ საჭიროებენ დამოწმებას რაიმე ფორმით[2].

ბ. უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის შესრულება

უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობა სრულდება თუ ის შეიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დავალების ყველა რეკვიზიტს. თუ დავალებაში ეს მონაცემები არ არის ან არასრულყოფილადაა მითითებული, გამოითხოვება დამატებითი მონაცემები.

შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სრულდება საქართველოს გენერალური პროკურორის მითითებით, ხოლო სასამართლო მოქმედების ჩატარების შესახებ — საქართველოს იუსტიციის მინისტრის დავალებით. შუამდგომლობა, როგორც წესი, სრულდება საქართველოს სისხლის

---

1 მხოლოდ იმ შუამდგომლობებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარებას, რომლისთვისაც საქართველოს სსსკ-ით აუცილებელია მოსამართლის (სასამართლოს) ბრძანება (განჩინება)

2 „სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ“ ევროპული კონვენციის მუხლი 17

სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით[1].

მოთხოვნის შესრულების პროცესში მოპოვებული დოკუმენტები დგება ქართულ ენაზე და მოპოვებულ მასალებთან ერთად ეგზავნება შემკითხველ მხარეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად შუამდგომლობის **შესრულება არ ხდება** იმ შემთხვევაში, თუ:

1. მისმა შესრულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, საქართველოს სუვერენიტეტს, საქართველოს უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს;

2. დავალების შესრულება შეუძლებელია;

3. იგი ეწინააღმდეგება შემსრულებელი მხარის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს;

4. თხოვნა დაკავშირებულია დანაშაულთან, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით წარმოადგენს პოლიტიკურ დანაშაუას, პოლიტიკურ დანაშაულსთან დაკავშირებულ დანაშაულს, ან ფისკალურ დანაშაულს;

5. თხოვნა დაკავშირებულია დანაშაულთან, რომლის თაობაზეც საქართველოში მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა;

6. თხოვნა დაკავშირებულია დანაშაულთან, რომლის თაობაზეც კანონიერ ძალაშია შესული საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

ამ შემთხვევაში მიღებული დოკუმენტები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან საქართველოს გენერალური პროკურორის მეშვეობით უბრუნდება მომთხოვნ სახელმწიფოს დავალების შესრულების ხელშემშლელი მიზეზების მითითებით.

ჩხრეკასთან ან საკუთრების კონფისკაციასთან დაკავშირე-

---

1 საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია უცხო სახელმწიფოს საპროცესო ნორმების გამოყენება, თუ ეს ნორმები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ბულ სასამართლო დავალებებს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები აღასრულებენ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული, რომელთანაც დაკავშირებულია სასამართლო დავალება:

ა) დასჯადია, როგორც მომთხოვნი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ამ ტიპის დანაშაულისთვის გათვალისწინებულია ექსტრადიცია

გ) სასამართლო დავალების აღსრულება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

§2. სამართლებრივი დახმარება მტკიცებულებათა და ინფორმაციის, დოკუმენტების და მასალების გადაცემის საკითხებში

შემსრულებელი მხარე ვალდებულია შემკითხველ მხარეს სამართლებრივი დახმარების ფარგლებში გადასცეს ნებისმიერი ნივთი (მათ შორის ჩანაწერები, დოკუმენტები, საკუთრება), რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან ან რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს მტკიცებულებას სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში (მაგალითად, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთები, საგნები, რომლებზეც არის დანაშაულის კვალი). ნივთების გადაცემა არ არის დაკავშირებული პიროვნების გადაცემასთან.

შემსრულებელ მხარეს შეუძლია დროებით შეაჩეროს ნივთების გადაცემა, თუ:

– ეს ნივთები მას ესაჭიროება სხვა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის.

– შუამდგომლობის შესრულება ხელს შეუშლის მიმდინარე გამოძიების, სასამართლო განხილვის ან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ინტერესებს.

ამ შემთხვევაში შემსრულებელი მხარე ატარებს კონსულტაციებს შემკითხველ მხარესთან იმ მიზნით, რომ გაირკვეს რამდენად არის შესაძლებელი შემკითხველი მხარის მიერ მოთხოვილ ვადაში და პირობებში ამ შუამდგომლობის შესრულება.

შემკითხველი მხარისათვის გადაცემული საკუთრების, ჩანაწერებისა და დოკუმენტების ორიგინალები შემსრულებელ მხარეს უბრუნდება შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, თუ იგი არ აცხადებს მათზე უარს.

გადაცემულ საგნებზე მესამე პირთა უფლებები ძალაში რჩება და საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ უბრუნდება შემსრულებელ მხარეს შესაბამისი პირებისათვის გადასაცემად. ცალკეულ შემთხვევაში ეს საგნები მფლობელს შეიძლება დაუბრუნდეს საქმის წარმოების დამთავრებამდეც, თუ ამით ზიანი არ ადგება საქმის წარმოებას.

სასამართლო დავალების აღსრულებისათვის გადაცემული ნივთები არ ექვემდებარება ბაჟითა და გადასახადებით დაბეგვრას.

თუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქემ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა დანაშაული დატოვა საქართველოს ტერიტორია, აღძრული და გამოძიებული საქმის ყველა მასალა უნდა გადასცეს – საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომელიც უგზავნის უცხო სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებას სისხლისსამართლებრივი დევნის გასაგრძელებლად, ან მიმართავს თხოვნით საქართველოსათვის ბრალდებულის გადმოცემის შესახებ.

უცხო სახელმწიფოს მოთხოვნას გამოსაძიებლად გადასცენ მასალები საქართველოს მოქალაქის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და საქართველოში დაბრუნდა, განიხილავს საქართველოს გენერალური პროკურატურა. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულების შეს-

აბამისად შეიძლება მიღებული იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

1. გამოძიების დამთავრებამდე მასალების გადაცემა;

2. საქართველოს ტერიტორიაზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ჩატარება;

3. საქართველოს მოქალაქის გადაცემა, იმ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვისათვის, სადაც მოხდა დანაშაული.

§3. სამართლებრივი დახმარება მოწმედ, ექსპერტად, დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ / მოპასუხედ პირთა მოწვევის საკითხებში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესში მოწმედ, დაზარალებულად, ექსპერტად სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ, ხოლო ბრალდებულის შუამდგომლობით-ასევე დამცველად ან კანონიერ წარმომადგენლად მონაწილეობისათვის უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მოწვევას ამ უკანასკნელის თანხმობით. აღნიშნული პირების (შეთანხმებით მოწვეული ადვოკატის გარდა) საქართველოში ჩამოსვლისა და ყოფნის ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პირების გამოძახების შესახებ შუამდგომლობის უარყოფისას მათი გამოძახების ხარჯები ეკისრება იმ მხარეს, რომელმაც შეიტანა შუამდგომლობა.

თხოვნა აღნიშნულ პირთა გამოძახების შესახებ შეიძლება გაეგზავნოს გამოსაძახებელ პირსაც.

ცალკეულ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის აუცილებელია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაკა-

ვებული (დაპატიმრებული) პირის მოწმის სახით დაკითხვა ან დაპირისპირება უშუალოდ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოების მიერ საქმის წარმოების ადგილზე (მაგალითად: საქმის სირთულის გამო არ არის მიზანშეწონილი ალნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატრების შესახებ შუამდგომლობის გაგზავნა, ვერ ხერხდება ვიდეოკონფერენციის ორგანიზება ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისთვის ამ პირის ჩვენების მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია მის მიერ მიცემული ჩვენების სარწმუნოობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოდა და სხვა) ამ პირის <u>დროებითი გადაცემა</u> მომთხოვნი სახელმწიფოსათვის დაიშვება, თუ:

1. იგი დაბრუნებული იქნება გადმომცემი სახელმწიფოს მიერ მითითებულ ვადაში, და

2. მის მიმართ სათანადო ზომით იქნება გამოყენებული იმუნიტეტები სისხლის სამართლებრივი დევნისგან

<u>გადაცემაზე უარი შეიძლება</u> ითქვას, თუ:

1. დაკავებული პირი მისი გადაცემის წინააღმდეგია
2. ამ პირის ყოფნა აუცილებელია სისხლის სამართლებრივი დევნის მიზნებისათვის
3. გადაცემამ შეიძლება გაახანგრძლივოს მისი დაკავების (პატიმრობის) ვადა
4. სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

თუ გამოძახებულია უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, დაუშვებელია მისი იძულება, მოყვანა, დაკავება, დაპატიმრება, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება, ჩხრეკა, მის მიმართ იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებების გამოყენება, გაფრთხილება ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქის იძულებასთან და მისი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან ტარდება მხოლოდ იმ შემთხ-

ვევაში, თუ ისინი სანქციონირებულია უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

სასამართლო უწყების საფუძველზე სასამართლოს წინაშე გამოცხადებული პირი, მოწმე ან ექსპერტი სარგებლობს იმუნიტეტით სისხლისსამართლებრივი დევნისაგან და პასუხისმგებლობისაგან იმ ქმედებებისათვის და იმ განაჩენების აღსრულებისგან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შემსრულებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ პირის საქართველოში ჩამოსვლამდე. იმუნიტეტი წყდება, თუ აღნიშნული პირი:

1. არ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას 15 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მისი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე აღარ ესაჭიროება სასამართლო ორგანოებს, ან

2. ბრუნდება საქართველოში მოგვიანებით.

პირის გადაცემა

გადაცემის ინსტიტუტებთან მიმართებაში მსოფლიოში ჩამოყალიბებულია ორგვარი მიდგომა:

1. ევროპული მიდგომა – გავრცელებულია რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში კონტინენტურ ევროპასა და ლათინოამერიკულ ქვეყნებში, ყოფილ კოლონიებში (ბრიტანული კოლონიების გარდა)

2. ანგლო-ამერიკული მიდგომა – დამახასიათებელია „საერთო სამართლის“ ქვეყნებისათვის.

ევროპული მიდგომა ემყარება პირთა გადაცემის მარეგულირებელი პრინციპების: ორმაგი კრიმინალიზაციის, სპეციალიზაციის და საკუთარი მოქალაქეების გადაცემის აკრძალვის ხელშეუხებლობას, უზრუნველყოფს კანონიერების და გადასაცემი პირის უფლებათა ხელშეუხებლობას, თუმცა აღნიშნულის პარალელურად ცალკეულ შემთხვევებში ტოვებს დამნაშავის მიერ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას.

ანგლო-ამერიკული მიდგომის ამოცანაა სასჯელის გარდუვალობის უზრუნველყოფა თუნდაც, ცალკეულ შემთხვევებში, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმების, ეროვნული კანონების დებულებათა „ლიბერალური განმარტების“ გზით. შესაბამისად აქ არ არის აღიარებული ზ/ა პრინციპების ხელშეუხებლობა. ინგლისურ-ამერიკული მიდგომა ამცირებს ზოგადი პრინციპების მნიშვნელობას და სასამართლოს უფლებას აძლევს დამნაშავის დასჯის მიზნის მიღწევისათვის ყოველი კონკრეტული საქმე გადაწყვიტოს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით „საერთო სამართლის ქვეყნებში“ გადაცემა დასაშვებად ითვლება:

1. მხოლოდ შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში;
2. გარკვეული პირობების არსებობისას დასაშვებია საკუთარი მოქალაქეების გადაცემაც-სასამართლოები ამ ქვეყნებში უარყოფენ საკუთარი მოქალაქეების გადაცემის ამკრძალავი საერთაშორისო სამ. ნორმების არსებობას და აქ დადებული ხელშეკრულებების უმრავლესობა ითვალისწინებს გარკვეული პირობების არსებობისას საკუთარი მოქალაქეების გადაცემის შესაძლებლობას და ეს საკითხი წყდება ხელშემკვრელი მხარეების მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ ყოველ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში.
3. გადაცემის შესახებ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობს სასამართლო, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელსაც გადაცემაზე სასამართლოს ნებართვის მიუხედავად შეუძლია უარი თქვას გადაცემაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44.46 მუხლი საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლო-

ბის მიზნებისთვის ანსხვავებს პირთა გადაცემასთან დაკავშირებულ ორ ინსტიტუტს:

1. **პირის გადაცემა** – სახელმწიფოს მიერ პირის გადაცემა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსათვის
2. **პირის ექსტრადიცია** – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის პირის გადაცემა საერთაშორისო ხელშეკრულების ან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

ორივე შემთხვევაში პირის გადაცემასთან დაკავშირებული შუამდგომლობების მიზანია:

ა) პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველყოფა,

ბ) მსჯავრდებულთა გადაცემისას-სასჯელის აღსრულების ან მსჯავრდებულის იმ სახელმწიფოში სასჯელის მოსახდელად გადაცემა რომლის მოქალაქეცაა იგი, ან

გ) სისხლის სამართლის პროცესში პირის მოწმის/დაზარალებულის სახით მონაწილეობის უზრუნველყოფა.

ორივე შემთხვევაში პირის გადაცემის საერთაშორისო-სამართლებრივი პროცედურა მოიცავს შემდეგ **ეტაპებს:**

1. გადაცემის შესახებ მოთხოვნისათვის აუცილებელი დოკუმენტების მომზადება.
2. გენერალური პროკურატურის[1]/ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გადაცემის შესახებ მოთხოვნის განხილვა.
3. პირის გადაცემისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.
4. პირის ფიზიკური გადაცემა.

---

1 მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო ბრალდებულ პირებთან მიმართებაში- საქართველოს გენერალური პროკურატურა

I. ექსტრადიცია

ისტორიულად ექსტრადიციის ინსტიტუტი სამართლის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1296 წელს ეგვიპტელ ფარაონ რამზეს II და ჰეტტების პრინც ჰატუშილ III შორის დადებული შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკური დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი დიდგვაროვნების და ეგვიპტიდან ჰეტტების ქვეყანაში გაქცეული პირების დაბრუნებას „რამზესის ქვეყანაში მათი დაკავების ნაცვლად". იმავდროულად ეს შეთანხმება ითვალისწინებდა გადასაცემი პირების უსაფრთხოების გარანტიებსაც. კერძოდ, მასში ვკითხულობთ "დაე, ეს პირები არ იქნენ დასჯილნი სიკვდილით, არ დააზიანონ მათი თვალები, პირი და ფეხები".

უნდა აღინიშნოს რომ თანამედროვე სამყაროში ორგანიზებული დანაშაული როგორც წესი ტრანსსასაზღვრო ხასიათის მატარებელია და დღის წესრიგში აყენებს სახელმწიფოთა ძალისხმევის გაერთიანებას და თანამშრომლობას მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან, აუცილებელია სათანადო ბალანსის დაცვა სახელმწიფო ინტერესებს შორის გადაცემის საკითხის გადაწყვეტას და გადასაცემი პირის უფლებების დაცვას შორის.

პირის ექსტრადიციის წინაპირობები:

1. ორმაგი დანაშაულის პრინციპი (doube criminality) პირის გადაცემა დაიშვება მხოლოდ იმ ქმედებისავის, რომელიც კვალიფიცირებულია როგორც დანაშაული როგორც მომთხოვნ, ასევე მიმღებ სახელმწიფოში[1]

2. დანაშაული, რისთვისაც ითხოვენ პირის გადაცემას უნდა მიეკუთვნებოდეს საექსტრადიციო დანაშაულს;

3. განსაზღვრული უნდა იყოს დანაშაული, რომლისთვისაც

1 აქ მთავარია რომ ორივე ქვეყნის კანონმდებლობით აღნიშნული ქმედებისათვის გათვალისწინებული იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. აუცილებელი არ არის რომ დანაშაულის ელემენტები და სასჯელის სახე ან ზომა იყოს ერთნაირი

პირი უნდა გასამართლდეს მისი გადაცემის შემდეგ

4. გადასაცემი პირის სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის შეზღუდვა (speciality principle)[1] –დაუშვებელია გადაცემული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება ან მისი თავისუფლების შეზღუდვა მის მიერ გადაცემამდე ჩადენილი დანაშაულის გამო, გარდა იმ დანაშაულისა, რომლის ჩადენისთვისაც იგი იქნა გადაცემული.

5. Prima facie case requirement (საქმის წინასწარი დასაბუთების) მოთხოვნა[2] - მომთხოვნი სახელმწიფო ვალდებულია წინასწარ დაამტკიცოს საქმე ბრალდებულის წინააღმდეგ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს წინაშე.

6. აკრძალულია პირის გადაცემა პოლიტიკური დანაშაულისთვის ან იმ დანაშაულისთვის, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან[3]

7. non bis in idem – დაუშვებელია პირის ექსტრადირება არა მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის მსჯავრდებული იყო, არამედ მაშინაც, თუ მას შეეხო ამნისტიის ან შეწყალების აქტი.

8. თუ მომთხოვნი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, ხოლო შემსრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა აკრძალუ-

---

1 სახელმწიფოთა პრაქტიკაში აღნიშნული პრინციპასდმი არსებობს ორგვარი მიდგომა: 1. კონკრეტული-შესაბამის სახელმწიფოთა კანონდებლობებით აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის მეტ-ნაკლებად სრული თანხვედრა/მსგავსება; 2. აბსტრაქტული – გამოიყენება კანონთა „ლიბერალური განმარტების“ პრინციპი.

2 ბოლო დროს მისი გამოყენება მცირდება

3 *საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული პოლიტიკური დანაშაულის ცნება. დანაშაულის პოლიტიკური ხასიათის განსაზღვრისას, როგორც წესი, უნდა დადგინდეს: პოლიტიკური მოტივაცია (სუბიექტური), ხელყოფილი უფლებები, პოლიტიკური ხასიათის მოვლენებთან კავშირი (ობიექტური); და სხვა. ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი პოლიტიკურ დანაშაულად არ თვლის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, სახელმწიფოს მეთაურის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის ხელყოფას ან ხელყოფის მცდელობას სხვა დანაშაულთან ერთად.*

ლია- პირის ექსტრადიცია განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომთხოვნი სახელმწიფო წარადგენს გარანტიას იმის შესახებ, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში გადაცემული პირის მიმართ ადგილი არ ექნება სიკვდილით დასჯის გამოყენებას.

9. დაუშვებელია ექსტრადიცია თუ შემსრულებელ სახელმწიფოს გააჩნია საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის მიზანია პირის დევნა და დასჯა მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური მოსაზრებების გამო ან ამ პირის მდგომარეობისათვის ზიანის მიყენება რომელიმე აღნიშნული მიზეზის გამო[1]

ექსტრადიციის ინსტიტუტი არეგულირებს:

1. საქართველოს თხოვნას პირთა გადმოცემის შესახებ

2. უცხო სახელმწიფოს თხოვნას პირის ექსტრადიციის შესახებ (საქართველოს მოქალაქეების, საქართველოში მუდმივად მცხოვრების მოქალაქეობის არ მქონე პირთა, უცხოელთა ან საკუთარი მოქალაქეების გადაცემის შესახებ)

მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ:

ორივე შემთხვევაში მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ რეკვიზიტებს და მომდინარეობდეს კომპეტენტური ორგანოდან. იგი შეიძლება გადაიცეს ტექნიკური საშუალებებით, შემდეგ კი დადასტურდეს წერილობით. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს:

1. ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ვინაობას;

2. ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებათა შინაარსს, იმ მუხლის სანქციის მითითებით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ასეთი დანაშაულისათვის;

---

1 ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ მ. 3.2

3. მითითებას პირის დაკავების ან დაპატიმრების, მისი დაკითხვის ან ჩხრეკის საჭიროების შესახებ;

4. მითითებას პირის გადაცემის ადგილის, დროის, წესისა და იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც იგი გადაეცემა.

მოთხოვნას უნდა დაერთოს:

– ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასლი,

– საბრალდებო დასკვნა

– დადგენილება ძებნის გამოცხადების შესახებ

– მოსამართლის ბრძანება (დადეგნილება) აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე

– გამამტყუნებელი განაჩენის ასლი – მსჯავრდებულის გადმოცემის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ მომთხოვნი (შემკითხველი) მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისი აღმოჩნდება შემსრულებელი მხარისათვის გადაწყვეტილების მისაღებად, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მას უნდა წარედგინოს 1 თვის ვადაში. აუცილებლობისას ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ მხოლოდ ერთი თვით.

<u>1. საქართველოს თხოვნა პირის მისთვის გადმოცემის შესახებ:</u>

საქართველოს უფლება აქვს მოითხოვოს პირის (საკუთარი მოქალაქეების) ექსტრადიცია, თუ:

1. საქართველოს მოქალაქემ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩაიდინა საქართველოს სსკოდექსით გათვალისწინებული ქმედება;

2. პირმა საქართველოს ტერიტორიაზე ჩაიდინა საქართველოს სს კოდექსით გათვალისწინებული ქმედება და იმყოფება საზღვარგარეთ.

პირველ შემთხვევაში, **თუ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე** მყოფმა საქართველოს მოქალაქემ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ ამ ქმედებისთვის იგი არ იყო მსჯავრდებული უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, საქართველოს საგამოძიებო ორგანოს უფლება აქვს მის წინააღმდეგ განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა და გამოიტანოს განაჩენი, გამოითხოვოს მასალები და მტკიცებულებები იმ სახელმწიფოდან, სადაც ჩადენილია დანაშაული და აღძრულია მოთხოვნა დევნილი პირის საქართველოს ხელისუფლებისათვის ექსტრადიციის შესახებ.

მეორე შემთხვევაში, საქართველოს გენერალური პროკურატურა უცხო სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებას მიმართავს მოთხოვნით იმ პირის გადმოცემის შესახებ, რომელმაც **დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე** იმ შემთხვევაში, თუ:

1. პირის მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადია თავისუფლების აღკვეთით 1 წელზე მეტი ვადით; ან

2. კანონიერ ძალაშია შესული მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ასეთი დანაშაულისათვის.

II. უცხო სახელმწიფოს თხოვნა ექსტრადიციის შესახებ

სამართლებრივი დახმარების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, უცხო სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი იმ პირის ექსტრადიცია:

ა) რომლის მიმართაც მომთხოვნ სახელმწიფოში მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა, ან

ბ) რომელსაც მსჯავრი დასდო თავისი ქვეყნის სასამართლომ.

ექსტრადიციის შესახებ უცხო სახელმწიფოს თხოვნა პირობითად იყოფა ორ ქვესახედ:

1. თხოვნა უცხო სახელმწიფოს მოქალაქეების ან მოქალაქეობის არ მქონე პირთა ექსტრადიციის, და.
2. თხოვნა საქართველოს მოქალაქეების ექსტრადიციის შესახებ.

თუ საქართველოს გენერალური პროკურორი მოთხოვნას დასაბუთებულად და კანონიერად მიიჩნევს, იგი იძლევა მითითებას მისი შესრულების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი — ხელშეწყობას სთხოვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

პირის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის რამდენიმე სახელმწიფოსაგან მიღების შემთხვევაში საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უნდა დაკმაყოფილდეს, წყვეტს საქართველოს გენერალური პროკურორი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრსა და საქართველოს იუსტიციის მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით <u>არ დაიშვება ექსტრადიცია</u> თუ:

1) პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი საქართველოში ან ლტოლვილის სტატუსი საქართველოში;
2) ქმედება, რომელიც იყო ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნის საფუძველი, საქართველოში დანაშაულად არ ითვლება;
3) ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებულია სიკვდილით დასჯა მომთხოვნ სახელმწიფოში;
4) პირის მიმართ უკვე გამოტანილია იმავე დანაშაულთან დაკავშირებით დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ;
5) გასულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსით დადგენილი სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა[1];

6) საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია ექსტრადიცია[2];

შემსრულებელ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ექსტრადიციაზე, თუ მისი კანონმდებლობის მიხედვით დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე ჩადენილად ითვლება[3]

ექსტრადიციის შესახებ თხოვნის მიღებისთანავე, საქართველოს გენერალური პროკურორი ადგენს მოთხოვნის დასაბუთებულობასა და კანონიერებას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

1. უარს აცხადებს პირის ექსტრადიციაზე – ექსტრადიციაზე უარის ან ნაწილობრივი უარის შემთხვევაში შემკითხველ მხარეს უნდა ეცნობოს უარის თქმის მიზეზები;
2. თანხმობას აცხადებს ექსტრადიციაზე.

ექსტრადიციაზე თანხმობის შემთხვევაში შემკითხველ მხარეს უნდა ეცნობოს **ექსტრადიციის დრო** და ადგილი. პირის ექსტრადიცია უნდა განხორციელდეს შემსრულებელი მხარის მიერ ექსტრადიციის ადგილისა და დროის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. შემკითხველი მხარის მოტივირებული მოთხოვნისას, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 15 დღით. თუ დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ კვლავ არ განხორციელდა პირის ექსტრადიცია, პირი უნდა

---

1 უნდა აღინიშნოს რომ მთელი რიგი დანაშაულებისათვის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით არ გამოიყენება ხანდაზმულობის ვადები. ამასთან კონვენციის თანახმად ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით ექსტრადიცია აკრძალულია თუ გასულია ხანდაზმულობის ვადა შემსრულებელი **ან** მომთხოვნი მხარის კანონმდებლობით.

2 სხვა საფუძველს მიეკუთვნება საქ. სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევები, როგორიცაა კერძო ბრალდების საქმეებზე დაზარალებულთან შერიგების გამო სისხლისსამწარმოების შეწყვეტა, პირის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება, ქმედითი მონანიება და ა.შ.

3 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია მ. 7

გათავისუფლდეს აღნიშნული ვადის გასვლიდან 15 დღის განმავლობაში.

სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ან ექსტრადიციის შესახებ თხოვნის გაგზავნის მომენტში, შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე პატიმრობაში მყოფი პირი გადაიყვანება შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე. მის ეტაპირებაზე სანქციას იძლევა საქმის გამოძიებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირი.

ექსტრადიციაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს ექსტრადიციის გადავადება ან პირის გარკვეული პირობით ექსტრადირება.

ექსტრადიციის გადავადება დასაშვებია, თუ:

1. გადასაცემი პირი საქართველოს ტერიტორიაზე ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის- შესაბამისად განაჩენის გამოტანამდე, ან
2. სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის- სასჯელის მოხდამდე, ან სხვა კანონიერი საფუძვლით სასჯელისაგან მის გათავისუფლებამდე[1].

გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც გადავადებამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა ან გაართულოს დანაშაულის გამოძიება. ამ შემთხვევაში დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია:

1. პირის გარკვეული ვადით ექსტრადიცია – პირის ექსტრადიცია იმ პირობით, რომ ექსტრადირებული პირი იმ პროცესუალური მოქმედების ჩატარების შემდეგ, რომლისთვისაც იგი იყო

---

1 აქ სხვა კანონიერ საფუძველში იგულისხმება მაგალითად საქ. სსსკ-ის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები

ექსტრადირებული, დაუყონებლივ (მაგრამ მისი ექსტრადიციიდან არა უგვიანეს სამი თვისა) იქნება დაბრუნებული.

2. პირის პირობით ექსტრადიცია — ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია, უცხო სახელმწიფოს თხოვნით, საქართველოში მსჯავრდებული პირის ექსტრადიცია მომთხოვნ სახელმწიფოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნებისთვის. კერძოდ, საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოთა თხოვნით გამოიტანოს დადგენილება ამ სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიციის შესახებ მომთხოვნ სახელმწიფოში მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. თუ ამ პირს თავისი ქვეყნის სასამართლო შეუფარდებს უფრო მკაცრ ან საქართველოში მოუხდელი სასჯელის თანაბარ სასჯელს, იგი სასჯელს მოიხდის თავის ქვეყანაში და საქართველოში დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ექსტრადირებული პირის განმეორებითი ექსტრადიცია დასაშვებია, შემკითხველი მხარის თხოვნით, თუ:

— იგი თავს არიდებს სისხლისსამართლებრივ დევნას ,ან

— სასჯელის მოხდას, და

— დაბრუნდა შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე.

ამ შემთხვევაში ექსტრადიციისათვის აუცილებელი დოკუმენტების ხელმეორედ წარდგენა არ არის საჭირო.

ექსტრადიციის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილება გადასაცემმა პირმა შეიძლება[1] გაასაჩივროს დადგენილების მიღებიდან 15 დღის ვადაში შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელის საჩივარს განიხილავს 15 დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საკასაციო საჩივრის შეტანის გზით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის

1 გადასაცემი პირი სარგებლობს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.

სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში.

საპროცესო იძულების ღონისძიებები: ცალკეულ შემთხვევაში საქმის გარემოებების და გადასაცემი პირის ვინაობის გათვალისწინებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს თხოვნას გადასაცემი პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის ან საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. ამ შემთხვევაში, გადასაცემი პირის დაკავება, დაპატიმრება, სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსება მის მიმართ ჩხრეკის, ამოღების, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენება, მის ქონებაზე ყადაღის დადება დაიშვება, თუ ექსტრადიციის მოთხოვნას თან ერთვის სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული ორდერი (ბრძანება, დადგენილება).

თუ სამართლებრივი დახმარების ფარგლებში შემოსულია უცხო სახელმწიფოს თხოვნა ძებნილი პირის დაკავების თაობაზე მომთხოვნი სახელმწიფოსათვის მისი შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, საქართველო დაუყონებლივ იღებს ზომებს გადასაცემი პირის პატიმრობაში აყვანისათვის.

აღნიშნული პირის საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ ეცნობება მომთხოვნი მხარის კომპეტენტურ ორგანოს. იმავდროულად, შესაბამისი რაიონის პროკურორი დაკავებიდან 48 საათში შუამდგომლობით მიმართავს დაკავების ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საექსტრადიციო პატიმრობის ვადა განისაზღვრება 3 თვით. საექსტრადიციო პატიმრობის ვადას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე 2 თვემდე, ხოლო სააპელა-

ციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია – კიდევ 2 თვემდე ავრძელებს[1].

პატიმრობაში აყვანილი პირი უნდა გათავისუფლდეს, თუ თხოვნა ექსტრადიციის შესახებ მისი პატიმრობაში აყვანის შესახებ შეტყობინების დღიდან 1 თვის განმავლობაში არ იქნა მიღებული. შემკითხველი მხარის თხოვნით ეს ვადა შეიძლება 15 დღით გაგრძელდეს.

სასამართლოს გადაწყვეტილება საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს პირისათვის გადაწყვეტილების გადაცემიდან 15 დღის ვადაში საპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში.

საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიცია:

როგორც წესი, დაუშვებელია საქართველოს მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად ექსტრადირება სხვა სახელმწიფოში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.[2]

საქართველო განიხილავს საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიციის საკითხს ნაცვალგების პრინციპის გათვალისწინებით და უარს აცხადებს მათ ექსტრადიციაზე საზოგადოებრივი მორალის, სახელმწიფო ინტერესებისა და უსაფრთხოების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ უარის თქმა ექსტრადიციაზე არ ნიშნავს დამნაშავის დაუსჯელობას. სწორედ ამიტომ, თუ დადგინდა, რომ ექსტრადიციის მიზნით დაკავებული პირი საქართველოს

1 საექსტრადიციო პატიმრობის მიმართ გამოიყენება წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ასევე პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრების წესი 243-ე მუხლი

2 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისი 6.1 მუხლი

მოქალაქეა იგი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს პატიმრობიდან, და თუ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ პირმა უცხო სახელმწიფოში ჩაიდინა საქართველოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით დასჯადი ქმედება, საქართველოს გენერალური პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით შესაბამისი ქვეყნიდან გამოითხოვს პირის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს.

მსჯავრდებულ პირთა ექსტრადიცია – ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მომთხოვნ სახელმწიფოში[1] დაუსწრებლად მსჯავრდებიული და გასამართლებული პირის ექსტრადიციის მოთხოვნას. ამ შემთხვევაში შემსრულებელ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ექსტრადიციაზე იმ შემთხვევაში, თუ მისი აზრით, სამართალწარმოება ეროვნულ სასამართლოში არ აკმაყოფილებდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირისათვის უზრუნველყოფილ დაცვის მინიმალურ სტანდარტებს. ამასთან, ექსტრადიცია განხორციელდება, თუ თხოვნის გამგზავნი მხარე წარმოადგენს სათანადო გარანტიებს იმისა, რომ გადასაცემი პირისათვის უზრუნველყოფილი იქნება ხელახალი გასამართლების შესაძლებლობა დაცვის უფლების უზრუნველყოფის პირობით.

უნდა აღინიშნოს, რომ პირის ექსტრადიცია არა მხოლოდ არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, გულისხმობს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის შესაბამისი პროცესუალური გარანტიების უზრუნველყოფის აუცილებლობას. ამ მხრივ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ პასუხისმგებლობის და სასჯელის გარდუვალობის პრინციპს, არამედ სისხ-

1 იხ.სსსკ 254.1 ამასთან, დაუსწრებლად განაჩენის გამოტანისათვის საჭიროა 443-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებების არსებობა. 443.2 მუხლის თანახმად „განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა: ა) განსასჯელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას“.

ლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა დამცავი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების განუხრელ დაცვას. ექსტრადირებული პირისათვის ამა თუ იმ პროცესუალური უფლებების შეზღუდვამ შეიძლება რიგ შემთხვევებში გამოიწვიოს უარის თქმა ექსტრადიციაზე[1]. საექსტრადიციო პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტულობამ ასახვა ჰპოვა გაეროს სანიმუშო დოკუმენტების შემუშავების პრაქტიკაშიც.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი ითვალისწინებს იმ პირის მართლზომიერი დაკავების ან დაპატიმრების მოვალეობას, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით'. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული გარანტიები და სახელმწიფოთა მოვალეობები წარმოიშვება პირის ექსტრადიციის მიზნით დაკავების მომენტიდან, იმისდამოიხედავად მოგვიანებით განხორციელდა თუ არა აღნიშნული პირის ექსტრადიცია. კერძოდ, ევროპული კონვენციის 5.1. მუხლი შეიცავს ექსტრადიციის მიზნით დაკავებული/ დაპატიმრებული პირის უფლებების დამცავ გარანტიებს მისი ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. აკავება ან დაპატიმრება უნდა იყოს „მართლზომიერი, რაც ნიშნავს რომ იგი უნდა განხორციელდეს ქვეყნის კანონმდებლობის და კონვენციის დებულებათა შესაბამისად. და არ უნდა იყოს თვითნებური. შეწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ექსტრადიცია ან დეპორტაცია მანმადე გადაიდოს, ვიდრე არ იქნება განხლული პატიმრობის მაღრთლზომიერება, ვინაიდან შედგმა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს თვით ექსტრადიციის მართლზომიერებაზე. ფრო მეტიც,

1 Sanchez-Reisse v. Switzerland (1986) N107, 9 E.H.R.R.71 იხ. ასევე 1990წლის 14 დეკემბრის გაეროს სანიმუშო/ტიპიური შეთანხმება ექსტრადიციის შესახებ (რეზოლუცია 45/116), რომლის თანახმად გადასაცემ პირს არ გააჩნდა ან არ ეძნება უზრუნველყოფილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-14 მუხლით გათვალისწინებული მინიმალური გარანტიები.

მე-5.4 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების თვალსაზრისით ექსტრადიცია ყოველთვის უნდა გადაიდოს მანმადე, სანამ სასამართლოს არ ექნება შესაძლებლობა განიხილოს პატიმრობის მართლზომიერება და თუ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება გათავისუფლების შესახებ.

მე-5.1. პუნქტი მართალია არ ადგენს დაპატიმრების ვადას, მაგრამ ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ ექსტრადიციის საქმეები „სათანადო გულმოდგინებით" უნდა იქნეს განხილული. საქმეში „ლინასი შვეიცარიის წინააღმდეგ" კომისიამ აღნიშნა, რომ თუ: „სამართალწარმოება სათანადო გულმოდგინებით არ ხორციელდაბ ან თუ პატიმრობა წარმოადგენს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შედეგს იგი არ იქნება გამართლებული მე-5.1 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით. მიტომ, მოცემულ ფარგლებში ევროპულ კომისიას ექნება საფუძველი მხედველობაში მიიღოს ექსტრადიციამდე პატიმრობაში ყოფნის ხანგრძლივობა"[1] სწორედ ამიტოს, სსსკ დეტალუარდ არეგულირებს აღნიშნულ საკითხს და ადგენს, რომ

სწორედ ამიტომ, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა ითვალისწინებს პირის ისეთ სპეციალურ პროცესუალურ გარანტიებს, როგორიცაა გადმომცემი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე ექსტრადირებული პირის:

1. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან დასჯის აკრძალვა იმ დანაშაულისათვის, რომელიც არ ყოფილა ექსტრადიციის საფუძველი

2. მესამე სახელმწიფოში ექსტრადიციის აკრძალვა.

შემსრულებელი მხარის თანხმობა არ არის საჭირო, თუ პირმა სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრების, სასჯელის მოხდის ან სხვა კანონიერი საფუძვლით გათავისუფლების შემდეგ, 15 დღის განმავლობაში არ დატოვა შემკითხველი მხარის

1 Lynas v Switzerlan applic. #7317/76

ტერიტორია ან თუ იგი ნებაყოფლობით კვლავ დაბრუნდა ამ ტერიტორიაზე.

იმავდროულად, საქართველოში ექსტრადირებული და გადასაცემი პირები, მათი მოქალაქეობისდა მიუხედავად სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობით ბრალდებულისათვის მინიჭებული ყველა უფლებით და თავისუფლებით, მათ შორის კანონის და სასამართლოს წინაშე თანასწორობის, წამების და არაადამიანური მოპყრობისგან თავისუფლების, სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის და ა.შ. უფლებებით.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დებულებისგან განსხვავებით სჩქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6.3 მუხლი[1] არ კრძალავს პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, ან დასჯას. თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 6.2 მუხლიდან გამომდინარე აუცილებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებაც.

---

1 „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით. იმავდროულად 6.2 მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე მოქალაქეობის არ მქონე პირი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად სხვა სახელმწიფოს შეიძლება გადაეცნენ მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მსჯავრდებულთა ექსტრადიცია

მსჯავრდებულ პირთა ექსტრადიციის ინსტიტუტი ეხება მხოლოდ იმ მსჯავრდებულებს, რომელთა მიმართაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული და ითვალისწინებს ვადიან ან უვადო თავისუფლების აღკვეთას. ინსტიტუტი არეგულირებს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ პირთა სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად იმ სახელმწიფოსათვის გადაცემის საკითხს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან. შესაბამისად მსჯავრდებულ პირთა ექსტრადიციაც პირობითად ორ ქვესახედ იყოფა:

1. საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ექსტრადიცია;

2. უცხო სახელმწიფოში მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქეთა ექსტრადიცია.

ორივე შემთხვევაში მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი[1]. იუსტიციის სამინისტროსვე ევალება მსჯავრდებულ პირთა ექსტრადიციის (გადაცემის/გადმოყვანის) ორგანიზება და მათი ბადრაგირება[2].

მსჯავრდებულ პირთა ექსტრადირების (გადაცემის/გადმოცემის) შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

1. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამოწმებული ასლი;
2. დოკუმენტი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ;
3. საქმეზე არსებული ზემდგომი სასამართლო ინსტანციების

---

1 გადაწყვეტილების მიღებამდე იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი წინასწარ ათანხმებს საკითხს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურასთან, რომლებიც ვალდებულნი არიან გადაცემა-გადმოყვანის თაობაზე თავიანთი მოსაზრებები სამინისტროს მიაწოდონ 15 დღის ვადაში.

2 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს (შემდეგში „დეპარტამენტი").

გადაწყვეტილებების დამოწმებული ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. დოკუმენტი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდილი და მოუხდელი ნაწილის შესახებ;
5. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის ტექსტი, რომლის საფუძველზეც პირი იქნა მსჯავრდებული;
6. მსჯავრდებულის თანხმობა გადაცემაზე[1];
7. ცნობა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შესახებ;
8. მიმღები ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არარსებობის შემთხვევაში მოიპოვება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით).

ცნობა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზარალის დაფარვის შესახებ;

9. საქართველოს გენერალური პროკურატურის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანმხმობა მსჯავრდებულის გადმოყვანაზე

მსჯავრდებულ პირთა ექსტრადირების წინაპირობაა განაჩენის გამომტანი და განაჩენის აღმასრულებელი სახელმწიფოების შეთანხმება ექსტრადირებაზე,ხოლო მსჯავრდებულთა ექსტრადიციის შესახებ **საქმის წარმოების დაწყების საფუძველს** წარმოადგენს:

1. იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა, რომლის მოქალაქეცაა მსჯავრდებული[2]; ან
2. მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესავის განცხადება

განაჩენის გამომტანი სახელმწიფო განაჩენის კანონიერ ძა-

---

1 ხოლო თუ ასაკის, ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობის გამო მას არ შეუძლია გამოხატოს თავისი ნება – მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა

2 შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ლაში შესვლიდან უმოკლეს ვადაში განაჩენის აღმსრულებელ სახელმწიფოს აცნობებს მსჯავრდებულის სურვილს და მიაწვდის ინფორმაციას, რომელშიც აღინიშნება:

ა) მსჯავრდებულის ვინაობა, დაბადების თარიღი და ადგილი;

ბ) მისი მისამართი, თუ ასეთი არსებობს განაჩენის აღმსრულებელ სახელმწიფოში;

გ) გარემოებები, რომლებსაც ემყარება განაჩენი;

დ) სასჯელის არსი, ხანგძლივობა და მისი მიმდინარეობის დაწყების თარიღი.

თუ განაჩენის აღმასრულებელი მხარე ჩათვლის, რომ მის ხელთ არსებული ცნობები არასაკმარისია, მას შეუძლია განაჩენის გამომტან სახელმწიფოს მოსთხოვოს მის მიერ განსაზღვრულ ვადაში დამატებითი მასალების წარმოდგენა.

<u>აკრძალულია</u> მსჯავრდებულთა ექსტრადირება (გადაცემა/გადმოყვანა) თუ:

1. განაჩენის აღმასრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ქმედება, რომლისთვისაც პირი მსჯავრდებულია, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, ან არ ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას;
2. არ არის მსჯავრდებულის[1] თანხმობა;
3. მოთხოვნის მიღების მომენტისათვის მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის ვადა 6 თვეზე ნაკლებია[2];
4. არ არსებობს ექსტრადიციის (გადაცემის/გადმოყვანის) თაობაზე მხარეთა შეთანხმება;
5. დაინტერესებული პირები უარს აცხადებენ ბადრაგირების ხარჯების დაფარვაზე.

მსჯავრდებულთა ექსტრადირებაზე <u>უარის თქმა დაიშვება</u>, თუ:

1. ექსტრადირება ეწინააღმდეგება საქართველოს საზოგადოებრივ

---

1 შესაბამისად- მისი კანონიერი წარმომადგენლის

2 გამონაკლის შემთხვევებში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ექსტრადირებაზე მაშინაც, თუ მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეზე ნაკლებია.

წესრიგს, უსაფრთხოების ან უშიშროების ინტერესებს;

2. გადატვირთულია საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულება (როდესაც საუბარია საქართველოში ექსტრადირებაზე);
3. მსჯავრდებულს არ მოუხდია მისჯილი სასჯელის ნახევარი.

მსჯავრდებულის გადაცემამდე მოუხდელი **სასჯელის აღსრულება**, სასჯელისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლება განაჩენის აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხორციელდება განაჩენის აღმასრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

თუ სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის გადაცემის შემდეგ განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ განაჩენი შეცვლილია ან გაუქმებულია საქმის შეწყვეტასთან ან ხელახალ გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით, ამის შესახებ გადაწყვეტილება და სხვა აუცილებელი დოკუმენტები უნდა გაეგზავნოს განაჩენის აღმასრულებელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს დაუყოვნებლივ.

დამატებითი გამოძიების შედეგად სარეაბილიტაციო საფუძვლით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში პირის უსაფუძვლოდ მიცემით გამოწვეულ ზარალს აღნიშნულ პირს აუნაზღაურებს ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ჩადენილია დანაშაული.

I. საქართველოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ექსტრადირების წესი

უცხოელი მოქალაქის მიმართ საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია მსჯავრდებულს განუმარტავს მის უფლებას ექსტრადიციაზე[1].

1 ცნობა განმარტების შესახებ უნდა დაერთოს მსჯავრდებულის პირად საქმეს.

როგორც ზ/აღინიშნა ექსტრადირების შესახებ სამართალწარმოების დაწყებისათვის მსჯავრდებულმა:

— უნდა მიმართოს პირდაპირ დეპარტამენტს განცხადებით, ან

— თავისი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინაშე შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის მიზნით.

შემოსული შუამდგომლობის/განცხადების საფუძველზე დეპარტამენტი 10 დღის ვადაში შესაბამისი უწყებიდან გამოითხოვს ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ ზ/ა დოკუმენტებს. ამ დოკუმენტების წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროდან და გენერალური პროკურატურიდან გამოითხოვს ინფორმაციას მსჯავრდებულის ექსტრადირებასთან დაკავშირებით ხელშემშლელი გარემოებების არსებობის თაობაზე და ადგენს დასკვნას ექსტრადირების თაობაზე.

ექსტრადირების შესახებ ბრძანების დამტკიცებიდან 5 დღის ვადაში დეპარტამენტი შესაბამისი უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წინაშე აყენებს შუამდგომლობას ექსტრადირების შესახებ და თანხმობის მიღების შემთხვევაში, ათანხმებს გადაცემის დროს, ადგილს და წესს, რის თაობაზეც მხარეებს შორის დგება ექსტრადიციის აქტი[1] 4 ეგზემპლარად[2] რომელთაგან ორი რჩება დეპარტამენტის წარმოადგენელს, ხოლო ორი - იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომელსაც მსჯავრდებული გადაეცა. აქტის ერთი ეგზემპლარი რჩება დეპარტამენტში მსჯავრდებულის პირად საქმესთან ერთად, ხოლო მეორე — გადაცემიდან 3 დღის ვადაში ეგზავნება სამმართველოს. ამ აქტის მიღებიდან 10 დღის ვადაში, დეპარტამენტი აცნობებს განაჩენის გამომტან სასამართლოს მსჯავრდებულის გადაცემის შესახებ.გადასაცემი მს-

1 შემდგომში —"აქტი"

2 აქტის 2 ასლი რჩება დეპარტმენტ, 2ასლი- იმ სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელსაც გადაეცა მსჯავრდებული.

ჯავრდებულის სახელმწიფო საზღვარზე გასვლის საფუძველს წარმოადგენს საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, რომელიც გაცემულია იმ სახელმწიფოს სათანადო ორგანოს მიერ, რომლის მოქალაქეცაა მსჯავრდებული.

II. უცხო სახელმწიფოში მსჯავრდებული პირის საქართველოში ექსტრადირების წესი

ამ შემთხვევაშიც ექსტრადირების შესახებ სამართალწარმოების დაწყების საფუძველია მსჯავრდებულის შუამდგომლობა, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტს შეიძლება წარედგინოს:-

ა) დაინტერესებული პირის; ან

ბ) უცხო ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

დაინტერესებული პირის მიერ ექსტრადირების შესახებ განცხადების წარდგენისას საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, განცხადებას უნდა დაერთოს:

1. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამოწმებული ასლი;
2. მსჯავრდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მსჯავრდებულის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განცხადების მიღებიდან 15 დღის ვადაში დეპარტამენტი გამოითხოვს ზ/ა დოკუმენტებს და დაინტერესებული პირისაგან იღებს წერილობით დასტურს მსჯავრდებულის შეთანხმებული მარშუტით ბადრაგირების ხარჯების გაღების თაობაზე[1]. ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დე-

---

1 ბადრაგირების ხარჯთაღრიცხვა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მიერ. როგორც წესი, მსჯავრდებულის გადაყვანასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს განაჩენის აღმსრულებელი მხარე, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც წარმოიშობა განაჩენის გამომტანი მხარის ტერიტორიაზე. ამავე დროს, მსჯავრდებულის სასჯელის მოსახდელად გადაცემისათვის საჭირო სახსრები შეიძლება გაიღონ მსჯავრდებულმა, მისმა ნათესავებმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა.

პარტამენტი 5 დღის ვადაში მიმართავს დაინტერესებულ პირს ბადრაგირების ხარჯების გადახდის თაობაზე, რომელმაც 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს აღნიშნული თანხის სახ. ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი საბუთი).

დეპარტამენტი ექსტრადირების შესახებ აქტის მიღებიდან 3 დღის ვადაში უზრუნველყოფს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოში მსჯავრდებულის ექსტრადირების შემდეგ მის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის აღსრულების საკითხს საქმის მასალების მიღებიდან 1 თვის ვადაში იხილავს საქართველოს სასამართლო მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და განსჯადობის წესების დაცვით, მაგრამ მის დაუსწრებლად და გამოაქვს განჩინება (დადგენილება)[1].

განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, აგრეთვე განაჩენის გამოტანის დრო;

ბ) მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის საქართველოში უკანასკნელი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილებისა და საქმიანობის შესახებ;

გ) იმ ქმედების კვალიფიკაცია, რომელშიც პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის;

ე) სასჯელის სახე (ძირითადი და დამატებითი) და ვადა,

---

1 განჩინების (დადგენილების) ასლი შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

რომელიც მსჯავრდებულმა საქართველოში უნდა მოიხადოს, სასჯელის მოხდის დაწყების და დამთავრების თარიღებისა და ზიანის ანაზღაურების წესის მითითებით.

უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის სასჯელის მოსახდელად საქართველოში ექსტრადირების შემთხვევაში მის მიმართ დგება მსჯავრდების იგივე შედეგები, რაც საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის მიმართ და უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულება ხდება იმავე წესით და პირობებით, როგორც საქართველოს სასამართლოს განაჩენის აღსრულება საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის. იმავდროულად, თუ საქართველოს მოქალაქე უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, გამამტყუნებელი განაჩენის მიღების მომენტიდან სამი თვის განმავლობაში საქართველოს გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურების მოთხოვნით შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა შუამდგომლობას განიხილავს სამი თვის ვადაში სამი მოსამართლის შემადგენლობით.

განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს მსჯავრდებულს, მის დამცველს ან კანონიერ წარმომადგენელს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას.

შუამდგომლობის განხილვის საფუძველზე სასამართლოს გა-

მოაქვს განჩინება[1] უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურებისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შესაბამისობის არარსებობისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. განჩინება საბოლოოა და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით აღძრას სარჩელი მსჯავრდებულის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გამოიყენება განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მიერ გამოცემული ამნისტიის ან შეწყალების აქტი ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სსსკ სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილ პირის უფლებას აძლევს მის მიმართ ამნისტიისა და შეწყალების აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული სასამართლოს დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს სსსკ 517-ე–545-ე მუხლებით განსაზღვრული წესით. ამ შემთხვევაში სასამართლო განხილვაში პროკურორი არ მონაწილეობს.

---

1 განჩინებაში უნდა აღინიშნოს უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, განაჩენის გამოტანის დრო, მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის შესახებ, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, სისხლის სამართლის კანონის შესაბამისი მუხლის მითითებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შესაბამისი დანაშაულის ჩადენისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გადასაცემი პირისთვის ჩემორთმეული საგნები და დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სისხლის სამართლის საქმეზე, ეგზავნება გადაცემის მომთხოვნ ორგანოს. მატერიალური ღირებულების მქონე საგნებისა და დოკუმენტების გაგზავნა, თუ ისინი არ ეკუთვნის გადასაცემ პირს, უნდა მოხდეს გადაცემის მომთხოვნი ორგანოსაგან მათი შენახვისა და მესაკუთრისათვის დაბრუნების გარანტიის მიღების შემდეგ.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან თანამშრომლობა

. საქართველოს მოქალაქის, აგრეთვე სა̀ქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა ხორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით (რომის სტატუტით) და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. (14.08.2003 2980)[1]

1 სისხლის სამართლის კოდექსის 6.1 მუხლი

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
3. მსჯავრდებულ პირთა გადაცემისა და გადმოცემის წესის შესახებ ინსტრუქცია, საქართველოს იუსტიციის მინისტრიეს ბრძანება №710; 5 /IX/2006წ
4. თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოსახდელად იმ სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ, რომლის მოქალაქენიც ისინი არიან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძენებულება №754, 19.XI.1996წ
5. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია
6. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი
7. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი
8. ევროპული კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ
9. მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, სტრასბურგი 18.XII.1997
10. უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ ევროპული კონვენცია, სტრასბურგი, 1959წლის 20 აპრილი
11. უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი 1978წ 15 მარტი, სტრასბურგი
12. სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლებრივ საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ კონვენცია, მინსკი 1993წ.

ევროპის საბჭოს კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ

ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის განაჩენთა საერთაშორისო აღიარების შესახებ
ევროპული შეთანხმება სამართლებრივი დახმარების შესახებ გაკეთებული მიმართვების გადაცემის შესახებ
13. კ. კორკელია – ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა 5/2002-1 , გვ 176-180
14. მ. ჟღენტი, ექსტრადიციის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მოკლე მიმოხილვა, ქართული სამართლის მიმოხილვა- 2001 წლის III–IV კვარტალი გვ 77-87
15. Frowein, The European Convention on Human Rights as the Public Order of Europe, in : Collected Courses of the Academy of European Law, 1990 vol. 1(2) 1992, 316-317; aseve O'Boyle, Extradition and Expulsion under the European Convention on Human Rights: Reflection on the Soering Case, in : Human Rights and Consttutional Law, Essays in Honour of Brian Walsh, O'Reilly (Ed) 1992, 93
1. Васильев Ю. Г.– «Институт выдачи преступников (экстрадиции) как отдельный институт права» // Государство и право. 2003. № 3, с. 67-78
2. Дашков Г.В. и Быкова Е.В. «Экстрадиция» //Статьи и Коментарии 1998г. Январь.
3. Сафаров Н.А. «Институт Экстрадиции (выдачи): опыт национально-правовой регламентации»
4. Сафаров Н.А. «Обеспечение прав человека и экстрадиционный процесс» //из МЕЖДУНАРОДНОГО ОПЫТА ЗАКОНОТВОРЧЕСТВА
5. Лукашук И.И. Наумов А.В. «Выдача обвиняемых и осужденных в международном уголовном праве» // Государство и право. 2001. № 1. серия 4
2001.01.075

6. Лукашук И.И. Наумов А.В. «Международное Уголовное Право» изд. Москва 1999
7. Кеннетт У. «Современное Развитие Международного Частного Права» //Международное Частное Право. 2001.01.076.
8. Костенко Н.И. «Проблемы Международно-правового регулирования института выдачи (экстрадиции)» // Государство и право. 2002. № 8, с. 68-76
9. Мезяев А.Б. «Международные Договоры об экстрадиции смертной казни» // Государство и право. 2003. № 3, с. 79-87
10. Михайленко К.Е. «Участие России в межгосударственных соглашениях по вопросам оказания международной правовой помощи» //Государство и право. 2003. № 5, с. 96-100
11. Вестник Межпарламентской Ассамблеи – Хроника Межпарламентской Ассамблеи